ანა კლდიაშვილი ნინო ღაღანიძე თამარ ჯაყელი

ხელოვნება

IX კლასი

მასწავლებლის წიგნი



ანა კლდიაშვილი ნინო ღაღანიძე თამარ ჯაყელი

ხელოვნება

IX კლასი

მასწავლებლის წიგნი

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია IX კლასის ხელოვნების სახელმძღვანელოს შესახებ 3

2. საგანმანათლებლო რესურსები 5

3. დავალებები 6

4. შეფასება 7

5. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის სტანდარტი 13

6. თემატური ბლოკების მატრიცები და კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები SOLO ტაქსონომიის მიხედვით 26

7. პასუხები სახელმძღვანელოში დასმულ კითხვებზე 139

8. შეფასების რუბრიკები 187

9. დანართი 212

10. მოსწავლის წიგნში გამოყენებული უცხო სიტყვების განმარტებები 214

1.ზოგადი ინფორმაცია IX კლასის ხელოვნების სახელმძღვანელოს შესახებ

IX კლასის სახელმძღვანელო შედგება მოსწავლის წიგნისა და მასწავლებლის წიგნისაგან.

მოსწავლის წიგნი

IX კლასის წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია:

- აზიაროს მოსწავლე ხელოვნების სამყაროს;
- მისცეს მას გარკვეული თეორიული ცოდნა არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესახებ;
- გამოუმუშაოს ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის უნარი;
- გაუღვივოს შემოქმედებითი აქტივობისა და თვითრეალიზების სურვილი;
- მოსწავლემ შეიმეცნოს კაცობრიობის ისტორიული გამოცდილება, მასთან მიმართებით თანამედროვე ეპოქა და საკუთარი თავი.

მოსწავლის სახელმძღვანელო მოიცავს როგორც თეორიულ მასალას, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს.

მოსწავლის წიგნის (სახელმძღვანელოს) სტრუქტურა იმგვარია, რომ მიზნად ისახავს როგორც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ძირითადი პრინციპებისა და ელემენტების შესწავლას, ასევე, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გარკვეული თეორიული ცოდნის ათვისებას. სასწავლო თემების მონაცვლეობა გულისხმობს გავლილი მასალის ათვისების ხარისხის დიაგნოსტიკას, რაც ახალი ცოდნის და უნარების განვითარების წინაპირობას ქმნის. სასწავლო თემების აგების პრინციპი საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვის არსებულ გამოცდილებაზე ახალი ცოდნის კონსტრუირების პრინციპს ეფუძნება. მოსწავლის წიგნის თითოეულ თემატურ ბლოკში შესასწავლი მასალა მოცემულია წინარე ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე მჭიდრო კავშირშია სხვა სასკოლო საგნებთან (ბუნებისმეტყველება, ქართული, გეოგრაფია, ისტორია, კომპიუტერული მეცნიერებები და სხვ.). ასევე, სახელმძღვანელოში თეორიული ცოდნა მჭიდროდაა დაკავშირებული მოსწავლის შემოქმედებით საქმიანობასთან. ახალი ცოდნის შეძენისა და უნარების გამომუშავების მყარ საყრდენს შეადგენს თემატიკის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასა და მოსწავლის გამოცდილებასთან.

მოსწავლის წიგნის სტრუქტურა

წიგნს მოსწავლისათვის გასაგები, ნათელი სტრუქტურა აქვს. რამდენიმე სტრუქტურული ელემენტის საშუალებით ხდება განშლის მოწესრიგება და, რაც მთავარია, ეს ელემენტები სისტემატურია. სახელმძღვანელოში შესული საილუსტრაციო მასალა შერჩეულია რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

1. ნიმუშის მაქსიმალური ტიპურობა განსახილველ თემასთან მიმართებით;
2. მასალის მრავალფეროვნება;
3. მოსწავლის ინტელექტუალური თვალსაწიერის გაფართოება;
4. მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინება;
5. მხატვრული ნაწარმოების ანალიზისათვის აუცილებელი მასალის მიწოდება.

წიგნში მოცემული მასალა შერჩეულია იმგვარად, რომ მკაფიოდ და ნათლად იყოს განსაზღვრული სამიზნე ცნებები და მოსწავლეს გამოუმუშაოს მათთან დაკავშირებული მკვიდრი

წარმოდგენები. წიგნის თითოეული გაკვეთილის საკითხებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება და, სამიზნე ცნებებთან ერთად, ქვეცნებების ფართო სპექტრსაც მოიცავს.

სახელმძღვანელო მოიცავს სტანდარტით განსაზღვრულ ორ თემატურ ბლოკს და ამ თემებთან დაკავშირებულ ოთხ თავს:

> თემატური ბლოკი - **გარემო და ხელოვნება** (თემა - ახლის ძიება) წარმოდგენილია ორი თავით:
>
> > **თავი I. ახლის ძიება - ხელოვნების მამოძრავებელი ძალა**
> > **თავი II სიახლეთა კალეიდოსკოპი - XX-XXI საუკუნეების ხელოვნება**
>
> თემატური ბლოკი - **საზოგადოება და ხელოვნება** (თემა - ხელოვნება - ზემოქმედებისა და კომუნიკაციის საშუალება) წარმოდგენილია ორი თავით:
>
> > **თავი III. ხელოვნების ძალა - ხელოვნება და საზოგადოება**
> > **თავი IV. მე და ხელოვნება - ხელოვნებასთან ზიარების გზები**

მოსწავლის წიგნში კომპლექსური დავალებები მინიშნებულია გაკვეთილის სათაურთან დასმული ფიფქით.

თითოეული თავის თავფურცელზე მოცემულია ამ თავის საკვანძო შეკითხვები, რომელთა გამოყენება მასწავლებელს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია. გაკვეთილები დაყოფილია პარაგრაფებად. თითოეულ გაკვეთილში შეტანილია რუბრიკები: „დამატებითი ინფორმაცია“, „განმარტებანი“, „საკლასო დისკუსია“.

წიგნში დასმული სახელოვნებო საკითხები განხილულია ადამიანის მიმართ დამოკიდებულების კუთხით, ანუ ადამიანი არის ყველა თემის ქვაკუთხედი, რათა მოსწავლემ შეძლოს, ხელოვნების არა განცალკევებულ ფენომენად აღქმა, არამედ ადამიანის განვითარების კვალად, მისი მსოფლმხედველობის ცვლილების ჭრილში დანახვა, მის წინაშე სხვადასხვა ეპოქაში არსებული პრობლემების გაცნობიერება და შემდგომ თანამედროვეობაზე ანუ საკუთარ თავზე რეფლექსირება.

მოსწავლის წიგნის ერთიანი კონცეფცია არა მხოლოდ ხელოვნების სწავლებაზე, არამედ, ამასთან ერთად, ხელოვნების საშუალებით სააზროვნო ველის მოსწავლეებისათვის გაფართოებასა და საკაცობრიო ღირებულებებთან ზიარებაზეა ორიენტირებული.

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნი, პრაქტიკული თვალსაზრისით, მოსწავლის წიგნის თანმდევ მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას ახორციელებს და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ისარგებლოს წიგნის ავტორების მიერ შეთავაზებული სასწავლო თემებით და, ამავე დროს, აუცილებელ თავისუფლებას ანიჭებს მასწავლებელს, შემოქმედებითად წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად და კლასის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

მასწავლებლის წიგნის მე-7 თავში მოსწავლის წიგნში ინტერაქტივის ყველა შეკითხვის პასუხია მოცემული.

2.საგანმანათლებლო რესურსები

ელექტრონული რესურსი

საგნის სპეციფიკისა და სკოლების არათანაბარი ტექნიკური აღჭურვილობიდან გამომდინარე, მასწავლებლებისათვის დამატებით მომზადებულია მდიდარი საილუსტრაციო მასალა ელექტრონული რესურსის სახით, რომელიც ატვირთული იქნება გამომცემლობის ვებ და ფბ-გვერდებზე. მასალა დაჯგუფებულია გაკვეთილების მიხედვით და თითოეული გაკვეთილისათვის შეთავაზებულია, დაახლოებით, 10-15 ნამუშევრი, რომელთაგან მასწავლებელს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია გამოიყენოს ისინი შესაბამისი თუ სხვა გაკვეთილის მსვლელობისას.

რეკომენდებული ლიტერატურა:

- მერილინ სთოქსთედი, მაიკლ ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია (XVIII საუკუნიდან დღემდე), თბ., 2018;
- მერილინ სთოქსთედი, მაიკლ ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია (XVI-XVII საუკუნეების ევროპა), თბ., 2018;
- მერილინ სთოქსთედი, მაიკლ ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია (XIV-XV საუკუნეების ევროპა), თბ., 2019
- მერილინ სთოქსთედი, მაიკლ ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია (დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ხელოვნება), თბ., 2020
- ე. გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, თბ., 2012
- ტელეგაკვეთილები:

  https://1tv.ge/user/ninokhundadze/

  https://1tv.ge/user/anakldiashvili/

- სტატიები ხელოვანების შესახებ და მათი ნამუშევრები:

  https://arthive.com/artists

- სხვადასხვა პერიოდის მხატვრების ნამუშევრების ციფრული გალერეა:

  https://www.wga.hu/index1.html

- მასალა ხელოვნების შესახებ ეპოქების მიხედვით:

  https://www.khanacademy.org/humanities/art-history

- ვიზუალური ხელოვნების ენციკლოპედია

  http://www.visual-arts-cork.com/index.htm

3.დავალებები

სახელმძღვანელოში პრაქტიკული დავალებები საკმაოდ მრავალფეროვანია. მათი ნაწილი მოსწავლემ სახლში დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს, ნაწილი კი — გაკვეთილზე. ზოგიერთი მათგანი ინდივიდუალურად უნდა შესრულდეს, ზოგი — წყვილებში, ზოგიც — ჯგუფურად.

მოსწავლის წიგნის თითოეული თავი მოიცავს ორ კომპლექსურ დავალებას (მთლიანად მოსწავლის წიგნში 8 კომპლექსური დავალებაა წარმოდგენილი). თავები ისეა აგებული, რომ დავალებები, შეძლებისდაგვარად, თანაბრად გადანაწილდეს გაკვეთილების საერთო რაოდენობასთან მიმართებით და თითოეულმა კომპლექსურმა დავალებამ დაასრულოს სახელმძღვანელოს ამ თავში (მის პირველ და მეორე ნაწილებში) განხილული კონკრეტული თემა. მთელი წიგნის საგაკვეთილო მასალა იმგვარადაა აგებული, რომ ყოველი მათგანი ეტაპობრივად ამზადებს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალებები შემაჯამებელი გაკვეთილის ფუნქციას ითავსებს და მათი მეშვეობით განისაზღვრება და შეფასდება სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთში გავლილი თეორიული მასალის და შეძენილი პრაქტიკულ-შემოქმედებითი უნარების ათვისების ხარისხი და დონე.

კომპლექსური დავალებები მრავალფეროვანი შინაარსისაა, შესასრულებელი სამუშაო სხვადასხვა ტიპის მოცემულობებისგან შედგება (მაგ., კონკრეტული თემის მხატვრული ინტერპრეტაცია, უკვე ნაცნობი თემის ვიზუალური რეკონსტრუქცია, თეორიული ანალიზი და შემოქმედებითი რეალიზაცია და სხვა მრავალი), რაც საშუალებას იძლევა, შემოწმდეს სასწავლო პროცესის გავლილ მონაკვეთში მოსწავლის მიერ გააზრებული მკვიდრი წარმოდგენების, სამიზნე ცნებებისა თუ ქვეცნებების ურთიერთმიმართება და, რაც მთავარია, ამგვარი დავალების შესრულების პროცესი მოსწავლეს უღვივებს მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრების სურვილს.

მნიშვნელოვანია, რომ კომპლექსური დავალებების თემატიკა განსხვავდება მოსწავლის მიერ უკვე შერულებული ინტელექტუალურ-შემოქმედებითი სამუშაოსაგან, თუმცა აღნიშნული დავალების შესასრულებლად მან უნდა გამოიყენოს ყველა ის უნარ-ჩვევა, რომლებიც გამომუშავდა წინარე საგაკვეთილო პროცესში. კომპლექსური დავალების შემუშავებისას დაცული გონივრული ბალანსი ინტელექტუალური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ერთობლიობას და მათ ჰარმონიულ შერწყმას ამგვარად, კომპლექსური დავალება აგვირგვინებს სასწავლო პროცესის ერთ კონკრეტულ მონაკვეთს და მიღწეული შედეგების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

4.შეფასება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სასწავლო თემების ფარგლებში გათვალისწინებული შეფასების სისტემა ეყრდნობა შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას; ვალიდურობას; ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. ამ პრინციპების მისაღწევად გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი/შემაჯამებელი შეფასების ტიპები, ინსტრუმენტები, კონკრეტული და გაზომვადი **შეფასების კრიტერიუმები**. მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიყენება როგორც ანალიტიკური, ასევე ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ყურადღების გამახვილება მოსწავლის პროგრესზე და არა ნამუშევრის ხარისხზე. შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, სისტემატურად და ხელს უწყობს მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ შეფასება თანაბარ პირობებში უნდა აყენებდეს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს. ხელოვნების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების სხვადასხვა ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული: შემოქმედებითი პრაქტიკული საქმიანობა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მრავალფეროვანი ტექნიკისა და მასალის გამოყენებით ექსპერიმენტის ჩატარება, წერითი და ზეპირი აქტივობები, არგუმენტირებული მსჯელობა, პროექტში მონაწილეობა, გამოფენის ორგანიზება და მასში მონაწილეობა, მასალის მოგროვება და სისტემატიზება, კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირება.

განმსაზღვრელი შეფასებით დგინდება მოსწავლის ცოდნის ხარისხი და მოსწავლის მიღწევების დონე ანუ სწავლის შედეგი, რომელიც აისახება ქულებში. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას, მოსწავლის პოტენციის განვითარებასა და მის წინსვლას ანუ ამ შემთხვევაში ფასდება სწავლის პროცესის დინამიკა. განმავითარებელი შეფასების ფორმები და საშუალებებია: მასწავლებლის კომენტარი, თვითშეფასების კითხვარი, მასწავლებლის რეკომენდაცია.

შეფასების ტიპები და მათი გამოყენება დროის მიხედვით		
	განმსაზღვრელი	**განმავითარებელი**
მიმდინარე	ყოველდღიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვა, რომელშიც ნიშანი იწერება.	ყოველდღიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვა, რომელშიც ვუხსნით მოსწავლეს, როგორ გააუმჯობესოს შედეგები.
შემაჯამებელი	რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული ნიშანი.	რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული სიტყვიერი შეფასება, კომენტარი, რუბრიკით შეფასება და სხვ.

სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები

მოსწავლის ნიშანი უნდა გამომდინარეობდეს მის მიერ საგნის შესწავლის სხვადასხვა კომპონენტისგან. მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) საშინაო დავალება;
ბ) საკლასო დავალება;
გ) შემაჯამებელი დავალება.

სამივე კომპონენტს შეფასებისას თანაბარი წონა აქვს.

შეფასების კომპონენტები

საკლასო დავალება

1. პრაქტიკული სამუშაო, რომელიც ფასდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

- სახვითი და გამოყენებითი ელემენტების და პრინციპების, ტექნიკის და მასალის ფლობა;
- შემოქმედებითი მიდგომა, ორიგინალური გადაწყვეტილების მიღება;
- ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალა/აღჭურვილობა, სისტემურობა);
- ჯგუფური მუშაობის უნარი, თანამშრომლობა.

2. ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი/განხილვა, რაც ფასდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

- განხილვაში აქტიური მონაწილეობა;
- აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა;
- სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება.

3. საკუთარი და სხვების ნამუშევრების წარდგენა, რაც ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სათქმელის ნათლად გადმოცემა; კონტაქტი აუდიტორიასთან;
- თვალსაჩინოების და ტექნიკური საშუალებების გამოყენება;
- კითხვებზე შესაბამისი პასუხების გაცემა;

განმავითარებელი შეფასება

განმავითარებელი შეფასების მიზანს სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა, სწავლის პროცესის/არსებული საჭიროებების შეფასება, პროგრესის მონიტორინგი და მეტაკოგნიტური აზროვნების ხელშეწყობა წარმოადგენს. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას, თუ როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ეხმარება მათ ადეკვატური თვითშეფასების, სხვათა შეფასების უნარის ფორმირებასა და წარმატების მიღწევაში. განმავითარებელი კომენტარები/რჩევები, ხელს უწყობს მოსწავლეს, ხარვეზის/სუსტი მხარეების დანახვასა და უკეთესი შედეგების მისაღწევად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაში.

განმავითარებელი შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დააკვირდეს მოსწავლის მიღწევებს, დააფიქსიროს მისი საჭიროებები, ხოლო შემდეგ ხელი შეუწყოს მის განვითარებას.

განმავითარებელი შეფასება ეყრდნობა შეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემებს და მოსწავლის მიღწევებს დინამიკაში აფასებს. სახელმძღვანელოში გამოყენებულია აქ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ფართო სპექტრი.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებია:

წერილობითი უკუკავშირი

წერილობითი უკუკავშირი გამოიყენება საშინაო დავალების, საკლასო სამუშაოსა თუ პორტფოლიოს შეფასებისათვის. მასწავლებელი შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით ჯერ აღნიშნავს ნამუშევრის ძლიერ მხარეს. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში – მისი გამოსწორების რეკომენდაციებს გასცემს. რეკომენდაციების მიწოდებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შეხსენება და თანმიმდევრული დახმარება. თანმიმდევრული დახმარება შეიძლება განხორციელდეს შეკითხვების დასმის, აღწერისა და მაგალითის/ნიმუშის შეთავაზების ფორმით.

შემაჯამებელი ბარათები

შემაჯამებელი ბარათები გამოდგება იმის გასარკვევად, როგორ წარიმართა თქვენი გაკვეთილი, მიაღწიეთ თუ არა მიზნებს. მომდევნო გაკვეთილზე აუცილებლად გააკეთეთ წინა გაკვეთილის მცირე შეჯამება და ყურადღება გაამახვილეთ იმ საკითხებზე, რომლებიც მოსწავლეებმა აღნიშნეს ბარათებში.

აუხსენი შენზე უმცროსს/აუხსენი მეგობარს

მოსწავლეებს სთხოვეთ, აუხსნან უმცროს/მეგობარს ახალი ცნება ან მასალა უფრო მარტივად, ვიდრე მასწავლებელმა აუხსნა მათ. განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ წარმოსახვითი/რეალური მეგობარი, მათ შორის, არსებული ასაკობრივი სხვაობის გამო, შესაძლოა, ბევრად უფრო ნაკლებ ცოდნას ფლობდეს. ამიტომ მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ შეძლონ მოცემული ცნების ახსნა ბევრად უფრო მარტივი ენით, ვიდრე ეს გააკეთა მასწავლებელმა. დააკვირდით, როგორ ხსნიან მოსწავლეები ახალ ცნებებს, რათა გაიგოთ, რამდენად ღრმად გაიგეს/გაიაზრეს საკითხი.

ურთიერთშეფასება

ურთიერთშეფასება განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომლის დროსაც მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს. ურთიერთშეფასების პროცესში მოსწავლეები სწავლობენ სხვის ნამუშევრებში ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვასა, შეფასებას და კრიტიკული აზრის კორექტულად გამოთქმას. ეს ერთგვარი როლური თამაშია, რომელიც სახალისოა მოსწავლეებისათვის და ზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას.

საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება

ეს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. იმისათვის, რომ მოსწავლემ განივითაროს საკუთარი თავის ობიექტურად შეფასების უნარი, ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ კითხვარები. გთავაზობთ კითხვარის გამოყენების კონკრეტულ ნიმუშს: მასალის ახსნის, განმტკიცებისთვის.

- რა ვისწავლეთ დღეს ახალი?
- რომელი ინფორმაცია იყო ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო?
- რა იყო რთული?
- რა გვიშლიდა ხელს მუშაობაში?
- რაში გამოგვადგება მიღებული ცოდნა?

შემაჯამებელი შეფასება

შემაჯამებელი დავალებები დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა მიღწევების შეფასებაში, მოსწავლის მიერ მასალის ათვისებისა და შეძენილი უნარების ხარისხის შემოწმებაში. განვლილი მასალის შეჯერება-შეფასება მრავალფეროვანი სტრატეგიებითა და ინსტრუმენტებით ხორციელდება. სახელმძღვანელოში შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია პრაქტიკული და თეორიული დავალებების სახით და ითვალისწინებს წინა გაკვეთილებზე განვლილი მასალის ათვისების ხარისხისა და გამომუშავებული უნარების შემოქმედებას.

შენიშვნა: მოსწავლის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები და მის მიერ შესრულებული პრაქტიკული ნამუშევრები, მასწავლებლის კომენტარებით სასურველია ინახებოდეს მოსწავლის პორტფოლიოში.

პორტფოლიო. სასურველია, მასწავლებელმა სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს შესთავაზოს საკუთარი პორტფოლიოს შექმნა. პორტფოლიოში მოსწავლეები მთელი წლის განმავლობაში მოაგროვებენ მათ მიერ შექმნილ ნამუშევრებს. იქ, სადაც სკოლის ტექნიკური აღჭურვილობა საშუალებას იძლევა, შესაძლებელია, პორტფოლიო ელექტონული სახით შექმნან მოსწავლეებმა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე

თუ კლასში არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (სსსმ – იგულისხმება როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები), მასწავლებელი უნდა ეცადოს, დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალიზებაში. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე მასწავლებელმა არ უნდა მოაქციოს ყურადღების ცენტრში და არ გამოხატოს ზედმეტი ყურადღება თუ თანაგრძნობა მის მიმართ. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს თანასწორუფლებიანობა კლასში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა თუ სხვა საგნების გაკვეთილებზე. მასწავლებელმა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა და შესაბამისად, ხელი შეუწყოს მათ განვითარებასა თუ მიღწევების გაუმჯობესებას. მიუხედავად მისი განსხვავებული შესაძლებლობებისა, მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რისი გაკეთება მოეთხოვება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე. საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მივცეთ, როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი ან კომბინირებული ადაპტირებული ინსტრუქციები. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვა თვალსაჩინო საშუალებებიც. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განსაზღვრას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან ავიცილოთ, ერთი მხრივ, მოსწავლის ქცევის თავისებურების არასწორი ინტერპრეტაცია, ხოლო, მეორე მხრივ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის არამართებულად მინიჭება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს, რაც თავის მხრივ სასწავლო პროცესის არაეფექტურ დაგეგმვას, ჩარევის არასწორი სტრატეგიებისა და არაეფექტური ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება. ადაპტაციის სახეებია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული

სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა. სსსმ მოსწავლისთვის სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია და, საჭიროების შემთხვევაში, ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებამდე აუცილებელია ბავშვის როგორც ფსიქოლოგიური, ასევე აკადემიური შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა: რა შეუძლია მას და რა არ შეუძლია. შეფასებაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ბავშვისათვის შესაბამისი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების შემუშავება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი (შემდგომში – ისგ ჯგუფი) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს, სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად. ყოველი სსსმ მოსწავლისათვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში, დეტალურად უნდა განისაზღვროს: ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში; ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში; გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა; დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სპეციალისტი; ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო /განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც; ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

თანასწორობა

სახელმძღვანელო ორიენტირებულია, მოსწავლეებს განუვითაროს ისეთი უნარები და დამოკიდებულებები, რომელიც საშუალებას მისცემს მათ მონაწილეობა მიიღონ ტოლერანტული, თანასწორუფლებიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში და ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობის გრძნობა,რაც განაპირობებს საზოგადოების ყოველი წევრის მიერ სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-ვალდებულებების გაცნობიერებას, განსხვავებულ იდენტობებთან მშვიდობიან თანაარსებობას, ზოგადად, მრავალფეროვნებისადმი სოლიდარულ განწყობასა და აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას. სახელმძღვანელოში განხილული თემები ეხმარება მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში. ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების დამკვიდრებასა და შემწყნარებლური

დამოკიდებულების ჩამოყალიბებას,რაც გულისხმობს მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემის გამოხატვას, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სახელმძღვანელოში განხილული საკითხები ეხმარება მოსწავლეს იმის გაცნობიერებაში, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და ყველას აქვს უსაფრთხოდ ცხოვრებისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლება.

ბულინგი

ძალადობა, ბულინგი, ჩაგვრა — აქტუალური პრობლემაა მთელ მსოფლიოში. კვლევების თანახმად, ბულინგის შემთხვევები ხშირია საქართველოშიც. ბულინგი, შესაძლებელია, გამოვლენილი იყოს როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ვერბალური და ფიზიკური სახით. მნიშვნელოვნია — მყისიერი რეაგირება ბულინგის გამოვლენის ნებისმიერ ფორმაზე — როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეთა და სკოლის საზოგადოების მხრიდან. აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომელშიც განსაკუთრებული როლი ხელოვნებას - როგორც სასწავლო დისციპლინას - ენიჭება. სახელმძღვანელოში განხილული თემები ეხება ძალადობის, ჩაგვრის პრობლემას და აჩვენებს, რომ ნებისმიერი სახის ძალადობა მიუღებელია. სხვადასხვა ეპოქის ხელოვანები მრავალფეროვანი მხატვრული საშუალებებით გამოხატავენ პროტესტს ძალადობის, ჩაგვრის წინააღმდეგ. ერთ-ერთ გაკვეთილზე მათ სახელმძღვანელო თავაზობს კიდეც ბულინგის თემაზე პლაკატის შექმნას.

5.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის სტანდარტი

შესავალი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
გ) მეთოდიკური ორიენტირები;
დ) შეფასება.

საგან „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ ფარგლებში მოსწავლე შეისწავლის ხელოვნებას, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებას. ის აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს, რომელიც შეუძლია შემოქმედებითად ასახოს ნამუშევრებში.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე გაეცნობა ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ხალხურ შემოქმედებას; მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს; გამოიკვლევს მათ როლს საზოგადოების ცხოვრებაში.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა შემოქმედებით პროექტში; შექმნის სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნამუშევრებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის, ტექნიკის გამოყენებით.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი ხელოვნების მიმართ;
- მოსწავლემ გაიაზროს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი, განივითაროს თვითგამოხატვის მრავალფეროვანი გზების ძიებისა და გამოყენების უნარი;
- მოსწავლეს განუვითაროს ხელოვნების ნიმუშებზე, საკუთარ და სხვის ნამუშევრებზე აზრის კორექტულად გამოთქმის, მსჯელობისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს საკუთარი მსოფლმხედველობისა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე პიროვნებად ეროვნული და მსოფლიო კულტურის გაცნობის გზით.

ამ მიზნებზე მუშაობით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფარგლებში.

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ორ მიმართულებად:

- **შემოქმედებითობა და პრაქტიკა -** გულისხმობს საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების საფუძველზე მხატვრული ნამუშევრების შექმნას, მათი საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას.
- სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს შემდეგი მასალა, იარაღი, პროცესი, პროცედურა: ფანქარი, პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, აკრილი, ტუში, მელანი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული, პლასტილინი, თიხა, სხვა მასალა (ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და ხელოვნური), ფუნჯი, მაკრატელი, წებო, სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი და სხვა. დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა, ქარგვა, ქსოვა, კერვა, ხეზე კვეთა და სხვა.
- **ხელოვნების აღქმა კონტექსტში** - გულისხმობს სხვადასხვა დარგის, ჟანრის, ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების ნიმუშების ანალიზს, ინტერპრეტაციასა და შეფასებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემატური ბლოკების** სახითაა წარმოდგენილი.

ქვეცნება/საკითხი არის სამიზნე **ცნების** შემადგენელი ერთეული, ან მახასიათებელი.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ.,**ს.გ. საბ. 1.:**

„ს.გ.“ – მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება’’;

„საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„**1“ –** მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტის შედეგები და სამიზნე ცნებები (VII-IX კლასები)		
შედეგების ინდექსები	**შედეგები**	**სამიზნე ცნებები**
	მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** (შედეგები: 1, 2, 3, 4) **სახვითი ხელოვნების ტექნიკა** (შედეგები: 1, 2, 3, 4)
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ს.გ.საბ.1.	ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება.	
ს.გ.საბ.2.	ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი	

	საშუალებები და ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვ-რული სტილი.	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები** (შედეგები: 1,2, 3, 4) **სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები** (შედეგები: 1, 2, 3, 4)
	მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ს.გ.საბ.3.	ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატ-ვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხე-ბი, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;	
ს.გ.საბ.4.	სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.	

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები/საკითხები

სამიზნე ცნება	**ქვეცნება/საკითხი**
სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)	**სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) -** მაგ.: **ხაზი:** სხვადასხვა ტიპის და სისქის, კონტური, შტრიხი. **ფერი:** ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ნეიტრალური, კონტრასტული, მონათესავე, ინტენსიური, ფერისა და ტონის გრადაცია, კოლორიტი; შუქ-ჩრდილი, განათება. **ფორმა:** ბრტყელი და მოცულობითი (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, უტრირებული, სტილიზებული და სხვ.). ფაქტურა; ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება. **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) -** მაგ.: კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, ნაყში (pattern) (ელემენტების განმეორებადობა), რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია-ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კონტრასტი, მასშტაბი, თანაფარდობა, პროპორცია/დისპროპორცია, პერსპექტივა (ხაზოვანი და ჰაეროვანი, სივრცე), ხედვის წერტილი, კოლორიტი).
სახვითი ხელოვნების ტექნიკა	**ტექნიკა -** მაგ.: ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები, მონოტიპია, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, მოდელირება, კონსტრუირება, ციფრული ტექნოლოგიები.
სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები	**დარგები** - მაგ.: ფერწერა (დაზგური, მინიატურა, მონუმენტური - ფრესკა, მოზაიკა, ვიტრაჟი, გრაფიტი), გრაფიკა (დაზგური, ბეჭდვითი), ქანდაკება, ჭედურობა, არქიტექტურა, დიზაინი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და სხვ.

	ჟანრები - მაგ: ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, ყოფითი, ისტორიული და სხვ.
სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები	**ეპოქა / კულტურა / მიმდინარეობა / სტილი -** მაგ.: პრეისტორია, ძველი ცივილიზაციები, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, აღორძინება, XVII-XIX საუკუნეები, მოდერნიზმი, თანამედროვე ხელოვნება და სხვ.

სავალდებულო თემატური ბლოკები

საბაზო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება წარიმართება სამი ძირითადი თემატური ბლოკის ფარგლებში. თითოეულ კლასში (VII, VIII, IX) მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა;

თემატური ბლოკი: გარემო და ხელოვნება

სარეკომენდაციო თემები: ბუნებრივი და ადამიანის შექმნილი გარემო; განსხვავებული ხედვა; ახლის ძიება; გარემო - ადამიანის ინტერესის ობიექტი; გარემოს ზეგავლენა ადამიანზე და ადამიანის ზეგავლენა გარემოზე; ხელოვნება ჩვენ გარშემო (ხელოვნების დარგები და ჟანრები); სამყაროს მრავალფეროვანი ასახვის გზები - სტილები, მიმდინარეობები, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები; ტექნიკური პროგრესის გავლენა ხელოვნებაზე.

თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში

სარეკომენდაციო თემები: ადამიანი - ხელოვნების ობიექტი; ადამიანის შინაგანი სამყარო; ადამიანის გამოსახულება და რწმენა-წარმოდგენები; ხელოვნება - პიროვნული რეალიზების საშუალება; მე - კულტურის ნაწილი; თვითგამოხატვა, ემოციები, გრძნობები, იდეები, შეხედულებები, წარმოდგენები; თვითგამოხატვის თანამედროვე ფორმები.

თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

სარეკომენდაციო თემები: ხელოვნება და ყოველდღიურობა; ხელოვნება - ინფორმაციის წყარო; ხელოვნება - ზემოქმედებისა და კომუნიკაციის საშუალება; ხელოვნება - ისტორიული მეხსიერება, რას და როგორ გვიყვება ხელოვნება; კულტურული მემკვიდრეობა; ყოფითი და ესთეტიკური დანიშნულება, ხელოვნება - საჭიროება თუ ფუფუნება.

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რა არის ხელოვნება?
- რატომ ქმნიან ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს?
- როგორ და რატომ იცვლებოდა ხელოვნების დანიშნულება?
- როგორ ზემოქმედებს ხელოვნება ადამიანზე და საზოგადოების ცხოვრებაზე?
- როგორ გავლენას ახდენს ხელოვნებაზე საზოგადოების მოთხოვნები და ინტერესები?

- რა შეგვიძლია გადმოვცეთ და გავიგოთ ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით?
- რატომ ვსწავლობ სახვით და გამოყენებით ხელოვნებას?
- რისთვის და როგორ ვიყენებ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, ტექნიკას, მასალას და იარაღს?

გ) მეთოდიკური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს არ მოეთხოვება მაღალმხატვრული ღირებულების ნამუშევრების შექმნა. ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს „ნიჭი“ და „შემოქმედებითობა“. შემოქმედებითი ნამუშევარი/პროდუქტი თვითგამოხატვის თვითრეალიზების საშუალებაა, თუმცა უფრო ხშირად, ამ თვალსაზრისით, თავად შექმნის პროცესია უფრო მნიშვნელოვანი, ანუ, კვლევის, აღმოჩენის, ექსპერიმენტირების პროცესი – რომელსაც უდიდესი ღირებულება აქვს - და არა პროდუქტი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე მასალას, ტექნიკას, ტექნოლოგიას (მათ შორის, ციფრულს) და პროცედურას, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება აქტიურად გამოიყენოს მომავალში და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოსწავლე ასევე უნდა დაეუფლოს შემოქმედებითი და საორგანიზაციო საქმიანობის დაგეგმვისა და მისი განხორციელების უნარებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით; განუვითარდეს სოციალური, საკომუნიკაციო და გუნდური მუშაობის უნარები.

კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით უნდა მოეწყოს ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ისტორიულ ძეგლებზე, შეხვედრები ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან და სხვა. მოსწავლემ მონაწილეობა უნდა მიიღოს საკლასო და სასკოლო გამოფენებში, სპექტაკლებში, აქციებში, ზეიმებსა და სხვა ღონისძიებებში; დახმარება უნდა გაუწიოს უმცროს-კლასელებს ზეიმების გაფორმებაში, ინვენტარის შეკეთებაში, კლასის მოწყობაში და სხვა.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

კრიტიკული აზროვნება	• ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; • შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება; • არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით; • გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი (არჩევანის) დასაბუთება.
თანამშრომლობა	• სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობ-ლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
ეთიკა	• ეთიკური ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • ემპათია; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
კვლევა	• კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა	• აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა;

	• სოციოემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.
პასუხისმგებლობა	• სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	• ქსელური ძიება (მაგ., სხვადასხვა დროისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშების, ხელოვანების შემოქმედების და სხვ. შესახებ ინფორმაციის მოძიება ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების მიზნით); • Google Arts & Culture-ის საშუალებით საკუთარი გალერეის შექმნა. • ნამუშევრების შექმნა, დამუშავება კომპიუტერული სახატავი /გრაფიკული პროგრამების გამოყენებით; • ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება; • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
წიგნიერება	• ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ.).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამის/სასკოლო კურიკულუმის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლეს). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.
წლიური პროგრამები/სასკოლო კურიკულუმი უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს**. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის აგების პრინციპები

1. სასწავლო თემა წარმოადგენს მოსწავლეთათვის ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, კონკრეტული ქვეცნებებისა და საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სასწავლო თემები ორგანიზებულია თემატური ბლოკების სახით. შესაბამისად, უნდა მიეთითოს, რომელ თემატურ ბლოკს მიეკუთვნება მოცემული კონკრეტული თემა.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები - განსაზღვრავს შესასწავლი თემის ჩარჩოებს; აკონკრეტებს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ თემასთან მიმართებით (თემატური მკვიდრი წარმოდგენები განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).

2. გრძელვადიანი მიზნები

შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას. ეს მიზნები უცვლელია საბაზო საფეხურის ნებისმიერ თემასთან მიმართებით.

ა) სტანდარტის შედეგები - განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს საგნის ფარგლებში?

ბ) სამიზნე ცნებები - გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს;

გ) სამიზნე ცნების/ცნებების მკვიდრი წარმოდგენები - თითოეული ცნებისთვის უნდა განისაზღვროს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოფარგლავს ცნების მოცულობას და დააზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს. მკვიდრი წარმოდგენების დაზუსტდება ხდება წლიური პროგრამის/სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში;

დ) საფეხურის საკვანძო შეკითხვები - გამომდინარეობს შედეგებიდან და სამიზნე ცნებებიდან და განსაზღვრავს, თუ რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე საგნის შესწავლის პროცესში. საფეხურის საკვანძო შეკითხვები თემის ფარგლებში უფრო კონკრეტულ თემატური შეკითხვებად გარდაიქმნება.

3. შუალედური მიზნები

თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული **ოთხეული - საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები,** ასევე **კომპლექსური დავალება/დავალებები** და **შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები.** თემატურ მატრიცაში შესაძლებელია გამოიყოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედური მიზნებით), რამდენსაც სასწავლო რესურსი ავტორი/მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში.

ყველა სამიზნე ცნებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი **საკითხი/ქვეცნება.** მათი საშუალებით ხდება თემის ფარგლებში სამიზნე ცნებებზე მუშაობა. მათზე დაყრდნობით განისაზღვრება ასევე კომპლექსური დავალების პირობა.

თემატური საკვანძო შეკითხვები ორიენტირებულია უშუალოდ შესაბამის სამიზნე ცნებაზე/ცნებებზე (მაგ., ცნებაზე „სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)“) და განისაზღვრება შერჩეული ქვეცნებების/საკითხების გათვალისწინებით. ისინი გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მათი ფუნქციაა,

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ნაბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი/ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

შეფასების კრიტერიუმები უნდა გამომდინარეობდეს სტანდარტის შედეგებიდან და ცნებებიდან და აჩვენებდეს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში.

<table>
<tr><td colspan="4">თემა: საათების სავარაუდო რაოდენობა -</td></tr>
<tr><td colspan="4">თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</td></tr>
<tr><td colspan="4">თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:</td></tr>
<tr><td colspan="4">თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:</td></tr>
<tr><td rowspan="3">სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td><td colspan="2">I ეტაპი</td><td rowspan="3">კომპლექსური დავალება/ დავალებები</td></tr>
<tr><td>საკითხი/ქვეცნება</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td></tr>
<tr><td>დავალება 1
.
.
დავალება 2</td><td>დავალება 1
.
.
დავალება 2</td></tr>
<tr><td rowspan="7"></td><td colspan="2">აქტივობები:</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="2">რესურსები:</td></tr>
<tr><td colspan="2">II ეტაპი</td><td rowspan="3">კომპლექსური დავალება/ დავალებები</td></tr>
<tr><td>საკითხი/ქვეცნება</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობები:</td><td></td></tr>
</table>

	რესურსები:	
შეფასების კრიტერიუმი / კრიტერიუმები		

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული და გრძელვადიან მიზნებს განასახიერებენ.
შუალედური მოკლევადიანი მიზნის როლს თემატურ გეგმაში **კომპლექსური დავალება** და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები **საკითხი**, **ქვეცნებები**, **საკვანძო კითხვები** და **შეფასების ინდიკატორები** ასრულებენ.
თემის ფარგლებში ასევე გამოიყოფა **თემატური მკვიდრი წარმოდგენები.** მათი ფუნქციაა მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. **თემატური მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა**	
ნაბიჯი 2. **თემის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებების/ საკითხების განსაზღვრა**	
ნაბიჯი 3. **საგნობრივი საკითხისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის განსაზღვრა**	
ნაბიჯი 4. **კომპლექსური დავალების შესაბამისი საკვანძო შეკითხვის/შეკითხვების დასმა და შეფასების კრიტერიუმის შერჩევა**	
ნაბიჯი 5. **აქტივობებისა და რესურსების შერჩევა, რომელიც მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმარება**	

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასება უნდა ზომავდეს, რამდენად ფლობს ან/და რამდენად ფუნქციურად იყენებს მოსწავლე სამიზნე ცნებებს. ცნებების დაუფლების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება ე.წ. *სოლო ტაქსონომია* (დაკვირვებადი სასწავლო შედეგების სტრუქტურის ტაქსონომია - ინგლ. SOLO - Structure of Observed Learning Outcomes), რომელიც წარმოადგენს პლატფორმას შეფასების კრიტერიუმების შესამუშავებლად. სოლო ტაქსონომია ზომავს მოსწავლეთა მიღწევებს 5 დონის მიხედვით. ეს დონეებია:

SOLO 1: პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საერთოდ ვერ გაუაზრებია საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს.
SOLO 2: უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.
SOLO 3: მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.
SOLO 4: მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეეხამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელ, მთლიანობას. მისი ნააზრევი დასტრუქტურებულია და ამგვარად, მოსწავლეს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზებისა და შედეგების კუთხით.
SOLO 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვით და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოითხოვს სამიზნე ცნებებით განსაზღვრული ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

ქვემოთ შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

- პრაქტიკული სამუშაო - ნამუშევრის შექმნა;
- გამოფენა;
- პროექტი;
- მოხსენება-რეფერატი;
- ნამუშევრის წარდგენა;
- გარკვეული ეპოქის, ხელოვნების ნიმუშის და სხვ. ანალიზი;
- სააზროვნო უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული ტესტი;
- და სხვ.

6. თემატური ბლოკების მატრიცები და კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები SOLO ტაქსონომიის მიხედვით

თემატური ბლოკი 1: გარემო და ხელოვნება

„გარემო და ხელოვნება“ ორ თემას მოიცავს (20+8 სთ):

- ახლის ძიება — ხელოვნების მამოძრავებელი ძალა (I თავი)
- სიახლეთა კალეიდოსკოპი — XX-XXI საუკუნეების ხელოვნება (II თავი)

თავი I. ახლის ძიება - ხელოვნების მამოძრავებელი ძალა

1. უძველესი საცხოვრებელი საქართველოში 6

2. წრიული ფორმის საცხოვრებელი 10

3. სოფელი — ახალი ხედვა 13

4. ძველი რომის არქიტექტურა 15

5. სატრიუმფო თაღი 20

6. ჩემი ქალაქი* 22

7. ანტიკური საბერძნეთის ქანდაკება 24

8. ეპოქათა ცვლა — ბაროკოს სიახლეები 29

9. სურათის ჩარჩო ბაროკოს სტილში 36

10. სახვითი საშუალებები და შთაბეჭდილება 38

11. ოთხმოციანელები ქართულ ხელოვნებაში 40

12. სურათი ისტორიულ თემაზე 46

13. ფოტოგრაფია — ტექნიკური სიახლე თუ ხელოვნების ახალი დარგი? 47

14. ჩვენი ფოტო-გალერეა* 52

I თავის თემატური ბლოკის მატრიცა

თემატური ბლოკი 1: გარემო და ხელოვნება
თემა: ახლის ძიება — ხელოვნების მამოძრავებელი ძალა
საათების რაოდენობა: 13

ქვეცნებები:

ელემენტები:
ფორმა: გეომეტრიული, სიბრტყობრივი და მოცულობითი;
ფერი: კონტრასტული;
შუქ-ჩრდილი, განათება; ფაქტურა.

პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, პროპორცია, კონსტრუქცია, მასშტაბი, რიტმი, კოლორიტი.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები: არქიტექტურა, ქანდაკება, ფერწერა, ფოტოგრაფია, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, ფოტოხელოვნება; პორტრეტი, ისტორიული ჟანრი. რელიგიური ჟანრი.

სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები: უძველესი ადამიანის ხელოვნება, ანტიკური ხელოვნება, ძველი რომის ხელოვნება, რენესანსი, ბაროკოს ეპოქა, თანამედროვე ქართული ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: კონსტრუირება, ძერწვა, ხატვა, მაკეტი, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა, ფოტოს გადაღება.

თემატური მკვიდრი წარმოდგენები:

- ახლის ძიება ახასიათებს ყველა ეპოქას;
- სიახლეები ჩნდება არა მარტო მაშინ, როდესაც ერთი ეპოქა მეორეს ცვლის, არამედ თავად ერთი ეპოქის ფარგლებშიც;
- ტექნიკური პროგრესი ხელოვნებაში ახალი მხატვრული ფორმებისა და დარგების გაჩენას უწყობს ხელს;
- ეპოქათა ცვლის კვალად იცვლება ხელოვნების სახვითი საშუალებები;
- ყოველი ეპოქის ხელოვნებაში შემოჭრილი სიახლეები ადამიანის ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებებითაა განპირობებული;
- ხშირად ხელოვნებაში შემოჭრილ სიახლეებს ისტორიულ-პოლიტიკური თუ სოციალური საფუძველი შეიძლება ჰქონდეს;

- ეპოქის მსოფლმხედველობა განსაზღვრავს ადამიანისადმი დამოკიდებულებას და მის მხატვრულ სახეს ხელოვნების ნიმუშში;
- ამა თუ იმ ეპოქის ადამიანის მხატვრული სახის წარმოჩენაში, მისი ხასიათის გახსნაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეპოქისათვის დამახასიათებელი სტილის შესატყვისი გარემოს შექმნას.

თემატური საკვანძო შეკითხვები:

- რა განაპირობებს სხვადასხვა ეპოქაში ახლის ძიებას და იცვლება თუ არა ხელოვნება ეპოქების ცვლის კვალად?
- რა განაპირობებს თავად ერთი ეპოქის შიგნით მომხდარ ცვლილებებს?
- რა განაპირობებს ხელოვნების სხვადასხვა დარგში ახალი სახვითი საშუალებებისა და სახვითი ხერხების გაჩენას?
- რა განაპირობებს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა დროს, მსგავსი ფორმის, კონსტრუქციული სტრუქტურის თუ მსგავსი სიმბოლური დატვირთვის მქონე ელემენტებისაგან შემდგარი არქიტექტურული ფორმების გაჩენას?
- რამდენად განაპირობებს ადამიანის ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებები, ისტორიულ-პოლიტიკური თუ სოციალური კონტექსტი სიახლეების ძიებას ხელოვნებაში?
- რამდენად განსაზღვრავს ეპოქის მსოფლმხედველობა ადამიანისადმი დამოკიდებულებას და მის მხატვრულ სახეს ხელოვნების ნიმუშში?
- დაკავშირებულია თუ არა ერთმანეთთან ტექნიკური პროგრესი და ხელოვნება?
- რა მნიშვნელობა ენიჭება ეპოქის სტილისათვის დამახასიათებელი, შესატყვისი გარემოს შექმნას ამა თუ იმ ეპოქის ადამიანის მხატვრული სახის წარმოჩენასა და მისი ხასიათის გახსნაში?

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები *(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)*	**ქვეცნებები:** **კომპლექსური დავალება 1** **ელემენტები: ფორმა: გეომეტრიული, სიბრტყობრივი, მოცულობითი.** **პრინციპები:** პროპორცია, კომპოზიციური განაწილება, კონსტრუქცია, წონასწორობა, სტატიკა/დინამიკა, მასშტაბი, რიტმი, სიმეტრია/ასიმეტრია.	**საკვანძო შეკითხვები:** **კომპლექსური დავალება 1.** • როგორ შეიძლება გავითვალისწინოთ და გამოვიყენოთ ძველი ეპოქების გამოცდილება საკუთარი საარსებო სივრცის/გარემოს ორგანიზებისას/შექმნისას? • რატომ არის მნიშვნელო-ვანი, ვიცოდეთ სხვადასხვა ეპოქის საცხოვრებლის თუ	**კომპლექსური დავალებები** **(შუალედური სასწავლო მიზნები)**

	სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები: არქიტექტურა. კონსტრუირება, ძერწვა, ხატვა, მაკეტი, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** კონსტრუირება, ძერწვა, ხატვა, მაკეტი, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა. **სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები** უძველესი ადამიანის ხელოვ-ნება, ძველი რომის ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება.	ქალაქებისა და მათი გეგმარების შესახებ ცოდნა და რაში დაგვეხმარება ეს ქალაქის მაკეტის შექმნისას? • რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ტიპის დასახლების (სოფელი, დაბა, ქალაქი) დაგეგმარებას და რა და რა ტიპის გეგმარების მქონე დასახლებები არსებობს ისტორიულად? • როგორ დავაგეგმაროთ ჩვენი ჩანაფიქრის შესაბამისად ქალაქი/სო-ფელი და რა უნდა გავითვა-ლისწინოთ ამ პროცესში?	
• **სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** ***(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)*** • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს;	**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (რესურსები, შეკითხვები, აქტივობები) **კომპლექსური დავალება 1** **ეტაპი 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** **საკვანძო შეკითხვა:** • როგორ შეიძლება გავითვალისწინოთ და გამოვიყენოთ ძველი ეპოქების გამოცდილება საკუთარი საარსებო სივრცის/გარემოს ორგანიზებისას/შექმნისას? **კომპლექსური დავალების არსი:**		**კომპლექსური დავალება 1** **დავალების პირობა:** დაწერეთ ესე და შექმენით მაკეტი თემაზე: „ჩემი ქალაქი“. 1. მიღებული ცოდნის/ინფორმაციის საფუძველზე, დაწერეთ ესე თემაზე „ჩემი ქალაქი“, რომელშიც გადმოსცემთ თქვენს ხედვას, საკუთარ დამოკიდებულებას ქალაქის მიმართ.

• სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას. • **სახვითი ხელოვნების ტექნიკა *(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)*** • ხელოვანი მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად; • კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა. • **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები *(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)*** • ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება; • ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება; • ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული	კომპლექსური დავალების არსია, მოსწავლემ შეისწავლოს სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურაში მიმდინარე პროცესები; შეისწავლოს რა სიახლეები ჩნდება ხელოვნების ამ დარგში და რომელ მხატვრულ გამომსახველობით პრინციპებს იყენებენ მშენებლები, როგორც ცალკეული ნაგებობების, ისე დასახლებათა დაგეგმარების დროს. ასევე, ამ დავალების არსია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ არქიტექტურაში მიმდინარე ცვლილებები და გაჩენილი სიახლეები სხვადასხვა ეპოქაში დაკავშირებულია, როგორც ადამიანის რწმენა-წარმოდგენებთან, მსოფლმხედველობასთან, ასევე, საზოგადოების პოლიტიკურ-სოციალურ მოწყობასთან. ეს საკითხები უნდა წარმოჩინდეს მათ მიერ ქალაქის მაკეტის შექმნისას — „ჩვენი ქალაქი“. მოსწავლის ნამუშევარში (ესეში), წარსული ეპოქების გამოცდილების გააზრების ფონზე, უნდა იყოს მსჯელობა, თუ როგორ ხედავს იგი თანამედროვე ქალაქის პრობლემებს და როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ეს გამოცდილება დღეს, რათა გადავჭრათ დღევანდელი პრობლემები. შექმნილ მაკეტში კი ეს საკითხები მოსწავლის მიერ პრქტიკულად უნდა იყოს გადაწყვეტილი. **ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება** **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევასრულოთ და წარმოვადგინოთ მოცემული დავალება? **ნაბიჯი 1** **წინარე ცოდნის გააქტიურება** **რესურსი:** ხელოვნება 8 კლ., მოსწავლის წიგნი; გვ. 6-11; გვ. 98-101. როგორ გავააქტიუროთ წინარე ცოდნა შემდეგ საკითხებზე: • როგორ აწყობდა ძველი ადამიანი საკუთარ საარსებო გარემოს უძველეს დროში (იერიქონი, ჩათალ-ჰუიუკი)?	2. ქალაქის შემადგენელი უბნების შესაქმნელად, თითოეულმა თქვენგანმა ინდივიდუალურად შექმენით უბნის ორი ნაგებობის მაკეტი. 3. ინდივიდუალურად შექმნილი მაკეტები ერთ უბნად გააერთიანეთ. 4. შექმნილი უბნები ერთ ქალაქად გააერთიანეთ. **ამისათვის:** **ესესათვის:** • ჩამოთვალეთ და იმსჯელეთ, რა გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგას დღეს თანამედროვე ქალაქი? ჩამოწერეთ ეს პრობლემები და იმსჯელეთ, როგორ შეიძლება მათი გადაჭრა; • ხომ არ იფიქრებდით, როგორ გადაიჭრას ქალაქში საცობების პრობლემა? მაგ., ქუჩების მაგივრად ტრანსპორტი ცაში რომ მოძრაობდეს? • შეეცადეთ, წარმოიდგინოთ, თუ როგორ შეიძლება

მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს; • თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი; • სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით; • ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს. **4. სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები *(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)*** • ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს; • ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი	• რა ინფორმაციას გვაწვდის კრეტის არქიტექტურის შესახებ განათხარი მასალა? • როგორი გეგმარება ჰქონდა კნოსოსის სასახლეს და რით იყო განაპირობებული ეს? **აქტივობა:** მსჯელობა, აღწერა-ანალიზი, დისკუსია **ნაბიჯი 2** **რესურსი:** გვ. 6; გვ. 10; გვ. 13; გვ. 15; გვ. 20. **რესურსი 1:** http://tiny.cc/2wvupz **რესურსი 2:** https://bit.ly/3ryIELM **შეკითხვა:** რატომ არის მნიშვნელოვანი, ვიცოდეთ სხვადასხვა ეპოქის საცხოვრებლის თუ ქალაქებისა და მათი გეგმარების შესახებ? (მოტივაციის ამაღლება). **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო მოსწავლეს ვაცნობთ უძველესი ადამიანის საცხოვრებელს და მათი დასახლებების დაგეგმარების პრინციპს; ასევე, ვაცნობთ ანტიკურ საბერძნეთში გაჩენილ ახალ ქალაქგეგმარებით პრინციპს — ჰიპოდამოსის გეგმას, შუა საუკუნეების დასახლებების/ქალაქების ქაოსურ დაგეგმარებას სხვადასხვა მაგალითების საფუძველზე. გარდა ამისა, მათ ვუყვებით რომის არქიტექტურისა და საინჟინრო თუ კონსტრუქციული სიახლეების შესახებ, რომლებიც დამკვიდრდა მომდევნო ეპოქებში და მათ დღესაც ვიყენებთ. ეს მათ აუმაღლებს მოტივაციას, შეისწავლონ და მეტი შეიტყონ ამ	განვითარდეს მომავალში, საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპოქაში, ადამიანის საცხოვრებელი სივრცე, სადაც ადამიანი შეძლებს ჰარმონიულად იცხოვროს ბუნებასთან, გარემომცველ სამყაროსთან; • როგორი **ფორმის და მასშტაბის** მქონე ნაგებობები უნდა იყოს თქვენს საოცნებო ქალაქში; • როგორ იქნება გადაჭრილი ეკოლოგიური პრობლემები; • რამდენად და რა სახით იქნება წარმოდგენილი ამ ქალაქში ხელოვნების სხვადასხვა დარგი: მხატვრობა, ქანდაკება, თეატრი და სხვ.; • იმსჯელეთ, რამდენადაა შესაძლებელი, გადაიჭრას დიდ თანამედროვე ქალაქებში არსებული პრობლემები თქვენი მოსაზრებების საშუალებით. მსჯელობის საფუძველზე შეთანხმდით,

დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.); • სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა; • ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.	სიახლეთა შესახებ და დაუკავშირონ ისინი დღევანდელობას, საკუთარ გამოცდილებას. ამისათვის ისინი ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს და აგეგმარებენ სოფელს, რომელშიც მათ თავიანთი ხედვა უნდა წარმოაჩინონ. **ნაბიჯი 3** **რესურსი:** გვ.6 -14. **რესურსი 1:** https://thekidshouldseethis.com/post/building-a-wigwam-a-time-lapse **რესურსი 2:** https://www.youtube.com/watch?v=G6CU5uHltIw **რესურსი 3:** https://www.youtube.com/watch?v=l6nIyDwE7js **რესურსი 4:** https://storybuilder.jumpstart.ge/ka/meskhuri-darbazebis-ori-sitsotskhle **შეკითხვა:** როგორ შევისწავლოთ ადამიანის მიერ ნაგები სხვადასხვა დროის საცხოვრისი და დასახლებები/ქალაქები; როგორ აისახება მათში ამა თუ ეპოქის რწმენა-წარმოდგენები, მსოფლმხედველობა, პოლიტიკური თუ სოციალური ასპექტები? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო მოსწავლეს ვაცნობთ ინფორმაციას სხვადასხვა პერიოდის და რეგიონის საცხოვრებლისა და დასახლებების/ქალაქების შესახებ. მათ ვესაუბრებით სამშენებლო მასალის, კლიმატური პირობების მნიშვნელობაზე, ასევე, ვაცნობთ კონსტრუქციულ სიახლეებს და მათი გაჩენის ისტორიულ და მსოფლმხედველობრივ ფაქტორებს.	თუ როგორი იქნება „თქვენი ქალაქი“; • რა დანიშნულების ნაგებობები უნდა იყოს აუცილებლად თქვენს ქალაქში. გაითვალისწინეთ ადამიანის საჭიროებები. **მაკეტისათვის:** • ქალაქის მაკეტის შექმნისას, გაინაწილეთ ფუნქციები. გადაწყვიტეთ, რომელი ჯგუფი ქალაქის რომელ უბანზე იმუშავებს; • თავდაპირველად განსაზღვრეთ, როგორი გეგმარება ექნება თქვენს უბანს; • განსაზღვრეთ, რა დანიშნულების ნაგებობები (აფთიაქი, საბავშვო ბაღი, თეატრი და სხვ. უნდა იყოს თქვენ მიერ შექმნილ უბანში; თითოეულმა თითო ნაგებობა შეარჩიეთ და შექმენით მისი მაკეტი; • გააერთიანეთ ინდივიდუალურად შექმნილი შენობების

	ნაბიჯი 4 **რესურსი:** გვ. 7; გვ. 8; გვ. 10; გვ. 17. **შეკითხვა:** რა კავშირია პრაქტიკულ საჭიროებებსა და ნაგებობის ფორმას, მასალასა და კონსტრუქციებს შორის? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო. მოსწავლეს ვაანალიზებინებთ და ვაცნობიერებინებთ სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების გეგმარების, სამშენებლო მასალის, კონსტრუქციებისა და ფორმების ურთიერთკავშირს. **შეკითხვები ანალიზისათვის:** • რატომ დასჭირდათ იმირის გორის სახლში სამკუთხა ფორმის საყრდენების დამატება შიდა სივრცეში? • რა ფუნქცია აქვს დედაბოძს ქართულ დარბაზში? • რატომაა დედამიწის სხვადასხვა წერტილში არსებული მსგავსი გეგმარების მქონე წრიული სახლები ნაგები სხვადასხვა მასალით? • რატომ გაჩნდა ძველ რომში მტკიცე სამშენებლო მასალა — ბეტონი? • რა პრობლემა გადაჭრა თაღის გაჩენამ რომის არქიტექტურაში? **ნაბიჯი 5** **რესურსი:** გვ. 7; გვ. 7-8; გვ. 15; გვ. 16.	მაკეტები ერთ უბნად წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. გაითვალისწინეთ შენობების მასშტაბი და მათი სივრცობრივი ურთიერთმიმართება; • გამოიყენეთ ნასწავლი თეორიული ცოდნა და გამომუშავებული უნარები მაკეტის შესაქმნელად; • შეარჩიეთ სხვადასხვა მასალა და ტექნიკა (კონსტრუირება, ხატვა, ძერწვა, კოლაჟი, აპლიკაცია, ინსტალაცია და სხვ.); • ჯგუფებმა, შესრულებული ნამუშევრები, გააერთიანეთ ქალაქად და წარმოადგინეთ კლასის წინაშე; • გადაიღეთ თქვენი ჯგუფის ნამუშევრის ფოტოები; შეგიძლიათ გადაღებული ფოტოებისაგან ვიდეორგოლიც შექმნათ. **ინდივიდუალური ნამუშევრის შექმნისას:**

	შეკითხვა: როგორ გამოიხატება არქიტექტურაში მისი შემქნელი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენები, მსოფლმხედველობა თუ პოლიტიკურ-სოციალური ასპექტები? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო. მოსწავლეებს ვაცნობთ ინფორმაციას არქიტექტურული ნაგებობის სხვადასხვა ფორმის სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ (მაგ., წრის, კერიის, ერდოს, დედაბოძის) და წარმოვაჩენთ მათ კავშირს ამ ნაგებობების შემქმნელი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებთან. გარდა ამისა, მათ ვაწვდით ინფორმაციას ძველ რომში სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ანუ პოლიტიკური მოტივებით გაჩენილი უახლესი ფორმებისა და საინჟინრო სიახლეების შესახებ (მაგ., სატრიუმფო თაღი, გზების მშენებლობა, ბეტონის გაჩენა, აბანოების მშენებლობა). **შეკითხვები ანალიზისათვის:** • რა სიმბოლური დატვირთვა აქვს წრეს და რა უდევს ამას საფუძვლად? • რა კავშირი აქვს უძველესი ადამიანის რწმენა-წარმოდგენას სამყაროს მოდელის შესახებ დედაბოძიანი სახლის სტრუქტურასთან? • რა მიზანი ჰქონდა რომში გზების მშენებლობის ტექნოლოგიის შემუშავებას? • რა პოლიტიკური ფუნქცია ჰქონდა სატრიუმფო თაღს?	• შეარჩიეთ რომელ **არქიტექტურულ ფორმას** შექმნით თქვენი ჯგუფის ქალაქში**:** სახლს, რეკრიაციულ ზონას თუ სხვ.; • გაითვალისწინეთ თქვენი მაკეტების **პროპორციები და** შეეცადეთ, ჰარმონიულად დაუკავშიროთ ისინი ერთმანეთს; • მიაქციეთ ყურადღება ნაგებობების **მასშტაბს** და მათ მასშტაბურ შეფარდებას; • შეგიძლიათ, თქვენი ქალაქის კომპოზიცია ააგოთ ნებისმიერი კომპოზიციური ხერხის გამოყენებით; • გამოიყენეთ თქვენს მაკეტებში ნებისმიერი სახვით-გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხი — **რიტმი, ფერი, ფაქტურა და სხვ.** . **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ:**

	ნაბიჯი 6 **რესურსი:** გვ. 11; გვ.17; გვ. 20-21. **რესურსი 1:** https://www.youtube.com/watch?v=kveAOZfDA44 **რესურსი 2:** https://www.youtube.com/watch?v=HPzgGW6Cfsk **რესურსი 3** https://www.youtube.com/watch?v=SZig6ega9wA: **შეკითხვა:** რომელ მხატვრულ ხერხებს (ელემენტებსა და პრინციპებს) იყენებენ არქიტექტორები სხვადასხვა ეპოქაში? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, შედარებითი ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო. მოსწავლეებს ვაცნობთ იმ სახვით საშუალებებს, რომლებსაც არქიტექტურაში ვხვდებით (მაგ., სტატიკა/დინამიკა, მასშტაბი, რიტმი, სიმეტრია/ასიმეტრია) და ვაანალიზებინებთ, როგორ შთაბეჭდილებას ქმნის ეს ელემენტები. მიღებულ ცოდნას სახვითი ხერხების შესახებ, მოსწავლეები განამ-ტკიცებენ რამდენიმე პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს. **ნაბიჯი 7** **რესურსი:** გვ. 11; გვ. 12; გვ. 13; გვ. 14; გვ. 22 **შეკითხვები:** • რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ტიპის დასახლების (სოფელი, დაბა, ქალაქი) დაგეგმარებას? • რა და რა ტიპის გეგმარების მქონე დასახლებები არსებობს ისტორიულად და რა განაპირობებს მათ არსებობას?	• რა გახდა თქვენი ჯგუფის ნამუშევრის ინსპირაცია; • რა იდეის გადმოცემა გსურდათ? • როგორია თქვენ მიერ წარმოსახული თანამედროვე ქალაქის გადაწყვეტა? • ახსენით, რატომ და გამოიყენეთ სივრცობრივი მოდელის შექმნის დროს ესა თუ ის სახვითი საშუალება (კომპოზიცია, პროპორცია, სიმეტრია/ასიმეტრია, წონასწორობა, ფერადოვანი გადაწყვეტა და სხვ.) • რაზე გააკეთა თქვენმა ჯგუფმა მთავარი აქცენტი თავის მაკეტში? • რა სტრატეგიები გამოიყენეთ/რა ნაბიჯები გადადგით დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდეთ ამ დავალების შესრულებას?

	აქტივობა: საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო. მოსწავლეებს ვაცნობთ და ვაანალიზებინებთ სხვადასხვა პერიოდის დასახლებების გეგმარებას. მათ ვაცნობთ რეგულარული გეგმარების პრინციპებს (ე.წ. ჰიპოდამუსის პრინციპებს); ასევე, შუა საუკუნეების დასახლებებისათვის დამახასიათებელ ქაოტურ გეგმარებას კონკრეტული ნიმუშების მაგალითზე. ასევე, მოსწავლეს ვასრულებინებთ პრაქტიკულ სამუშაოს, რომლის დროსაც მან თავად უნდა დააგეგმაროს სოფელი; გადაწყვიტოს, როგორი გეგმარება ექნება მის სოფელს (რეგულარული თუ ქაოტური)? ამ დავალების შესრულების დროს, მოსწავლემ მისი სოფლისათვის უნდა შეარჩიოს ისეთი ფუნქციის მქონე შენობები, რომლებიც, მისი აზრით, აუცილებელი და საჭიროა ნებისმიერი დასახლებისათვის (მაღაზია, სკოლა, პოლიკლინიკა, საბავშვო ბაღი და სხვ.). ეს ნაგებობები და საცხოვრებელი კვარტლები მან უნდა გადაანაწილოს მის მიერ გამოხაზულ გეგმაზე, რითიც იგი ერთგვარად გამოიმუშავებს გარკვეულ უნარებს და შეიძენს გამოცდილებას კომპლექსური დავალების შესასრულებლად. **ნაბიჯი 8** **რესურსი:** გვ. 7; გვ. 7-8; გვ. 15; გვ. 16. **შეკითხვა:** • როგორ შეიძლება სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურის შესახებ მიღებული ცოდნა (იდეები, სიახლეები, გეგმარების პრინციპები, სახვითი საშუალებები) გამოვიყენოთ დღეს, ანუ მათი რეალურ ცხოვრებაში ტრანსფერი განვახორციელოთ?	

<table>
<tr>
<td rowspan="2"></td>
<td colspan="2">აქტივობა:
საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო.
მოსწავლეებს ვთავაზობთ დისკუსიებს, რომლის დროსაც ისინი განიხილავენ განვლილ მასალას და ავლებენ პარალელს თანამედროვეობასთან, რეალურ ცხოვრებასთან.

მოსწავლეებს სადისკუსიოდ ვთავაზობთ შემდეგ თემებს:
• სამშენებლო მასალები ძველად და ახლა;
• ფუნქცია და ნაგებობის მხატვრული სახე ძველად და ახლა;
• გეგმარების პრინციპები ძველად და ახლა;
• რა სიახლეებს შეიტანდით დღეს საკუთარ ქალაქში/სოფელში/დაბაში?</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნებები:
კომპლექსური დავალება 2
ელემენტები: ფორმა: სიბრტყობრივი და მოცულობითი; ფერი: კონტრასტული; შუქ-ჩრდილი, განათება; ფაქტურა.
პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, პროპორცია, კოლორიტი.
დარგები: ქანდაკება, ფერწერა, ფოტოგრაფია, დეკორატიულ-</td>
<td>საკვანძო შეკითხვები:
კომპლექსური დავალება 2
• რამდენად განსაზღვრავს ეპოქის მსოფლმხედველობა ადამიანისადმი დამოკიდებულებას და მის მხატვრულ სახეს ხელოვნების ნიმუშში?
• სახვითი ხელოვნების რომელ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს (ელემენტებსა და</td>
<td>კომპლექსური დავალებები
(შუალედური სასწავლო მიზნები)</td>
</tr>
</table>

	გამოყენებითი ხელოვნება, ფოტოხელოვნება. **ჟანრი:** პორტრეტი, ისტორიული ჟანრი, რელიგიური ჟანრი. **ეპოქა/კულტურა/მიმდინარეობა/ სტილი: ანტიკური ხელოვნება,** რენესანსი, ბაროკოს ეპოქა, თანამედროვე ქართული ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება.	პრინციპებს) იყენებენ მხატვრები პერსონაჟთა სახეებისა და ხასიათის გადმოსაცემად? • რამდენადაა შესაძლებელი ფოტოპორტრეტის შექმნა მხატვრობისათვის დამახასიათებელი სახვითი საშუალებებით? • როგორ გამოვიყენოთ მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები ამა თუ იმ ეპოქის ადამიანის ხასიათისა და განწყობილების გადმოსაცემად და ეპოქის შესაბამისი სტილის ასასახად.	
	კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები) **კომპლექსური დავალება 2** **ეტაპი 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** **საკვანძო შეკითხვები:** • რამდენადაა შესაძლებელი ფოტოპორტრეტის შექმნა მხატვრობისათვის დამახასიათებელი სახვითი საშუალებებით და როგორ გადმოვცეთ მათი საშუალებით ადამიანის ხასიათი, განწყობილება, ავსახოთ შესაბამისი ეპოქის სტილი;		**კომპლექსური დავალება 2** **დავალების პირობა:** შექმენით ფოტოპორტრეტი**,** რომელზეც ასახული იქნება თქვენ მიერ შერჩეული ისტორიული ან ლიტერატურული გმირი, ანდა სახვითი ხელოვნების ნიმუშზე წარმოდგენილი პერსონაჟი; გაითვალისწინეთ მათი თანამედროვე ეპოქა, სტილი,

	• როგორ გამოვიყენოთ წინა ეპოქებში შექმნილი ხელოვნების ნიმუშები საკუთარი შემოქმედებითი ჩანაფიქრის განსახორციელებლად? **კომპლექსური დავალების არსი:** კომპლექსური დავალების არსია, მოსწავლემ შექმნას ფოტოპორტრეტი, რომელშიც მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით ასახავს რომელიმე ისტორიულ ან ლიტერატურულ გმირს, ანდა სახვითი ხელოვნების ნიმუშის პერსონაჟს და ამ ნამუშევარში გადმოსცემს მის ხასიათს, განწყობილებას; შეუქმნის მას შესაბამის გარემოს (ფონს); გარდა ამისა, დავალების არსი კიდევ ისაა, რომ მოსწავლემ გამოავლინოს ეპოქის შესაბამისი სტილის შეგრძნება ცალკეული ელემენტების: სამოსის, ანტურაჟის, ვარცხნილობის, აქსესუარების, გარემოს თუ სხვა დეტალების შერჩევისა და ნამუშევარში გამოყენებისას. **ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, სამიზნე ცნებას-თან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება** **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევასრულოთ და წარმოვადგინოთ მოცემული დავალება? **ნაბიჯი 1** წინარე ცოდნის გააქტიურება **რესურსი:** ხელოვნება 8 კლ., მოსწავლის წიგნი; გვ. 66-73; გვ. 78-81; 86-88; 90-94. როგორ გავააქტიუროთ წინარე ცოდნა შემდეგ საკითხებზე: • როგორ გამოსახავენ ადამიანის შინაგან სამყაროს სხვადასხვა ეპოქაში?	გარემო და გამოიყენეთ სახვითი ხელოვნების ის საშუალებები, რომლებიც დაგეხმარებათ, წარმოაჩინოთ გმირის თქვენეული მხატვრული სახე. **ამისათვის:** • გადაწყვიტეთ, შავ-თეთრი იქნება თქვენი ფოტოები თუ ფერადი; ფოტოების გადასაღებად კამერას გამოიყენებთ თუ ტელეფონს; • გაიაზრეთ, რა სახის რეკვიზიტი დაგჭირდებათ, ეპოქის შესაბამისად შეარჩიეთ სამოსი თუ აქსესუარები. ცალკეული დეტალების გაკეთება საკუთარი ხელით და შესაფერისი მასალითაც შეგიძლიათ; • მოიფიქრეთ, სად გადაიღებთ ფოტოებს — ღია ცის ქვეშ თუ დახურულ სივრცეში. გაითვალისწინეთ, რომ გარემოს, ანტურაჟს, ცალკეულ დეტალებს

	• როგორ ასახავს ხელოვნების ნაწარმოები ეპოქის თავისებურებებსა და ამ ეპოქის ადამიანს? • როგორ ამოვიკითხოთ ეპოქის მსოფლმხედველობა ნამუშევარზე ასახული ადამიანის, მისი სახის თუ გარემოს, აქსესუარებისა და სხვა ელემენტების საშუალებით? **აქტივობა:** მსჯელობა, აღწერა-ანალიზი, შედარებითი ანალიზი, საკლასო დისკუსია **ნაბიჯი 2** **რესურსი:** გვ. 35; გვ. 42; გვ. 43; გვ. 44; გვ. 46; გვ. 51; გვ. 52. **რესურსი 1:** https://www.youtube.com/watch?v=bNeXWYVr1hE **რესურსი 2:** http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C_%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98 **შეკითხვა:** რატომ არის მნიშვნელოვანი ვიცოდეთ, თუ რომელ პერსონაჟებს ირჩევენ სხვადასხვა ეპოქაში შემოქმედები თავიანთი ნაწარმო-ებებისათვის და რა ნიშნების მიხედვით არჩევენ ისინი მათ? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო, საშინაო დავალება. მოსწავლეებს ვაცნობთ ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშებს, რომლებზეც მხატვრებმა თავიანთი ნაწარმოებების პერსონაჟებად შეარჩიეს გამორჩეული ისტორიული პირები, ბიბლიური პერსონაჟები ან ჩვეულებრივი ადამიანები (მაგ., მირიან	ეპოქის შესაბამისი საერთო შთაბეჭდილების შექმნაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ, კარგად გაიაზრეთ გარემოს თითოეული დეტალი და ჩანაფიქრის შესაბამისად მოამზადეთ გარემო. შეგიძლიათ, უკვე გადაღებულ ფოტოებზე გარემო კომპიუტერული პროგრამის საშუალებით შეცვალოთ; • გაიაზრეთ თქვენი ფოტოს კომპოზიცია; • გადაღებისას რამდენჯერმე შეგიძლიათ შეცვალოთ მზერის კუთხე და ამოარჩიოთ ყველაზე ეფექტური რაკურსი; • გამომსახველობის გასაძლიერებლად და თქვენი ჩანაფიქრის შესაბამისად, შეგიძლიათ, გამოიყენოთ სხვადასხვაგვარი ტიპის განათება; • გაითვალისწინეთ, რომ სივრცე, რაკურსი, განათება თქვენი ასარჩევია.

	მეფე, ქეთევან დედოფალი, თეიმურაზ მეფე, ბიბლიური ივდითი, დუხობორები, რიგითი ადამიანები და სხვ.). მოსწავლეები მსჯელობენ ამ პიროვნებათა ღვაწლის თუ მათი მორალური სახის შესახებ, რაც მათ დაეხმარებათ კომპლექსური დავალების შესრულებისას, გარკვეული ნიშნების მიხედვით, შეარჩიონ მათთვის მისაღები და საინტერესო პიროვნება. ამისათვის ისინი აანალიზებენ ცნობილი მხატვრების ნამუშევრებს და მათზე გამოსახულ პიროვნებებს ეცნობიან. აცნობიერებენ, რომ ზოგჯერ გმირის შერჩევა საკუთარი ნაწარმოებისათვის ისტორიული მომენტით, ეპოქის სულისკვეთებით ან პიროვნული თვისებებით არის განპირობებული. გარდა ამისა, მოსწავლეებს ვთავაზობთ შემდეგი სახის პრაქტიკულ დავალებას: შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი ეპიზოდი საქართველოს ისტორიიდან და შექმენით ნამუშევარი ამ თემაზე. ამ დავალების შესრულებისას მათ შეუძლიათ, შეარჩიონ ეპიზოდი რომელიმე ისტორიული გმირის ცხოვრებიდან და ნამუშევარში ეს გმირი შესაბამის სიტუაციასა და გარემოში წარმოადგინონ. **შეკითხვები მსჯელობისათვის:** • რა ნიშნის მიხედვით შეარჩევდით გმირს თქვენი ნამუშევრისათვის? • რა თვისებები უნდა ჰქონდეს თქვენ მიერ შერჩეულ გმირს და რატომ ანიჭებთ უპირატესობას ამ ნიშნებს? **ნაბიჯი 3** **რესურსი:** გვ. 29-32; 36-37. **შეკითხვები:** • როგორ აისახება ეპოქის სტილი ნამუშევარში სხვადასხვა მხატვრის შემოქმედებაში?	შეგიძლიათ, თავი ერთდროულად მხატვრად, რეჟისორად და ოპერატორად წარმოიდგინოთ; • გადაღებული ფოტოები შეგიძლიათ, დაამუშაოთ კომპიუტერული პროგრამით: Photoshop ან Paint; • შეარჩიეთ თქვენი ნამუშევრების გამოფენის ფორმა. შესაძლოა, ნამუშევრები ამოიბეჭდოს და შერჩეულ სივრცეში გამოიფინოს ან მათი პრეზენტაცია მოხდეს ციფრულ ფორმატში. ონლაინ-გამოფენისათვის გამოიყენეთ შემდეგი ონლაინ-პლატფორმები: https://padlet.com/dashboard და https://www.artsteps.com/. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ:** 1. რა გახდა თქვენი ნამუშევრის ინსპირაცია; 2. რა იდეის გადმოცემა გსურდათ?

	• რა უნდა ვიცოდეთ ამა თუ იმ სტილის შესახებ, რომ საკუთარ ნამუშევარში ამ სტილის ინტერპრეტაცია მოვახერხოთ? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, შედარებითი ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო, საშინაო დავალება. მოსწავლეს ვაცნობთ ბაროკოს სტილს, მის დამახასიათებელ ნიშნებს, შემდეგ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს: კომპოზიცია, ადამიანთა პოზები, მოძრაობა, დინამიკა, სტატიკა, ფერადოვანი გადაწყვეტა, მთავარის გამოყოფა, განათება, შუქ-ჩრდილი, წერის მანერა, ადამიანთა მიერ ემოციის აქტიურად გამოხატვა, გადატვირთულობა, ფორმების დახვავება და სხვ. ბაროკოს სტილის უკეთ გასაცნობიერებლად მოსწავლეები ადარებენ ბაროკოს ეპოქის ფერწერულ ნიმუშებს რენესანსის ხანის ნამუშევრებს. სტილის შეგრძნების განვითარებისათვის და მიღებული ცოდნის გამყარებისათვის მოსწავლეს ვასრულებინებთ პრაქტიკულ სამუშაოს „სურათის ჩარჩო ბაროკოს სტილში“. **ნაბიჯი 4** **რესურსი:** გვ. 24-28; გვ. 29-35. **შეკითხვები:** • რა განაპირობებს ადამიანის სიმშვიდის ან ძლიერი ემოციების (მღელვარება, აფორიაქება) გადმოცემისაკენ სწრაფვას სხვადასხვა ეპოქაში? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, შედარებითი ანალიზი, საკლასო დავალება, საკლასო დისკუსია, საშინაო დავალება.	3. როგორია თქვენი გმირი? (ეცადეთ, დაახასიათოთ) 4. რამ განაპირობა თქვენ მიერ ამა თუ იმ სახვითი საშუალების გამოყენება? 5. რაზე გააკეთეთ მთავარი აქცენტი? 6. გამოიყენეთ თუ არა კომპიუტერული პროგრამა და რატომ? 7. ისაუბრეთ ფერისა და განათების დანიშნულებაზე ნამუშევარში. **8.** რა სტრატეგიები გამოიყენეთ/რა ნაბიჯები გადადგით დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

	მოსწავლეს ვაცნობთ ხელოვნების სხვადასხვა დარგსა თუ ჟანრში როგორ ხდება, ადამიანის გამოსახულების შემთხვევაში, სხვადასხვა ემოციის, მაგ., სიმშვიდის ან მღელვარების ასახვა. ქანდაკების შემთხვევაში ეს ნაჩვენებია ანტიკური პლასტიკის მაგალითზე. მოსწავლეს ვაცნობთ ანტიკური ქანდაკების განვითარების გზას მშვიდი, სტატიკური და პირობითი ფიგურებიდან მღელვარე, დინამიკური და რეალისტური ნამუშევრებისაკენ. ასევე, მოსწავლეებს ვაცნობთ ბაროკოს ეპოქის ფერწერული ნამუშევრების მაგალითზე, როგორ შეიძლება აისახოს ადამიანის მძაფრი ემოციები, მღელვარება და შინაგანი შფოთი სხვადასხვა სახვითი ხერხებით სხვადასხვა ჟანრში: რელიგიურ, მითოლოგიურ და პორტრეტის ჟანრებში. მოსწავლეები აანალიზებენ სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრებს და აცნობიერებენ, რომ სხვადასხვა ტიპის ემოციურ შთაბეჭდილებას მათ მიერ განხილულ თითოეულ ეპოქაში (ანტიკურსა და ბაროკოს) ზოგჯერ განაპირობებდა მსოფლმხედველობა, ზოგჯერ კი — ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი. **შეკითხვები მსჯელობისათვის:** • რამ განაპირობა ძველ ბერძნულ ქანდაკებაში პირობითიდან რეალისტური ფორმისაკენ სწრაფვა? • რა სიახლეები მოიტანა ბაროკოს ეპოქამ მხატვრობაში და რამ განაპირობა ეს? • თქვენი აზრით, რა მიმართებაა ბაროკოს ეპოქის მსოფლმხედველობასა და ამ პერიოდის ხელოვნების ნიმუშებზე ასახულ ადამიანთა მღელვარე, ექსპრესიულ გამოსახულებებს შორის?	

	ნაბიჯი 5 **რესურსი:** გვ. 24-28; გვ. 29-35; გვ. 40-45; გვ. 46. **შეკითხვები:** • როგორ შეიძლება ავსახოთ ისტორიული ან ლიტერატურული გმირის ან სახვითი ხელოვნების ნიმუშზე ასახული პერსონაჟის ხასიათი, განწყობილება ჩვენს ნამუშევარში? • როგორ და რომელი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებითაა შესაძლებელი ექსპრესიისა და მღელვარების, თუ სიმშვიდისა და შინაგანი წონასწორობის გადმოცემა ნამუშევარში? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, საკლასო დავალება, საკლასო დისკუსია, საშინაო დავალება. მოსწავლეს ვაცნობთ სხვადასხვა სახვითი საშუალებებისა და ხერხების შესაძლებლობებს, სხვადასხვა ემოციასთან მიმარ-თებით, ადამიანის მხატვრული სახის თუ გარემოს გადმოცემისას. ეს ყოველივე სხვადასხვა ეპოქის (ანტიკური, ბაროკო, თანმედროვე ქართული ხელოვნება, თანამედროვე მსოფლიო ხელოვნება), ჟანრისა (რელიგიური სურათი, ისტორიული სურათი, პორტრეტი) და დარგის (ქანდაკება, ფერწერა, ფოტოხელოვნება) ნიმუშების მაგალითზე, მათი გაანალიზების მეშვეობით ხდება. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, კომპიუტერული პროგრამების საშუალებით თავად ჩაატარონ ექსპერიმენტები ხელოვნების ნიმუშების ფოტოების მაგალითზე; ცვალონ ფერები, ფერთა ინტენსივობა, სიმკვეთრე, გამოსახულებათა პროპორციები, განათების ხასიათი, ფაქტურები და პირადი გამოცდილებით გაიმყარონ ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ იცვლება შთაბეჭდილება სახვითი ხერხების ცვლის კვალად.	

	ნაბიჯი 6 **რესურსი:** გვ. 47-51; გვ. 52-53. **რესურსი 1:** https://www.youtube.com/watch?v=nD9GBMhzDUM **რესურსი 2:** https://unique.ge/article/1450 **რესურსი 3:** https://www.youtube.com/watch?v=kVFhut0Tuvk **რესურსი 4:** https://tpmm.ge/ka/blogs/aleqsandre-roinashvili-pirveli-qartveli-fotografi **რესურსი 5:** https://www.youtube.com/watch?v=RDEckULV_Mk **შეკითხვები:** • რა სიახლეები მოიტანა ფოტოგრაფიის გამოგონება/განვითარებამ? • რამდენადაა ფოტოგრაფია ხელოვნების დარგი? • როგორია ადამიანის გამოსახულება ძველ ფოტოებზე? • როგორ ფიქრობთ, უწევდა თუ არა ფოტოგრაფია კონკურენციას მხატვრობას და რატომ? • რამდენად იყენებს ფოტოხელოვნება მხატვრობისათვის დამახასიათებელ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს? • რა საშუალებებს ფლობს ფოტოგრაფია და როგორ შეიძლება ის გამოვიყენოთ ნამუშევარში? • როგორ შეიძლება გამოვავლინო საკუთარი შემოქმედებითი ხედვა ფოტონამუშევრით და რა ხერხები შეიძლება გამოვიყენო ამისათვის? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, საკლასო სამუშაო. მოსწავლეს ვაწვდით ინფორმაციას ფოტოგრაფიის განვითარების შესახებ და ვაცნობთ იმ გზას, რომელიც მან რეალობის	

	ფიქსაციიდან ხელოვნების დამოუკიდებელ დარგამდე გაიარა; ამის ნიმუშად მოგვყავს როგორც უცხოელ, ისე ქართველ ფოტოხელოვანთა ნამუშევრები. ამ პროცესში მოსწავლეები აანალიზებენ ფოტოხელოვნების ცალკეულ ნიმუშებს და პასუხობენ ამ ტიპის კითხვებს: • აღწერეთ და დაახასიათეთ ფოტოხელოვნების ეს ნიმუში და გადმოეცით მისგან აღძრული შთაბეჭდილება; • რა ნიშნები აქვს ფოტოხელოვნების ნიმუშს მხატვრობაში არსებულ ამა თუ იმ მიმდინარეობასთან (მაგ., სიურრეალიზმთან, მან რეი); • აღწერეთ ნამუშევარი და ამსჯელეთ, მხატვრობისათვის დამახასიათებელ რომელ სახვით ხერხებს იყენებს ფოტოხელოვანი? • როგორ განსხვავდება, შთაბეჭდილების თვალსაზრისით, ფოტოხელოვნების შავ-თეთრი და ფერადი ნიმუშები?	

კომპლექსური დავალება 1

I თავი

გაკვეთილი 6. ჩემი ქალაქი

ესეს შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

საგანი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, IX კლ.

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

ქვეცნებები:

ელემენტები: ფორმა: გეომეტრიული, სიბრტყობრივი და მოცულობითი.

პრინციპები: პროპორცია, კომპოზიციური განაწილება, კონსტრუქცია, წონასწორობა, სტატიკა/დინამიკა, მასშტაბი, რიტმი, სიმეტრია/ასიმეტრია.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები: არქიტექტურა, კონსტრუირება, ძერწვა, ხატვა, მაკეტი, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: კონსტრუირება, ძერწვა, ხატვა, მაკეტი, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა.

სხვადასხვა ეპოქის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები: უძველესი ადამიანის ხელოვნება, ძველი რომის ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება.

კომპლექსური დავალება 1. I ეტაპი - ესეს შეფასება

კომპლექსური დავალების პირობა: დაწერეთ ესე და შექმენით მაკეტი თემაზე: „ჩემი ქალაქი“.

1. მიღებული ცოდნის/ინფორმაციის საფუძველზე, დაწერეთ ესე თემაზე „ჩემი ქალაქი“, რომელშიც გადმოსცემთ თქვენს ხედვას, საკუთარ დამოკიდებულებას ქალაქის მიმართ.

კრიტერიუმი / სამიზნე ცნება	**სახვითი საშუალებები და ხერხები:**	**დარგები და ჟანრები**	**სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:**

<table>
<tr><td>აბსტრაქტული დონე
მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხი/თემა, რაც მას ცოდნის განზოგადებისა და შედარების საშუალებას აძლევს სხვა მაგალითებთან. პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეუძლია საკითხის/თემის განსხვავებული პერსპექტივიდან განხილვა და ახალი იდეებისა თუ მოსაზრებების/თეორიების წამოყენება.</td><td colspan="3">დავალების პირობა სწორადაა გაგებული და ესეში მკაფიოდ გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის სიღრმისეული ცოდნა. სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურაში მიმდინარე ცვლილებების, სიახლეების, გავლენებისა თუ წარსული ეპოქების გამოცდილების გააზრების ფონზე, მოსწავლე აანალიზებს თანამედროვე ქალაქის პრობლემებს, აკეთებს განზოგადებებს. დამაჯერებლად საუბრობს მათი გადაჭრის გზებზე, უკავშირებს პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და გადმოსცემს საკუთარ ხედვას — თუ როგორ უნდა განვითარდეს ქალაქი, საცხოვრებელი სივრცე, სადაც ადამიანს შეეძლება ჰარმონიულად ცხოვრება ბუნებასთან, გარემომცველ სამყაროსთან. განსაზღვრავს თუ როგორი ფორმის, მასშტაბისა და ფუნქციის მქონე არქიტექტურული ნაგებობები უნდა იყოს ქალაქში. როგორ იქნება წარმოდგენილი ამ ქალაქში ხელოვნების სხვადასხვა დარგი: მხატვრობა, ქანდაკება, თეატრი. საუბრობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების არსებობას და მათ განვითარებას. მოსწავლე ასაბუთებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე ქალაქისთვის მრავალფეროვანი სახვითი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით შექმნილი ხელოვნების ნიმუშების არსებობა, პარალელებს ავლებს სხვა ქალაქებთან. მოსწავლის მოსაზრებები გამყარებულია არგუმენტებითა და შესაბამისი მაგალითებით — ესეს ნაწილებს შორის ლოგიკური ბმებია/გადასვლებია. მოსწავლე თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს. ნაშრომში ვლინდება მოსწავლის დამოუკიდებელი, არაშაბლონური აზროვნება და მის მიერ ცნებების სიღრმისეული გააზრება. მოსწავლე ესეში შემოქმედებითად გადმოსცემს საკუთარ ხედვასა და დამოკიდებულებას ქალაქის მიმართ.</td></tr>
<tr><td>მიმართებითი დონე
მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებსა თუ ასპექტებს შორის.
თეორიის/თეორიების გამოყენებით აანალიზებს მიზეზებსა და შედეგებს, აკეთებს დასკვნებს.</td><td>მოსწავლის მიერ შესრულებულ ესეში, დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. მოსწავლე განსაზღვრავს, თუ როგორი ფორმის, მასშტაბის კონსტრუქციებია მიზანშეწონილი თანამედროვე ქალაქისთვის. ასაბუთებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე ქალაქში მრავალფეროვანი სახვითი საშუალებებისა და</td><td>მოსწავლის მიერ შესრულებულ ესეში, დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. მოსწავლე ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. მოსწავლე ესეში მსჯელობს, თუ რა ფუნქცია ეკისრება არქიტექტურულ ნაგებობებს თანამედროვე ქალაქისთვის, ავლებს პარალელს სხვა ქალაქებთან. როგორ იქნება წარმოდგენილი ამ</td><td>მოსწავლის მიერ შესრულებულ ესეში, დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურაში მიმდინარე ცვლილებების, სიახლეების, გავლენებისა თუ წარსული ეპოქების გამოცდილების გააზრების ფონზე, მოსწავლე ესეში, ძირითადად, ავლენს დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიზის უნარს თანამედროვე ქალაქის გამოწვევებსა თუ არსებულ პრობლემებზე მსჯელობისას. მოსწავლის ხედვა ქალაქის განვითარებასთან</td></tr>
</table>

	ხერხების გამოყენებით შექმნილი ხელოვნების ნიმუშების არსებობა და მათი ურთიერთმიმართება ქალაქის შემადგენელ სხვა ერთეულებსა თუ ასპექტებს შორის. ავლებს პარალელებს სხვა ქალაქებთან. მოსწავლის მოსაზრებები გამყარებულია არგუმენტებითა და შესაბამისი მაგალითებით.	ქალაქში ხელოვნების სხვადასხვა დარგი: მხატვრობა, ქანდაკება, თეატრი და საუბრობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის ხელოვნების ზოგიერთი დარგის ნიმუშების არსებობას და მათ განვითრებას. მოსწავლის მოსაზრებები ძირითადად გამყარებულია არგუმენტებითა და შესაბამისი მაგალითებით.	დაკავშირებით და მსჯელობისას მოყვანილი არგუმენტები დამაჯერებელია, ძირითადად თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს. ესეს ნაწილებს შორის ლოგიკური ბმებია/გადასვლებია. ნაშრომში ვლინდება, რომ მოსწავლეს, ცნებები გააზრებული აქვს. მოსწავლე ესეში გადმოსცემს საკუთარ ხედვასა და დამოკიდებულებას ქალაქის მიმართ.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების პირობა, მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, არასტრუქტურირებული ზოგადი წარმოდგენა აქვს საკითხთან/თემასთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესეში, დავალების პირობა ძირითადად ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლე, რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით, ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი მსჯელობით, თუ როგორი ფორმისა თუ მასშტაბის კონსტრუქციები უნდა ახასიათებდეს თანამედროვე ქალაქს. ნაწილობრივ ასაბუთებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე ქალაქში მრავალფეროვანი სახვითი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით შექმნილი ხელოვნების ნიმუშების არსებობა და მათი ურთიერთმიმართება ქალაქის შემადგენელ სხვა ერთეულებსა თუ ასპექტებს შორის. მის მოსაზრებებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესეში, დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლე ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი მსჯელობით, თუ რა ფუნქცია ეკისრება არქიტექტურულ ნაგებობებს თანამედროვე ქალაქში. როგორ იქნება წარმოდგენილი ამ ქალაქში ხელოვნების სხვადასხვა დარგი: მხატვრობა, ქანდაკება, თეატრი და საუბრობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის ხელოვნების ზოგიერთი დარგის ნიმუშების არსებობას და მათ განვითარებას.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესეში, დავალების პირობა ძირითადად ადეკვატურადა გაგებული. მოსწავლე რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით, ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი მსჯელობით ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით, მის მიერ გადმოცემულ მოსაზრებებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.

უნისტრუქტურული დონე დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული, მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება. მას არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან/თემასთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესეში, დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით. მოსწავლე, ერთი ასპექტის გათვალისწინებით, საუბრობს თანამედროვე ქალაქისთვის სახვითი საშუალებისა და ხერხების გამოყენებით შექმნილი ხელოვნების გარკვეული ნიმუშების არსებობის შესახებ (მაგ., მხოლოდ ტრადიციულ ქანდაკებაზე).	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესეში, დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით — როგორ იქნება წარმოდგენილი ამ ქალაქში ხელოვნების გარკვეული სხვადასხვა დარგი: მაგ., ქანდაკება.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესეში, დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით. ყურადღება ზოგიერთ (ერთ) ასპექტზეა გამახვილებული. ესეში მოსწავლის მსჯელობა, ხშირ შემთხვევაში, არათანმიმდევრული და არადამაჯერებელია, იშვიათად არის გამყარებული არგუმენტებითა და შესაბამისი მაგალითებით. ხშირ შემთხვევაში, ესეს ნაწილებს შორის შეინიშნება ალოგიკური ბმები/გადასვლები. ნაშრომში ვლინდება, რომ მოსწავლე იაზრებს ზოგიერთ (ერთ) ცნებას. მოსწავლე ესეში ნაწილობრივ გადმოსცემს საკუთარ ხედვასა და დამოკიდებულებას ქალაქის მიმართ.
პრესტრუქტურული დონე დავალების პირობა მოსწავლის მიერ არაადეკვატურადაა გაგებული. გამოვლინდა საკითხთან/თემასთან დაკავშირებული პრობლემატიკისა და რელევანტური ინფორმაციის არცოდნა.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესეში, დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული.		

კომპლექსური დავალება 1

I თავი

გაკვეთილი 6. ჩემი ქალაქი

მაკეტის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

საგანი: „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“, IX კლ.

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

ქვეცნებები:

ელემენტები: ფორმა: გეომეტრიული, სიბრტყობრივი და მოცულობითი.

პრინციპები: პროპორცია, კომპოზიციური განაწილება, კონსტრუქცია, წონასწორობა, სტატიკა/დინამიკა, მასშტაბი, რიტმი, სიმეტრია/ასიმეტრია.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები: არქიტექტურა, კონსტრუირება, ძერწვა, ხატვა, მაკეტი, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: კონსტრუირება, ძერწვა, ხატვა, მაკეტი, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა.

სხვადასხვა ეპოქის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები: უძველესი ადამიანის ხელოვნება, ძველი რომის ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება.

კომპლექსური დავალება 1. I ეტაპი — ესეს შეფასება

კომპლექსური დავალების პირობა: 1. შექმენით ქალაქის მაკეტი; 2. ქალაქის შემადგენელი უბნების შესაქმნელად, თითოეულმა თქვენგანმა ინდივიდუალურად შექმენით უბნის ორი ნაგებობის მაკეტი; 3. ინდივიდუალურად შექმნილი მაკეტები ერთ უბნად გააერთიანეთ; 4. შექმნილი უბნები ერთ ქალაქად გააერთიანეთ.

კრიტერიუმი/სამიზნე ცნება	**სახვითი საშუალებები და ხერხები:**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:**
აბსტრაქტული დონე	დავალების პირობის თანახმად, მოსწავლის მიერ შესრულებული მაკეტის ესკიზში გათვალისწინებულია ყველა დეტალური მონაცემი (ზომა, ფორმა, მასალა, ტექნიკა). განსაზღვრულია შენობების მასშტაბი და		

მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხი/თემა, რაც მას ცოდნის განზოგადებისა და შედარების საშუალებას აძლევს სხვა მაგალითებ-თან. პირად გამოცდ-ილებაზე დაყრდნობით, შეუძლია საკითხის/თემის განსხვავებული პერსპექ-ტივიდან განხილვა და ახალი იდეებისა თუ მო-საზრებების/თეორიების წამოყენება.	გათვალისწინებულია მათი სივრცობრივი ურთიერთმიმართება. მაკეტისათვის გამოყენებულია სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები, მრავალფეროვანი მასალა და ტექნიკა (ფორმა, პროპორცია, მასშტაბი, სიმეტრია/ასიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, ხატვა, კონსტრუირება, ძერწვა, კოლაჟი, აპლიკაცია, ინსტალაცია, და სხვ.) არქიტექტურული ნაგებობების მაკეტის ყველა დეტალი შემოქმედებითადაა შექმნილი. აღინიშნება სხვადასხვა ეპოქის/კულტურისა თუ სტილის არქიტექტურული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, იგრძნობა მათი გავლენა, ასევე არქიტექტურული დეტალების საკუთარი ინტერპრეტაცია. მასალა შერჩეულია დასახული ამოცანის შესაბამისად. ნამუშევარი აკურატულადაა შესრულებული, მაკეტი მყარია.		
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებსა თუ ასპექტებს შორის. თეორიის/თეორიების გამოყენებით აანალიზებს მიზეზებსა და შედეგებს, აკეთებს დასკვნებს.	დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეს ესმის დავალების ძირითადი არსი. მის მიერ შესრულებული მაკეტის ესკიზი იძლევა ზოგად მონაცემებს და დეტალებს. განსაზღვრულია შენობების ფორმა, მასშტაბი, წონასწორობა, ასიმეტრია/სიმეტრია, რიტმი, კონსტრუქცია და ძირითადად, გათვალისწინებულია მათი სივრცობრივი ურთიერთმიმართება ხელოვნების სხვა დარგებთან თუ სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან. მაკეტის შესაქმნელად ძირითადად	დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეს ესმის დავალების ძირითადი არსი. მის მიერ შესრულებული მაკეტის ესკიზი იძლევა ზოგად მონაცემებს და დეტალებს. მაკეტში გამოყენებულია სახვითი ხელოვნების მრავალფეროვანი ტექნიკა: ხატვა, კონსტრუირება, ძერწვა, კოლაჟი, აპლიკაცია, ინსტალაცია და სხვ. არქიტექტურული ნაგებობების მაკეტის ყველა დეტალი ძირითადად შემოქმედებითადაა შექმნილი. მასალა შერჩეულია	მოსწავლის მიერ დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეს ესმის დავალების ძირითადი არსი. მის მიერ შესრულებული მაკეტის ესკიზი იძლევა ზოგად მონაცემებს და დეტალებს. აღინიშნება სხვადასხვა ეპოქის/კულტურისა თუ სტილის არქიტექტურული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, იგრძნობა მათი გავლენა, ასევე არქიტექტურული დეტალების საკუთარი ინტერპრეტაცია.

	გამოყენებულია სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები, მრავალფეროვანი მასალა და ტექნიკა (ფორმა, პროპორცია, წონასწორობა, სიმეტრია, ასიმეტრია, ფაქტურა) მაკეტი ძირითადად შემოქმედებითადაა შესრულებული.	დასახული ამოცანის შესა-ბამისად. ნამუშევარი აკურა-ტულადაა შესრულებული, მაკეტი მყარია. მაკეტის შექმნის ყველა ეტაპზე, მასალა შერჩეულია ჩანაფიქრის შესაბამისად. მაკეტი ძირითადად აკურატულადაა შესრულებული და მყარია.	
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების პირობა, მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, არას-ტრუქტურიზებული ზოგადი წარმოდგენა აქვს საკითხ-თან/თემასთან დაკავ-შირებით.	დავალების პირობის თანახმად, მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების არსი. მოსწავლის მიერ შესრულებული მაკეტის ესკიზი იძლევა ზოგიერთ მონაცემს და დეტალს. განსაზღვრულია შენობების ფორმა, მასშტაბი, კონსტრუქცია და ზოგიერთ შემთხვევაში, გათვალისწინებულია მათი სივრცობრივი ურთიერთმიმართება.	დავალების პირობის თანახმად, მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების არსი. მოსწავლის მაკეტის შესაქმნელად ძირითადად გამოყენებულია გარკვეული მასალა და ტექნიკა (კონსტრუირება, ხატვა, ძერწვა, კოლაჟი და სხვ.)	დავალების პირობის თანახმად, მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების არსი. მის მიერ შესრულებული მაკეტის ესკიზი იძლევა ზოგად მონაცემებს და დეტალებს. აღინიშნება სხვადასხვა ეპოქის/კულტურისა თუ სტილის არქიტექტურული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი გარკვეული ნიშნები, გავლენები.
უნისტრუქტურული დონე დავალების პირობა ნაწი-ლობრივ ადეკვატურადაა გაგებული, მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება. მას არასტრუქტურირებული	მოსწავლის მიერ შესრულებული მაკეტის ესკიზი იძლევა ბუნდოვან მონაცემებს. გამოყენებული აქვს მხოლოდ გეომეტრიული ფორმები, არ არის განსაზღვრული მასშტაბი, დარღვეულია პროპორცია (მაკეტი სიბრტყობრივია) და ნაგებობების სივრცობრივი ურთიერთმიმართება.	მოსწავლის მიერ შესრულებული მაკეტის ესკიზი იძლევა ბუნდოვან მონაცემებს. მაკეტის შესაქმნელად ძირითადად არ არის გამოყენებული მრავალფე-როვანი მასალა და ტექნიკა (კონსტრუირება, ხატვა, ძერწვა, კოლაჟი, აპლიკაცია, ინსტალაცია, და სხვ.);	მოსწავლის მიერ შესრულებული მაკეტის ესკიზი იძლევა ბუნდოვან მონაცემებს. აღინიშნება სხვადასხვა ეპოქის/კულტურისა თუ სტილის არქიტექტურული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ნიშანი.

წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან/თემასთან დაკავშირებით.			
პრესტრუქტურული დონე დავალების პირობა მოსწავლის მიერ არაადეკვატურადაა გაგებული. გამოვლინდა საკითხთან/თემასთან დაკავშირებული პრობლემატიკისა და რელევანტური ინფორმაციის არცოდნა.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესეში, დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული.		

თემატური ბლოკი 1: გარემო და ხელოვნება

თავი II. სიახლეთა კალეიდოსკოპი — XX-XXI საუკუნეების ხელოვნება

15. ექსპრესიონიზმი — მძაფრი ემოციები ხელოვნებაში 56

16. ნიღაბი და ადამიანის ემოციები 61

17. აბსურდის ხელოვნება — სიურრეალიზმი 63

18. სიზმრისა და რეალობის ზღვარზე 67

19. ამერიკული რეალიზმი 69

20. ხელოვნება და თამაში 75

21. თანამედროვე ქანდაკება 78

22. ჯადოსნური ფრინველი 83

23. პლასტიკური ობიექტი და გარემო* 84

24. პოპარტი — პროტესტის ხელოვნება 86

25. ჩვეულებრივი საგანი თუ ხელოვნების ობიექტი 91

26. იდეა, ჩანაფიქრი და კონცეფცია 92

27. ობიექტი და მისი კონცეფცია 96

28. მედიახელოვნება და ვიდეოარტი — თანამედროვე ხელოვნების ახალი დარგები 98

29. კომპიუტერი და ვიდეოარტი 102

30. პოპარტიდან ვიდეოარტამდე* 104

II თავის თემატური ბლოკის მატრიცა

თემატური ბლოკი 1: გარემო და ხელოვნება
თემა: სიახლეთა კალეიდოსკოპი -- XX და XXI საუკუნეების ხელოვნება
საათების რაოდენობა: 15

ქვეცნებები:

ელემენტები:
ფორმა: პირობითი/რეალისტური, სიბრტყობრივი/მოცულობითი, დეფორმირებული, უტრირებული, სტილიზებული.
ხაზი: სხვადასხვა ტიპის, კონტური, შტრიხი.
ფერი: კონტრასტული, ინტენსიური, ფერისა და ტონის გრადაცია, კოლორიტი, შუქ-ჩრდილი, განათება, ფაქტურა, ორნამენტი, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.
ფაქტურა

პრინციპები: კომპოზიცია და კომპოზიციური განაწილება, პროპორცია/დისპროპორცია, წონასწორობა, სტატიკა/დინამიკა, მასშტაბი, რიტმი, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, კონტრასტი, განათება; ფაქტურა.

დარგები და ჟანრები: მხატვრობა (ფერწერა, გრაფიკა), ქანდაკება (მრგვალი), ფოტოხელოვნება, მედიახელოვნება, ვიდეოარტი.

სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები: თანამედროვე ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ძერწვა, ხატვა (ფერწერა, გრაფიკა), კოლაჟი, მედიახელოვნება, ფოტოგადაღება, ობიექტი.

თემატური მკვიდრი წარმოდგენები:

- 1. XX-XXI საუკუნეები კალეიდოსკოპური სისწრაფით მიმდინარე სიახლეების ეპოქაა.
- 2. XX-XXI საუკუნეებში მიმდინარე ცვლილებებმა: სამეცნიერო და ტექნიკურმა პროგრესმა, მოძღვრებათა და იდეოლოგიათა სიმრავლემ, გლობალიზაციამ, თანამედროვე ხელოვნებაში ახლის ძიების პროცესი გააქტიურა;
- 3. ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია სახვითი ხელოვნების ახალი ფორმებისა და ახალი მხატვრული მიმდინარეობების გაჩენა;
- 4. თანამედროვე ხელოვნება და ხელოვანები გამომსახველობითი საშუალებების მრავალფეროვან ხერხებს, უჩვეულო ფორმებსა და მეთოდებს იყენებენ;
- 5. XX საუკუნის მხატვრული მიმდინარეობების ხელოვნებაში ნათლად ისახება ახალი ეპოქის იდეოლოგიები.

<table>
<tr><td colspan="4">თემატური საკვანძო შეკითხვები:
• როგორ შეიცვალა ხელოვნება XX-XXI საუკუნეებში და რამ განაპირობა ამ ცვლილებების სწრაფი ტემპი?
• რა სიახლეები გაჩნდა XX საუკუნის ხელოვნებაში და რით იყო განპირობებული ეს?
• რამ განაპირობა ხელოვნების სხვადასხვა დარგში ახალი ფორმებისა და ახალი მხატვრული მიმდინარეობების გაჩენა?
• რომელ მხატვრულ ხერხებს და გამომსახველობით საშუალებებს იყენებდნენ ნაწარმოებებში თანამედროვე
• ხელოვანები მძაფრი ემოციების, განწყობილებების, სამყაროსადმი შეცვლილი დამოკიდებულების გადმოსაცემად?
• როგორ აისახება ახალი ეპოქის იდეოლოგიები XX საუკუნის მხატვრული მიმდინარეობების ხელოვნებაში?</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები
(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>ქვეცნებები:
კომპლექსური დავალება 3
ელემენტები:
ფორმა: რეალისტური/პირობითი, სიბრტყობრივი/მოცულობითი.
ხაზი: სხვადასხვა ტიპის.
ფერი: კონტრასტული, ფერისა და ტონის გრადაცია, კოლორიტი, ფაქტურა, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.

პრინციპები:
კომპოზიცია და კომპოზიციური განაწილება, პროპორცია,/დისპროპორცია, სტატიკა/დინამიკა, მასშტაბი, რიტმი, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია.</td>
<td>საკვანძო შეკითხვები:
კომპლექსური დავალება 3.
• რომელი მხატვრული მიმდინარეობები გაჩნდა XX საუკუნის დასაწყისში?
• რომელ გამომსახველობით საშუალებებს იყენებდნენ ახალი ეპოქის ხელოვანები ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად?
• რა ეწოდება რეალობისა და სიზმრის ზღვარზე მდგარ ხელოვნებას?
• რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან ტრადიციული ქანდაკება და პლასტიკური ობიექტი?
• რა სახის კავშირი არსებობს თანამედროვე პლასტიკურ ობიექტსა/ობიექტებსა და მათ ირგვლივ არსებულ გარემოს შორის?
• როგორ უცვლის სახეს პლასტიკურ ნამუშევრებს</td>
<td>კომპლექსური დავალებები
(შუალედური სასწავლო მიზნები)</td></tr>
</table>

	სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები: მხატვრობა (ფერწერა, გრაფიკა), ქანდაკება (მრგვალი). ფოტოხელოვნება, ობიექტი. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** ძერწვა, ხატვა (ფერწერა, გრაფიკა), კოლაჟი, მედიახელოვნება, ფოტოგადაღება. **სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:** თანამედროვე ხელოვნება.	სხვადასხვაგვარი გარემოს არსებობა მათ ირგვლივ?	
• **სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახვე-ლობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** ***(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)*** • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს;	**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (რესურსები, შეკითხვები, აქტივობები) **კომპლექსური დავალება 3** **ეტაპი** 1. **კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** **საკვანძო შეკითხვა:** • როგორ შეიძლება გავითვალისწინოთ და გამოვიყენოთ თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები თანამედროვე პლასტიკური ობიექტების შექმნისა და მათთვის გარემოს ორგანიზების პროცესში?		**კომპლექსური დავალება 3** **დავალების პირობა:** შექმენით პლასტიკური ობიექტი და გაუკეთეთ რამდენიმე ფონი 1. თქვენთვის სასურველი მასალით გამოძერწეთ პირობითი/გეომეტრიული ფორმის ერთი ან რამდენიმე ობიექტი;

• სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას. • **სახვითი ხელოვნების ტექნიკა *(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)*** • ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად; • კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა. • **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები *(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)*** • ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება; • ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება;	**კომპლექსური დავალების არსი:** კომპლექსური დავალების არსი, მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლემ შეისწავლოს და გააცნობიეროს ქანდაკების განვითარების ისტორიაში მომხდარი ცვლილებები, თანამედროვე ეპოქაში რეალისტური ქანდაკებიდან განზოგადებულ, პირობითი ფორმის მქონე პლასტიკურ ობიექტამდე მისვლის გზა. თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამოყენებით, სხვადასხვა საძერწი მასალით შექმნას თანამედროვე პლასტიკური ობიექტი; გამოიყენოს მისთვის სასურველი პირობითი ფორმები, განსხვავებული ფერი და ფაქტურა; რამდენიმე პლასტიკური ობიექტისგან შემდგარი კომპოზიციის შექმნისას გაითვალისწინოს მათი ზომები, პროპორციები, მასშტაბი. კომპლექსური დავალების არსს, ასევე, წარმოადგენს, პლასტიკური ობიექტისათვის რეალისტური, ექსპრესიონისტული და სიურრეალისტური გარემოს შექმნა და იმის წარმოჩენა, თუ როგორ იცვლება ობიექტის სახე სხვადასხვა გარემოსთან მისი მიმართებით. ნაძერწი ობიექტისა და სხვადასხვა სახის გარემოს (მარტივი კონსტრუქციის) შეხამებით მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს ელემენტების მასშტაბური შეფარ-დების მნიშვნელობა ერთიანი კომპოზიციის შექმნისას. ყოველ-დღიურ და ნაცნობ გარემოში (ქუჩა, სკვერი, მოედანი და სხვ.) **ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება** **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევასრულოთ და წარმოვადგინოთ მოცემული დავალება? **ნაბიჯი 1** **წინარე ცოდნის გააქტიურება** **რესურსი:** მე-8 კლასის მოსწავლის სახელმძღვანელო, გაკ. 22, გვ. 66-69, გაკ.25, გვ. 74-76, გაკ.28, გვ. 82-84.	2. მუყაოზე ან სქელ ქაღალდზე ნებისმიერი სახატავი მასალით შექმენით ნამუშევრები თქვენთვის უკვე ცნობილი მხატვრული მიმდინარეობების ინსპირაციით (ექსპრესიონიზმი/ სიურრეალიზმი/რეალიზმი); 3. პლასტიკურ ობიექტებს ფონად დაადეთ თქვენ მიერ შექმნილი სხვადასხვა ნამუშევარი, როგორც გარემო, და თითოეული მათგანი დააფიქსირეთ ფოტოზე; 4. ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ იმაზე, როგორ იცვლის ქანდაკება კონტექსტს სხვადასხვა გარემოში. **ამისათვის:** 1. სასურველი მასალით გამოძერწეთ ერთი ან რამდენიმე პლასტიკური ობიექტი; 2. მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების საფუძველზე შეარჩიეთ გამომსახველობითი

• ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს; • თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი; • სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით; • ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს. **4. სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები *(შედეგები: ს.გ.სან.1, 2, 3, 4)*** • ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც	როგორ გავააქტიუროთ წინარე ცოდნა შემდეგ საკითხებზე: • რა მხატვრულ ამოცანებს ისახავს ახალი ეპოქის, XX საუკუნის მხატვრული მიმდინარეობები? • რომელ გამომსახველობით საშუალებებს იყენებენ ხელოვანები ახალი ამოცანების გადასაჭრელად? **აქტივობა:** მსჯელობა, აღწერა-ანალიზი, დისკუსია. მოსწავლეებს ვუაქტიურებთ ცოდნას XX საუკუნის მხატვრობის ნაცნობი ნიმუშების, მათში გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებების შესახებ. ვთხოვთ, აღწერონ და დაახასიათონ მხატვრობის მათთვის ცნობილი ნიმუშები და ყურადღება გაამახვილონ მათში გამოყენებული კომპოზიციური აგების, ფორმის დამუშავების, კოლორიტის თავისებურებებზე. **ნაბიჯი 2** რესურსი: გვ. 56-60, გვ. 61-62. გვ. 63-68. **შეკითხვა:** • რომელი ახალი მხატვრული მიმდინარეობები ჩამოყალიბდა კიდევ XX საუკუნის დასაწყისში? • რითი განსხვავდებოდა ექსპრესიონისტული და სიურრეა-ლისტური მხატვრობის ნიმუშები წინა პერიოდის ნამუშევრებისგან ? • როგორ სახვით ხერხებს და საშუალებებს იყენებენ ექსპრესიონისტი და სიურრეალისტი მხატვრები საკუთარი ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად? (მოტივაციის ამაღლება) **აქტივობა:** შედარებითი ანალიზი, მსჯელობა, დისკუსია, საკლასო სამუშაო.	საშუალებები და ხერხები ექსპრესიონისტული, სიურრეალისტური ან რეალისტური გარემოს ასასახად; 3. პლასტიკური ობიექტი განალაგეთ თქვენ მიერ შექმნილი სამი განსხვავებული მარტივი კონსტრუქციის ფონზე და გადაუღეთ ფოტოები; 4. იმსჯელეთ, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს პლასტიკური ობიექტი თითოეულ გარემოსთან მიმართებით. **რეკომენდაციები:** • გაიხსენეთ თითოეული მხატვრული მიმდინარეობის ძირითადი მახასიათებლები და შეარჩიეთ თქვენი ჩანაფიქრის შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებები. დაფიქრდით, როგორი ფორმა ან ფერთა შეხამება დაგეხმარებათ ამოცანის გადაჭრაში;

სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს; • ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.); • სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა; • ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.	მოსწავლეებს ვესაუბრებით XX საუკუნის დასაწყისის ახალ მხატვრულ მიმდინარეობებზე, მათი ჩამოყალიბების წინაპირობებზე. მოსწავლეებს ვთხოვთ, წინა პერიოდის (მაგ., იმპრესიონისტული) ნამუშევრის შედარებას ტიპურ ექსპრესი-ონისტულ ნამუშევართან. მათ უნდა გააანალიზონ, რომელ სახვით ხერხებს იყენებენ მხატვრები ნამუშევარში მძაფრი ემოციების გადმოსაცემად. მომდევნო დავალება უკვე ექსპრესიონისტული და სიურრეალისტური ნამუშევრების შედარებაა, რაც მათ შორის არსებული მხატვრული ამოცანების და მათ გადასაჭრელად არჩეული სახვითი ხერხების განსხვავებულობას და მრავალფეროვნებას გააცნობიერებინებს მოსწავლეებს. ამდენად, მსჯელობით, დაკვირვებით, შედარებითი ანალიზის გზით მიღებული დასკვნები თეორიულ ცოდნას გაუმყარებს მათ. **ნაბიჯი 3** რესურსი: გვ. 69-74. **შეკითხვა:** • XX საუკუნის დასაწყისის რომელ მხატვრულ მიმდინარეობაში/სკოლაში იკვეთება განსხვავებული, რეალისტური ტენდენციები? • რას ისახავს მიზნად ე.წ. „ნაგვის ურნების“ ხელოვნება? • რითი განსხვავდება ამერიკული რეალიზმის ნამუშევრები თანადროული მხატვრობის სხვა მიმდინარეობებისაგან? • ამერიკული რეალიზმის სკოლის წარმომადგენელთა ნამუშევრები, გარდა მხატვრული ღირებულებისა, ხელოვნების რომელი დარგებისთვის შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო	• სასურველი საძერწი მასალის გამოყენებისას შეარჩიეთ თანამეროვე პლასტიკური ობიექტისთვის დამახასიათებელი ფორმები, ფერი, ფაქტურა; • დაფიქრდით, კომპოზიციური გადანაწილების რომელ ხერხს გამოიყენებთ ობიექტების განლაგებისას გარემოში; • სივრცითი გარემოს ცვლილებისას დააკვირდით პლასტიკური ობიექტების მიერ აღძრულ შთაბეჭდილებებს. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ:** • რა გახდა თქვენი ნამუშევრის ინსპირაცია; • ისაუბრეთ, რატომ და როგორ გამოიყენეთ სხვადასხვა გარემოს და პლასტიკური ობიექტების შექმნის დროს ესა თუ ის სახვითი საშუალება (კომპოზიცია, პროპორცია, სიმეტრია/ასიმეტრია, ფერი, ფორმა და სხვ.);

	აქტივობა: მსჯელობა, აღწერა-ანალიზი, დისკუსია. მოსწავლეებს ვაცნობთ XX საუკუნის დასაწყისის კიდევ ერთ მხატვრულ მიმდინარეობას; ვთავაზობთ, აღწერონ და შეადარონ ამ სკოლის წარმოდგენილი ნიმუშები მათთვის უკვე ცნობილ სხვა მხატვრული მიმდინარეობის ნამუშევრებს და ჩამოაყალიბონ მისი მხატვრული ამოცანა, ისევე, როგორც ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად არჩეული გამომსახველობითი სშუალებები და ხერხები. საკლასო დისკუსიის მიმდინარეობისას მოსწავლეებს ვთხოვთ, გამოთქვან მოსაზრებები, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რეალისტური სტილის ნამუშევრებს და ხელოვნების რომელი დარგებისათვის შეიძლება იყოს ისინი მნიშვნელოვანი ინსპირაციის წყარო. მსჯელობისას მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ზედმიწევნით ზუსტად ასახული ყოფა, ადამიანთა სამოსის, ცხოვრების წესის, არქიტექტურული ანტურაჟის თუ სხვა დეტალები, უტყუარი ინფორმაციის წყარო შეიძლება გახდეს კინოს, თეატრის, დრამატურგიის დარგებისათვის. **ნაბიჯი 4** **წინარე ცოდნის გააქტიურება** **რესურსი:** ხელოვნება 8 კლ., მოსწავლის წიგნი; გვ. 86-89. როგორ გავააქტიუროთ წინარე ცოდნა შემდეგ საკითხებზე: • როგორია ტრადიციული ქანდაკების შექმნის პრინციპები? • როგორც წესი, სად და რა გარემოში გვხვდება ქანდაკებები? • ნაცნობ გარემოში (მშობლიური ქალაქი, სოფელი, დასახლება) სად გვინახავს ტრადიციული ქანდაკებები? **აქტივობა:** მსჯელობა, აღწერა-ანალიზი, დისკუსია მოსწავლეებს ვესაუბრებით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის შესწავლისას მიღებულ ცოდნაზე, ვიხსენებთ ქანდაკების ცნობილ ნიმუშებს. ვიხსენებთ იმ სახვით ხერხებს,	• რა სტრატეგიები გამოიყენეთ/რა ნაბიჯები გადადგით დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; • როგორი გამოცდილება შეიძინეთ მუშაობის დროს და რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდეთ ამ დავალების შესრულებას.

	რომლებიც ტრადიციულ რეალისტურ ქანდაკებებშია გამოყენებული. ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა გარემოში დგას ეს ნიმუშები. მოსწავლეებს ვთხოვთ, გაგვიზიარონ საკუთარი გამოცდილება, რომელი ქანდაკება უნახავთ მშობლიურ ქალაქსა თუ სოფელში და რას ფიქრობენ იმ გარემოზე, რომელშიც ქანდაკებებია განლაგებული. **ნაბიჯი 5** **რესურსი:** მოსწავლის სახელმძღვანელო, გვ.78-83. **რესურსი1:** https://www.youtube.com/watch?v=yv77WKiUxm8 **რესურსი 2:** https://www.youtube.com/watch?v=oWIB_rPtTvM **რესურსი 3:** https://www.youtube.com/watch?v=Mbvaz0EPK_g **რესურსი 4:** https://www.youtube.com/watch?v=p5Q5YeHojBg **შეკითხვა:** • როგორ შეიცვალა XX და XXI საუკუნეებში პლასტიკური ხელოვნების ნიმუშები? • როგორ პლასტიკურ ფორმებს იყენებენ უპირატესად თანამედროვე ოსტატები? • როგორია პლასტიკური ობიექტისა და გარემოს ურთიერთმიმართება? **აქტივობა:** საუბარი, ელექტრონული რესურსების დემონსტრირება, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო. მოსწავლეებს ვაცნობთ თანამედროვე პლასტიკური ხელოვნების ძირითად მახასიათებლებს; ვსაუბრობთ იმ გამომსახველობით საშუალებებზე, რომლებსაც ხელოვნების ეს დარგი იყენებს და ნამუშევარი, ტრადიციული ქანდაკების ნაცვლად, პირობით პლასტიკურ ობიექტად გადაიქცევა. მოსწავლეებს ვაცნობთ ღია ცის	

	ქვეშ განლაგებულ თანამეროვე პლასტიკურ ობიექტებს, რომელთა ფორმა, ზომა და მასშტაბი შეხამებულია გარე სივრცესთან. მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს და იყენებენ მიღებულ ცოდნას. **ნაბიჯი 6** **რესურსი:** გვ. 84-85. **შეკითხვა:** • რომელი გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით იქმნება სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი რეალისტური, ექსპრესიონისტული და სიურრეალისტური გარემოს მარტივი კონსტრუქცია? • როგორი მასალისა და გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით იქმნება თანამედროვე პლასტიკური ობიექტი/ობიექტები? • რა ზეგავლენას ახდენს გარემოს შეცვლა პლასტიკური ობიექტის მხატვრულ იერზე? **აქტივობა**: მსჯელობა, კითხვა-პასუხი, დისკუსია, პრაქტიკული სამუშაო. მოსწავლეები ირჩევენ საძერწ მასალას და პირობითი ფორმების გამოყენებით ქმნიან პლასტიკურ ობიექტებს, რომლებსაც სხვადასხვა ტიპის კომპოზიციებად განალაგებენ. შემდეგ მოსწავლეები ქაღალდის ან თხელი მუყაოსაგან ქმნიან მარტივ კონსტრუქციას, რომელზეც ისინი ასრულებენ რეალისტურ, ექსპრესიონისტულ ან სიურრეალისტურ ნამუშევარს. ამგვარი კონსტრუქცია გარემოს შეუქმნის პლასტიკურ ობიექტებს. შექმნილ ნამუშევარს მოსწავლეები ფოტოებს გადაუღებენ. მოსწავლეები აკვირდებიან და მსჯელობენ, როგორ იცვლება	

	პლასტიკური ობიექტების ხასიათი სხვადასხვაგვარ გარემოში მათი განლაგების შემდეგ. მოსწავლეებს ვთავაზობთ შემდეგ სადისკუსიო თემებს: • აღწერეთ და დაახასიათეთ XX და XXI საუკუნის მხატვრობისა და პლასტიკური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებები. • ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ღია სივრცეში განლაგებული პლასტიკური ობიექტებისა და მათი გარემოს ურთიერთმიმართების თაობაზე. • ისაუბრეთ თქვენ მიერ ნანახი პლასტიკური ხელოვნების ნამუშევრებზე, რომლებიც, თქვენი აზრით, საუკეთესოდ ეხამება გარემოს; დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება. სურვილისამებრ, შეგიძლიათ, მოიყვანოთ ამგვარი შეხამების უარყოფითი მაგალითებიც და ისაუბროთ, სახვითი ხელოვნების რომელი პრინციპი ან ელემენტია დარღვეული და აკნინებს ნამუშევრის მხატვრულ ღირებულებას. **შენიშვნა:** მასწავლებელს, სურვილისამებრ, შეუძლია ჰქონდეს წინასწარ შერჩეული საილუსტრაციო მასალა (მაგ. თბილისში, გალაკტიონ ტაბიძისა და დავით გურამიშვილის ქანდაკებების თავდაპირველი შეხამება გარემოსთან და მიმდინარე მშენებლობების შემდეგ კარდინალურად შეცვლილი გარემო). მოსწავლეები ამ ქანდაკებებს უკვე იცნობენ გასულ წლებში გავლილი მასალიდან. სავარაუდოდ, მათთვის საინტერესო იქნება მსჯელობა ამ საკითხზე, რაც კიდევ ერთხელ დააფიქრებს მათ პლასტიკური ხელოვნების ნაწარმოების გარემოსთან შეხამების აუცილებლობაზე. **რეკომენდაციები კომპლექსური გაკვეთილისათვის:** 1. დავალება განკუთვნილია ინდივიდუალური მუშაობისთვის, თუმცა პლასტიკური ობიექტების გამოძერწვის და გარემოს	

	ამსახველი მარტივი კონსტრუქციების შექმნის შემდეგ (სქელი ქაღალდის ან თხელი მუყაოს ნაჭერი ორ ადგილას იკეცება, როგორც ეს ნაჩვენებია მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ფოტოებზე), მოსწავლეები შეიძლება გაერთიანდნენ 4-5-კაციან ჯგუფებში და თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებული ნაშრომი ცალ-ცალკე დააფიქსირონ ფოტოზე. 2. მიღებული ნამუშევრების წარდგენა კლასის წინაშე. პრეზენტაციის დროს ჯგუფის თითოეული წევრი საუბრობს, როგორ შეიცვალა იერი პლასტიკურმა კომპოზიციამ სხვადასხვა გარემოსთან მიმართებით. კლასი კოლექტიურად იღებს გადაწყვეტილებას, რომელი გარემო უფრო ეფექტურად წარმოაჩენს პლასტიკურ ობიექტებს და რომელი მათგანი შეიძლება ჩაითვალოს ობიექტის და გარემოს ყველაზე ჰარმონიულ ვარიანტად.		
	ქვეცნებები: **კომპლექსური დავალება 4** **ელემენტები**: ფორმა: სიბრტყობრივი, მოცულობითი, პირობითი და სხვ.; ფერი: კონტრასტული; ხაზი: სხვადასხვა ტიპის. **პრინციპები:** კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა/დინამიკა, პროპორცია, მასშტაბი, განათება, შუქ-ჩრდილი, ფაქტურა;	**საკვანძო შეკითხვები:** **კომპლექსური დავალება 4** • როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ახალი მიდგომები, მასალები და გამომსახველობის საშუალებები თანამედროვე ხელოვნების, კერძოდ, პოპარტის ნამუშევრის შექმნისას? • გამოსახვის რომელ საშუალებებსა და ფორმებს იყენებდა პოპარტის ხელოვნება?	

	დარგები: ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა, ფოტოგრაფია, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, ობიექტი, ვიდეოარტი, ინსტალაცია, ფოტოხელოვნება. **სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები:** ანტიკური ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება.	• რა ნიშნებით ხასიათდება კონცეპტუალური ხელოვნება? • რა უდევს საფუძვლად ხელოვნების ნაწარმოების კონცეპტუალურ წარდგენას და როგორია მაყურებლის როლი ამ პროცესში? • რომელ გამომსახველობით საშუალებებს ანიჭებს უპირატესობას მედიახელოვნების ახალი დარგები? • რამ განაპირობა ვიდეოარტის გაჩენა სახელოვნებო სივრცეში? • როგორ შეიძლება ვაქციოთ ჩვეულებრივი ნივთი პოპარტის ხელოვნების ნამუშევრად?	
	კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები) **კომპლექსური დავალება 2** **ეტაპი** 1**.** კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა **საკვანძო შეკითხვები:** • როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ახალი მიდგომები, მასალები და გამომსახველობის საშუალებები თანამედროვე ხელოვნების, კერძოდ, პოპარტის ნამუშევრის შექმნისას?		**დავალების პირობა:** ნებისმიერი ხერხით შექმენით თქვენთვის სასურველი ნივთების იმიტაცია. 1. შეარჩიეთ საყოფაცხოვრებო ნივთი. მოიფიქრეთ, როგორ შეუცვლით თქვენს ნამუშევარში მას ფუნქციას; 2. თქვენი ამოცანაა, უჩვეულო კუთხით დაანახოთ მაყურებელს ნაცნობი საგანი,

	• გამომსახველობის რომელი ელემენტები და პრინციპები დაგვეხმარება თანამედროვე ხელოვნების ობიექტის შექმნაში? **კომპლექსური დავალების არსი:** კომპლექსური დავალების არსი ისაა, რომ მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში წარმოდგენილ თეორიულ და ვიზუალურ ინფორმაციას, XX-XXI საუკუნეების ვიზუალური ხელოვნების მიმდინარეობებისა და დარგების შესახებ. ისინი აცნობიერებენ თითოეული მათგანის (პოპარტი, კონცეპტუალური ხელოვნება, ვიდეოარტი) ძირითად ნიშნებს; ეცნობიან და აანალიზებენ, როგორ იყენებენ თანამედროვე ხელოვანები, როგორც ტრადიციულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს, ასევე, ახალ შესაძლებლობებს, რომლებსაც ტექნიკური პროგრესის კვალდაკვალ სთავაზობს მათ ხელოვნების ახალი დარგები, მაგ., კომპიუტერული გრაფიკა. დავალების არსს, ასევე, წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეები ამ ცოდნას იყენებენ ნამუშევრის შესაქმნელად. შემდეგ ისინი შეიმუშავებენ მათ მიერ შექმნილი ობიექტის ექსპონირების ორიგინალურ კონცეფციას. ფოტოაპა-რატის ან გადაღების ფუნქციის მქონე ტელეფონის მეშვეობით, ისინი აფიქსირებენ ნამუშევარს და შემდეგ აციფრულებენ მას. **ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება** **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევასრულო და წარმოვადგინო მოცემული დავალება? **ნაბიჯი 1** **რესურსი:** გვ. 86-91.	დააფიქროთ და ახლებურად გააზრებინოთ ის; 3. შეგიძლიათ შერჩეული ნივთი დახატოთ, ტრაფარეტის გამოყენებით დაბეჭდოთ ან გამოძერწოთ; 4. გამოიყენეთ მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, ასევე, თანამედროვე ხელოვნების ფორმები თქვენი ჩანაფიქრის შესაბამისად. **ამისათვის:** • შეარჩიეთ ნივთი და თქვენთვის სასურველი ხერხი, რომლითაც შექმნით მის იმიტაციას, ანუ პრაქტიკულად გადააქცევთ პოპარტის „ექსპონატად“; • გამოიყენეთ მიღებული ცოდნა და მოიფიქრეთ, მრავალ-ფეროვანი გამომსახველობითი საშუალებებიდან რომლებს გამოყენებთ მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად; • მოიფიქრეთ, თქვენი ობიექტის რომელი თვისება, წახნაგი, ნიშანი იქნება მაყურებლისათ-ვის ყველაზე მოულოდნელი, ორიგინალური.

	შეკითხვა: • როგორ წარმოიშვა სამომხმარებლო საზოგადოება და ვინ გამოთქვამდა პროტესტს მის წინააღმდეგ? • გამოსახვის რომელ საშუალებებსა და ფორმებს იყენებდა პოპარტის ხელოვნება? **აქტივობა:** მსჯელობა, აღწერა-ანალიზი, საკლასო დისკუსია. **რესურსი 1:** https://www.invaluable.com/blog/what-is-pop-art/ **რესურსი 2:** https://artsycraftsymom.com/10-andy-warhol-projects-for-kids/ **რესურსი 3:** https://d7hftxdivxxvm.cloudfront.net/?resize_to=width&src=https%3A%2F%2Fartsy-media-uploads.s3.amazonaws.com%2FnN8JAwxvA-ZxhdlwOxrGhA%252F7722219426_327f13c779_k.jpg&width=1200&quality=80 მოსწავლეებს ვაცნობთ პოპარტის ხელოვნების წარმოშობის წინაპირობებს. ვსაუბრობთ იმ გამომსახველობით ხერხებზე, რომლებსაც უპირატესად ირჩევს ეს ხელოვნება. საკლასო დისკუსიაში მოსწავლეების ყურადღებას ვამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ პოპარტი სამომხმარებლო საზოგადოების წარმოშობის და ხელოვნების კომერციალიზაციის გაბატონებული ტენდენციის წინააღმდეგ მიმართული ხელოვნებაა. მოსწავლეებს ვთხოვთ, გამოთქვან მოსაზრებები პოპარტის ხელოვნებისა და რეკლამის ურთიერთმიმართებაზე, დაასახელონ მათთვის ცნობილი ეფექტური, კრეატიული რეკლამის რამდენიმე მაგალითი. პოპარტის ხელოვნების განსხვავებული ნიმუშების	• ფოტოფიქსაციის ეტაპზე ყურადღება გაამახვილეთ ისეთ ასპექტებზე, როგორე-ბიცაა რაკურსი, განათება, კადრირება და სხვ. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ:** • რა გახდა თქვენი ნამუშევრის ინსპირაცია; • რამდენად შეძელით ჩვეულებრივი საგნისათვის ახალი მნიშვნელობა მიგენიჭებინათ; • ისაუბრეთ თქვენ მიერ შემუშავებული კონცეფციის შესახებ; • რამ განაპირობა თქვენ მიერ ამა თუ იმ სახვითი საშუალების გამოყენება? • რომელი კომპიუტერული პროგრამა გამოიყენეთ ნამუშევრის დასამუშავებლად? • ისაუბრეთ ფერისა და განათების დანიშნულებაზე თქვენს ნამუშევარში; • რა სტრატეგიები გამოიყენეთ/რა ნაბიჯები გადადგით დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდით

	გაცნობით მოსწავლეებს ექმნებათ წარმოდგენა ხელოვნების ამ ახალი მიმართულების მრავალფეროვნებაზე და მისი მეშვეობით პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობაზე. მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს, რომლის შედეგადაც მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, თავად უნდა შექმნან ობიექტი მათ მიერ, გარკვეული პრიზმით, შერჩეული საყოფაცხოვრებო ნივთებისაგან. ამის შედეგად, ხდება მიღებული ცოდნის განმტკიცება და კომპლექსური დავალებისათვის მომზადება, შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება. **ნაბიჯი 2** **რესურსი:** გვ. 92-96. **რესურსი 1:** https://www.youtube.com/watch?v=VHLs76HLon4 **რესურსი 2:** https://www.youtube.com/watch?v=L32bXdDyajU **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო, საშინაო დავალება. **შეკითხვა:** • რა ნიშნებით ხასიათდება კონცეპტუალური ხელოვნება? **შეკითხვები:** • თქვენი აზრით, კონცეფციის მნიშვნელობის ზრდამ რა გავლენა იქონია ხელოვნების განვითარების პროცესზე, მთლიანად ჩაანაცვლა თუ არა მან ხელოვნების ნაწარმოები? • რა უდევს საფუძვლად ხელოვნების ნაწარმოების კონცეპტუალურ წარდგენას და როგორია მაყურებლის როლი ამ პროცესში?	განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას. **რეკომენდაციები:** • გადაღებული ფოტოები შეგიძლიათ, დაამუშაოთ კომპიუტერული პროგრამებით: Photoshop ან Paint. • შეგიძლიათ შეცვალოთ ფერის ინტენსივობა, ტონალობა, კონტრასტი, გამოსახულების პროპორციები; • გამოფენის ფორმატის შერჩევისას სრული თავისუფლება გექნებათ; ეცადეთ, მაქსიმალურად ეფექტურად წარმოადგინოთ ნამუშევრები და ამისათვის გამოიყენეთ ღია ან დახურული სივრცეები, განათება, ხმოვანი ფონი და სხვ.

	მოსწავლეებს ვაცნობთ წარმოდგენილ ვიზუალურ მასალას და ვესაუბრებით ახალ ეტაპზე ხელოვნების განვითარების ისტორიაში, როდესაც ხელოვნების ნაწარმოების ექსპონირებისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ნამუშევრის ან მთლიანად გამოფენის კონცეფციამ. ვმსჯელობთ ამგვარი ცვლილების სავარაუდო მიზეზებზე. პარალელურად, მათ ვაცნობთ კონცეპტუალური ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლების ნამუშევრებს და ვთხოვთ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, იმსჯელონ ამგვარი ხელოვნების ძირითად ნიშან-თვისებებზე და თავადაც შექმნან კონცეპტუალური ნამუშევარი; ეს გამოცდილება მოსწავლეებს შემაჯამებელი დავალების შესრულებისას გამოადგებათ. **ნაბიჯი 3** **რესურსი: მოსწავლის წიგნი,** გვ. 98-103. **შეკითხვები:** • რომელ გამომსახველობით საშუალებებს ანიჭებს უპირატესობას მედიახელოვნების ახალი დარგები? • რამ განაპირობა ვიდეოარტის გაჩენა სახელოვნებო სივრცეში? **აქტივობა:** საუბარი, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, შედარებითი ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო, მოსწავლეებს ვაცნობთ ტექნიკური პროგრესის შედეგად დაბადებულ ხელოვნების ახალ დარგებს და ვსაუბრობთ მათთვის დამახასიათებელ მხატვრულ-გამომსახველობით პრინციპებზე, საშუალებებსა და ხერხებზე: დინამიკური (მოძრავი) კომპოზიცია,	

	მრავალგვარი ფერადოვანი გადაწყვეტა, მთავარის გამოყოფა, განათების მრავალფეროვანი ხერხები და ეფექტები, შუქ-ჩრდილის აქტიური როლი, **ვიდეომონტაჟის** მრავალფეროვანი ხერხები, კადრირების პრინციპები და სხვ. მოსწავლეები საკუთარი გამოცდილებიდან ასახელებენ მათთვის საინტერესო, დასამახსოვრებელ ნამუშევრებს და აანალიზებენ გამოყენებულ გამომსახველობით საშუალებებს. ვსაუბრობთ იმის შესახებაც, რომ ხშირად ვიდეოარტის ავტორების ინსპირაციის წყარო სახვითი ხელოვნების ესა თუ ის ცნობილი ნამუშევარია, რომელსაც კომპიუტერული გრაფიკის და ვიდეომონტაჟის გამომსახველობითი ხერხების გამოყენებით, ახლებურ ინტერპრე-ტაციას აძლევენ თანამედროვე ხელოვანები. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა გამოცდილების, უშუალო შთაბეჭდილებების მოხმობა, რადგან ისინი, პრაქტიკულად, ყოველდღიურ ცხოვრე-ბაში ეხებიან ხელოვნების ამ ახალი დარგების ნამუშევრებს; უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, თავადაც გააჩნიათ სამოყვარულო ვიდეოს შექმნის გამოცდილება. თეორიული ცოდნა, ვიზუალური მასალის გაცნობა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გამოცდილება კიდევ უფრო განუვითარებს მათ შემოქმედებით უნარებს და თვითრეალიზაციის საშუალებას მისცემს მათ. **ნაბიჯი 4** **რესურსი:** გვ. 104-105. **რესურსი 1:** https://www.youtube.com/watch?v=rKYUiCwsFOI **შეკითხვები:** • როგორ ყალიბდება თანამედროვე ხელოვნების ნამუშევრების ორიგინალური კონცეფცია, რაზე კეთდება აქცენტი და რა ფუნქცია ენიჭება მას მაყურებელთან მიმართებით?	

	• როგორ შეიძლება ვაქციოთ ჩვეულებრივი ნივთი პოპარტის ხელოვნების ნამუშევრად? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო. მოსწავლეებს ვაცნობთ კონცეპტუალური გამოფენის შემადგენელი ელემენტების თავისებურებებს; ვსაუბრობთ იმის შესახებ, რომ საკუთრივ ობიექტი შესაძლებელია სხვადასხვა სახით (მაგ., მატერიალური საგანი, ფოტო, ჩრდილი, განმარტება და სხვ.) იყოს წარმოდგენილი ან, ამის საპირისპიროდ, ის საერთოდ „გაქრეს“ და მაყურებელს მისი არსებობის ირიბი „მტკიცებულებები“ შერჩეს ხელთ (მაგ., შემოსაზღრული ადგილი, სადაც ის იდგა, მისი ჩრდილის ფოტოფიქსაცია, დამახასიათებელი ხმოვანი რიგი და ა.შ.). მოსწავლეებმა ჩვეულ გარემოში შეარჩიონ ჩვეულებრივი საგნები, რომელთა გადაქცევა შესაძლებელია საგამოფენო ექსპონატად, სხვადასხვა ხერხით მათი დამუშავების (მაგ., ზომის შეცვლა, გაფერადება, პერფორირება და სხვ.) გზით. ამ ნამუშევრის შექმნის აუცილებელი პირობაა: მათ შესახებ საინტერესო კონცეფციის შემუშავება, რომელიც ორიგინალური/უჩვეულო კუთხით წარმოაჩენს საგანს და აქცევს მას ექსპონატად. მოსწავლეებს სრული თავისუფლება აქვთ, საკუთარი შეხედულე-ბისამებრ იმოქმედონ და გამოსცადონ საკუთარი თავი. მათ მიერ შექმნილი თანამედროვე ხელოვნების ობიექტის გაციფრულება და კონცეფციის თანხლებით მისი პრეზენტაცია კლასში ერთგვარი გამოცდილება იქნება მოსწავლეებისათვის და ისინი შეძლებენ საკუთარი ტექნიკური უნარების მიზანმიმართულად დახვეწას და შემოქმედებითი უნარების გაღრმავებას.	

	შეკითხვები მსჯელობისათვის: • როგორ შეაფასებთ თანამედროვე ხელოვნების მიერ მონიჭებულ შესაძლებლობას — ჩვეულებრივი საგანი აქციოთ ხელოვნების ექსპონატად? • როგორ გამოცდილებას გძენთ თანამედროვე ხელოვანის როლში ყოფნა? • რას ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად დახვეწოთ და მიზანმიმართულად გამოიყენოთ თქვენი კომპიუტერული უნარ-ჩვევები?	

კომპლექსური დავალება 3
II თავი
გაკვეთილი 23. პლასტიკური ობიექტი და გარემო
ნამუშევრის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

საგანი: „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“, IX კლ.
მოსწავლის სახელი, გვარი ----------
ქვეცნებები:
ელემენტები:

ფორმა: პირობითი/რეალისტური, სიბრტყობრივი/მოცულობითი, დეფორმირებული, უტრირებული, სტილიზებული,
ხაზი: სხვადასხვა ტიპის, კონტური, შტრიხი,
ფერი: კონტრასტული, ინტენსიური, ფერისა და ტონის გრადაცია, კოლორიტი, შუქ-ჩრდილი, განათება, ფაქტურა, ორნამენტი, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.
ფაქტურა

პრინციპები: კომპოზიცია და კომპოზიციური განაწილება, პროპორცია/დისპროპორცია, წონასწორობა, სტატიკა/დინამიკა, მასშტაბი, რიტმი, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, კონტრასტი, განათება; ფაქტურა.

დარგები და ჟანრები: მხატვრობა (ფერწერა, გრაფიკა), ქანდაკება (მრგვალი), ფოტოხელოვნება, მედიახელოვნება, ვიდეოარტი.

სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები: თანამედროვე ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ძერწვა, ხატვა (ფერწერა, გრაფიკა), კოლაჟი, მედიახელოვნება, ფოტოგადაღება, ობიექტი.

კომპლექსური დავალება 3. I ეტაპი — ნამუშევრის შეფასება

კომპლექსური დავალების პირობა: შექმენით პლასტიკური ობიექტი და გაუკეთეთ რამდენიმე ფონი:

1. თქვენთვის სასურველი მასალით გამოძერწეთ პირობითი/გეომეტრიული ფორმის ერთი ან რამდენიმე ობიექტი;
2. მუყაოზე ან სქელ ქაღალდზე ნებისმიერი სახატავი მასალით შექმენით ნამუშევრები თქვენთვის უკვე ცნობილი მხატვრული მიმდინარეობების ინსპირაციით (ექსპრესიონიზმი/ სიურრეალიზმი/რეალიზმი);
3. პლასტიკურ ობიექტებს ფონად დაადეთ თქვენ მიერ შექმნილი სხვადასხვა ნამუშევარი, როგორც გარემო და თითოეული მათგანი დააფიქსირეთ ფოტოზე;
4. ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ იმაზე, როგორ იცვლის ქანდაკება კონტექსტს სხვადასხვა გარემოში.

კრიტერიუმი - სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**	**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასი-ათებლები, რაც მას ამ ცოდ-ნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედა-რების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული დავალების არსი. ძერწავს პირობით/გეომეტრიულ ობიექტს და მხატვრული მიმდინარეობების ინსპირაციით (ექსპრესიონიზმი/ სიურრეალიზმი/რეალიზმი) გააზრებულად ქმნის ფონს, განსხვავებული შთაბეჭდილებების შესაქმნელად, საკუთარი ჩანაფიქრის გადმოსაცემად, მიზანმიმართულად და შემოქმედებითად იყენებს სხვადასხვა მრავალფეროვან მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალას და ტექნიკას. მოსწავლის ნამუშევარში ჩანს მისეული ხედვა, ეფექტური, ორიგინალური მიდგომა; მოსწავლე მიზანმიმართულად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს საკუთარი ხედვის, იდეების უკეთ წარმოსაჩენად.			

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის არსი. კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, განსხვა-ვებული შთაბეჭდი-ლებების შესაქმნელად, ძირითადად, გააზრე-ბულად, შემოქმედე-ბითად და მიზანმიმარ-თულად იყენებს სხვა-დასხვა მრავალფეროვან მხატვრულ-გამომსახვე-ლობით საშუალებებს, ხერხებს ობიექტისა და განსხვავებული ფონის ურთიერთმიმართებისას.	მოსწავლეს ესმის დავალების არსი. კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ნამუშევარში ძირითადად იყენებს მრავალფეროვან ტექნიკასა და მასალას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ირჩევს დარგს/ჟანრს, რომელიც ძირითადად ადექვატურია/ შეესაბამება ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის და საკუთარი იდეისა თუ დამოკიდებულების გამოსახატად, ძირითადად გააზრებულად იყენებს სხვადასხვა სტილისა თუ მიმდინარეობის მხატვრულ მახასიათებლებს.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ნამუშევარში უსისტემოდ იყენებს რამდენიმე სახვით საშუალებას; სუსტად უკავშირებს ერთმანეთთან ობიექტსა და ფონებს.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ნამუშევარში იყენებს განსაზღვრულ/შეზღუდულ ტექნიკასა და მასალას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ირჩევს დარგს/ჟანრს, რომელიც ნაწილობრივ ადექვატურია/ შეესაბამება ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე საკუთარი შემოქმედებითი მიზნე-ბისათვის და საკუთარი იდეისა თუ დამოკიდე-ბულების გამოსახატად, ნაწილობრივ იყენებს სხვადასხვა სტილისა თუ მიმდინარეობის მხატვრულ მახასიათებლებს.

უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური-რებული ასოციაცია/წარ-მოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლე ნამუშევარში გაუცნობიერებლად იყენებს რამდენიმე სახვით საშუალებას.	მოსწავლე ნამუშევარში უსისტემოდ იყენებს განსაზღვრულ/შეზღუდულ ტექნიკასა და მასალას	მოსწავლე გაუცნობიერებლად ირჩევს ჟანრს/დარგს	მოსწავლე სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სტილის ნამუშევრების მხატვრულ მახასიათებ-ლებს, ძირითადად, გაუზრებლად იყენებს.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლის მიერ დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული			

კომპლექსური დავალება 3

II თავი

გაკვეთილი 23. პლასტიკური ობიექტი და გარემო

პრეზენტაციის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

საგანი: „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“, IX კლ.

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

ქვეცნებები:
ელემენტები:
ფორმა: პირობითი/რეალისტური, სიბრტყობრივი/მოცულობითი, დეფორმირებული, უტრირებული, სტილიზებული,
ხაზი: სხვადასხვა ტიპის, კონტური, შტრიხი,
ფერი: კონტრასტული, ინტენსიური, ფერისა და ტონის გრადაცია, კოლორიტი, შუქ-ჩრდილი, განათება, ფაქტურა, ორნამენტი, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.
ფაქტურა

პრინციპები: კომპოზიცია და კომპოზიციური განაწილება, პროპორცია/დისპროპორცია, წონასწორობა, სტატიკა/დინამიკა, მასშტაბი, რიტმი, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, კონტრასტი, განათება; ფაქტურა.

დარგები და ჟანრები: მხატვრობა (ფერწერა, გრაფიკა), ქანდაკება (მრგვალი), ფოტოხელოვნება, მედიახელოვნება, ვიდეოარტი.

სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები: თანამედროვე ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ძერწვა, ხატვა (ფერწერა, გრაფიკა), კოლაჟი, მედიახელოვნება, ფოტოგადაღება, ობიექტი.

კომპლექსური დავალება 3. II ეტაპი — პრეზენტაციის შეფასება

კომპლექსური დავალების პირობა: შექმენით პლასტიკური ობიექტი და გაუკეთეთ რამდენიმე ფონი:

1. თქვენთვის სასურველი მასალით გამოძერწეთ პირობითი/გეომეტრიული ფორმის ერთი ან რამდენიმე ობიექტი;
2. მუყაოზე ან სქელ ქაღალდზე ნებისმიერი სახატავი მასალით შექმენით ნამუშევრები თქვენთვის უკვე ცნობილი მხატვრული მიმდინარეობების ინსპირაციით (ექსპრესიონიზმი/ სიურრეალიზმი/რეალიზმი);
3. პლასტიკურ ობიექტებს ფონად დაადეთ თქვენ მიერ შექმნილი სხვადასხვა ნამუშევარი, როგორც გარემო და თითოეული მათგანი დააფიქსირეთ ფოტოზე;

კრიტერიუმი / სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე თანაკლასელთა წინაშე წარადგენს მის მიერ შექმნილ ნამუშევარს ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით. საუბრობს მის მიერ შექმნილი ობიექტისა და მხატვრული მიმდინარეობების ინსპირაციით (ექსპრესიონიზმი/ სიურრეალიზმი/რეალიზმი) შექმნილი ფონების ურთიერთკავშირზე, თუ რამდენად განსხვავებულ შთაბეჭდილებას ქმნის ობიექტი თითოეულ გარემოსთან მიმართებით.ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს. საუბრობს ,თუ რატომ და როგორ გამოიყენა სხვადასხვა გარემოს და პლასტიკური ობიექტების შექმნის დროს ესა თუ ის სახვითი საშუალება (კომპოზიცია, პროპორცია, სიმეტრია/ასიმეტრია, ფერი, ფორმა და სხვ.) რა ნაბიჯები გადადგა დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე. ნამუშევრის წარდგენისას, აუდიტორიასთან ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას, არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას მიმიკის, ჟესტიკულაციისა და ინტონაციის გამოყენებით. ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს		

დეკონტექსტუალიზებ ის/სხვა მსგავს მაგალი-თებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილ-ველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს. მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე. საუბრობს გამართულად, დამაჯერებლად, იყენებს შესაბამის რელევანტურ ტერმინოლოგიას ნამუშევრის წარდგენისას.		
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად,ნამუშევრის წარდგე-ნისას,მოსწავლე ძირითადად, მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს მის მიერ გამოყენებულ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების არსობრივ მახასი-ათებლებზე და ეს მახასიათებლები როგორ არის ურთიერთდაკავში-რებული, გამოყენებული ჩანა-ფიქრის, იდეის შესაბამისად. ძირი-თადად ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და არსებით საკი-თხებზე ამახვილებს ყურადღებას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევ-რულად საუბრობს მის მიერ გამოყენებულ სახვითი ხელოვ-ნების ტექნიკასა და მასალაზე, მის არსობრივ მახასიათებლებზე და ეს მახასიათებლები როგორ არის ურთიერთდაკავშირებული, გამოყენებული ჩანაფიქრის, იდეის შესაბამისად. ძირითადად ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად,ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს შერჩეული დარგისა თუ კონკრეტული ჟანრის ნამუშევრების შესაბამისობაზე დავალებასთან. ძირითადად ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგე-ნისას, მოსწავლე ნაწილობრივ საუბრობს გამოყენებულ სახვით საშუალებებზე, ასახელებს	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევ-რის წარდგენისას, მოსწავლე ნაწილობრივ საუბრობს გამოყენებულ ტექნიკაზე, ასახელებს რამდენიმე მასალას	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ნაწილობრივ საუბრობს შერჩეული დარგის, ჟანრის შესაბამისობაზე დავალების პირობასთან. მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს

დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	რამდენიმე მხატვრულ-გამომსახ-ველობით საშუალებასა და ხერხს მხოლოდ ნაწილობრივ იცავს მათ შორის მიმართებებს. მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს აუდიტორი-ასთან კომუნიკაციას, ძირითადად იყენებს იყენებს ვერბალური კომუნიკაციის ფორმას.	და ტექნიკას. შეუძლია რამდენიმე მახასიათებელსა და თვისებაზე საუბარი. მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს აუდიტორიასთან კომუნიკაციას, იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.	აუდიტორიასთან კომუნიკაციას, იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არას-ტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს,მის მიერ შერჩეულ და გამოყენებულ რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებასა და ხერხზე. მოსწავლე ძირითადად ვერ ამყარებს აუდიტორიასთან ეფექტურ კომუნიკაციას	მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს,მის მიერ შერჩეულ და გამოყენებულ ერთი ტექნიკაზე.მოსწავლე ძირითადად ვერ ამყარებს აუდიტორიასთან ეფექტურ კომუნიკაციას	მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს,მის მიერ შერჩეული ჟანრის მხოლოდ ერთ მახასიათებელზე. მოსწავლე ძირითადად ვერ ამყარებს აუდიტორიასთან ეფექტურ კომუნიკაციას
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლის მიერ დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული		

კომპლექსური დავალება 4

II თავი

გაკვეთილი 30. პოპარტიდან ვიდეოარტამდე

ნამუშევრის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

საგანი: „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“, IX კლ.

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

ქვეცნებები:

კომპლექსური დავალება 4
ელემენტები:
ფორმა: სიბრტყობრივი, მოცულობითი, პირობითი და სხვ.; ფერი: კონტრასტული;
ხაზი: სხვადასხვა ტიპის;

პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა/დინამიკა, პროპორცია, მასშტაბი, განათება, შუქ-ჩრდილი, ფაქტურა;

დარგები: ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა, ფოტოგრაფია, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, ობიექტი, ვიდეოარტი, ინსტალაცია, ფოტოხელოვნება.

სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები: ანტიკური ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება.

კომპლექსური დავალება 4. ნამუშევრის შეფასება

კომპლექსური დავალების პირობა: ნებისმიერი ხერხით შექმენით თქვენთვის სასურველი ნივთების იმიტაცია.
1. შეარჩიეთ საყოფაცხოვრებო ნივთი. მოიფიქრეთ, როგორ შეუცვლით თქვენს ნამუშევარში მას ფუნქციას;
2. თქვენი ამოცანაა, უჩვეულო კუთხით დაანახოთ მაყურებელს ნაცნობი საგანი, დააფიქროთ და ახლებურად გააააზრებინოთ ის;
3. შეგიძლიათ შერჩეული ნივთი დახატოთ, ტრაფარეტის გამოყენებით
4. დაბეჭდოთ ან გამოძერწოთ;

5. გამოიყენეთ მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, ასევე, თანამედროვე ხელოვნების ფორმები თქვენი ჩანაფიქრის შესაბამისად.			
კრიტერიუმი / სამიზნე ცნება	**სახვითი საშუალებები და ხერხები:**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**ხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხი/თემა, რაც მას ცოდნის განზოგადებისა და შედარების საშუალებას აძლევს სხვა მაგალითებთან. პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეუძლია საკითხის/თემის განსხვავებული პერსპექტივიდან განხილვა და ახალი იდეებისა თუ მოსაზრებების/თეორიების წამოყენება	კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლე გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს სახვითი ხელოვნების მრავალფეროვან საშუალებებსა და ხერხებს, მრავალფეროვან მასალასა და ტექნიკას,--ბეჭდვა/ძერწვა - ნივთების იმიტაცის გადმოსაცემად, ითვალისწინებს ობიექტის ზომას, მასშტაბს, ფერს. ჩანაფიქრის შესაბამისად, ირჩევს გარემოს ობიექტის მოსათავსებლად. ნამუშევარში აღინიშნება სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სტილის ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ნიშნების გაცნობიერებულად გამოყენება და ამავე დროს ვლინდება მოსწავლის ორიგინალური ხედვა და ინტერპრეტირების განსაკუთრებული უნარი ნამუშევრის იდეის გადმოსაცემად. მოსწავლის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია საინტერესო მოსაზრებებს მოიცავს, უჩვეულო კუთხით განიხილავს და გაიაზრებს ნაცნობ საგანს ფორმისა თუ დანიშნულების კუთხით და შემოქმედებითად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს.		
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. ხედავს ურთიერთმიმართებებს	მოსწავლეს ესმის კომპლექსური დავალების არსი. ძირითადად გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს სახვითი ხელოვნების ძირითად	მოსწავლეს ესმის კომპლექსური დავალების არსი. ძირითადად გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს სახვითი ხელოვნების გარკვეულ ტექნიკას	მოსწავლეს ესმის კომპლექსური დავალების არსი. ძირითადად გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სტილის ნიმუშებისთვის

საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებსა თუ ასპექტებს შორის. თეორიიის/თეორიების გამოყენებით აანა-ლიზებს მიზეზებისა და შედეგებს, აკეთებს დასკვნებს	საშუალებებსა და ხერხებს საგნის იმიტაციის შესაქმნელად, ითვალისწინებს ობიექტის ძირითად მახასიათებლებს. კონცეფციაში ყურადღებას ამახავილებს სახვითი საშუალებებისა და ხერხების არსობრივ მახასიათებლებზე და მათ ურთიერთკავშირსა თუ ურთიერთმიმართებაზე ძირითადი იდეის გადმოსაცემად	(ბეჭდვა/ძერწვა) და მასალას საგნის იმიტაციის შესაქმნელად. ძირითადად შემოქმედებითად იყენებს ციფრულ ტექნოლო-გიებს. კონცეფციაში ყურადღებას ამახვილებს ტექნიკისა თუ მასალის არსობრივ მახასიათებ-ლებზე და მათ ურთიერთკავ-შირსა თუ ურთიერთმიმ-ართებაზე ძირითადი იდეის გადმოსაცემად	დამახასიათებელ ნიშნებს, აღინიშნება მათი გაცნობიერებულად გამოყენების უნარი. კონცეფციაში ყურადღებას ამახავილებს სხვადასხვა სტილისა თუ მიმდინარეობის არსობრივ მახასიათებლებზე და მათ ურთიერთკავშირსა თუ ურთიერთმიმართებაზე ძირითადი იდეის გადმოსაცემად
მულტისტრუქტურუ-ლი დონე მოსწავლემ ძირითა-დად გაიგო დავალების პირობა, მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალის-წინება, არარსტრუქტუ-რიზებული ზოგადი წარმოდგენა აქვს საკი-თხთან/თემასთან დაკავშირებით	მოსწავლეს ძირითადად ესმის დავალების პირობა. ძირითადად იყენებს სახვითი ხელოვნების რამ-დენიმე საშუალებას და ხერხს საგ-ნის იმიტაციის შესაქმნელად. ნაწი-ლობრივ ითვალისწინებს ობიექტის გარკვეულ მახასიათებლებს. კონ-ცეფციაში ყურადღებას ამახავილებს დავალების პირობის შესაბამის რამდენიმე მხატვრულ-გამომსახვე-ლობით საშუალებასა და ხერხზე ძირითადი იდეის გადმოსაცემად	მოსწავლეს ძირითადად ესმის დავალების პირობა. დავალების პირობის თანახმად, საგნის იმიტაციის შესაქმნელად,ნამუშევრის შექმნისას ნაწილობრივ იყენებს დავალების პირობის შესაბამისი მასალისა და ტექნიკის შესაძლებლობებს ძირითადი იდეის გადმოსაცემად.	მოსწავლეს ძირითადად ესმის დავალების პირობა. ქმნის საგნის იმიტაციას რომელიმე მიმდინარეობისა თუ სტილის ხელოვნების რამდენიმე მხატვრული მახასიათებლის გამოყენებით. მხოლოდ ნაწილობრივ იცავს მათ შორის მიმართებებს, ძირითადი იდეის გადმოსაცემად.
უნისტრუქტურული დონე დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვა-ტურადაა გაგებული, მოსწავლეს შეუძლია	დავალების პირობა ნაწილობრივ ადექვატურადაა გაგებული. მოსწავლე გაუაზრებლად იყენებს დავალების პირობის შესაბამის მხოლოდ რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებასა და	დავალების პირობა ნაწილობ-რივ ადექვატურადაა გაგებული. ნამუშევრის შექმნისას გაუაზრებ-ლად იყენებს დავალების პირობის შესაბამისი მასალისა და ტექნიკის შესაძლებლობებს.	დავალების პირობა ნაწილობრივ ადექვატურადაა გაგებული. ნამუშევრის შექმნისას გაუაზრებლად, იყენებს სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სტილის ხელოვნების რამდენიმე მხატვრულ

მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება. მას არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან/თემასთან დაკავშირებით.	ხერხს, ვერ იცავს მათ შორის მიმართებებს.		მახასიათებელს. ვერ იცავს მათ შორის მიმართებებს.
პრესტრუქტურული დონე დავალების პირობა მოსწავლის მიერ არაადეკვატურადაა გაგებული. გამოვლინდა საკითხთან/თემასთან დაკავშირებული პრობლემატიკისა და რელევანტური ინფორმაციის არ ცოდნა.	მოსწავლის მიერ დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული		

თემატური ბლოკი 2: საზოგადოება და ხელოვნება

„საზოგადოება და ხელოვნება“ ორ თემას მოიცავს (20+8 სთ):

- ხელოვნების ძალა - ხელოვნება და საზოგადოება (III თავი)
- თემა: მე და ხელოვნება - ხელოვნებასთან ზიარების გზები (IV თავი)

თავი III. ხელოვნების ძალა — ხელოვნება და საზოგადოება

31. გოთიკა 108

32. სტილიზაცია 114

33. „წითელი ტერორი“ და ხელოვნება 116

34. ის, რაც მაღელვებს* 122

35. ხელოვნება — საზოგადოების სარკე და მათრახი 125

36. ტიპაჟების გალერეა 129

37. ეძებეთ სურათის მიღმა 131

38. ჩემი ერთი დღე 136

39. ქალები ხელოვნებაში დამკვიდრების გზაზე 138

40. ციტაცია* 142

III თავის თემატური ბლოკის მატრიცა

თემატური ბლოკი 2: საზოგადოება და ხელოვნება
თემა: ხელოვნების ძალა — ხელოვნება და საზოგადოება (III თავი)
საათების რაოდენობა: 10+2

ქვეცნებები:

ელემენტები: ფორმა: გეომეტრიული, ორგანული; სიბრტყობრივი და მოცულობითი, პირობითი და რეალისტური, სტილიზებული.
ფერი: კონტრასტული;
ხაზი: სხვადასხვა ტიპის;
ფაქტურა;
განათება: რბილი.

პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, მთავარის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კოლორიტი, მასშტაბი, ხედვის წერტილი, აქცენტი.

დარგები და ჟანრები: არქიტექტურა, ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა, ინსტალაცია, ყოფითი ჟანრი, პორტრეტი.

სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:
შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ხელოვნება (გოთიკა), შუა საუკუნეების ჩინური, ისლამური და ქართული ხელოვნება; XVI-XVII სს-ის ევროპის ხელოვნება, XIX ს-ის ქართული ხელოვნება, XX ს-ის ამერიკისა და ევროპის ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება, საბჭოთა ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა.

თემატური მკვიდრი წარმოდგენები:
- ხელოვნება ადამიანსა და საზოგადოებაზე ზემოქმედების ძლიერი საშუალებაა;
- ხელოვნებას, ადამიანსა და საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მიზნით იყენებდნენ;
- სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მიზანმიმართული გამოყენებით ადამიანზე, საზოგადოებაზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა არის შესაძლებელი;
- ხელოვნება საზოგადოებაში ამკვიდრებს ღირებულებებს;
- ზოგჯერ ხელოვნება ხელისუფლების ხელში საზოგადოებაზე ზეწოლის იარაღად გამოიყენება;
- ხელოვნების საშუალებით შესაძლებელია პრობლემებსა და მნიშვნელოვან საკითხებზე საზოგადოების ყურადღების მიპყრობა;

<table>
<tr><td colspan="4">

- საკუთარი ნამუშევრის საშუალებით, შესაძლებელია საკუთარი აზრი მივაწოდოთ საზოგადოებას ამა თუ საკითხსა თუ პრობლემაზე.

თემატური საკვანძო შეკითხვები:

- როგორია ხელოვნების ადამიანსა და საზოგადოებაზე ზემოქმედების ძალა?
- რა მიზნით იყენებდნენ ხელოვნებას ადამიანსა და საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში?
- რა საშუალებებსა და რომელ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს იყენებდა და იყენებს სახვითი ხელოვნება ადამიანზე, საზოგადოებაზე გარკვეული ზემოქმედების მოსახდენად?
- როგორ ახერხებდნენ მხატვრები თავიანთი ხელოვნებით საზოგადოებაში მორალური ღირებულებების დამკვიდრებას?
- როგორ იყენებდა ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფლება ხელოვნებას საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის?
- როგორ იყენებს საზოგადოება ხელოვნებას მიმდინარე მოვლენებზე, არსებულ პრობლემებსა და საჭირბოროტო საკითხებზე რეაგირებისათვის?
- როგორ შეიძლება მივაწოდოთ საზოგადოებას საკუთარი აზრი ამა თუ საკითხსა თუ პრობლემაზე ხელოვნების ნიმუშის საშუალებით?

</td></tr>
<tr><td>

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები *(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)*

</td><td>

ქვეცნებები:

კომპლექსური დავალება 5

ელემენტები: ფორმა: გეომეტრიული, ორგანული; სიბრტყობრივი და მოცულობითი, პირობითი და რეალისტური, სტილიზებული. ფერი: კონტრასტული.

პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, მთავარის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კოლორიტი, მასშტაბი;

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები: არქიტექტურა, ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა. პორტრეტი.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა:

</td><td>

საკვანძო შეკითხვები:

კომპლექსური დავალება 5

- რატომ უნდა ვიცოდეთ წარსული ეპოქების მხატვრული გამოცდილება ხელოვნების საზოგადოებაზე ზემოქმედების შესახებ და როგორ გამოვიყენოთ ის ვენი ნამუშევრების შექმნისას?
- როგორ შეიძლება მივაწოდოთ საზოგადოებას საკუთარი აზრი ამა თუ იმ საკითხსა თუ პრობლემაზე ბილბორდის/პლაკატის საშუალებით?
- რით განსხვავდება სააგიტაციო პლაკატები (პოსტერები) სარეკლამო პლაკატებისგან?
- ვინ არის ამ მოწოდების სამიზნე აუდიტორია?
- რომელ მხატვრულ საშუალებებსა და ხერხებს იყენებს პლაკატი/ბილბორდი?

</td><td>

კომპლექსური დავალებები

(შუალედური სასწავლო მიზნები)

</td></tr>
</table>

	ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა. **სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები** შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ხელოვნება (გოთიკა), საბჭოთა ხელოვნება, შუა საუკუნეების ჩინური, ისლამური და ქართული ხელოვნება	• რატომ უნდა იყოს პლაკატის კომპოზიცია ლაკონიური?	
• **სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** ***(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)*** • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს;	**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (რესურსები, შეკითხვები, აქტივობები)** **კომპლექსური დავალება 5** **ეტაპი** 1. **კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** **საკვანძო შეკითხვა:** • როგორ შეიძლება მივაწოდოთ საზოგადოებას საკუთარი აზრი ამა თუ საკითხსა თუ პრობლემაზე ბილბორდის/პლაკატის საშუალებით? **კომპლექსური დავალების არსი:** კომპლექსური დავალების არსია, მოსწავლემ შეისწავლოს, თუ რა დიდი ძალა აქვს ხელოვნებას და როგორ შეუძლია მას ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებაზე სხვადასხვა ეპოქაში. ამ კუთხით სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების შესწავლისა და გაცნობიერების შედეგად, მოსწავლე ამ დავალების შესრულებისას, თავად შეეცდება, საკუთარი ქალაქისა თუ სოფლის	**კომპლექსური დავალების პირობა:** **კომპლექსური დავალება 5.** **ის, რაც მაღელვებს** შექმენით ბილბორდი/პლაკატი თქვენი ქალაქის, უბნის ან სოფლისათვის, რომლითაც მიმართავთ საზოგადოებას და თქვენი აზრით მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებულ გზავნილს მიაწვდით. **ამისათვის:** • მოიფიქრეთ, რას გამოსახავთ თქვენს ბილბორდზე/პლაკატზე და რა წარწერას გააკეთებთ.

• სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას. • **სახვითი ხელოვნების ტექნიკა *(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)*** • ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად; • კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა. • **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები *(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)***	საჭირბოროტო საკითხზე შექმნას ნამუშევარი და მიმართოს საზოგადოებას, მიაწოდოს მას საკუთარი აზრი თუ დამოკიდებულება ამა თუ იმ პრობლემისადმი. მოსწავლემ ამ ნამუშევარში უნდა ასახოს საკუთარი დამოკიდებულება თავად მისთვის აქტუალური პრობლემისადმი და ამ პროცესში გამოიყენოს წარსულის გამოცდილება. **ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, სამიზნე ცნებასთან/ცნე-ბებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება** **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევასრულოთ და წარმოვადგინოთ მოცემული დავალება? **ნაბიჯი 1** **წინარე ცოდნის გააქტიურება** **რესურსი:** ხელოვნება 8 კლ., მოსწავლის წიგნი; გვ. 108-112; გვ. 114-115; გვ. 117-119; გვ. 126-130. როგორ გავააქტიუროთ წინარე ცოდნა შემდეგ საკითხებზე: • როგორ და რა ფორმით მიმართავდნენ საზოგადოებას სხვადასხვა ეპოქაში მხატვრები სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე? • როგორ და რა ფორმებით გამოხატავდა ხელოვნება პროტესტს ომის, ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ? • როგორ გამოხატავდა ხელოვნება ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას? **აქტივობა:** მსჯელობა, აღწერა-ანალიზი, დისკუსია. **ნაბიჯი 2** **რესურსი:** გვ. 108-113; გვ.116-121; **შეკითხვა:** • როგორ ზემოქმედებდა ხელოვნება საზოგადოებაზე სხვადასხვა ეპოქაში?	• ბილბორდის/პლაკატის შექმნისას, საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად განსაზღვრეთ, როგორ კომპოზიციას გამოიყენებთ; • განსაზღვრეთ, როგორი იქნება თქვენი ბილბორდის/პლაკატის ფერადოვანი გადაწყვეტა; • თქვენი ბილბორდის/პლაკატის თემისა და პრობლემატიკის შესაბამისად, იდეის უკეთ წარმოსაჩენად, შეარჩიეთ შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ:** • რომელი იდეა შეარჩიეთ თქვენი ბილბორდისათვის და რატომ? • როგორი შეარჩიეთ ტექსტი და როგორ გამოხატავს ის თქვენს იდეას და ჩანაფიქრს? • რომელი სახვითი საშუალებები გამოიყენეთ თქვენი

• ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება; • ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება; • ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს; • თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი; • სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით; • ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს.	**აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, შედარებითი ანალიზი, საკლასო დისკუსია. მოსწავლეს ვაცნობთ, თუ როგორ ახდენდა ზემოქმედებას სხვადასხვა ეპოქაში ხელოვნების სხვადასხვა დარგი (არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა) საზოგადოებაზე. აქცენტი კეთდება ხელოვნების ნაწარმოებიდან მიღებულ შთაბეჭდილებაზე. მოსწავლეებს ამ თვალსაზრისით ვაანალიზებინებთ ხელოვნების ნიმუშებს, საშუალებას ვაძლევთ, ისაუბრონ პირად შთაბეჭდილებებზე. მათ ვადარებინებთ ერთმანეთს სხვადასხვა ნიმუშებს და ყურადღებას ვამახვილებინებთ იმაზე, თუ როგორ შთაბეჭდილებას ახდენს და როგორ ზემოქმედებს თითოეული მათგანი, რათა საკუთარი გამოცდილებით გაიაზრონ ხელოვნების ზემოქმედების ძალა. **ნაბიჯი 3** **რესურსი:** გვ. 113; გვ. 116-117; გვ.120-121. **შეკითხვა:** • რატომ უნდა ვიცოდეთ ხელოვნების საზოგადოებაზე ზემოქმედების ისტორიული გამოცდილების შესახებ? (მოტივაცია). • რა მიზნით იყენებდნენ ხელოვნებას ადამიანსა და საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, შედარებითი ანალიზი, საკლასო დისკუსია. მოსწავლეებს ვაცნობთ, თუ რა მიზანი ჰქონდა ხელოვნებას სხვადასხვა პერიოდში საზოდაგოებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ამ საკითხში გასარკვევად, მათ ვაანალიზებინებთ სხვადასხვა პერიოდის (გოთიკა, საბჭოთა	ბილბორდისა/პლაკატისათვის და რატომ? • რომელი ტექნიკა გამოიყენეთ თქვენს ნამუშევარში და რატომ? • ისაუბრეთ, სრულყოფილად განახორციელეთ თუ არა თქვენი ჩანაფიქრი? რა გამოგივიდათ და რა არა? რას შეცვლიდით მასში?

4. სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები ***(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)*** • ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს; • ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.)	ხანა), სხვადასხვა დარგის (არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა) ნიმუშებს და, ნამუშევრების ანალიზისა და საკლასო დისკუსიების მეშვეობით, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ხელოვნებას შესაძლებელია, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზნები ჰქონოდა. მათ უნდა გაიაზრონ, რომ, ზოგჯერ, ზემოქმედების სურვილი პოლიტიკური მიზნებით იყო განპირობებული; ეს ზემოქმედება მიზნად ისახავდა ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებისათვის გარკვეული იდეოლოგიის თავს მოხვევას, აგიტაცია-პროპაგანდას, რაც ხელისუფლებას საზოგადოების და კონკრეტული ადამიანების მართვის საშუალებას აძლევდა. **რესურსი 1:** https://www.youtube.com/watch?v=EK53W0yYYwo https://www.youtube.com/watch?v=b77XFALHNXw **რესურსი 2:** https://www.youtube.com/watch?v=YO7h5JAHPZk https://www.academia.edu/30720662 **შეკითხვები დისკუსიისათვის:** • რა მიზანი ამოძრავებდათ გოთიკის ხანის ხუროთმოძღვრებს ტაძრის ახალი მხატვრული სახის შექმნისას? • რა მიზანი ამოძრავებდა საბჭოთა ხელისუფლებას, როდესაც ოფიციალურად ამკვიდრებდა სახელმწიფოში ე.წ. სოციალისტური რეალიზმის სტილს და კრძალავდა ყველა დანარჩენს? **ნაბიჯი 4** **რესურსი:** გვ. 108-111; გვ. 118-119; გვ. 120-121.	

პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.); • სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა; • ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.	**შეკითხვა:** • რომელ სახვით ხერხებსა და საშუალებებს მიმართავდა ხელოვნება საზოგადოებასა და ადამიანზე ზემოქმედებისათვის სხვადასხვა ეპოქაში? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, შედარებითი ანალიზი, საკლასო დისკუსია, საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო. მოსწავლეებს ვაცნობთ სხვადასხვა ეპოქაში, ხელოვნების სხვადასხვა დარგში (არქიტექტურა, ქანდაკება, გრაფიკა, პლაკატი) გამოყენებულ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს; მოსწავლეები აანალიზებენ ამ სახვით ხერხებს და, ამის შედეგად, ნათლად იაზრებენ, თუ როგორ ხდება იდეების გადმოცემა მათი საშუალებით. ასევე, ვაცნობთ მათ, რომ სხვადასხვა ეპოქაში სახვითი საშუალებებისა და ხერხების თავისებურებათა ერთობლიობა ქმნის ამა თუ იმ ეპოქის სტილს (მაგ., გოთიკური სტილი). იმისათვის, რომ მოსწავლემ სტილის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნები უფრო უკეთ გაიაზროს და თავად სტილის შეგრძნება გამოუმუშავდეს, მას, ასევე, ვთავაზობთ, შეასრულოს პრაქტიკული სამუშაო, რომლის დროსაც უნდა გამოიყენოს სტილიზაციის მეთოდი. **ნაბიჯი 5** **რესურსი 1:** გვ. 120 **რესურსი 2:** https://gallerix.ru/storeroom/1973977528/ **შეკითხვა:** • რომელ სახვით ხერხებსა და საშუალებებს მიმართავდა ხელოვნება საზოგადოებასა და ადამიანზე ზემოქმედებისათვის სხვადასხვა ეპოქაში? **აქტივობა:** მოსწავლეებს ვაცნობთ პლაკატის ხელოვნებას საბჭოთა სააგიტაციო პლაკატის მაგალითზე; ასევე, ისინი ეცნობიან სხვადასხვა სახისა და შინაარსის	

<table>
<tr>
<td rowspan="2"></td>
<td colspan="2">პლაკატებს და მათი გაანალიზების პროცესში აცნობიერებენ პლაკატის ხელოვნების სპეციფიკას, მისთვის დამახასიათებელ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს.
შეკითხვები ანალიზისათვის:
• რით განსხვავდება სააგიტაციო პლაკატები (პოსტერები) სარეკლამო პლაკატებისგან?
• ვინ არის ამ მოწოდების სამიზნე აუდიტორია?
• რომელ მხატვრულ საშუალებებსა და ხერხებს იყენებს პლაკატი/ბილბორდი?
• რატომ უნდა იყოს პლაკატის კომპოზიცია ლაკონიური?

რეკომენდაცია:
სამუშაო პროცესში რეკომენდებულია 2 კითხვარის გამოყენება, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლე გააცნობიერებს ჩასატარებელ თუ უკვე ჩატარებულ სამუშაოს და მათი საშუალებით გამოვლინდება, რამდენად შემოქმედებითად და გაცნობიერებულად ასრულებს იგი სამუშაოს.
• I კითხვარის შევსება (იხ. მასწავლებლის წიგნი, 9. დანართი, გვ. 208);
• კითხვარის შევსებისა და მასში ჩამოთვლილი საკითხების გააზრების შემდეგ ნამუშევრის შექმნა ნებისმიერი ხერხით (ხატვა, აპლიკაცია, ციფრულ ფორმატი);
• II კითხვარის შევსება (იხ. მასწავლებლის წიგნი, 9. დანართი, გვ. 209), სამუშაო პროცესის და საკუთარი ნამუშევრის შეფასება.</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნებები:

კომპლექსური დავალება 6
ელემენტები: ფორმა: პირობითი და რეალისტური, სტილიზებული, სიბრტყობრივი და მოცულობითი, ფაქტურა.</td>
<td>საკვანძო შეკითხვები:

კომპლექსური დავალება 6
• როგორ შეიძლება გამოვიყენოთ წინარე ეპოქებში შექმნილი ნამუშევარი, ან მისი ფრაგმენტი, საკუთარი შემოქმედებითი</td>
<td>კომპლექსური დავალებები
(შუალედური სასწავლო მიზნები)</td>
</tr>
</table>

	პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, პროპორცია, წონასწორობა, სიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, მასშტაბი, ხედვის წერტილი, აქცენტი, მთავარის გამოყოფა. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:** ფერწერა, ინსტალა-ცია; ყოფითი ჟანრი, პორტრეტი. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** ხატვა, აპლიკაცია, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა. **სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასია-თებლები:** XVI და XVII სს-ის ევრო-პის ხელოვნება, XIX ს-ის ქართუ-ლი ხელოვნება, XX ს-ის ამერიკისა და ევროპის ხელოვნება; თანამედროვე ხელოვნება	მიზნებისათვის, მოვაქციოთ ის ახალ კონტექსტში, ახალი სიცოცხლე შევძინოთ და ამგვარად მივმართოთ საზოგადოებას არსებულ პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე? • რამდენად დაგვეხმარება წარსული ეპოქების მხატვრული გამოცდილების ცოდნა საკუთარი შემოქმედებითი არჩევანის გაკეთებაში? • რამდენადაა შესაძლებელი ძველი ოსტატების ნამუშევრების გამოყენება საკუთარ ნამუშევარში და ამ გზით საზოგადოებისათვის აქტუალური გზავნილის გაგზავნა? • როგორ შეიძლება შევქმნათ ნამუშევარი ე.წ. ციტაციის მეთოდის გამოყენებით?	
	კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები) **კომპლექსური დავალება 6** **ეტაპი 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** **საკვანძო შეკითხვა:** • როგორ შეიძლება შევქმნათ ნამუშევარი ე.წ. ციტაციის მეთოდის გამოყენებით?		**კომპლექსური დავალება 6** **დავალების პირობა:** შექმენით ნამუშევარი ნებისმიერი ხერხით (ნახატი, აპლიკაცია), რომელშიც გამოიყენებთ ციტაციის მეთოდს და მინიმუმ ორი ავტორის „ციტატას“ მოიხმობთ. ნამუშევარი

	• როგორ შეიძლება გამოვიყენოთ წინარე ეპოქებში შექმნილი ნამუშევარი, ან მისი ფრაგმენტი, საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის, მოვაქციოთ ის ახალ კონტექსტში, ახალი სიცოცხლე შევძინოთ და ამგვარად მივმართოთ საზოგადოებას არსებულ პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე? • რამდენად დაგვეხმარება წარსული ეპოქების მხატვრული გამოცდილების ცოდნა საკუთარი შემოქმედებითი არჩევანის გაკეთებაში? (მოტივაციის ამაღლება). **კომპლექსური დავალების არსი:** კომპლექსური დავალების არსია, მოსწავლემ შეისწავლოს, თუ რა დიდი ძალა აქვს ხელოვნებას და როგორ შეუძლია მას ზემოქმედება მოახდინოს კონკრეტულ ადამიანზე, მის ზნეობაზე, მის მსოფლმხედველობასა თუ წარმოდგენებზე. ამ კუთხით სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების შესწავლისა და გაცნობიერების შედეგად, მოსწავლე ამ დავალების შესრულებისას, თავად შეეცდება, წარსულში შექმნილი ხელოვნების ნაწარმოებების გამოყენებით, შექმნას საკუთარი ნამუშევარი და მიმართოს ნებისმიერ ადამიანს მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე, მიაწოდოს მას საკუთარი გზავნილი. მოსწავლემ ამ ნამუშევარში უნდა ასახოს საკუთარი დამოკიდებულება თავად მისთვის აქტუალური პრობლემისადმი და ამ პროცესში გამოიყენოს წარსულის გამოცდილება. **ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება** **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევასრულოთ და წარმოვადგინოთ მოცემული დავალება? **ნაბიჯი 1** **წინარე ცოდნის გააქტიურება:** მე-8 კლასის სახელმძღვანელო, გვ. 117-119. • როგორ ამათრახებდა ხელოვნება ადამიანთა საზოგადოებაში არსებულ მანკიერებებს?	წარადგინეთ კლასის წინაშე. ისაუბრეთ თქვენ მიერ დასმულ ამოცანაზე; წარმოაჩინეთ, რისი თქმა გსურდათ საზოგადოებისათვის თქვენი ნამუშევრით. **ამისათვის:** • ყურადღება მიაქციეთ, როგორ **კომპოზიციას** შექმნით ციტაციის მეთოდით; • შეარჩიეთ თქვენი კომპოზიციის **ფერი,** კოლორიტი, ცალკეული დეტალების **ფაქტურა.** • გამოიყენეთ ნებისმიერი ტექნიკა, შეგიძლიათ **დახატოთ,** თქვენივე ნახატზე **აპლიკაციის** მეთოდი გამოიყენოთ; შეგიძლიათ, თქვენი ნამუშევარი გადაიღოთ და შემდეგ კომპიუტერში დაამუშაოთ. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ:** • რა გახდა თქვენი ნამუშევრის ინსპირაცია; • რა იდეის გადმოცემა გსურდათ?

	• რომელ მხატვრებს გაიხსენებდით, ვინც საზოგადოებაში არსებულ მანკიერებებზე ამახვილებდა ყურადღებას თავის ნამუშევრებში? **ნაბიჯი 2** **რესურსი:** გვ. 125-128. **რესურსი 1:** https://www.youtube.com/watch?v=IQWg4c3vhN8&t=41s **რესურსი 2:** https://www.youtube.com/watch?v=MBN_YO1d4ZY **შეკითხვა:** • როგორ ახერხებდნენ მხატვრები თავიანთი ხელოვნებით საზოგადოებაში მორალურ-ზნეობრივი ღირებულებების დამკვიდრებას? **აქტივობა :** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, საკლასო დისკუსია, საშინაო დავალება. მოსწავლეს ვაცნობთ ინფორმაციას იმ მხატვრების შესახებ, რომლებიც თავიანთ ნამუშევრებში ამათრახებენ საზოგადოებაში არსებულ მანკიერებებს, ამხელენ ადამიანის სხვადასხვა უარყოფით თვისებას და ამით ადამიანებს, და მთელ საზოგადოებას, თითქოს სარკეში ახედებენ. მოსწავლეებს ვაანალიზებინებთ ბოშის ნამუშევარს („თივის ზიდვა“), რომელზეც ისინი აქ წარმოდგენილ ადამიანთა მრავალ უარყოფით თვისებას თავადვე აღწერენ. საბოლოოდ კი, მათ უნდა გაიაზრონ ბოშის ნამუშევრის მთავარი იდეა: ადამიანის ყველა მანკიერი თვისება თუ უღირსი საქციელი ოქროსმოყვარეობით (თივა), სიხარბითა და მომხვეჭელობით არის გამოწვეული. მოსწავლეებმა უნდა დაინახონ და გაიაზრონ, რომ ამგვარი ნამუშევრებით მხატვრები საზოგადოებაში სწორ ზნეობრივ-მორალურ ორიენტირებს ამკვიდრებენ. **ნაბიჯი 3** **რესურსი:** გვ. 128; გვ. 129-130;	• რომელი მხატვრის „ციტატები“ მოიყვანეთ თქვენს ნამუშევარში და რატომ? • რით უკავშირდება ეს ფრაგმენტები თქვენი ნამუშევრის იდეას? • რაზე გააკეთეთ მთავარი აქცენტი? • გამოიყენეთ თუ არა კომპიუტერული პროგრამა და რატომ? • ისაუბრეთ ფერის და კომპოზიციის გადაწყვეტაზე ნამუშევარში; • რა სტრატეგიები გამოიყენეთ/რა ნაბიჯები გადადგით დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; • რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას. განახორციელეთ თუ არა, საკუთარი ჩანაფიქრი, მიაღწიეთ, თუ არა მიზანს და თავად რამდენად კმაყოფილი ხართ მიღწეულით.

	შეკითხვა: • რამდენადაა შესაძლებელი ადამიანის სახის გამომეტყველების მიხედვით მისი ტიპაჟის განსაზღვრა და მისი ღირებულებების ამოკითხვა? **აქტივობა:** მოსწავლეები აანალიზებენ სხვადასხვა ნამუშევარზე წარმოდგენილ ადამიანთა სახის გამომეტყველებას და განსაზღვრავენ ამ ადამიანის ტიპაჟს. აქ აქცენტი კეთდება არა პერსონაჟის ხასიათზე, არა მის განწყობილებაზე, შინაგან სამყაროზე, არამედ, განზოგადებულ ტიპზე — ტიპაჟზე, რომლის დახასიათება შეიძლება სხვადასხვა ეპითეტით: ძუნწი, კეთილშობილი, გულგრილი, არხეინი, თაღლითი და ა.შ. ამ საკითხთან დაკავშირებით, მოსწავლეები პრაქტიკულ სამუშაოსაც ასრულებენ, რომელშიც საკუთარი გამოცდილება უნდა გამოიყენონ; ადამიანებზე დაკვირვების შედეგად, მათ საკუთარ ნამუშევარში უნდა წარმოადგინონ სხვადასხვა ტიპის ადამიანები, რომელთა დახასიათება შესაძლებელი იქნება კონკრეტული ეპითეტებით. **ნაბიჯი 4** **რესურსი:** გვ. 131-135; გვ.136-137. **შეკითხვა:** • ზემოქმედებს თუ არა ხელოვნება კონკრეტულ ადამიანზე, მის აზრებზე, განწყობილებასა და შინაგან მდგომარეობაზე? • რომელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით ზემოქმედებს ხელოვნება ადამიანზე? **აქტივობა:** მოსწავლეს ვაცნობთ ყოფითი ჟანრის ისეთ ნიმუშებს, რომლებშიც მხატვრები ცდილობენ, ყოფის მიღმა არსებულის გადმოცემას. ვერმეერის ნამუშევრების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებს ვაჩვენებთ, როგორ შეიძლება	

	ჩვეულებრივ ყოფით სცენაში მარადიული საკაცობრიო ფასეულობები ამოვიკითხოთ. ამ ნამუშევრების ანალიზისას მოსწავლეები ნათლად აცნობიერებენ, რომ ხელოვნება გვაღელვებს, გვაფიქრებს, გვიბიძგებს ვიაზროვნოთ და ჩავწვდეთ ნაწარმოების საზრისს, მისი ამოკითხვის შემდეგ კი, გავიგოთ რაღაც ახალი საკუთარი თავისა და კაცობრიობის შესახებ. ამ ტიპის ხელოვნების უკეთ წარმოსაჩენად მოსწავლეებს ვთავაზობთ, შეადარონ ვერმეერის ნამუშევრები საბჭოთა მხატვრის, ალექსანდრ ლაქტიონოვის, თემატურად და ზოგიერთი სახვითი საშუალების თვალსაზრისით, მსგავს ნამუშევარს; ამის საფუძველზე მათ შეუძლიათ შემდეგი დასკვნის გამოტანა: რომ არსებობს ოსტატურად შესრულებული ნამუშევრები, მაგრამ როდესაც მარტივი შინაარსისა და ოსტატობის მიღმა არაფერი დგას, ადამიანი ვერც ვერაფერს ამოიკითხავს. ამით განსხვავდება შედევრები ხელოვნების რიგითი ნიმუშებისაგან. წარსულის გამოცდილების შესწავლისა და გააზრების შემდეგ მოსწავლეები თავად ქმნიან ნამუშევარს ყოფით თემაზე, რომელშიც მათ უნდა ასახონ მათ მიერვე ყოველდღიურობაში აღმოჩენილი განსაკუთრებული მღელვარე, ემოციური თუ ლირიკული და მშვიდი მომენტები, ყოველდღიურობის ასახვისას ისინი უნდა შეეცადონ, რომ მათი ნამუშევრის მიღმა გარკვეული საზრისი იკითხებოდეს, რისთვისაც მათ შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები უნდა შეარჩიონ. **რესურსი 1:** http://tiny.cc/ggvupz **რესურსი 2:** https://www.youtube.com/watch?v=jwngxhoOTK0 **შეკითხვები მსჯელობისათვის:** • რა შეიძლება შეგვმატოს პირადად ჩვენ ერთი ნამუშევრის საზრისის ამოკითხვამ? • რა განაპირობებს ნამუშევრის ადამიანზე ძლიერი ზემოქმედების უნარს?	

	ნაბიჯი 5 **რესურსი:** გვ. 138-141; **რესურსი 1:** https://www.nationalgallery.org.uk/artists/artemisia-gentileschi **შეკითხვა:** • როგორი დამოკიდებულება ჰქონდა საზოგადოებას ქალი მხატვრების მიმართ და როგორ შეიცვალა ის ეპოქების ცვლის კვალად? • რა როლს ასრულებენ დღეს შემოქმედი ქალები საზოგადოების ცხოვრებაში? **აქტივობა:** მოსწავლეებს ვაცნობთ ხელოვანი ქალების, მათი შემოქმედების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას სხვადასხვა ეპოქაში. მოსწავლეებს ვაცნობთ, თუ როგორ იმკვიდრებდნენ ისინი საკუთარ ადგილს ხელოვნების სფეროში საუკუნეების განმავლობაში, ვუყვებით მათი ცხოვრების გზის შესახებ და ისინი აანალიზებენ მათ ნამუშევრებს. ამ ანალიზის შედეგად მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ქალების შემოქმედება ისეთივე თვითკმარი და ოსტატურია, როგორც მამაკაცების; რომ ქალებსაც ბევრი რამ აქვთ სათქმელი კონკრეტული ადამიანისა თუ მთელი საზოგადოებისათვის და მათ საკუთარი წვლილი შეაქვთ თანამედროვე კულტურის განვითარებაში. **კითხვა მსჯელობისათვის:** • შეიძლება თუ არა გავარჩიოთ ქალი და მამაკაცი მხატვრების ნამუშევრები ერთმანეთისაგან? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება. **რესურსი 2:** **ელენე ახვლედიანი** https://www.youtube.com/watch?v=V8TxarhV9jc https://www.youtube.com/watch?v=V8TxarhV9jc	

	რესურსი 3: ნათელა იანქოშვილი https://www.youtube.com/watch?v=U3irivk_ftY **რესურსი 4:** ქეთი მატაბელი https://www.youtube.com/watch?v=ElS1nFzpCJs **ნაბიჯი 6** **რესურსი:** გვ. 1142-143. **შეკითხვები:** • შესაძლებელია თუ არა ხელოვნების საშუალებით გადმოვცეთ საკუთარი დამოკიდებულება მოვლენის, საკითხისა თუ პრობლემის მიმართ? • რამდენადაა შესაძლებელი ძველი ოსტატების ნამუშევრების გამოყენება საკუთარ ნამუშევარში და ამ გზით საზოგადოებისათვის აქტუალური გზავნილის გაგზავნა? **აქტივობა:** საუბარი, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, შედარებითი ანალიზი. **წინარე ცოდნის გააქტიურება:** **რესურსი 1:** მე-8 კლასის სახლმძღვანელო, გვ. 90-94; გვ. 95-96. **რესურსი 2:** http://www.nobleoceans.com/artists/2017/4/4/pablo-picasso-the-many-iterations-of-las-meninas **რესურსი 3:** https://www.pablopicasso.org/las-meninas.jsp **აქტივობა:** მოსწავლეებს ვაცნობთ ე.წ. ციტაციის მეთოდს, რომელიც ფართოდაა გავრცელებული XX საუკუნის ხელოვნებაში; ვუხსნით მის არსს და საშუალებებს. ისინი აანალიზებენ ამ მეთოდით სხვადასხვა მხატვრის მიერ	

	შექმნილ ნამუშევრებს და აცნობიერებენ, რომ შესაძლებელია წარსულის ხელოვნების ცალკეული სახე-ხატებისა თუ ფრაგმენტების გამოყენება საკუთარ ნამუშევარში, მათი ახალ კონტექსტში ჩასმა, მათთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭება და მათი საშუალებით მნახველისა თუ საზოგადოებისათვის აზრის მიწოდება. **რესურსი 4.** https://www.pinterest.com/pin/295196950580576184/ **რესურსი 5:** https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/3/31/Piero_della_Francesca_-_8._Battle_between_Heraclius_and_Chosroes_%28detail%29_-_WGA17562.jpg **რესურსი 6.** https://www.idesign.wiki/giorgio-de-chirico-1888-1978/ **რესურსი 7:** https://en.wikipedia.org/wiki/Infanta_Margarita_Teresa_in_a_Pink_Dress#/media/File:Diego_Vel%C3%A1zquez_026.jpg **რესურსი 8:** https://www.fiume.org/en/project/the-hypotheses/ **კითხვა მსჯელობისათვის:** • რატომ იყენებენ ე.წ. ციტაციის მეთოდს XX საუკუნის ხელოვანები? • რა პრინციპებს იყენებენ თანამედროვე მხატვრები ციტაციის მეთოდის შემთხვევაში?	

კომპლექსური დავალება 5.
III თავი.
გაკვეთილი 34. ის, რაც მაღელვებს
ნამუშევრის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

საგანი: „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“, IX კლ.

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

ქვეცნებები:

ელემენტები: ფორმა: გეომეტრიული, ორგანული; სიბრტყობრივი და მოცულობითი, პირობითი და რეალისტური, სტილიზებული.

ფერი: კონტრასტული; ხაზი: სხვადასხვა ტიპის; ფაქტურა; განათება: რბილი.

პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, მთავარის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კოლორიტი, მასშტაბი, ხედვის წერტილი, აქცენტი.

დარგები და ჟანრები: არქიტექტურა, ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა, ინსტალაცია, ყოფითი ჟანრი, პორტრეტი.

სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები: შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ხელოვნება (გოთიკა), შუა საუკუნეების ჩინური, ისლამური და ქართული ხელოვნება, XVI-XVII სს-ის ევროპის ხელოვნება, XIX ს-ის ქართული ხელოვნება, XX ს-ის ამერიკისა და ევროპის ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება, საბჭოთა ხელოვნება.
სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა.

კომპლექსური დავალება 5. I ეტაპი — ნამუშევრის შექმნა

კომპლექსური დავალების პირობა: შექმენით ბილბორდი/პლაკატი თქვენი ქალაქის, უბნის ან სოფლისათვის, რომლითაც მიმართავთ საზოგადოებას და თქვენი აზრით მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებულ გზავნილს მიაწვდით.

კრიტერიუმი — სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**	**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები**

აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს, საკუთარ პირად გამოცდილებას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე გააზრებულად ქმნის ბილბორდს/პლაკატს --- მნიშვნელოვან გზავნილს მისი ქალაქის/სოფლის მოსახლეობისთვის, მათთვის საჭირბოროტო საკითხზე. მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს შემოქმედებითად იყენებს ბილბორდის/პლაკატის იდეის გადმოსაცემად (ფორმა: გეომეტრიული, ორგანული, სიბრტყობრივი და მოცულობითი, პირობითი და რეალისტური, სტილიზებული. ფერი: კონტრასტული; ხაზი: სხვადასხვა ტიპის; ფაქტურა; განათება: რბილი. კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, მთავარის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კოლორიტი, მასშტაბი, ხედვის წერტილი, აქცენტი). ძირითადი სათქმელის ლაკონიურად გადმოსაცემად, შემოქმედებითად იყენებს ჟანრის თავისებურებებს/შესაძლებლობებს და შესაბამის ტექნიკას (ნახატი, აპლიკაცია, ციფრული ნამუშევარი). ბილბორდის/პლაკატის შესაქმნელად, შემოქმედებითად იყენებს რომელიმე ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების მხატვრულ მახასიათებლებს. პირად გამოცდილებას უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას. მოსწავლის ნამუშევარში ჩანს მისეული ხედვა, ეფექტური, ორიგინალური მიდგომა. მოსწავლე მიზანმიმართულად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს საკუთარი გზავნილისთვის, იდეებისა და მოსაზრებების უკეთ წარმოსაჩენად.			
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ბილბორდში/პლაკატში, საზოგადოებისადმი საკუთარი გზავნილის უკეთ წარმოსაჩენად და იდეის გადმოსაცემად, ძირითადად, შემოქმედებითად იყენებს გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ბილბორდში/ პლაკატში, საზოგადოებისადმი საკუთარი გზავნილის უკეთ წარმოსაჩენად და იდეის გადმოსაცემად, ძირითადად, შემოქმედებითად იყენებს შესაბამის მასალასა და ტექნიკას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, საზოგადოებისადმი საკუთარი გზავნილის უკეთ წარმოსაჩენად და ძირითადი სათქმელის ლაკონიურად გადმოსაცემად, ძირითადად, იყენებს ჟანრის თავისებურებებს/შესაძლებლობებს.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ბილბორდში/პლაკატში, საზოგადოებისადმი საკუთარი გზავნილის უკეთ წარმოსაჩენად და იდეის გადმოსაცემად, ძირითადად, შემოქმედებითად იყენებს რომელიმე ეპოქის/ კულტურის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების მხატვრულ მახასიათებლებს.

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ბილბორდში/პლაკატში, საზოგადოებისადმი საკუთარი გზავნილის უკეთ წარმოსაჩენად და იდეის გადმოსაცემად, ნაწილობრივ და უსისტემოდ იყენებს გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ბილბორდში/პლაკატში, საზოგადოებისადმი საკუთარი გზავნილის უკეთ წარმოსაჩენად და იდეის გადმოსაცემად, ნაწილობრივ და უსისტემოდ იყენებს შესაბამის მასალასა და ტექნიკას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, საზოგადოებისადმი საკუთარი გზავნილის უკეთ წარმოსაჩენად და ძირითადი სათქმელის ლაკონიურად გადმოსაცემად, ნაწილობრივ იყენებს ჟანრის თავისებურებებს/შესაძლებლობებს.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ბილბორდში/პლაკატში, საზოგადოებისადმი საკუთარი გზავნილის უკეთ წარმოსაჩენად და იდეის გადმოსაცემად, ნაწილობრივ იყენებს რომელიმე ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების მხატვრულ მახასიათებლებს.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ბილბორდში/ პლაკატში, საზოგადოებისადმი საკუთარი გზავნილის უკეთ წარმოსაჩენად და იდეის გადმოსაცემად, ძირითადად, გაუაზრებლად იყენებს გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ბილბორდში/პლაკატში, საზოგადოებისადმი საკუთარი გზავნილის უკეთ წარმოსაჩენად და იდეის გადმოსაცემად, ძირითადად, გაუაზრებლად იყენებს ტექნიკას და მასალას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, საზოგადოებისადმი საკუთარი გზავნილის უკეთ წარმოსაჩენად და ძირითადი სათქმელის ლაკონიურად გადმოსაცემად, გაუაზრებლად იყენებს ჟანრის თავისებურებებს/შესაძლებლობებს.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ბილბორდში/პლაკატში, საზოგადოებისადმი საკუთარი გზავნილის უკეთ წარმოსაჩენად და იდეის გადმოსაცემად, ძირითადად, გაუაზრებლად იყენებს რომელიმე ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების მხატვრულ მახასიათებლებს.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლის მიერ დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული.			

კომპლექსური დავალება 5.
III თავი
გაკვეთილი 34. ის, რაც მაღელვებს
პრეზენტაციის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

საგანი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, IX კლ.

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

ქვეცნებები:

ელემენტები: ფორმა: გეომეტრიული, ორგანული; სიბრტყობრივი და მოცულობითი, პირობითი და რეალისტური, სტილიზებული. ფერი: კონტრასტული.

პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, მთავარის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კოლორიტი, მასშტაბი.

დარგები და ჟანრები: არქიტექტურა, ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა. პორტრეტი.

სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები: შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ხელოვნება (გოთიკა), საბჭოთა ხელოვნება, შუა საუკუნეების ჩინური, ისლამური და ქართული ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა.

კომპლექსური დავალება 5. II ეტაპი — პრეზენტაცია

კომპლექსური დავალების პირობა: შექმენით ბილბორდი/პლაკატი თქვენი ქალაქის, უბნის ან სოფლისათვის, რომლითაც მიმართავთ საზოგადოებას და თქვენი აზრით მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებულ გზავნილს მიაწვდით.

კრიტერიუმი — სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**	**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები**
აბსტრაქტული დონე	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე თანაკლალასელთა წინაშე წარადგენს მის მიერ შექმნილ ბილბორდს/პლაკატს ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით. საუბრობს მისი გზავნილის მთავარ აზრზე,			

მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალი-ზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	იდეაზე, რომელიც საკუთარი ქალაქისა თუ სოფლის საჭირბოროტო საკითხებისკენაა მიმართული. საუბრობს საკუთარ დამოკიდებულებაზე, თუ რისი თქმა სურდა ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობისთვის. რა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები გამოიყენა ბილბორდის/პლაკატის იდეის გადმოსაცემად (ფორმა: გეომეტრიული, ორგანული; სიბრტყობრივი და მოცულობითი, პირობითი და რეალისტური, სტილიზებული. ფერი: კონტრასტული; ხაზი: სხვადასხვა ტიპის; ფაქტურა; განათება: რბილი. კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, მთავარის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კოლორიტი, მასშტაბი, ხედვის წერტილი, აქცენტი). ძირითადი სათქმელის ლაკონიურად გადმოსაცემად, რა მასალა და ტექნიკა შეარჩია და რატომ. ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებებს (ნახატი, აპლიკაცია, ციფრული ნამუშევარი). ამ ჟანრის ნამუშევრების უპირატესობაზე — სწრაფად და ლაკონიურად მიაწოდოს გზავნილი საზოგადოებას. საუბრობს სხვადასხვა დროს — განსხვავებულ ეპოქებში ხელოვნების განსხვავებულ მიზნებზე და როგორ შეუძლია ზემოქმედება თანამედროვე ეპოქაში ხელოვნებას საზოგადოებაზე, ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს. ნამუშევრის წარდგენისას, აუდიტორიასთან ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას, არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას მიმიკის, ჟესტიკულაციისა და ინტონაციის გამოყენებით. ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს. მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე. საუბრობს გამართულად, დამაჯერებლად, იყენებს შესაბამის რელევანტურ ტერმინოლოგიას ბილბორდის/პლაკატის წარდგენისას.			
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს მის მიერ გამოყენებულ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების არსობრივ	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს მის მიერ გამოყენებულ სახვითი ხელოვნების ტექნიკაზე, არსობრივ მახასიათებლებზე და იმაზე, თუ ეს	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს, თუ როგორ ახდენდა ზემოქმედებას სხვადასხვა ეპოქაში ხელოვნების სხვადასხვა დარგი (არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება,	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს, სხვადასხვა დროს — განსხვავებულ ეპოქებში ხელოვნების განსხვავებულ მიზნებზე და იმაზე, თუ როგორ შეუძლია ზემოქმედება თანამედროვე

	მახასიათებლებზე და იმაზე, თუ ეს მახასი-ათებლები როგორ არის ურთიერთდაკავშირებული, გამოყენებული ბილ-ბორდში/პლაკატში იდეის გამოსახატავად. ნაწი-ლობრივ ხსნის, თუ როგორ იყენებს გამომსახვე-ლობით საშუალებებსა და ხერხებს ბილბორდში/პლა-კატში საკუთარი ქა-ლაქის/სოფლის საზოგადოებისთვის გზავნილის შესაქმნელად. წარდგენისას, აუდიტორიასთან ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და ყურადღებას ამახვილებს არსებით საკითხებზე.	მახასიათებლები როგორ არის ურთიერთდაკავში-რებული, გამოყენებული შემოქმედებითი ამოცანის, იდეის შესაბა-მისად. ნაწილობრივ ხსნის, თუ როგორ იყენებს სახვითი ხელოვნების ტექნიკას, მასალას ბილბორ-დში/პლაკატში საკუთარი ქალაქის/სოფლის საზო-გადოებისთვის გზავ-ნილის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენისას, აუდი-ტორიასთან ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და ყურადღებას ამახვი-ლებს არსებით საკითხებზე.	გრაფიკა) საზოგადოებაზე. ამ ჟანრის ნამუშევრების უპირატესობაზე — სწრაფად და ლაკონიურად მიაწოდოს გზავნილი. გამოკვეთს მიმართებებს. ასაბუთებს თავის მოსაზრებას. ნამუშევრის წარდგენისას, აუდიტორიასთან ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და ყურადღებას ამახვილებს არსებით საკითხებზე.	ეპოქაში ხელოვნებას საზოგადოებაზე, მოყავს ზოგადი მაგალითები.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა	მოსწავლე ზოგადად საუბრობს გამოყენებულ სახვით საშუალებებზე სტილიზაციის შესახებ, თუ რისი გამოხატვა სურს ციტატების საშუალებით, ასახელებს რამდენიმე	მოსწავლე ზოგადად საუბრობს გამოყენებულ ტექნიკაზე, ასახელებს რამდენიმე მასალას და ტექნიკას. შეუძლია რამდენიმე მახასიათებელსა და თვისებაზე საუბარი.	მოსწავლე ზოგადად საუბრობს ამ ჟანრის ნამუშევრების უპირატესობაზე — სწრაფად და ლაკონიურად მიაწოდოს გზავნილი. მხოლოდ ნაწილობრივ იცავს მათ	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ნაწილობრივ მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს სხვადასხვა დროს — განსხვავებულ ეპოქებში

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მხატვრულ-გამომსახვ-ელობით საშუალებასა და ხერხს, მხოლოდ ნაწი-ლობრივ იცავს მათ შორის მიმართებებს. მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს კომუნიკაციას აუდიტორი-ასთან, ძირითადად იყენებს ვერბალური და კომუნიკაციის ფორმას.	მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს კომუნიკაციას აუდიტორიასთან, იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.	შორის მიმართებებს. მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს კომუნიკაციას აუდიტორიასთან, იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.	ხელოვნების განსხვავებულ მიზნებზე და იმაზე, თუ როგორ ზემოქმედებს ხელოვნება საზოგადოებაზე თანამედროვე ეპოქაში.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლე ნაწილობრივ საუბრობს მის მიერ შერჩეულ და გამოყენებულ რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებასა და ხერხზე. მოსწავლე ვერ ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას აუდიტორიასთან.	მოსწავლე ნაწილობრივ საუბრობს მის მიერ შერჩეულ და გამოყენებულ ერთ ტექნიკაზე. მოსწავლე ვერ ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას აუდიტორიასთან.	მოსწავლე ნაწილობრივ საუბრობს მის მიერ შერჩეული ჟანრის მხოლოდ ერთ მახასიათებელზე. მოსწავლე ვერ ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას აუდიტორიასთან.	მოსწავლე ნაწილობრივ საუბრობს სხვადასხვა დროს — განსხვავებულ ეპოქებში ხელოვნების განსხვავებულ მიზნებზე და იმაზე, თუ როგორ ზემოქმედებს ხელოვნება საზოგადოებაზე თანამედროვე ეპოქაში.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლის მიერ დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული.			

კომპლექსური დავალება 6
III თავი
გაკვეთილი 40. ციტაცია
ნამუშევრის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

საგანი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, IX კლ.

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

ქვეცნებები:

ელემენტები: ფორმა: პირობითი და რეალისტური, სტილიზებული, სიბრტყობრივი და მოცულობითი, ფაქტურა.

პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, პროპორცია, წონასწორობა, სიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, მასშტაბი, ხედვის წერტილი, აქცენტი, მთავარის გამოყოფა.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები: ფერწერა, ინსტალაცია; ყოფითი ჟანრი, პორტრეტი.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხატვა, აპლიკაცია, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა.

სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები: XVI და XVII სს-ის ევროპის ხელოვნება, XIX ს-ის ქართული ხელოვნება, XX ს-ის ამერიკისა და ევროპის ხელოვნება; თანამედროვე ხელოვნება.

კომპლექსური დავალება 6: I ეტაპი - ნამუშევრის შექმნა

კომპლექსური დავალების პირობა: შექმენით ნამუშევარი ნებისმიერი ხერხით (ნახატი, აპლიკაცია), რომელშიც გამოიყენებთ ციტაციის მეთოდს და მინიმუმ ორი ავტორის „ციტატას“ მოიხმობთ. ნამუშევარი წარადგინეთ კლასის წინაშე. ისაუბრეთ თქვენ მიერ დასმულ ამოცანაზე; წარმოაჩინეთ, რისი თქმა გსურდათ საზოგადოებისათვის თქვენი ნამუშევრით.

კრიტერიუმი — სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**	**სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები**

აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზ-ების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ციტაციის მეთოდის გამოყენებით, შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად, ქმნის ნამუშევარს. მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული დავალების არსი. ნამუშევრში გამოყენებულია ორი/რამდენიმე ნამუშევრის ფრაგმენტები/ნამუშევარი, რომლებიც აზრობრივადაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ნამუშევრის მთლიან კონცეფციასთან. კომპოზიცია შექმნილია ციტაციის მეთოდით და მასში მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები (კომპოზიციური განაწილება, პროპორცია, წონასწორობა, სიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, მასშტაბი, ხედვის წერტილი, აქცენტი, მთავარის გამოყოფა) და ტექნიკა გამოყენებულია ზედმიწევნით ადეკვატურად და შემოქმედებითად. შერჩეულია შესაბამისი კოლორიტი, გამოსახულია ცალკეული დეტალების ფაქტურა. წინარე ეპოქებში შექმნილი ნამუშევარი/ფრაგმენტი, საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის და საკუთარი იდეისა თუ დამოკიდებულების გამოსახატავად, გააზრებულად და შემოქმედებითადაა გამოყენებული. ნამუშევრის ჟანრი იდეის შესაბამისადაა შერჩეული. მოსწავლის ნამუშევარში ჩანს მისეული ხედვა, ეფექტური, ორიგინალური მიდგომა, მოსწავლე მიზანმიმართულად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს საკუთარი იდეების, მოსაზრებების უკეთ წარმოსაჩენად.			
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ძირითადად, ციტაციის მეთოდის გამოყენებით და შემუშა-ვებული კონცეფციის შესაბამისად, ქმნის ნამუ-შევარს. მოსწავლეს ესმის დავალების არსი. მხატვრულ-გამომსახვე-ლობითი საშუალებები და ხერხები ძირითადად შემოქმედებითადაა გამოყენებული საკუთარი იდეის, საზოგა-დოებისადმი გზავნილისა თუ დამოკიდებულების გამოსახატავად.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ციტაციის მეთოდის გამოყენებით ძირითადად შემოქმედებითად იყენებს სახვითი ხელოვნების ტექნიკას (ნახატი, აპლიკაცია) და მასალას იდეის, საზოგადოე-ბისადმი გზავნილისა თუ დამოკიდებულების გამოსახატავად.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ძირითადად გააზრებულად ირჩევს ჟანრს ციტაციის მეთოდის გამოყენებით, საკუთარი იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ციტაციის მეთოდის გამოყენებით, წინარე ეპოქებში შექმნილ ნამუშევარს/ფრაგმენტს, ძირითადად, საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის და საკუთარი იდეისა თუ დამოკიდებულების გამოსახატავად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს.

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ციტაციის მეთოდის გამოყენებით, ნამუშევარში იყენებს რამდენიმე სახვით საშუალებას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ციტაციის მეთოდის გამოყენებით, ნამუშევარში იყენებს განსაზღვრულ/შეზღუდულ ტექნიკასა და მასალას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ციტაციის მეთოდის გამოყენებით ირჩევს ჟანრს, რომელიც ნაწილობრივ ადეკვა-ტურია/ შეესაბამება იდეისა თუ დამოკიდე-ბულების გადმოსაცემად.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ციტაციის მეთოდის გამოყენებით, წინარე ეპოქებში შექმნილ ნამუშევარს/ფრაგმენტს, საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის და საკუთარი იდეისა თუ დამოკიდებულების გამოსახატავად, ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტუ-რირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ციტაციის მეთოდის გამოყენებით, ნამუშევარში გაუცნობიერებლად იყენებს რამდენიმე სახვით საშუალებას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ციტაციის მეთოდის გამოყენებით, ნამუშევარში უსისტემოდ იყენებს განსაზღვრულ/შეზღუდულ ტექნიკასა და მასალას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე გაუცნობიერებლად ირჩევს ჟანრს იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ციტაციის მეთოდის გამოყენებით, წინარე ეპოქებში შექმნილ ნამუშევარს/ფრაგმენტს საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის და საკუთარი იდეისა თუ დამოკიდებულების გამოსახატავად, ძირითადად, გაუზრებლად იყენებს.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლის მიერ დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული.			

კომპლექსური დავალება 6
III თავი
გაკვეთილი 40. ციტაცია
პრეზენტაციის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

საგანი: „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“, IX კლ.

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

ქვეცნებები:

ელემენტები: ფორმა: პირობითი და რეალისტური, სტილიზებული, სიბრტყობრივი და მოცულობითი, ფაქტურა.

პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, პროპორცია, წონასწორობა, სიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, მასშტაბი, ხედვის წერტილი, აქცენტი, მთავარის გამოყოფა.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები: ფერწერა, ინსტალაცია, ყოფითი ჟანრი, პორტრეტი.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხატვა, აპლიკაცია, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა.

სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები: XVI და XVII სს-ის ევროპის ხელოვნება, XIX ს-ის ქართული ხელოვნება, XX ს-ის ამერიკისა და ევროპის ხელოვნება; თანამედროვე ხელოვნება.

კომპლექსური დავალება 6. II ეტაპი — პრეზენტაცია

კომპლექსური დავალების პირობა: შექმენით ნამუშევარი ნებისმიერი ხერხით (ნახატი,აპლიკაცია), რომელშიც გამოიყენებთ ციტაციის მეთოდს და მინიმუმ ორი ავტორის „ციტატას“ მოიხმობთ. ნამუშევარი წარადგინეთ კლასის წინაშე. ისაუბრეთ თქვენ მიერ დასმულ ამოცანაზე. წარმოაჩინეთ, რისი თქმა გსურდათ საზოგადოებისათვის თქვენი ნამუშევრით.

კრიტერიუმი — სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**	**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები**

აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე თანაკლასელთა წინაშე წარადგენს ციტაციის მეთოდის გამოყენებით შექმნილ ნამუშევარს ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით. საუბრობს, თუ რა გახდა მისი ნამუშევრის შექმნის ინსპირაციის წყარო, თუ როგორ გამოიყენა წინარე ეპოქებში შექმნილი ნამუშევარი/ფრაგმენტი საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის, მოაქცია ის ახალ კონტექსტში, ახალი სიცოცხლე შესძინა და ამგვარად მიმართა საზოგადოებას, რატომ შეარჩია ამა თუ იმ ავტორის/ავტორების ამ ჟანრის ნამუშევარი/ნამუშევრები და რა იდეის გადმოცემა სურდა ნამუშევარში, როგორ გამოიყენა წარსულის გამოცდილება საკუთარი დამოკიდებულების გადმოსაცემად, აქტუალურ პრობლემასთან დაკავშირებთ და რისი თქმა სურდა საზოგადოებისათვის ამ ნამუშევრით. რა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები გამოიყენა ნამუშევრის იდეასთან შერჩეული ფრაგმენტების დასაკავშირებლად. ნამუშევრის წარდგენისას, აუდიტორიასთან ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას, არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას მიმიკის, ჟესტიკულაციისა და ინტონაციის გამოყენებით. ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს. მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე. საუბრობს გამართულად, დამაჯერებლად, იყენებს შესაბამის რელევანტურ ტერმინოლოგიას პრაქტიკული ნამუშევრის წარდგენისას.			
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს მის მიერ გამოყენებულ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების არსობრივ მახასიათებლებზე და იმაზე, თუ როგორ არის ეს	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს მის მიერ გამოყენებულ სახვითი ხელოვნების ტექნიკაზე, არსობრივ მახასიათებლებზე და იმაზე, თუ როგორ არის ეს მახასიათებლები ურთიერთდაკავშირებული,	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს მის მიერ შერჩეულ ჟანრზე, ნაწილობრივ ხსნის, თუ როგორ იყენებს ჟანრს, რას ეტყვის	კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს, თუ როგორ გამოიყენა წინარე ეპოქებში შექმნილი ნამუშევარი/ფრაგმენტი საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის, მოაქცია ის ახალ კონტექსტში, ახალი სიცოცხლე შესძინა და

	მახასიათებლები ურთიერთდაკავშირებული, გამოყენებული შემოქმედებითი ამოცანის, იდეის გამოსახატავად. ნაწილობრივ ხსნის, თუ როგორ იყენებს გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს და რას ეტყვის საზოგადოებას ციტატების საშუალებით. ნამუშევრის წარდგენისას, აუდიტორიასთან ძირითადად ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და ყურადღებას ამახვილებს არსებით საკითხებზე.	გამოყენებული შემოქმედებითი ამოცანის, იდეის შესაბამისად. ნაწილობრივ ხსნის, თუ როგორ იყენებს სახვითი ხელოვნების ტექნიკას, მასალას და რას ეტყვის საზოგადოებას ციტატების საშუალებით. ნამუშევრის წარდგენისას, აუდიტო-რიასთან ძირითადად ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და ყურადღებას ამახვილებს არსებით საკითხებზე.	საზოგადოებას ციტატების საშუალებით. არსობრივ მახასიათებლებზე გამოკვეთს მიმართებებს. ასაბუთებს თავის მოსაზრებას. ნამუშევრის წარდგენისას, აუდიტორიასთან ძირითადად ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და ყურადღებას ამახვილებს არსებით საკითხებზე.	ამგვარად მიმართა საზოგადოებას არსებულ პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ნამუშევრის წარდგენისას, აუდიტორიასთან ძირითადად ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და ყურადღებას ამახვილებს არსებით საკითხებზე.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლე ძალიან ზოგადად საუბრობს გამოყენებულ სახვით საშუალებებზე, სტილიზაციის შესახებ. თუ რისი გამოხატვა სურს ციტატების საშუალებით, ასახელებს რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებასა და ხერხს,	მოსწავლე ძალიან ზოგადად საუბრობს გამოყენებულ ტექნიკაზე, ასახელებს რამდენიმე მასალას და ტექნიკას. შეუძლია რამდენიმე მახასიათებელსა და თვისებაზე საუბარი. მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს აუდიტორიასთან კომუნიკაციას, იშვიათად	მოსწავლე ძალიან ზოგადად საუბრობს მის მიერ შერჩეული სურათის ჟანრზე, მხოლოდ ნაწილობრივ იცავს მათ შორის მიმართებებს. მოსწავლე ნაწილობრივ	მოსწავლე ძალიან ზოგადად საუბრობს, თუ როგორ გამოიყენა წინარე ეპოქებში შექმნილი ნამუშევარი/ფრაგმენტი. მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს აუდიტორიასთან კომუნიკაციას, იშვიათად იყენებს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.

	მხოლოდ ნაწილობრივ იცავს მათ შორის მიმართებებს. მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს კომუნიკაციას აუდიტორი-ასთან, იშვიათად იყენებს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.	იყენებს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.	ამყარებს აუდიტორი-ასთან კომუნიკაციას, იშვიათად იყენებს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.	
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლე ნაწილობრივ საუბრობს მის მიერ შერჩეულ და გამოყენებულ რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებასა და ხერხზე. მოსწავლე ვერ ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას აუდიტორიასთან.	მოსწავლე ნაწილობრივ საუბრობს მის მიერ შერჩეულ და გამოყენებულ ერთ ტექნიკაზე. მოსწავლე ვერ ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას აუდიტორიასთან.	მოსწავლე ნაწილობრივ საუბრობს მის მიერ შერჩეული ჟანრის მხოლოდ ერთ მახასიათებელზე. მოსწავლე ვერ ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას აუდიტორიასთან.	მოსწავლე ნაწილობრივ საუბრობს, თუ როგორ გამოიყენა წინარე ეპოქებში შექმნილი ნამუშევარი/ფრაგმენტი. მოსწავლე ვერ ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას აუდიტორიასთან.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლის მიერ დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული.			

თემატური ბლოკი 2: საზოგადოება და ხელოვნება

თავი IV. მე და ხელოვნება — ხელოვნებასთან ზიარების გზები

41. ესტატეს ნადირობა 146

42. გამოფენა და მისი კონცეფცია 151

43. ჩვენი გამოფენა კონცეფციის მიხედვით* 155

44. თბილისი — კულტურათა გზაჯვარედინი 157

45. თეატრის ჯადოსნური სამყარო 161

46. თეატრალური პერსონაჟი 165

47. ისტორიული და თანამედროვე ინტერიერი 167

48. თანამედროვე ინტერიერის ესკიზი 171

49. ვაფორმებთ სპექტაკლს* 172

IV თავის თემატური ბლოკის მატრიცა

თემატური ბლოკი : ხელოვნება და საზოგადოება.
თემა: მე და ხელოვნება — ხელოვნებასთან ზიარების გზები
საათების რაოდენობა: 10+2

ქვეცნებები:
ელემენტები:
ფორმა: რეალისტური და პირობითი;
ფერი: ცივი, თბილი, კონტრასტული;
ხაზი: სხვადასხვა ტიპის;
ფაქტურა.
პრინციპები:
რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, პროპორცია/დისპროპორცია.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:
ქანდაკება (მრგვალი, რელიეფი), მცირე პლასტიკა, კედლის მხატვრობა, წიგნის მინიატურა, ჭედურობა, ინსტალაცია, ობიექტი, ვიდეოარტი, არქიტექტურა, თეატრის მხატვრობა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (ავეჯი, ინტერიერის აქსესუარები).

სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:
XIX ს-ის ქართული არქიტექტურა, ანტიკური საბერძნეთის არქიტექტურა, იაპონური არქიტექტურა, XX ს-ის ქართული თეატრის მხატვრობა, XXI ს-ის მსოფლიო თეტრალური მხატვრობა, რენესანსის, ბაროკოს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, იაპონური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხატვა, აპლიკაცია.

თემატური მკვიდრი წარმოდგენები:
- ხელოვნებასთან ზიარება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია;
- ხელოვნებასთან ზიარება სხვადასხვა გზით შეიძლება;
- ხელოვნების კვლევა მასთან ზიარების ერთ-ერთი გზაა;
- სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მიზანმიმართული გამოყენებით ადამიანზე, საზოგადოებაზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა და ამით მისი ხელოვნებასთან ზიარება არის შესაძლებელი.

თემატური საკვანძო შეკითხვები: • არის თუ არა ხელოვნება უნივერსალური ენა, რომელიც ადამიანებს შორის ურთიერთობის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს? • რა გზებით შეიძლება ხელოვნებასთან ზიარება? • როგორ ვეზიაროთ ხელოვნებას კვლევის გზით? • შესაძლებელია თუ არა სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მიზანმიმართული გამოყენებით ადამიანზე, საზოგადოებაზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა და ამით მისი ხელოვნებასთან ზიარება?			
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები *(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)*	**ქვეცნებები:** **კომპლექსური დავალება 7** **ელემენტები:** შეირჩევა მიზანმიმართულად მოსწავლის მიერ. **პრინციპები:** შეირჩევა მიზანმიმართულად მოსწავლის მიერ. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:** ქანდაკება (მრგვალი, რელიეფი), მცირე პლასტიკა, კედლის მხატვრობა, წიგნის მინიატურა, ჭედურობა, ინსტალაცია, ობიექტი, ვიდეოარტი. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** შეირჩევა მიზანმიმართულად მოსწავლის მიერ. **სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**	**საკვანძო შეკითხვები:** **კომპლექსური დავალება 7** • როგორ ვეზიაროთ ხელოვნებას ერთი კონრეტული ნამუშევრის კვლევის გზით? • რატომაა მნიშვნელოვანი, რომ გამოფენას ერთიანი კონცეფცია ჰქონდეს? • როგორ ამოვიკითხოთ გამოფენის კონცეფცია და როგორ ვეზიაროთ ავტორის ჩანაფიქრს? • როგორ მიზანმიმართულად იყენებენ მხატვრები სახვით საშუალებებს საკუთარი ჩანაფიქრის მაქსიმალურად ხორცშესხმისათვის? • როგორ შეიძლება შევიმუშაოთ გამოფენის კონცეფცია და შევარჩიოთ თემა/თემები ჩვენი ნამუშევრებისათვის ამ კონცეფციის ფარგლებში და რომელი მხატვრული	**კომპლექსური დავალებები** *(შუალედური სასწავლო მიზნები)*

	წინაქრისტიანული ხანის ქართული ხელოვნება, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება, თანამედროვე ქართული ხელოვნება.	საშუალებები გამოვიყენოთ ნამუშევრის შესაქმნელად?	
1. სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) *(შედეგები: ს.გ.სან.1, 2, 3, 4)* • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს; • სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასებისას. **2.სახვითი ხელოვნების ტექნიკა** ***(შედეგები: ს.გ.სან.1, 2, 3, 4)*** • ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად; • კაცობრიობის განვითარებასთან ერთად	**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (რესურსები, შეკითხვები, აქტივობები) **კომპლექსური დავალება 7** **ეტაპი** 1**. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** **საკვანძო შეკითხვა:** • რატომაა მნიშვნელოვანი, რომ გამოფენას ერთიანი კონცეფცია ჰქონდეს? **კომპლექსური დავალების არსი:** კომპლექსური დავალების არსი ისაა, რომ მოსწავლემ გააცნობიეროს ერთიანი კონცეფციის არსებობა მნიშვნელოვანი გამოფენისათვის. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ ცალკეული ნამუშევრების საგამოფენო სივრცეში გამოფენა, რა თქმა უნდა, შესაძლებელი და მისაღებია, მაგრამ, როდესაც ნამუშევრები ერთიანი იდეითაა შეკრული და მნახველს ერთი თემის სხვადასხვა რაკურსით დანახვის საშუალებას აძლევს, ეს მეტად უბიძგებს მნახველს, იაზროვნოს ერთი თემის/საკითხის/პრობლემის ფარგლებში და საბოლოოდ, საკუთარი დამოკიდებულება გამოიმუშაოს მის მიმართ. **ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება** **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევასრულოთ და წარმოვადგინოთ მოცემული დავალება?	**კომპლექსური დავალების პირობა:** **კომპლექსური დავალება 7** მოაწყვეთ გამოფენა თქვენ მიერ წინასწარ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით: 1. მოიფიქრეთ თქვენი გამოფენის კონცეფცია; 2. თქვენი პორტფოლიოდან შეარჩიეთ ან შექმენით თქვენი კონცეფციის შესაბამისი ახალი ნამუშევრები. 3. მოაწყვეთ საერთო გამოფენა, რომელშიც თითოეულ თქვენგანს საკუთარი კუთხე ექნება და ამ კუთხეში წარმოადგინეთ თქვენი კონცეფციის მიხედვით შექმნილი ნამუშევრები; 4. წარმოადგინეთ თქვენი ექსპოზიციის კონცეფცია და ნამუშევრები. **ამისათვის:** • შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი თემა, პრობლემა, საკითხი და შეიმუშავეთ

ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა. **3. სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები *(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)*** • ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება; • ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება; • ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს; • თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი; • სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით; • ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს. **4. სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის**	**ნაბიჯი 1** **წინარე ცოდნის გააქტიურება** **რესურსი:** ხელოვნება. 9 კლ., მოსწავლის წიგნი; გვ. 86-91, გვ. 151-154. როგორ გავააქტიუროთ წინარე ცოდნა შემდეგ საკითხებზე: • რას ფიქრობთ, უნდა ჰქონდეს თუ არა გამოფენას გამაერთიანებელი კონცეფცია, რომელიც მნახველს რაღაც ახალს შესთავაზებს? • რა არის კონცეფცია და რაში სჭირდება ის ხელოვნებას? **აქტივობა:** მსჯელობა, აღწერა-ანალიზი, დისკუსია **ნაბიჯი 2** **რესურსი:** გვ. 151-154. **შეკითხვა:** • როგორ შეიძლება შევიმუშაოთ გამოფენის კონცეფცია და შევარჩიოთ თემა/თემები ჩვენი ნამუშევრებისათვის ამ კონცეფციის ფარგლებში? **აქტივობა:** საუბარი, მსჯელობა, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, საკლასო დისკუსია, საშიანაო დავალება. მოსწავლეებს ვაცნობთ ერთიანი კონცეფციით შეკრული გამოფენების მაგალითებს, ვაანალიზებინებთ იქ წარმოდგენილ ნამუშევრებს და თავად მოსწავლეებს ვაძლევთ საშუალებას ამოიკითხონ გამოფენის მთლიანი კონცეფცია, რაც მათ გარკვეულ ცოდნას მისცემს, გამოცდილებას შესძენს და ისინი თავადაც შეძლებენ მოიფიქრონ საკუთარი ექსპოზიციის თემა/ კონცეფცია, რომელიც გაართიანებს მათ	თქვენი ექსპოზიციის კონცეფცია; • თქვენი პორტფოლიოდან შეარჩიეთ შემუშავებული კონცეფციის შესატყვისი ნამუშევრები; • შექმენით ახალი ნამუშევრები ნებისმიერი ტექნიკით; შეგიძლიათ შექმნათ ობიექტი ან ინსტალაცია; • შეეცადეთ, მიზანმიმართულად გამოიყენოთ ისეთი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც თქვენი ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებთ და ნამუშევრის საზრისს მაქსიმალურად გამოხატავთ; • თანდათან სულ უფრო პოპულარული ხდება გამოფენების მოწყობა ვირტუალურ სივრცეში. საგამოფენო სივრცის შესაქმნელად ესტუმრეთ https://www.artsteps.com/; • ონლაინ-გამოფენისათვის გადაიღეთ თქვენ მიერ

/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები *(შედეგები: ს.გ.სან.1, 2, 3, 4)* • ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს; • ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.); 1. სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა;	ნამუშევრებს. ამ საკითხზე მოსწავლეებს ეძლევათ, რომ მათ მოიფიქრონ საკუთარი გამოფენის კონცეფცია. **რესურსი 1.** https://www.youtube.com/watch?v=ZQlQ6g8WOms **რესურსი 2.** https://1tv.ge/video/sheshlili-chais-sma-lia-bagrationis-gamofena/ **შენიშვნა:** მოსწავლეებს დავალების მიცემისას უნდა აუხსნათ, რომ ისინი სრულიად თავისუფალნი არიან თემის არჩევაში. ეს შეიძლება იყოს სხვადახვა ტიპის თემა: მაგ., ჩემი საყვარელი ლიტერატურული გმირები, ყვითელი ფერის ინტერპრეტაციები და სხვ. ვინაიდან მათ უკვე გავლილი აქვთ სტილიზაციის მეთოდი, შეიძლება ასეთი თემაც შევთავაზოთ: სხვადასხვა სტილის ინტერპრეტაციები. შესაძლებელია, მოსწავლეებს თავად სურდეთ რომელიმე პრობლემასთან, მაგ., ეკოლოგიასთან ან ცხოველების დაცვის საკითხებთან დაკავშირებული კონცეფცია შეიმუშაონ. შესაძლოა, მათ სრულიად განყენებული თემები შეარჩიონ თავიანთი კონცეფციისათვის, მაგ., კოსმოსი, სივრცე და დრო. შესაძლებელია, მათ შვთავაზოთ სხვა საგნებიდან (მუსიკა, გეოგრაფია, ისტორია, ფიზიკაც კი) მიღებული ინფორმაციის ინსპირაციით შეიმუშაონ თავიანთი გამოფენის კონცეფცია. მათ უნდა გაიცნობიერონ, რომ ერთი და იგივე თემა, საკითხი, პრობლემა სხვადასხვა ნამუშევარში სხვადასხვა კუთხით შეიძლება წარმოაჩინონ და საბოლოოდ ერთიან კონცეფციად შეკრან. მოსწავლეებს შეუძლიათ, მათი აზრით საკუთარი კონცეფციის შესაბამისი ნამუშევრები პორტფოლიოდანაც შეარჩიონ. **ნაბიჯი 3** **რესურსი:** გვ. 24; გვ. 26; გვ. 26-29; გვ. 31; გვ. 33; გვ. 35; გვ. 38-39; გვ. 42-44; გვ. 108; გვ. 111; გვ. 127; გვ.131; გვ. 134; გვ. 146-150; გვ.151-154.	შერჩეული იმ ნამუშევრების ფოტოები, რომლებიც თქვენმა კონცეფციამ გააერთიანა; • დაბოლოს, გამოფენის კონცეფციიდან გამომდინარე, მოიფიქრეთ გამოფენის სათაური.

2. ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.	**შეკითხვა:** • რატომაა საჭირო ნამუშევრის ანალიზის უნარის ფლობა და როგორ გამოვიყენო ეს უნარი საკუთარი ნამუშევრის შექმნისას? • როგორ იყენებენ სხვადასხვა დროის ხელოვანები გამოსახულების სიმბოლურ მნიშვნელობებს საკუთარი საზრისის გადმოსაცემად? • როგორ მიზანმიმართულად იყენებენ მხატვრები სახვით საშუალებებს საკუთარი ჩანაფიქრის მაქსიმალურად ხორცშესხმისათვის? **აქტივობა:** საუბარი, მსჯელობა, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, საკლასო დისკუსია, საშინაო დავალება. **რესურსი 1:** http://www.orthodoxy.ge/tveni/seqtemberi/20-plakida.htm **რესურსი 2:** https://www.youtube.com/watch?v=pusZWfYP9vo მოსწავლეს ვაცნობთ ხელოვნების ნიმუშებს (ესტატეს ნადირობის სცენა, ლ. ბაგრატიონის ინსტალაცია და ობიექტები), რომლებშიც წარმოდგენილ გამოსახულებებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მათი სიმბოლური მნიშვნელობების გააზრება საშუალებას გვაძლევს, ამოვიკითხოთ შემოქმედის ჩანაფიქრი და ნამუშევრის საზრისი. მოსწავლეები აანალიზებენ ამ ტიპის ნამუშევრებს და, ამავე დროს, მსჯელობენ იმის შესახებაც, თუ როგორ მიზანმიმართულად იყენებენ მხატვრები მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებს საკუთარი ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის. მოსწავლეები იცნობიერებენ, რომ, სხვისი ნამუშევრის ანალიზისას, მათ შეუძლიათ გააცნობიერონ, თუ თავადვე, საკუთარ ნამუშევრებში როგორ გამოიყენონ ესა თუ ის სახვითი საშუალება თუ ხერხი. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მხატვრული ნაწარმოების ანალიზი ხელოვნებასთან ზიარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა,	

	რომლის დროსაც მათ თავად, სხვების დაუხმარებლად, შეუძლიათ ხელოვნების ნიმუშთან დიალოგის გამართვა და „აღმოჩენების“ გაკეთება. **შეკითხვები მსჯელობისათვის:** • როგორ უნდა შევიმუშაოთ გამოფენის კონცეფცია? • რა იდეას შეარჩევთ თქვენი გამოფენისათვის და რატომ? • როგორ შეარჩიეთ თქვენი პორტფოლიოდან თქვენ მიერ შემუშავებული კონცეფციის შესაბამისი ნამუშევრები? • მოიფიქრეთ, როგორ ნამუშევრებს შექმნით გამოფენის კონცეფციის შესაბამისად? • რას ფიქრობთ, რომელ ტექნიკას შეარჩევთ თქვენი ნამუშევრებისათვის? • რომელ მხატვრულ ხერხებს გამოიყენებთ თქვენი ჩანაფიქრის განსახორციელებლად? **ნაბიჯი 4** **რესურსი:** გვ. 38-39; გვ. 46; გვ. 52-53; გვ. 114-115; გვ. 129-130; გვ. 136-137; გვ.142-143. **შეკითხვა:** • რა მნიშვნელობა ენიჭება მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მიზანმიმართულად გამოყენებას ნამუშევრის შექმნის დროს? **აქტივობა:** **საუბარი, მსჯელობა, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, საკლასო დისკუსია, საშინაო დავალება.** მოსწავლეებს ვაანალიზებინებთ, როგორ იყენებენ ხელოვანები სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებსა და	

	საშუალებებს მიზანმიმართულად, რათა მიაღწიონ საკუთარი ჩანაფიქრის მაქსიმალურად განხორციელებას. მოსწავლეები თავადაც ასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს და იმუშავებენ ამ ხერხების ნამუშევარში ადექვატურად და მიზანმიმართულად გამოყენების უნარ-ჩვევას.		
	ქვეცნებები: **კომპლექსური დავალება 8** **ელემენტები:** ფორმა: რეალისტური და პირობითი; ფერი: ცივი, თბილი, კონტრასტული; ხაზი: სხვადასხვა ტიპის; ფატურა. **პრინციპები:** რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, პროპორცია/დისპროპორცია. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:** არქიტექტურა, თეატრის მხატვრობა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (ავეჯი, ინტერიერის აქსესუარები) **სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** ხატვა, აპლიკაცია. **სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო**	**საკვანძო შეკითხვები:** **კომპლექსური დავალება 8** • ხელოვნებასთან სხვადასხვა ფორმით ზიარებისას მიღებული ცოდნა და გამოცდილება როგორ გამოვიყენოთ საკუთარი ნამუშევრის შექმნისას, ნამუშევარში ეპოქის სტილის ხასიათის გადმოცემის, თუ ამ ეპოქის ადამიანის და გარემოს თავისებურებათა ასახვისას? • რა როლს ასრულებს მხატვარი თეატრალური წარმოდგენის შექმნაში? • რა უნდა ვიცოდეთ და რა უნდა შეგვეძლოს, რომ პერსონაჟის შესაბამისი მხატვრული სახე შევქმნათ? • როგორ გამოგვადგება სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ინტერიერისა და ავეჯის მხატვრული თავისებურებების ცოდნა და ისტორიული გამოცდილება	**კომპლექსური დავალებები** **(შუალედური სასწავლო მიზნები)**

	ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები: XIX ს-ის ქართული არქიტექტურა, ანტიკური საბერძნეთის არქიტექტურა, იაპონური არქიტექტურა, XX ს-ის ქართული თეატრის მხატვრობა, XXI ს-ის მსოფლიო თეატრალური მხატვრობა, რენესანსის, ბაროკოს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, იაპონური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება	სცენაზე შესაბამისი სტილის გარემოს შექმნაში?	
	კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები) **კომპლექსური დავალება 8.** **ეტაპი** 1**. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** **საკვანძო შეკითხვა:** • ხელოვნებასთან სხვადასხვა ფორმით ზიარებისას მიღებული ცოდნა და გამოცდილება როგორ გამოვიყენო საკუთარი ნამუშევრის შექმნისას, ნამუშევარში ეპოქის სტილის ხასიათის გადმოცემის, თუ ამ ეპოქის ადამიანის და გარემოს თავისებურებათა ასახვისას? **კომპლექსური დავალების არსი:** კომპლექსური დავალების არსი ისაა, რომ მოსწავლემ მთელი წლის განმავლობაში შეძენილი ცოდნა და გამომუშავებული უნარები გამოიყენოს კომპლექსური დავალების შესასრულებლად.		**კომპლექსური დავალება 8** **დავალების პირობა:** შექმენით ესკიზები ავქსენტი ცაგარელის პიესისათვის „ხანუმა” დაიყავით ჯგუფებად და გაინაწილეთ შემდეგი დავალებები: 1. ერთი გჯუფის წევრები ინდივიდუალურად შექმნიან სპექტაკლის გარემოს ამსახველ ანუ დეკორაციების ესკიზებს; 2. მეორე ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად შექმნიან პიესის პერსონაჟთა კოსტიუმების ესკიზებს; 3. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოაწყვეთ ერთობლივი გამოფენა;

	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ხელოვნებას ყველგან შეიძლება შეხვდეს: დიდი თუ პატარა ქალაქების ქუჩებში, ყოფაში, წიგნებსა თუ ჟურნალებში, საგამოფენო დარბაზებსა თუ მუზეუმებში, კომპიუტერის ეკრანზეც კი. გარდა ამისა, მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ხელოვნებასთან ზიარება იმ შემთხვევაშიც შეიძლება, როდესაც თავადვე არის შემოქმედებითი პროცესის აქტიური მონაწილე, ანუ თავად ქმნის. **ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება** **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევასრულოთ და წარმოვადგინოთ მოცემული დავალება? **ნაბიჯი 1** **რესურსი:** გვ. 157-160. **რესურსი 1:** https://www.facebook.com/watch/?v=160854639033245 **რესურსი 2:** https://art.edu.ge/acgeo/index.php?do=cat&category=5-6-2 **რესურსი 3:** https://tpmm.ge/ka/blogs/aleqsandre-roinashvili-pirveli-qartveli-fotografi **შეკითხვა:** • როგორ ეზიარება ადამიანი ხელოვნებას ისტორიულ ქალაქებში? **აქტივობა:** საუბარი, მსჯელობა, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, საშინაო დავალება. მოსწავლეებს ვაცნობთ ძველი თბილისს,როგორც კულტურათა გზაჯვარედინს, სადაც თავს იყრის სხვადასხვა დასავლური თუ	**ამისათვის:** **დეკორაციების ესკიზებისთვის:** • იმსჯელეთ და გადაწყვიტეთ, პიესის რომელი სცენისათვის შექმნით დეკორაციებს. ერთი ჯგუფის ნაწილმა ღია სივრცეში, ქალაქის ქუჩაში მიმდენარე მოქმედებისათვის შექმნას დეკორაცია, მეორე ნაწილმა კი ინტერიერის დეკორაციის ესკიზის შექმნაზე იმუშაოს; • გაეცანით XIX საუკუნის თბილისის ფოტოებს და შემოქმედებითად გამოიყენეთ ფოტოებზე აღბეჭდილი ქუჩების თუ ინტერიერების მოტივები; • შექმენით **გარემო (ინტერიერი თუ ქალაქის ხედი), გადაანაწილეთ კომპოზიციურად** ავეჯი, საგნები. გაითვალისწინეთ, რომ ამ სივრცეში მსახიობებმა უნდა იმოძრაონ და ის მათთვის მოსახერხებელი უნდა იყოს. • გამოიყენეთ სახვითი ხელოვენების ის **ხერხები და პრინციპები,** რომლებიც

	აღმოსავლური კულტურების სახასიათო ნიშნები და მის განუმეორებელ ხასიათს განსაზღვრავს. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ თბილისი მულტიკულტურული ქალაქია, რომლის მხატვრული სახის შექმნაში ყველა თემმა მასში საკუთარი წვლილი შეიტანა. თბილისი შესახებ მირებული ტექსტობრივი თუ ვიზუალური ინფორმაცია, მათი გაანალიზება დაეხმარება მოსწავლეებს კომპლექსური დავალების არსის გაგებასა და შესრულებაში. **შეკითხვები მსჯელობისათვის:** • რა განაპირობებს თბილისის მულტიკულტურულ ხასიათს? • როგორ ხასიათს ანიჭებს თბილისს სხვადასხვა სარწმუნოების საკულტო ნაგებობების თანაარსებობა? • როგორ მონაწილეობს ლანდშაფტი ქალაქის იერსახის ჩამოყალიბებაში? **ნაბიჯი 2** **რესურსი:** გვ. 160-164; გვ. 165-166. **რესურსი 1:** https://helloblog.ge/story/story-1191 **რესურსი 2:** https://hammockmagazine.ge/post/irakli-gamrekeli-kartuli-stsenografiuli-khelovnebis-klasikosi/455 **რესურსი 3:** https://www.youtube.com/watch?v=EkuKKdubgDk **შეკითხვა:** • რა როლს ასრულებს მხატვარი თეატრალური წარმოდგენის შექმნაში? • რა უნდა ვიცოდეთ და რა უნდა შეგვეძლოს, რომ პერსონაჟის შესაბამისი მხატვრული სახე შევქმნათ? **აქტივობა:** საუბარი, მსჯელობა, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო.	დაგეხმარებათ, წარმოაჩინოთ ეპოქის შესაბამისი გარემოს სტილური თავისებურებები. **კოსტიუმების ესკიზებისათვის:** • ჯგუფის წევრებმა დაინაწილეთ პერსონაჟები; პიესის წაკითხვისას საგანგებოდ მიაქციეთ ყურადღება თითოეულის ხასიათს, მათ სოციალურ სტატუსს, რათა შემდეგ თქვენ მიერ შექმნილი კოსტიუმი ზუსტად შეესაბამებოდეს ამ პერსონაჟს; • დაათვალიერეთ XIX საუკუნის ფოტოები, რომლებზეც ამ პერიოდის ადამიანები არიან გამოსახულნი; დააკვირდით მათ სამოსს, აქსესუარებს, სამკაულებს და სხვ.; • პერსონაჟის ესკიზის შექმნისას ასახეთ მისი სახასიათო გარეგნობა, სამოსი • შეგიძლიათ, თითოეული პერსონაჟის სამოსის რამდენიმე ვარიანტი შეასრულოთ. გამოიყენეთ სახვითი ხელოვნების ის **ხერხები და პრინციპები**, რომლებიც

	მოსწავლეებს ვაცნობთ თეატრის ხელოვნებას, მის ისტორიას, მნიშვნელობას მსოფლიო კულტურისათვის. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ თეატრი ხელოვნების სინთეზური დარგია, რომელშიც, თავის მხრივ, ხელოვნების სხვა დარგებიც მონაწილეობს და ერთ-ერთი მათ შორის მხატვრობაა. მოსწავლეებს ვაწვდით ინფორმაციას თეატრის მხატვრის პროფესიის შესახებ; ისინი აცნობიერებენ, თუ რა დიდ როლს ასრულებს მხატვარი მხატვრული სახის გადაწყვეტაში. მოსწავლეები აანალიზებენ თეატრალური მხატვრობის ქართულ თუ მსოფლიო ნიმუშებს (როგორც სცენის, ასევე, კოსტიუმების ესკიზებს) და მსჯელობენ მათზე, მათ მხატვრულ გადაწყვეტაზე. ამ სფეროში მათი ცოდნის განსამტკიცებლად, მოსწავლეები ასრულებენ კონკრეტულ პრაქტიკულ სამუშაოს (ქმნიან კოსტიუმების ესკიზებს ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!“ პერსონაჟებისათის). მათ ესკიზები უნდა შექმნან ავტორისეული ტექსტის საფუძველზე, რომელიც სახელმძღვანელოშია მოცემული. ამ დავალების შესრულებისას მოსწავლეები მიიღებენ გარკვეულ გამოცდილებას, რომელიც მათ დაეხმარება კომპლექსური დავალების შესრულებაში. **ნაბიჯი 3** **რესურსი:** გვ. 167-170; გვ. 171. **რესურსი1 :** http://www.understandingrome.com/2015/11/23/astrolabes-and-armour-the-studiolo-of-federico-da-montefeltro-at-urbino/ **რესურსი 2:** https://www.pinterest.com.mx/mvluxurydecor/renaissance-interiors/ **შეკითხვა:** • როგორ გამოგვადგება სხვადასხვა ეპოქის და კულტურის ინტერიერისა და ავეჯის მხატვრული თავისებურებების ცოდნა და ისტორიული გამოცდილება სცენაზე შესაბამისი სტილის გარემოს შექმნაში?	დაგეხმარებათ წარმოაჩინოთ პერსონაჟების ხასიათი თუ სოციალური სტატუსი; • შეეცადეთ, დაიცვათ XIX საუკუნის ადამიანთა ჩაცმულობის სტილი, თუმცა, შეგიძლიათ, თქვენებური ინტერპრეტაციაც შესთავაზოთ მნახველს, თანამედროვე ელემენტებიც შეიტანოთ სამოსში. **გამოფენისათვის:** • გამოფენის მოწყობისას გადაწყვიტეთ, რომელიმე სცენის დეკორაციის ესკიზის გვერდით იმ პერსონაჟების კოსტიუმებს გამოფენთ, რომლებიც ამ სცენაში მონაწილეობენ, თუ სცენის დეკორაციებს ცალკე მოუყრით თავს და კოსტიუმების ესკიზებს ცალკე გამოფენთ. **რეკომენდაციები მასწავლებლისათვის:** • უპირველესად, მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ პიესა. ამ ნაწარმოებში მოქმედება XIX ს-ის თბილისში ვითარდება.

	აქტივობა: საუბარი, მსჯელობა, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო. კომპლექსური დავალების შესრულებისას, მოსწავლეს მოუწევს სპექტაკლისათვის გარემოს ესკიზის შექმნა, რისთვისაც მას ვაცნობთ, სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ინტერიერებს, ვაანალიზებინებთ მათ თავისებურებებს და ვადარებინებთ ერთმანეთს. ამის გარდა, ისინი ეცნობიან სხვადასხვადასხვა ეპოქისა და სტილის ავეჯს, აანალიზებენ მათ მხატვრულ სახეს; მოსწავლეები ეზიარებიან რა ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის ძირითად პრინციპებსა და ისტორიულ გამოცდილებას, თავადაც ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს და თანამედროვე ინტერიერის ესკიზებს ქმნიან. **ნაბიჯი 4** **რესურსი:** გვ. 165-166; გვ. 171. **შეკითხვა:** • როგორ გამოგვადგება სხვადასხვა ეპოქის და კულტურის ინტერიერისა და ავეჯის მხატვრული თავისებურებების ცოდნა და ისტორიული გამოცდილება სცენაზე შესაბამისი სტილის გარემოს შექმნაში? **აქტივობა:** საუბარი, მსჯელობა, აქტიური ლექცია, კითხვა-პასუხი, აღწერა-ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო. თეატრის მხატვრები ესკიზების შექმნისას ისეთივე მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს იყენებენ, როგორც სახვითი ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლები (ფერმწერები, გრაფიკოსები და სხვ.). მოსწავლეები პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას იყენებენ მრავალფეროვან მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს. მაგ., ლამაზისეული ესკიზის	შესაბამისად, მათ მოუწევთ გაეცნონ ამ პერიოდის თბილისს, მის ყოფას (ნაწილობრივ ეს უკვე მიღწეულია ამავე თავის 43-ე გაკვეთილის გავლის შემდეგ. გვ. 151). ამაში მათ დაეხმარებათ სახელმძღვანელოში მოცემული ძველი თბილისის ფოტოები; • პიესაში სცენების გარკვეული ნაწილი ინტერიერში მიმდინარეობს, ნაწილი კი ღია ცის ქვეშ, ქალაქში. ამდენად, სასურველია, მოსწავლეებმა ჩაატარონ კვლევა, მოიძიონ ფოტო მასალა XIX ს-ის თბილისის საცხოვრებელი სახლების ინტერიერების შესახებ; • ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეები კარგად გაეცნონ პიესაში მონაწილე პერსონაჟებს და გაიაზრონ თითოეულის ხასიათი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გააცნობიერონ, რომელი

	შექმნისას ისინი აქტიურად მუშაობენ **ფაქტურაზე** (თმის და ქსოვილის), ასევე, გმირის სამოსის ფერადოვნების შესატყვისობაზე მის სოციალურ მდგომარეობასთან **(ფერი:** ცივი/თბილი, კონტრასტული) სხვადასხვა ტიპის **ხაზზე,** რომელიც პერსონაჟის ხასიათის უკეთ გადმოცემის ერთ-ერთი საშუალებაა. გარდა ამისა, ინტერიერის შექმნისას ისინი ესკიზში ირჩევენ კონკრეტული სცენის შესაბამის **კომპოზიციურ** გადაწყვეტას. ისინი იყენებენ ამ ელემენტის სხვადასხვა კომპონენტს: **რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, პროპორცია/დისპროპორცია.** ამავე დროს, ისინი თავად ირჩევენ შესაბამის ტექნიკასა და მასალას.	პერსონაჟი რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის, რადგან პიესის გმირებს შორის არიან ვაჭრები, კინტოები, თავადები, ყარაჩოხელები; მათ კი სხვადასხვაგვარი ჩაცმულობა ჰქონდათ; • მოსწავლეებმა უნდა ჩაატარონ კვლევა XIX ს-ის თბილისის მოდის შესახებ. აუცილებლად უნდა გაეცნონ ამ პერიოდის ჩაცმულობას, კოსტიუმს, მის მრავალფეროვნებას, რადგან პიესის ზოგიერთი გმირი ქართულ ნაციონალურ სამოსს ატარებდა; • პიესაში ისეთი პერსონაჟებიც არიან, ვისაც მოსწავლეებმა ევროპული ტანსაცმელი უნდა „ჩააცვან“, ამიტომ მათ მოუწევთ XIX ს-ის ევროპულ სამოსსაც გაეცნონ; • ჯგუფებში მოსწავლეებს შორის ფუნქციები ისე უნდა განაწილდეს, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს კონკრეტული ნამუშევრის შექმნის შესაძლებლობა;

		• გამოფენის კონცეფციის შემუშავებისა და მისი მოწყობის საკითხებზე კი მთელი კლასი უნდა ჩაერთოს; • გამოფენა შესაძლებელია, მოეწყოს ნებისმიერ სივრცეში, მათ შორის ვირტუალურშიც; • გამოფენის პარალელურად თითოეული ჯგუფი მოაწყობს პრეზენტაციას და საკუთარი ნამუშევრის წარდგენისას იმსჯელებს, რა მიზანი ჰქონდათ, როგორ მიაღწიეს მას, რა ხერხები გამოიყენეს ამისათვის და ა.შ.

კომპლექსური დავალება 7

IV თავი

გაკვეთილი 43. ჩვენი გამოფენა კონცეფციის მიხედვით

კონცეფციით შექმნილი გამოფენის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

საგანი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, IX კლ.

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

ქვეცნებები:

ელემენტები:

ფორმა: რეალისტური და პირობითი;

ფერი: ცივი, თბილი, კონტრასტული;

ხაზი: სხვადასხვა ტიპის;

ფაქტურა.

პრინციპები: რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, პროპორცია/დისპროპორცია.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები: ქანდაკება (მრგვალი, რელიეფი), მცირე პლასტიკა, კედლის მხატვრობა, წიგნის მინიატურა, ჭედურობა, ინსტალაცია, ობიექტი, ვიდეოარტი, არქიტექტურა, თეატრის მხატვრობა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (ავეჯი, ინტერიერის აქსესუარები).

სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები: XIX ს-ის ქართული არქიტექტურა, ანტიკური საბერძნეთის არქიტექტურა, იაპონური არქიტექტურა, XX ს-ის ქართული თეატრის მხატვრობა, XXI ს-ის მსოფლიო თეატრალური მხატვრობა, რენესანსის, ბაროკოს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, იაპონური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხატვა, აპლიკაცია.

კომპლექსური დავალების პირობა: მოაწყვეთ გამოფენა თქვენ მიერ წინასწარ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით:

1. მოიფიქრეთ თქვენი გამოფენის კონცეფცია;
2. თქვენი პორტფოლიოდან შეარჩიეთ ან შექმენით თქვენი კონცეფციის შესაბამისი ახალი ნამუშევრები;
3. მოაწყვეთ საერთო გამოფენა, რომელშიც თითოეულ თქვენგანს საკუთარი კუთხე ექნება და ამ კუთხეში წარმოადგინეთ თქვენი კონცეფციის მიხედვით შექმნილი ნამუშევრები;
4. წარმოადგინეთ თქვენი ექსპოზიციის კონცეფცია და ნამუშევრები.

კრიტერიუმი სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**	**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუ-ალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	კომპლექსური დავალების პირობა ზუსტადაა გაგებული, მოსწავლეს კარგად აქვს გააზრებული გამოფენის კონცეფცია და შერჩეული თემის აქტუალობა. მოსწავლე აცნობიერებს ერთიანი იდეით შეკრული კონცეფციის მნიშვნელობას გამოფენისთვის. მოსწავლის კონცეფციის ძირითადი არსი/მოსაზრებები სრულ შესაბამისობაშია მის მიერ მოწყობილ გამოფენასთან. შემუშავებული კონცეფციის შესატყვისადაა შერჩეული/შექმნილი სხვადასხვა დარგის, მიმდინაროებისა თუ სტილის ნამუშევრები, შესაბამისადაა შერჩეული სივრცე, გამოფენის ფორმა, მისი სათაური. გამოფენისთვის შექმნილ/ შერჩეულ ნამუშევრებში მიზანმიმართულად და შემოქმედებითადაა გამოყენებული სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები, მასალა და ტექნიკა, ნამუშევრებში შემოქმედებითადაა ასახული სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სტილის ნამუშევრებისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მოსწავლის მიერ კონცეფციით შექმნილ გამოფენაში, კარგად ჩანს მისი ორიგინალური ხედვა და შემოქმედებითი აზროვნება			
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს	მოსწავლეს, ძირითადად, გააზრებული აქვს კომპლექსური დავალე-ბის არსი, კონცეფციის	მოსწავლეს, ძირითადად, გააზრებული აქვს კომპლექსური დავალების არსი, კონცეფციის	მოსწავლეს, ძირითადად, გააზრებული აქვს კომპლექსური დავალების არსი, კონცეფციის	მოსწავლეს, ძირითადად, გააზრებული აქვს კომპლექსური დავალების არსი, კონცეფციის

ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მნიშვნელობა. მოსწავლე მიზანმიმართულად და შემოქმედებითად იყენებს სახვითი ხელოვნების საშუალებებსა და ხერხებს.	მნიშვნელობა, ნამუშევრებში გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას.	მნიშვნელობა. ძირითადად მიზანმიმართულად, კონცეფციის შესატყვისადაა შერჩეული/შექმნილი სხვადასხვა დარგის ნამუშევრები.	მნიშვნელობა. ნამუშევრებში, ძირითადად, მიზანმიმარ-თულადაა შერჩეული/შექმ-ნილი ნამუშევრები, რომლებშიც შემოქმედებით-ადაა ასახული სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სტილის ნამუშევრებისთვის და-მახასიათებელი ნიშნები.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავ-შირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკი-თხთან დაკავშირებით.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობა, კონცეფციის შესაბამისად, უსისტემოდ იყენებს სახვითი ხელოვნების ძირითად საშუალებებსა და ხერხებს.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობა, კონცეფციის შესაბამისად. ნაწილობრივ გააზრებულად, უსისტემოდ იყენებს მასალასა და ტექნიკას.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობა, კონცეფციის შესაბამისად, სხვადასხვა დარგის ნამუშევრები, ნაწილობრივ, კონცეფციის შესატყვი-სადაა შერჩეული/შექ-მნილი.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობა, კონცეფციის შესაბამისად, სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სტილის ნამუშევრების დამახასიათებელი ნიშნები უსისტემოდაა ასახული.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის ნაწილი, ხშირ შემ-თხვევაში, გაუაზრებლად იყენებს სახვითი ხელოვნების რამდენიმე საშუალებასა და ხერხს.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის ნაწილი, ხშირ შემ-თხვევაში, გაუაზრებლად, უსისტემოდ იყენებს მასალასა და ტექნიკას.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის გარკვეული ნაწილი, ძირითადად, გაუაზრებლადაა შერჩეული დარგის ნამუშევრები.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის გარკვეული ნაწილი, ძირითადად, სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სტილის ნამუშევრების დამახასია-თებელი ნიშნები გაუაზრებ-ლად, უსისტემოდაა ასახული.

პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლის მიერ დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული.

კომპლექსური დავალება 8

IV თავი

გაკვეთილი 49. ვაფორმებთ სპექტაკლს

პრაქტიკული სამუშაოს შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

საგანი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, IX კლ.

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

ქვეცნებები:

ელემენტები: ფორმა: რეალისტური და პირობითი; ფერი: ცივი, თბილი, კონტრასტული; ხაზი: სხვადასხვა ტიპის; ფაქტურა.

პრინციპები: რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია/ასიმეტრია, პროპორცია/დისპროპორცია.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები: არქიტექტურა, თეატრის მხატვრობა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (ავეჯი, ინტერიერის აქსესუარები).

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხატვა, აპლიკაცია.

სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები: XIX ს-ის ქართული არქიტექტურა, ანტიკური საბერძნეთის არქიტექტურა, იაპონური არქიტექტურა, XX ს-ის ქართული თეატრის მხატვრობა, XXI ს-ის

<table>
<tr><td colspan="5">მსოფლიო თეტრალური მხატვრობა, რენესანსის, ბაროკოს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, იაპონური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

კომპლექსური დავალების პირობა: შექმენით ესკიზები ავქსენტი ცაგარელის პიესისათვის „ხანუმა“.
დაიყავით ჯგუფებად და გაინაწილეთ შემდეგი დავალებები:
1. ერთი გჯუფის წევრები ინდივიდუალურად შექმნიან სპექტაკლის გარემოს ამსახველ ანუ დეკორაციების ესკიზებს;
2. მეორე ჯგუფი წევრები ინდივიდუალურად შექმნიან პიესის პერსონაჟთა კოსტიუმების ესკიზებს;
3. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოაწყვეთ ერთობლივი გამოფენა;</td></tr>
<tr><th>კრიტერიუმი სამიზნე ცნება</th><th>სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)</th><th>სახვითი ხელოვნების ტექნიკა</th><th>სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები</th><th>სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები</th></tr>
<tr><td>აბსტრაქტული დონე
მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.</td><td colspan="4">კომპლექსური დავალების პირობა ზუსტადაა გაგებული, მოსწავლეს კარგად აქვს გააზრებული კომპლექსური დავალების არსი. აცნობიერებს, რომ ხელოვნება ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია და შესაძლებელია ყველგან შეხვდეს. სასწავლო წლის განმავლობაში შეძენილ ცოდნას და გამომუშავებულ უნარებს იყენებს კომპლექსური დავალების შესასრულებლად.
მიზანმიმართულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან სახვითი ხელოვნების საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას პიესის ეპოქის შესაბამისი გარემოს ამსახველი დეკორაციისა თუ თეატრალური კოსტიუმის ესკიზის შესაქმნელად. ეყრდნობა XIX საუკუნის თბილისის ფოტოებს, არქიტექტურულ ნიმუშებს, ძველი თბილისის ფერწერულ თუ გრაფიკულ ნამუშევრებს და მიღებულ ინფორმაციებს შემოქმედებითად იყენებს საკუთარ ესკიზებში, ეპოქისთვის დამახასიათებელი გარემოს შესაქმნელად. მოსწავლეთა ნამუშევრებში შემოქმედებითადაა ასახული ეპოქის დამახასიათებელი გარემო, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების სახასიათო ნიშნები (ინტერიერი, ავეჯი თუ ჩაცმის სტილი). მოსწავლის მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებაში კარგად ჩანს მისი ორიგინალური ხედვა და შემოქმედებითი აზროვნება</td></tr>
</table>

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლეს ძირითადად გააზრებული აქვს კომპლექსური დავა-ლების არსი. მოსწავლე, ძირითადად, მიზან-მიმართულად და შემოქ-მედებითად იყენებს სახვითი ხელოვნების საშუალებებსა და ხერხებს პიესის ეპოქის შესაბამისი გარემოს ამსახველი დეკორა-ციისა თუ თეატრალური კოსტიუმის ესკიზის შესაქმნელად.	მოსწავლეს, ძირითადად, გააზრებული აქვს კომპლექსური დავალების არსი, ნამუშევრებში გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას პიესის ეპოქის შესაბამისი გარემოს ამსახველი დეკორა-ციისა თუ თეატრალური კოსტიუმის ესკიზის შესაქმნელად.	მოსწავლეს, ძირითადად, გააზრებული აქვს კომპლექსური დავალების არსი. ასევე გააზრებულად აქვს შერჩეული დარგების ნიმუშები და ხედავს ურთიერთმიმართებებს.	მოსწავლეს, ძირითადად, გააზრებული აქვს კომპლექსური დავალების არსი. ნამუშევრებში, ძირითადად, გააზრებულია და შემოქმედებითადაა ასახული ეპოქის დამახასიათებელი გარემო, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების სახასიათო ნიშნები (ინტერიერი, ავეჯი თუ ჩაცმის სტილი).
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობა, უსისტემოდ იყენებს სახვითი ხელოვნების ძირითად საშუალებებსა და ხერხებს.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობა, ნაწილობრივ გააზრე-ბულად, უსისტემოდ იყენებს მასალასა და ტექნიკას.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობა, სხვადასხვა დარგის ნამუშევრები ნაწილობრივ კონცეფციის შესა-ტყვისადაა შერჩეული/შექ-მნილი.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობა, სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სტილის ნამუშევრების დამახასიათებელი ნიშნები უსისტემოდაა ასახული.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის ნაწილი. ხშირ შემ-თხვევაში, გაუაზრებ-ლად იყენებს სახვითი	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის ნაწილი. ხშირ შემ-თხვევაში, გაუაზრებ-ლად, უსისტემოდ	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის გარკვეული ნაწილი. ძირითადად, გაუაზრებლადაა	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის გარკვეული ნაწილი. სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სტილის ნამუშევრების

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	ხელოვნების რამდენიმე საშუალებასა და ხერხს.	იყენებს მასალასა და ტექნიკას.	შერჩეული დარგის ნიმუშები.	დამახასიათებელი ნიშნები, ძირითადად, გაუაზრებლადაა ასახული.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლის მიერ დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული.			

7. პასუხები სახელმძღვანელოში დასმულ კითხვებზე

I თავი. ახლის ძიება — ხელოვნების მამოძრავებელი ძალა

1. უძველესი საცხოვრებელი საქართველოში

1. დააკვირდით აქ წარმოდგენილ ფოტოებს. აღწერეთ ისინი.

- სავარაუდოდ, მოსწავლეები იტყვიან, რომ ეს არქეოლოგიური გათხრების ფოტოებია და ისინი აღწერენ, რომ აქ წრიული ფორმებია მიწაში გამოყვანილი.

2. თქვენი აზრით, რა ფუნქცია უნდა ჰქონდეს ამ წრიულ ფორმებს?

- სავარაუდოდ, მოსწავლეები დაფიქრდებიან და სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ აქ გამოსახული წრიული ფორმების შესახებ, მაგრამ მათ ნამდვილად გაუჭირდებათ ამ ფორმებში საცხოვრებლის ამოცნობა. ეს კი მათ გაუღვივებს ინტერესს, რომ შეიტყონ, რა ფუნქცია ჰქონდა ამ ფორმებს და აუმაღლებს მათ მოტივაციას, აქტიურად ჩაერთონ გაკვეთილის მსვლელობაში.

3. თქვენი აზრით, რატომ არ შემორჩა არც ერთ სახლს ე.წ. გუმბათი?

- თიხა იყო ძალზე მყიფე. გარდა ამისა, კონუსისებური მოყვანილობა, რომელსაც არ ჰქონდა საყრდენი, ვერ იქნებოდა მყარი და დროთა განმავლობაში ის ამიტომ ჩამოიშალა.

4. რას ფიქრობთ, მოსახერხებელი იქნებოდა თუ არა ასეთ სახლში ცხოვრება? სად იძინებდნენ ასეთ სახლში ადამიანები?

- ცხადია, დღევანდელი გადმოსახედიდან, როდესაც ადამიანი მიჩვეულია კომფორტს, ამგვარი სახლი მოსახერხებლად ვერ ჩაითვლება, მაგრამ თავის დროზე, ასეთი სახლი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან, ადამიანს გამოქვაბულიდან გამოსვლის შემდეგ, პირველად ჰქონდა საკუთარი ხელით ნაგები ჭერი. სავარაუდოდ, მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ადამიანები ამ სახლებში იძინებდნენ, მათი მცირე ზომების მიუხედავად და ეს, ალბათ, ასეცაა.

5. რას ფიქრობთ, რაში დასჭირდათ მშენებლებს სამკუთხა ფორმის კედლების გამოყენება?

- სამკუთხა კედლების გაჩენა შემდეგი გარემოებებით იყო გამოწვეული: კონუსისებურ სახლზე მიდგმული დამრეცი ფორმის წინკარი მთელი თავისი სიმძიმით აწვებოდა მთავარი სათავსოს ასეთსავე დამრეც კედელს. როგორც ჩანს, ადამიანმა სამკუთხა კონსტრუქცია გამოიყენა, რომ კედელს ამ სიმძიმისათვის გაეძლო და არ ჩაშლილიყო.

6. აღწერეთ, როგორ არის გადებული კოჭები კერიის წინ მდგარ ბოძზე?

- ამ კითხვაზე სავარაუდო პასუხი ამგვარია: ამ ბოძსა და კედლებზე გადებული კოჭები ქმნიდა გადახურვის სისტემას, ანუ ბოძი სახლის სახურავისათვის საყრდენს წარმოადგენდა.

7. თქვენი აზრით, რა ფუნქციას ასრულებდა კერიის წინ აღმართული ბოძი?

- ბოძი იყო გადახურვის მთავარი საყრდენი ელემენტი; ამავე დროს, მას კონკრეტული სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა.

8. დააკვირდით აქ მოცემულ ქართული დარბაზის ფოტოებს და განსაზღვრეთ, რომელი ელემენტები აქვს დარბაზს საერთო თიხის უძველეს სახლებთან. იმსჯელეთ, რაზე მეტყველებს ეს ფაქტი.

- საერთო ელემენტებია: ოთახის ცენტრში განლაგებული კერია, ღიობი (ერდო) ოთახის ჭერში, კერიასთან აღმართული ბოძი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ საცხოვრებლის სტრუქტურის ძირითადი ელემენტები უცვლელია და რომ ათასწლეულების განმავლობაში ჩვენში არსებობდა მდგრადი ტრადიცია.

9. რას ფიქრობთ, რატომ ჰქვია ამ ბოძს დედაბოძი?

- სიტყვის „დედა“ ამ სახელწოდებაში გაჩენა ქართულ სინამდვილეში არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან ის მრავალი კომპოზიტის შემთხვევაში გვხვდება. მაგ., დედაქალაქი, დედამიწა და ამ შემთხვევაში „მთავარის“ მნიშვნელობით იხმარება, ანუ „მთავარი ქალაქი“, ადამიანთა მთავარი სამყოფელი/სამკვიდრო – მიწა. სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს დედაბოძსაც. მისი სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ ეს ბოძი საცხოვრებლის მთავარი ელემენტია, როგორც კონსტრუქციულად, ისე თავისი სიმბოლური მნიშვნელობითაც.

10. რას მოგაგონებთ ამგვარი გადახურვა?

- ცხადია, მოსწავლეები აქ გუმბათს გაიხსენებენ.

2. წრიული ფორმის საცხოვრებელი

1. დააკვირდით ამ სახლებს და განსაზღვრეთ, რა აქვთ მათ საერთო საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ უძველეს წრიულ სახლებთან?

- საერთო ამ სახლებს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ უძველეს სახლებთან აქვს წრიული გეგმარება და ერთსათავსიანი სივრცე, ასევე, სტრუქტურა – ცენტრში კერია და ჭერში გაჭრილი ერდო.

2. გაიხსენეთ, რომელ ლიტერატურულ ნაწარმოებში შეგხვედრიათ ან მხატვრულ ფილმში გინახავთ ამგვარი სახლები?

- შესაძლოა, მოსწავლეებმა გაიხსენონ ჰარიეტ ბიჩერ სტოუს წიგნი „ბიძია თომას ქოხი“. თუ მოსწავლეებს წაკითხული არ აქვთ ეს ნაწარმოები, მასწავლებელს შეუძლია, შესთავაზოს მათ, გაეცნონ წიგნს. გარდა ამისა, მოსწავლეები, ალბათ, დაასახელებენ ფილმებს, რომლებიც ინდიელთა ცხოვრებას ასახავს, მაგ., ვინეტუს შესახებ ფილმების სერია და სხვ.

3. რას ფიქრობთ, რამ განაპირობა გადასატანი და ასაწყობი სახლის (იურტა) გაჩენა?

- ასაწყობი და გადასატანი სახლის — იურტის გაჩენა განპირობებული იყო იმით, რომ ის ხალხები, ვინც ამგვარ სახლებს იყენებდნენ, მომთაბარენი იყვნენ და ძირითადად უკიდეგანო სტეპებში ცხოვრობდნენ, სადაც ადამიანი თავს ვერაფერს შეაფარებდა.

4. რატომ იყენებდნენ მრგვალი სახლების მშენებლობისას დედამიწის სხვადასხვა წერტილში სხვადასხვა მასალას?

- განსხვავებული მასალის გამოყენება განპირობებული იყო ამ ადგილების გეოგრაფიული მდებარეობით, გარემო პირობებით და ამა თუ იმ მასალის ხელმისაწვდომობით. მაგ., ტიპს, რომელიც ხის ღეროებისაგან იკვრებოდა, შიგნიდან მათ მიერვე მონადირებული ბიზონის ტყავს აკრავდნენ. თიხა საქართველოს ამ ტერიტორიაზე უხვად იყო, ამიტომ ის ყველაზე ხელმისაწვდომ მასალას წარმოადგენდა.

3. სოფელი – ახალი ხედვა

1. იმსჯელეთ, როგორი გეგმარება აქვს იტალიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქს, სიენას?

- სიენის გეგმარება, როგორც მრავალი შუა საუკუნეების პერიოდის ქალაქისა, ქაოტურია.

2. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს ამ ნახაზის ცენტრში წარმოდგენილი არასწორი მოყვანილობის თავისუფალი არე?

- ნახაზის ცენტრში წარმოდგენილი არასწორი მოყვანილობის თავისუფალი არე მოედანია, რომელსაც საკმაოდ უჩვეულო ფორმა აქვს. ის ნიჟარის მოყვანილობისაა და კიდეებში უფრო მაღალია, ცენტრისკენ კი ქვემოთ ეშვება. მოედანი საგანგებოდ იყო

მოწყობილი ასე, რათა წყლით არ დატბორილიყო. წყალი მოედნის ცენტრში გროვდებოდა და საგანგებოდ მოწყობილ მიწისქვეშა ჭაში იკრიბებოდა.

3. დააკვირდით პარიზის რუკას და განსაზღვრეთ, როგორი გეგმარება აქვს ქალაქის ცენტრს?

- პარიზის ცენტრსაც, სიენის მსგავსად, ქაოტური გეგმარება აქვს.

4. პარიზის რუკაზე დატანილ ნაგებობებს შორის რომელია თქვენთვის ცნობილი?

- ამ რუკაზე მოცემულ ნაგებობებს შორის მოსწავლეებისათვის, ალბათ, ნაცნობი იქნება: ეიფელის კოშკი, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ტრიუმფალური თაღი, პანთეონი. ზოგმა, შესაძლოა, სეკრეკერის ტაძარიც და პანთეონიც იცოდეს.

4. ძველი რომის არქიტექტურა

1. დაფიქრდით და აღწერეთ, როგორია გზა, რომლითაც თქვენ სახლიდან სკოლაში მიდიხართ? აღწერისას ყურადღება გაამახვილეთ, როგორ არის ეს გზა ნაგები.

- ამ შეკითხვის დასმისას, მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ მოსწავლეებმა აღწერონ არა გზაზე მდებარე შენობები და, ზოგადად, გზის გარშემო არსებული გარემო, არამედ, თავად გზა და განსაზღვრონ, როგორია ის: მოასფალტებული, მოხრეშილი თუ ყოველგვარი საფარის გარეშე.

2. გინახავთ, როგორ აგებენ გზას? თქვენი სიტყვებით აღწერეთ ეს პროცესი.

- მოსწავლეებმა (თუ მათ ნანახი აქვთ ან თუ დაკვირვებიან) უნდა აღწერონ, გზაზე ასფალტის დაგების პროცესი ან ბეტონის გზის დაგების პროცესი.

3. ხომ არ იცით, რომელი ცივილიზაციიდან იღებს სათავეს გზების დაგება?

- შესაძლოა, რომ რომელიმე მოსწავლემ იცოდეს კიდეც, რომ გზების მშენებლობა რომის იმპერიაში დაიწყო.

4. ანტიკური რომის პერიოდის რომელი ნაგებობები გახსენდებათ? ჩამოთვალეთ ისინი და გაიხსენეთ მათი დამახასიათებელი ნიშნები.

- მოსწავლეებმა შესაძლებელია გაიხსენონ ანტიკური რომის ეპოქის ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც წინა წლებში გაიარეს. მაგ., პანთეონი, რომის ფორუმი, აკვედუკები და ა.შ. მათ ძირითად დამახასიათებელ ნიშნებად კი შეიძლება ჩამოთვალონ: მონუმენტურობა, ფორმების მასიურობა, სიმძლავრე.

5. შეადარეთ ერთმანეთს ამ ორი კონსტრუქციიდან მიღებული შთაბეჭდილება.

- ანტიკური საბერძნეთის სვეტებზე დამყარებული გადახურვა და საერთოდ მისი ფორმები უფრო მეტად ჰაეროვნებისა და სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ახდენს ანტიკური რომის მძლავრ, მონუმენტურ, თაღოვან კონსტრუქციებთან შედარებით.

6. რით განსხვავდება ნაგებობის ბერძნული გადახურვის სისტემა რომაულისაგან?

- ბერნულ არქიტექტურაში ბრტყელი გადახურვა გვხვდება. აქ გადახურვა (საზიდი ელემენტები) ეყრდნობა თავისუფლად მდგომ სვეტებს, ხოლო რომში ჩნდება თაღი და თაღოვანი გადახურვა აქ მძლავრ ბურჯებს ან ნაგებობის კედლებს ეყრდნობა.

7. დაახასიათეთ, როგორ რიტმს ქმნის თაღები კოლიზეუმის ფასადზე და შეადარეთ ის ძველი ბერძნული ტაძრის სვეტების რიტმს.

- კოლიზეუმის ფასადზე თაღები ძალზე დინამიკურ და დენად რიტმს ქმნის; ბერძნული ტაძრის სვეტებიც საკმაოდ დინამიკურია, ოღონდ, დენადის ნაცვლად, ეს რიტმი წყვეტილია.

8. დაახასიათეთ პანთეონის ფასადები და ინტერიერი და მათგან მიღებული შთაბეჭდილება.

- პანთეონის ფასადები სადა და მონუმენტურია, მასიური, ერთიანი ფორმებით, ინტერიერი კი საკმაოდ მდიდრულადაა შემკული: მოპირკეთებულია სხვადასხვა ფერის მარმარილოთი, სვეტებით. გუმბათზე მოთავსებული კესონები და მათში ჩაწოლილი

შუქ-ჩრდილი კი (რომელიც მზის მოძრაობასთან ერთად, ფორმას იცვლის) გუმბათის ზედაპირს ძალზე ცოცხალ ფორმად აქცევს.

9. იმსჯელეთ, როგორ რიტმს ქმნის პანთეონის გუმბათზე განლაგებული რელიეფური ფორმები.

- პანთეონის გუმბათზე განლაგებული რელიეფური ფორმები – კესონები – გუმბათის ძირიდან, მისი წვეროსაკენ, ნელ-ნელა მცირდება, რის გამოც ერთგვარად სიმაღლისკენ სწრაფვის შთაბეჭდილებას ქმნის. გარდა ამისა, ამ ოთკუთხა ფორმებს სიღრმე აქვს, რომელშიც გუმბათის წვეროდან შემოსული შუქი წვება და ღრმა შუქ-ჩრდილს ბადებს. ეს შუქ-ჩრდილი, მზის მოძრაობასთან ერთად, იცვლის ფორმას და ამით აცოცხლებს მასიური გუმბათის ზედაპირს.

7. ანტიკური საბერძნეთის ქანდაკება

1. აღწერეთ თითოეული ნამუშევარი, შეადარეთ ისინი ერთმანეთს.

2. მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ მათ შორის არსებული განსხვავება.

- 1. 2. ამ ორი ფიგურის შედარებისას, მთავარი, რაც მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ, არის ის, რომ კუროსის ფიგურა სტატიკურია, მისი ფორმები პირობითობის ფარგლებშია, მოძრაობა კი – შებოჭილი. ნიკე სამოთრაკიელის ფიგურა დინამიკურია, ლაღი, თავისუფალი მოძრაობით და გასაოცარი ოსტატობით რეალისტურად გადმოცემული ფორმებით.

3. მსჯელობისას პასუხი გაეცით თითოეულ ნამუშევართან მოცემულ ინტერაქტივის შეკითხვებს.

- იხ. პასუხები შეკითხვებზე: 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

4. თქვენი აზრით, ამ ორი ნამუშევრიდან რომელია უფრო ადრეული? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

- ცხადია, რომ ამ ორი ნამუშევრიდან უფრო ადრინდელია კუროსის ფიგურა.

5. გაიხსენეთ, ვინ არიან კუროსები და რა მოსაზრებები არსებობს მათი ვინაობის შესახებ.

- ერთნი თვლიან, რომ ეს აპოლონის გამოსახულებებია, მეორენი მათ აპოლონის მისტებად (ქურუმ-მსახურებად) მიიჩნევენ, მესამენი – სხვადასხვა ღვთაებად, ან სულაც, რეალურ ადამიანებად. ამის მიუხედავად, ერთი რამ ცხადია, რომ თავდაპირველად ისინი აპოლონის კულტთან იყვნენ დაკავშირებული; მოგვიანებით კი კუროსების სახით გამოსახავდნენ რეალურ ადამიანებსაც: გმირებს, მეომრებს, ოლიმპიურ თუ სხვა თამაშებში გამარჯვებულ ათლეტებს. ამ ტიპის ქანდაკებებს ხშირად საფლავებზეც დგამდნენ. მაგრამ იმის მიუხედავად, კუროსის ფიგურა ღვთაებას განასახიერებდა თუ მოკვდავ ადამიანს, ყველა მათგანი ერთი სქემით იყო შექმნილი.

6. გაიხსენეთ, რა გამოარჩევს კუროსების სახეებს?

- პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ, მართალია, ზოგ შემთხვევაში, კუროსები კონკრეტულ ადამიანთა გამოსახულებებს წარმოადგენენ, მაგრამ მათში პორტრეტულობის ნიშანწყალიც კი არაა. გარდა ამისა, კუროსთა სახეზე აღბეჭდილია ერთი არსებითი შტრიხი – ღიმილი. „არქაული ღიმილი“ – ასე უწოდებენ მას მეცნიერები, რადგან მისი ანალოგი მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში არ მოიძებნება. ტუჩების ოდნავ ზემოთ აზიდული კიდეები მართლაც ღიმილის შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ ადრეულ კუროსებში ის მხოლოდ ბაგეებს შეჰხებია. სახის წყობა და გამომეტყველება, მზერა მშვიდია, განზოგადებული და ტუჩების ღიმილთან თითქოს არაფერი აქვს საერთო. ამგვარი შეუსაბამობა თავისებურ იერს ანიჭებს კუროსების სახეებს, ერთგვარი იდუმალებით აღავსებს, ამოუცნობისა და მიუწვდომლის დაღს ასვამს მათ მხატვრულ სახეს. მართალია, ეს არ არის კონკრეტული ემოციით

გამოწვეული ღიმილი და სულაც, მათი ტუჩების მოძრაობას სრულიად პირობითად შეიძლება ღიმილი ეწოდოს, მაგრამ, ამავე დროს, ის თითქოს ერთგვარი ჩანასახია ადამიანური გრძნობებისა, რომელთაც ქანდაკებაში კუროსის განყენებულ, განზოგადებულ და გაშეშებულ სახეში ერთგვარი მოძრაობა, სიცოცხლე, სიკეთის ელფერი და, რაც მთავარია, ხალისიანი განწყობილება შეაქვს.

7. რას ფიქრობთ, ბუნებრივია თუ არა ადამიანისათვის ამგვარი პოზა?

8. დააკვირდით, ადამიანის მოძრაობისას, შესაძლებელია თუ არა ადამიანს ფეხის ორივე ტერფი ერთმანეთის პარალელურად ედგას და მთლიანად ებჯინებოდეს ნიადაგს?

- 7-8. ცხადია, რომ ამგვარი პოზა ადამიანისათვის არ არის ბუნებრივი, რადგან ადამიანის მოძრაობისას არ არის ისეთი მომენტი, რომლის დროსაც იგი ნიადაგს ორივე ფეხის ტერფით ეხება. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს, თავად შეამოწმონ, რამდენად ბუნებრივი და მოსახერხებელია ამ პოზაში დგომა.

9. გაიხსენეთ ბერძნულ მითოლოგიაში რისი ქალღმერთია ნიკე.

- ნიკე გამარჯვების ქალღმერთია ბერძნულ მითოლოგიაში.

10. აღწერეთ და დაახასიათეთ მისი პოზა და მოძრაობა.

- აქტიური, ენერგიული, მძლავრი, დინამიკური, ექსპრესიულიც კი.

11. როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ფიგურა?

- ეს ფიგურა ამაღლებული მღელვარების შთაბეჭდილებას ქმნის.

12. დააკვირდით ნიკე სამოთრაკიელის ფიგურას და იმსჯელეთ, როგორ არის გადმოცემული სველი ქსოვილის ფაქტურა.

- ამ ფიგურაზე განსაცვიფრებელი ოსტატობითაა გადმოცემული სველი აბრეშუმის ქსოვილის ფაქტურა. ჩვენ ვხედავთ, როგორ მიჰკვრია მას სხეულზე (მუცელზე) უთხელესი სველი ქსოვილი და ეს იმდენად რეალისტურადაა გამოქანდაკებული, რომ მნახველი ამ სისველეს ფიზიკურადაც კი შეიგრძნობს.

13. თანმიმდევრულად აღწერეთ და დაახასიათეთ ამ ქანდაკებების მოძრაობა და პოზები.

14. ისაუბრეთ თითოეული ამ ქანდაკებისაგან მიღებულ საკუთარ შთაბეჭდილებაზე.

15. დააკვირდით ამ ქანდაკებათა თარიღებს და ჩამოაყალიბეთ, რა სიახლე ჩნდება ქრონოლოგიურად ყოველ მომდევნო ნამუშევარში.

- 13-14-15. კუროსი პირეოსიდან – (ძვ.წ. VI ს-ის მიწურული) მისი პოზა აღარაა გაშეშებული და უსიცოცხლო იმის გამო, რომ მას ტერფები ერთმანეთის პარალელურად კი არ უდგას, არამედ, ოდნავ განზე აქვს გაწეული. ფიგურის გამოცოცხლებას ხელს უწყობს მისი ხელების მოძრაობაც. ისინი უკვე სხეულის გასწვრივ კი აღარაა გაჭიმული, არამედ საკმაოდ ბუნებრივად იდაყვშია მოხრილი. ერთ ხელში, როგორც ვარაუდობენ, ჭაბუკს მშვილდი ეჭირა, მეორეში კი – ფიალა. ყოველივე ამის გამო, მისი მოძრაობა შედარებით ბუნებრივია; სხეულის ფორმებიც ბუნებრივადაა მოდელირებული, ისინი რბილად გადაედინება ერთმანეთში; მათ შორის მკვეთრი საზღვრები აღარაა და ზედ ცალკეული დეტალები გრაფიკულად აღარაა მონიშნული.

  პოლიკლეტოსის დორიფოროსი – (იგივე შუბოსანი. ძვ.წ. 450-449 წწ.). შიშველი ჭაბუკის ფიგურა, რომელსაც მხარზე შუბი აქვს გადებული. ფიგურა მთელი ძალით მარცხენა ფეხს ეყრდნობა, ფეხის წვერებზე დაბჯენილ, უკან დარჩენილ მარცხენას კი, სადაცაა წინ გადმოდგამს, ოღონდ, დინჯად, მშვიდად გააგრძელებს სვლას. სვლის მომენტი ოდნავ თუ იგრძნობა; ფიგურა, ძირითადად, მაინც სტატიკურად წარმოგვიდგება, თუმცა მისი პოზა სრულიად ბუნებრივია. ფიგურა ოდნავაა შებრუნებული მარცხნივ და მხრით სიღრმეში შედის. სხეულის ცალკეული ნაწილები წონასწორობაშია მოყვანილი: ზემოთ აწეულ მარჯვენა თეძოს, რომელსაც მთელი სხეულის სიმძიმე აწვება, ამავე მხარეს

დაბლა დაშვებული მხარი შეესაბამება, მარცხნივ კი პირიქით – დაბლა დაშვებულ თეძოს ზემოთ აზიდული მხარი აწონასწორებს. ფიგურის ამგვარი დგომა, რომელსაც კონტრაპოსტს (ქიაზმს) უწოდებენ, ბუნებრიობასა და დამაჯერებლობას ანიჭებს ფიგურის პოზასა და მოძრაობას. დორიფოროსის ფორმებიც ბუნებრივადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ოსტატურადაა გადმოცემული სხეულის ყველა ფორმა, მუსკულატურა: განვითარებული, განიერი მკერდი, დაკუნთული მუცლის პრესი, მკლავები, რომლებზეც ალაგ-ალაგ ძარღვებიც კი ჩანს. ეს სხეული თავშეკავებულ ძალას ფარავს. ჭაბუკის მშვენიერი სახე კი შინაგან სიმშვიდეს, ღირსებასა და ვაჟკაცობას ასხივებს.

სკოპასის მენადა – (ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანა). ესაა დიონისეს მეგზური ქალი, რომელიც თავდავიწყებით მისცემია ცეკვას. მთელი მისი არსება თითქოს გრძნობამორეულ მოძრაობას მოუცავს. აქ ვხედავთ უკვე აქტიურ მოძრაობას, აღსავსეს შინაგანი დაძაბულობითა და დრამატიზმით. ფიგურა მკვეთრადაა გადახრილი უკან, თავიც უკან გადაუგდია, გრძელი თმა ტალღებად აყრია მხრებზე. იგი თითქოს საკუთარი ღერძის გარშემო სპირალურადაა დატრიალებული, რაც შმაგი მოძრაობის შთაბეჭდილებას გვიქმნის და გვაიძულებს, გარს შემოვუაროთ მას. თავისი წრეგადასული ვნებით იგი აფორიაქებს და სულს უმღვრევს ადამიანს. აქ თითქოს როგორც ვულკანიდან, ისე ამოიფრქვევა ადამიანის ვნებები, განცდები და ეს ყოველივე სხეულის ენითაა გადმოცემული. მოკლე ქიტონის ნაოჭები თითქოს ექოსავით იმეორებს, გამოკვეთს სხეულის ფორმებს, ფიგურის მოძრაობას, ხაზს უსვამს ახალგაზრდა ქალის მშვენიერსა და მკვრივ სხეულს. ავტორი თითქოს სხეულის საშუალებით გვესაუბრება ადამიანის გრძნობებზე, მოძრაობა ხდება მისი შინაგანი მდგომარეობის სარკე, გამოხატვის საშუალება. სკოპასის ეს ქანდაკება ნათელი მაგალითია იმისა, რომ ბერძნული ქანდაკება კარგავს კრისტალურ მკაფიოობას, სიმშვიდესა და სიმყარეს, სამაგიეროდ კი, იძენს დინამიზმს, დრამატულობას და ძლიერ ემოციური ხდება.

16. აღწერეთ ეს ფიგურები და იმსჯელეთ, რა მსგავსებაა მათ შორის.

- ანტიკური ქანდაკება სუნიონის კუროსი და ეგვიპტური რანოფერის ქანდაკება ძალზე ჰგავს ერთმანეთს. უპირველეს ყოვლისა, მსგავსია მათი პოზები. ორივე ფიგურა სწორად დგას, ცალი ფეხი წინ აქვთ გადადგმული და ორივე ტერფით ებჯინება ნიადაგს, მომუშტული ხელები სხეულის გასწვრივ აქვთ გაჭიმული. პოზა არაბუნებრივია, სხეული – დაძაბული.

8. ეპოქათა ცვლა – ბაროკოს სიახლეები

1. როგორ შთაბეჭდილებას აღძრავს თქვენში ანტონელო და მესინას და პიტერ პაულ რუბენსის აქ წარმოდგენილი ნამუშევრები? მსგავსია თუ განსხვავებული ეს შთაბეჭდილება?

- ეს ორი ნამუშევარი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ შთაბეჭდილებას აღძრავს. თუ ანტონელო და მესინას „ჯვარცმა“, მიუხედავად დრამატულ სიუჟეტისა, სიმშვიდის, შინაგანი წონასწორობისა და ერთგვარი იდილიურობის განწყობილებას გვიქმნის, რუბენსის ამავე თემაზე შექმნილი ნამუშევარი სრულიად საპირისპირო ემოციებს იწვევს ჩვენში; ის გვაღელვებს, გვაფორიაქებს, ერთგვარ შინაგან შფოთს აღძრავს ჩვენში.

2. იმსჯელეთ, რა განაპირობებს ამ ნამუშევრებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას?

- ამ შთაბეჭდილებას განაპირობებს ის განსხვავებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, რომლითაცაა შესრულებული ეს ორი ნამუშევარი. განსხვავებულია მათი კომპოზიციური წყობა. ანტონელო და მესინას კომპოზიცია აგებულია სამკუთხედის პრინციპზე, რაც მის მდგრადობას, სიმყარესა და ერთგვარ სტატიკურობას განაპირობებს; ფიგურები ერთ სიბრტყეში არიან განთავსებულნი. ხოლო რუბენსის

კომპოზიციას დიაგონალური წყობა აქვს, ამ დიაგონალებს ქმნის კიბე, სიღრმეში დიაგონალურად შემავალი ცხენი, ჯვარცმულთა ფიგურების სხვადასხვა სიბრტყეში განლაგება. ეს ყოველივე მოძრაობის, დინამიკურობის შთაბეჭდილებას ქმნის. ანტონელო და მესინას ფიგურები მშვიდი პოზებით ხასიათდება, რუბენსისა კი – აქტიურ მოძრაობაში არიან გამოსახულნი. კოლორიტი ანტონელო და მესინას სურათზე მშვიდია, არც ერთი ფერი არ გამოიყოფა, ყველა თანაბარი ჟრერადობისაა, რუბენსთან კი დიდი, ჟღერადი, ფერადოვანი აქცენტებია დასმული: წითელი, თეთრი, ლურჯი. ეს ლაქები აქტიურ ფერადოვან აქცენტებს სვამენ სურათზე.

3. დააკვირდით ამ სურათებზე ასახულ ადამიანებს, აღწერეთ მათი ემოციები და განწყობილება მათი სახის გამომეტყველების მიხედვით.

- ანტონელო და მესინას სურათზე გამოსახულ ადამიანებს მშვიდი, აუღელვებელი გამომეტყველება აქვთ, ხოლო რუბენსის სურათზე ასახულ ფიგურებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სახეებზე აღბეჭდილი აქვთ სევდა, დარდი, ნაღველი.

4. კომპოზიციური თვალსაზრისით, როგორაა აგებული თითოეული ეს ნამუშევარი?

- როგირ ვან დერ ვეიდენის კომპოზიციას ცენტრული აგებულება აქვს და წონასწორობის პრინციპზეა აგებული, რუბენსის ნამუშევარი კი – დიაგონალებზე.

5. რომელს აქვს დიაგონალური წყობა და რომელი გამოსახულებებით იქმნება დიაგონალი?

- დიაგონალზეა აგებული რუბენსის კომპოზიცია და ამ დიაგონალს ქმნის ყალყზე შემდგარი თეთრი ცხენი, რომელზეც წმ. გიორგია ამხედრებული.

6. რომელი ნამუშევრის კომპოზიციაა ცენტრული და აგებული წონასწორობის პრინციპზე და რატომ?

- წონასწორობის პრინციპზეა აგებული როგირ ვან დერ ვეიდენის კომპოზიცია, რომლის ცენტრს წარმოადგენს წმ. გიორგის ფიგურა, რომელიც იმგვარად ზის თეთრ ცხენზე, რომ ზუსტად სურათის ცენტრში ვერტიკალს ქმნის. ამ ვერტიკალის მიმართ მასები კომპოზიციის ორივე მხარეს თანაბრად ნაწილდება და წონასწორობის და სიმყარის შეგრძნებას ბადებს.

7. რომელი კომპოზიციური წყობა განსაზღვრავს არამდგრადობის შეგრძნებას და ბადებს დინამიზმის შთაბეჭდილებას?

- არამდგრადობისა და დინამიზმის შთაბეჭდილებას ქმნის რუბენსის ნამუშევარი.

8. დააკვირდით რუბენსის ნამუშევარს „ჯვრიდან გარდამოხსნა“ და განსაზღვრეთ, სხვა ნიშნებთან ერთად, რომელი ფერთა შეხამება აძლიერებს, სცენის დრამატიზმს?

- ამ სურათზე სცენის დრამატიზმს აძლიერებს დიდი თეთრი და წითელი ლაქის დაპირისპირება.

9. იმსჯელეთ, იყენებს თუ არა რუბენსი ამ ნამუშევარში ცივსა და თბილ, ასევე, კონტრასტულ ფერებს და როგორ შთაბეჭდილებას გიქმნით მათი შეხამება.

- რუბენსი ამ ნამუშევარზე იყენებს ცივსა და თბილ ფერებს; ცივი ფერები: ადამიანთა სამოსის ნაცრისფერი და ლურჯის სხვდასხვა ტონალობა, ცის საკმაოდ დიდი მოლურჯო ლაქა. თბილი ფერები: კიბის თბილი ოქროსფერი ტონი, ასევე შიშველი სხეულების სხვადასხვა ტონის თბილი ტონები, სამოსის თბილი წითელი ლაქა. რუბენსი კონტრასტულ ფერებსაც უპირიპირებს ერთმანეთს: ჩვენსკენ ზურგით მდგომი მამაკაცის ფიგურის წითელ ლაქას, მის გვერდით ჩამუხლული მარიამ მაგდალელის მწვანე კაბა უპირისპირდება. ფერთა ამგვარი დაპირისპირება მღელვარების განცდას, სხვა ნიშნებთან ერთად, აძლიერებს და კოლორიტის გასაოცარ სიმდიდრეს ქმნის.

10. იმსჯელეთ, როგორაა აგებული ამ ნამუშევარში კომპოზიცია და როგორ შთაბეჭდილებას განსაზღვრავს ის.

- კომპოზიცია აგებულია დიაგონალზე, რომელსაც თეთრი ქსოვილის ფონზე გამოსახული მაცხოვრის ფიგურა ქმნის. მის გარშემო კი ფიგურები ისეა განლაგებული, რომ ხაზს უსვამს ამ დიაგონალს. ამგვარი კომპოზიციური სტრუქტურა არამდგრადობის, ერთგვარი დუნე დინამიზმის ეფექტს ქმნის.

11. აღწერეთ თითოეული პერსონაჟის სახეზე აღბეჭდილი ემოცია.

- რუბენსის სურათზე „ჯვრიდან გარდამოხსნა“ ასახულ ადამიანთა სახეებზე აღბეჭდილია სხვადასხვა ემოცია, ღვთისმშობელს სახეზე სევდა და ნაღველი აქვს აღბეჭდილი, ზოგის სახიდან ყურადღება და კონცენტრაცია გამოსჭვივის.

12. გაიხსენეთ, რას ნიშნავს ტენებრიზმი და კიაროსკურო.

- მკვეთრი განათების ეფექტის გამოყენებას ფერწერაში ტენებრიზმი ეწოდება. ტენებრიზმი (ტენებროსო) იტალიური სიტყვაა და მუქს, პირქუშს, იდუმალს ნიშნავს. ესაა ერთ-ერთი სახვითი ხერხი, რომლის დროსაც, მკვეთრი შუქ-ჩრდილი ე.წ. კიაროსკურო გამოიყენება. ამ დროს სასურათე სიბრტყეზე ხდება სინათლისა და სიბნელის, მკვეთრად განათებული და ჩრდილში ღრმად ჩაძირული ადგილების დაპირისპირება და სიბნელე გამოსახულების მნიშვნელოვან ნაწილს „შთანთქავს“.

13. როგორი განათებაა ამ ორ სურათზე? შეადარეთ ისინი ამ თვალსაზრისით.

- რაფაელის „მადონა მებაღე“ – აქ განათება პრაქტიკულად თანაბარია, ანუ ყველაფერი თანაბრადაა განათებული და ყველა დეტალს ცხადად ვხედავთ, რაც მშვიდსა და გაწონასწორებულ განწყობილებას გვიქმნის.

- კარავაჯოს„ იუდას ამბორი“ – ამ სურათზე მკვეთრი განათების ეფექტია შექმნილი ისე, რომ სურათის ცალკეული ნაწილები სიბნელეში იძირება და ჩვენ სცენაზე მხოლოდ ამონათებულ ფრაგმენტებს ვხედავთ, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის, ამ სახარებისეული ამბის არსი აღვიქვათ, სულაც პირიქით, ამგვარი განათების გამო სიუჟეტის დრამატულობას კიდევ უფრო მძაფრად და ემოციურად აღვიქვამთ.

14. როგორ განწყობილებას ქმნის განათება ამ სურათზე?

- ამ სურათზე გამოსახული განათება იდუმალების განწყობილებას ქმნის.

15. რა ხერხით გამოყოფს მხატვარი მთავარს ამ სურათზე?

- ჩვენ ვხედავთ, რომ თითქმის მთელი სურათი სიბნელეში იძირება, მხოლოდ პატარა მარიამისა და მის წინ მჯდომი ქალის სახეებია განათებული, მაგრამ მათ შორისაც არის განსხვავება: ქალის ფიგურას სანთლის შუქი ნაკლებად ანათებს, მარიამის სახე კი თითქოს გაცისკროვნებულია. და სწორედ ეს მიგვანიშნებს, რომ მარიამის ფიგურა და მისი საოცრად მეტყველი, სპეტაკი სახეა ამ კომპოზიციის მთავარი აქცენტი. ასე გამოყოფს განათების საშუალებით ლა ტური მთავარს ამ სურათზე.

16. იმსჯელეთ აქ გამოსახული ფიგურების სახის გამომეტყველების შესახებ და განსაზღვრეთ, როგორ განწყობილებას ქმნის ის?

- ორივე ფიგურის სახეზე განსაკუთრებული შინაგანი სიმშვიდეა აღბეჭდილი და, შესაბამისად, ჩვენი განწყობილებაც მშვიდია. სურათიდან თითქოს ღვთაებრივი სიმშვიდე იფრქვევა.

17. შეადარეთ ერთმანეთს მონტენისა და პიკო დელა მირანდოლას გამონათქვამები ადამიანის შესახებ.

- რენესანსის შემდგომ, ბაროკოს ეპოქაში შეიცვალა ადამიანის მსოფლაღქმა, მისი დამოკიდებულება სამყაროსა და საკუთარი თავისადმი. რენესანსის ეპოქაში მყარად ბატონობს აზრი ადამიანის სრულქმნილების შესახებ, რაც აისახა კიდეც ამ პერიოდის ჰარმონიულ, გაწონასწორებულ და ამაღლებულ ხელოვნებაში.

ბაროკოს ეპოქა ამჟღავნებს ინტერესს ადამიანისადმი არა როგორც სრულქმნილი ქმნილებისადმი, არამედ, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავისადმი, რომელსაც თავისი სისუსტეები გააჩნია. სწორედ ეს ანიჭებს მას ინდივიდუალობასა და ამითაა ის საინტერესო და განუმეორებელი.
რენესანსის ეპოქის ფილოსოფოსი პიკო დელა მირანდოლა ადამიანს განიხილავს, როგორც ღვთისმაგვარ ყოვლისშემძლე არსებას, რომელსაც საკუთარ თავზე მუშაობის შედეგად ყველაფერი ძალუძს, ხოლო მონტენის გამონათქვამში, აშკარად ჩანს ადამიანით უკმაყოფილება, ხაზგასმულია, რომ მას სრულყოფილებამდე ბევრი უკლია და ახლიდან მისი შექმნის შემთხვევაში, იგი (მონტენი) ისურვებდა, ადამიანი უფრო სრულყოფილი ყოფილიყო.

18. დაფიქრდით, რა განსხვავებაა მათ შორის და როგორ შეიცვალა დამოკიდებულება ადამიანის მიმართ ბაროკოს ეპოქაში.

- მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პიკო დელა მირანდოლასათვის ადამიანი ძლიერი არსებაა, რომელიც თავად განაგებს საკუთარ ბედს, ხოლო მონტენისათვის იგი სუსტია, ბევრი ნაკლი აქვს და ბევრ საკითხში უძლურია ამ უკიდეგანო სამყაროს წინაშე.

19. დააკვირდით რემბრანდტის ავტოპორტრეტებს. აღწერეთ, როგორ იცვლება რემბრანდტის პიროვნება ამ ავტოპორტრეტების მიხედვით.

- რემბრანდტის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებულ ავტოპორტრეტებში განსხვავებულია არა მხოლოდ ფიზიოლოგიური პროცესები – ასაკის მომატება, ნაოჭები და ა.შ., აქ ნათლად ჩანს ახალგაზრდა კაცის აუმღვრეველი ბუნება, ლაღი, იმედიანი გამომეტყველება, მოწიფული ასაკის მამაკაცის ჩაფიქრებული მზერა, სერიოზული გამომეტყველება, ხოლო ჭარმაგ ასაკში – სევდიანი, დარდიანი გამომეტყველება, სულიერი სიმშვიდის რღვევა და გადაუჭრელი პრობლემებით დამძიმებული სული.

20. თქვენი აზრით, რა მიმართებაა მონტენის გამონათქვამსა და რემბრანდტის პორტრეტებს შორის?

- რემბრანდტის პირველი პორტრეტიდან ახალგაზრდა ყმაწვილი თავმომწონედ გვიმზერს; მეორე პორტრეტში აშკარად ჩანს ადამიანი, რომელიც სერიოზულად აღიქვამს სამყაროს, მას აღარ აქვს მოღერებული ყელი, იგი აღარ პოზიორობს, თუმცა მაინც საკუთარ თავშია დარწმუნებული; მესამე პორტრეტზე კი ეს უკვე გატეხილი, დადარდიანებული და სამყაროსაკენ უნდობლობით მომზირალი, ცხოვრების ქარტეხილებგამოვლილი ადამიანია, რომელსაც ეჭვი ეპარება საკუთარ შესაძლებლობებში. სწორედ ამით შეიძლება დავუკავშიროთ ეს პორტრეტი მონტენის გამონათქვამს. აქვე შეიძლება მასწავლებელმა გაიხსენოს თავად რემბრანდტის ბიოგრაფია. სწორედ ამ ასაკში, რემბრანდტს ძალზე მძიმე პერიოდი ჰქონდა, გარდაეცვალა საყვარელი მეუღლე, ასევე, გარდაეცვალა ერთადერთი საყვარელი შვილი, ტიტუსი. გარდა ამისა, იგი გაკოტრდა და იძულებული შეიქნა, მთელი თავისი ქონება გაეყიდა. ამ ყოველივეს გამო სულაც არ არის გასაკვირი, რომ რემბრანდტმა ამგვარ ხელმოცარულ და ცხოვრებისეული პრობლემებისაგან დამძიმებული ადამიანის სახით გამოსახა საკუთარი თავი.

9. სურათის ჩარჩო ბაროკოს სტილში

1. დააკვირდით აქ მოცემულ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს და იმსჯელეთ, როგორ ვლინდება ბაროკოსათვის დამახასიათებელი ნიშნები მათ იერსახეში.

- სახელმძღვანელოში გამოსახული ნივთებისათვის დამახასიათებელია რთული, ორნამენტული დინამიკური ფორმები, რომლებიც ერთმანეთში რბილად გადაედინება, არსად არ წყდება და, მხატვრობის მსგავსად, ამ ფორმებში შუქ-ჩრდილის აქტიურ თამაშს ვხედავთ.

10. სახვითი საშუალებები და შთაბეჭდილება

დააკვირდით აქ მოცემულ ნიმუშს. იმსჯელეთ, რა ცვლილება განიცადა ნამუშევარმა და როგორ შეიცვალა სურათით აღძრული შთაბეჭდილება.

- კლოდ მონეს სურათზე წამყვანია ცივი ცისფერი ტონი, რაც ამ სურათის კოლორიტს განსაზღვრავს. ექსპერიმენტის შედეგად, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით, მონეს სურათს დაემატა ყვითელი და მისი ცივი კოლორიტი „გათბა“. შესაბამისად, შეიცვალა შთაბეჭდილებაც. იმპრესიონისტებისათვის დამახასიათებელი გამჭვირვალე ჰაერი და ატმოსფეროს სიმსუბუქე თბილმა ტონებმა გააქრო და თითქოს ჩვენ თვალწინ ზაფხულის ცხელი დღე წარმოსდგა.

11. ოთხმოციანელები ქართულ ხელოვნებაში

1. შეადარეთ ირაკლი ფარჯიანისა და მერაბ აბრამიშვილის „უფლის სერობის“ ამსახველი ნამუშევრები.

- ამ ნამუშევრების შედარებისას მოსწავლეებმა, პირველ რიგში, უნდა გააცნობიერონ, რომ ორივე ნამუშევარი ერთსა და იმავე სახარებისეულ სიუჟეტს – უფლის სერობას – ასახავს, თუმცა ისინი ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება პირველ რიგში ეხება კომპოზიციას. ირაკლი ფარჯიანის ფიგურები წრიულად არიან განლაგებულნი მაცხოვრის ფიგურის გარშემო, ხოლო მერაბ აბრამიშვილის კომპოზიცია ერთ ხაზზე ფრიზისებურად იგება, რაც სრულიად განსხვავებულ შთაბეჭდილებას ქმნის. მ. აბრამიშვილის ნამუშევარზე იქმნება ერთგვარი მონოტონური რიტმი, ი. ფარჯიანთან კი, წრიულად განლაგებული ფიგურები არათანაბარ რიტმს ქმნიან.
  ორივე კომპოზიციაში ფიგურები პირობით ხასიათს ატარებენ, თუმცა ფარჯიანთან ისინი მეტ დეფორმაციას ექვემდებარებიან. აქ დარღვეულია ფიგურათა პროპორციები: მათ დიდი, უჩვეულოდ გრძელი თავები და შედარებით პატარა სხეულები აქვთ, ფიგურების პროპორციები ჯმუხია. აბრამიშვილის ფიგურებში კი პროპორციები უფრო დაცულია, თუმცა, ორივე შემთხვევაში ისინი პირობითი და სიბრტყობრივია. ორივე ნამუშევარი ფერთა დაპირისპირების პრინციპითაა აგებული. ი. ფარჯიანის სურათზე წამყვანია თეთრი ფერი, რომელიც საკმაოდ სქელი ლაქების სახითაა დატანილი ტილოზე, ერთგვარ მკვრივ მასად წარმოგვიდგება და მკაფიოდ უპირისპირდება მოციქულთა თავების მუქ შავ ლაქებს. მართალია, მ. აბრამიშვილის კომპოზიციაშიც ფერები – თეთრი და მოყავისფრო ტონები – ერთმანეთს უპირისპირდება, მაგრამ ეს ნაკლებად კონტრასტულად აღიქმება.

2. როგორ განწყობილებას აღძრავს თითოეული მათგანი თქვენში?

- ი. ფარჯიანის ნამუშევარი ერთგვარი დრამატული ჟღერადობის მატარებელია, რასაც განაპირობებს მაცხოვრის სახის გამომეტყველება, შავისა და თეთრის ძალზე მკვეთრი დაპირისპირება და ფონის თავისუფლი, მღელვარე მონასმებით დამუშავება. მ. აბრამიშვილის ნამუშევარი კი, თავისი მქრქალი, დახვეწილი, თითქოს „გადღაბნილი“ გამოსახულებებით, უფრო მეტად ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

3. დააკვირდით, როგორ არის გამოსახული ფონი ირაკლი ფარჯიანის კომპოზიციაზე „უფლის სერობა“ და რა შთაბეჭდილებას ქმნის ის?

- განსაკუთრებულ როლს ამ სურათზე ასრულებს ფონი, რომელიც თეთრი მონასმებითაა დაფარული, თუმცა სიტყვა „მონასმი“ ამ შემთხვევაში სულაც არ გამოხატავს თვალით დანახულის არსს. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ი. ფარჯიანის ამ სურათზე და, საერთოდ, მის ნამუშევრებში, განსაკუთრებულ როლს საღებავით შექმნილი ნაკადები ასრულებს. მაგ., ქრისტეს გარშემო დადებული თეთრი საღებავი ერთიანი ნაკადის სახით შემოწერს ფიგურას, თავის გარშემო თითქოს შარავანდს ქმნის, შემდეგ

კი სხეულს ზემოდან ქვემოთ მშვიდი დინებით დაუყვება, საკუთარ თავში კეტავს გამოსახულებას და ერთგვარად გამოაცალკევებს მას დანარჩენებისაგან. უფრო მოძრავი, დინამიკური და დაძაბულია მოციქულთა გარშემო თეთრი საღებავით დაწერილი ნაკადები, რომლებიც მათ თავებს მიუყვება, ენერგიულად უვლის გარს, თავისი დინამიკური ხასიათით უპირისპირდება სტატიკურ ფიგურებს, ცენტრისაკენ თითქოს ძალას იკრებს, იმუხტება და სურათის ზედა ნაწილში, მაცხოვრის თავზე, ქარბორბალას წარმოქმნის, რაც მღელვარების, დაძაბულობისა და აფორიაქებულობის განცდას ბადებს.

4. გაიხსენეთ მირიან მეფის ამბავი, რომელიც მას თხოთის მთაზე გადახდა.

- .მირიან მეფე ნადირობიდან ბრუნდებოდა, როდესაც უცბად ჩამობნელდა და გარემო წყვდიადში ჩაიძირა. მეფის თანმხლებნი შიშმა და შეშფოთებამ მოიცვა. მეფემ ღმერთებს შეჰღაღადა და შველა სთხოვა, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. მაშინ მირიან მეფემ ნინოს ღმერთს, ქრისტეს მიმართა და მოხდა სასწაული – წყვდიადმა უკან დაიხია და მზემ გამოანათა. მირიანმა მადლობა შესწირა ახალ ღმერთს და იწამა მისი.

5. იმსჯელეთ, რა ხერხებით გამოსახავს გია ბუღაძე მირიანის „ფერისცვალებას“ სურათზე „მირიანის დაბრუნება“.

- ამ სურათზე გამოსახულია მირიან მეფე, რომელიც უკვე მზის დაბნელების შემდგომ ბრუნდება მცხეთაში. როგორ შეიძლებოდა ეჩვენებინა მხატვარს, რომ მირიანი სრულიად სხვა ადამიანის სახით ბრუნდება უკან, ანუ ესაა ადამიანი, რომელმაც დიდი შინაგანი ტრანსფორმაცია განიცადა და ქრისტეს რწმენით ბრუნდება სახლში. ამის გადმოსაცემად მხატვარი განსხვავებულად გამოსახავს როგორც ფიგურებს, ასევე გარემოს. თითქოს ყველაფერს ღვთაებრივი ნათელი დასდებია და ეს თეთრი ფერის მაქმანისებური მონასმებითაა სურათზე გამოსახული.

6. როგორ და რა ხერხებით გამოსახავს მხატვარი გარემოს და რატომ?

- მუქ მწვანე ფონზე მხატვარი თეთრი საღებავით ხატავს გარემოს, მთებს, ხეებს, წინ გაშლილ მინდორს. მწვანე ფონზე თეთრი ნახატი ალაგ-ალაგ მაქმანივითაა დადებული.

7. რა შთაბეჭდილება იქმნება ამ ხერხებით?

- მწვანე ფონზე თეთრი საღებავით შესრულებული გამოსახულებები არაა მკვეთრი და ამის გამო ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სივრცეში რაღაც უცნაურ, არაამქვეყნიურ ნათებას ვხედავთ. თითქოს ღვთაებრივი ნათელი ანათებს არემარეს.

8. რა თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ მირიან მეფე ქვეყნისათვის ახალი გეზის მიმცემად?

- მირიანი ის მეფეა, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ამით საქართველო იმდროინდელ მოწინავე დასავლურ სამყაროს, კერძოდ კი, ბიზანტიას დაუკავშირა. მას შემდეგ, საქართველოს არასოდეს შეუცვლია საკუთარი პოლიტიკური ორიენტაცია და თავისი კულტურით ყოველთვის დასავლური სამყაროს ნაწილი იყო.

9. რომელ სახვით საშუალებებს იყენებს ლევან ჭოღოშვილი ამ სურათზე და როგორ შთაბეჭდილებას განაპირობებს ეს ხერხები?

- ლ. ჭოღოშვილის ეს სურათი თითქოს შინაგანად აფორიაქებს მნახველს, რასაც ქაოტური, ერთი შეხედვით, მოუწესრიგებელი კომპოზიცია განაპირობებს, ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს დიდი წითელი ლაქა კომპოზიციის ცენტრში, რომელსაც ერთგვარი დრამატული ჟღერადობა აქვს. უცნაურად დატეხილი ფორმები, გამოსახულებათა მეტყველი სილუეტები, ზოგჯერ მოქნილი და ზოგჯერ ტეხილი ხაზები და ერთი შეხედვით ქაოტური კომპოზიცია მართლაც აფორიაქებს და აღელვებს მნახველს.

10. გაიხსენეთ, რა იცით ისტორიიდან ქეთევან დედოფალზე და იმსჯელეთ, რამდენად შეესაბამება ლევან ჭოღოშვილის მიერ შექმნილი მისი პორტრეტი თქვენს წარმოდგენას ამ დედოფლის და, საზოგადოდ, მისი ტრაგიკული ცხოვრების შესახებ?

- ქეთევან დედოფლის შესახებ მოსწავლეები გაიხსენებენ მისი წამების ისტორიას. სწორედ ამ ისტორიიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მსჯელობა ლ. ჭოღოშვილის მიერ შექმნილი ქეთევან დედოფლის პორტრეტის შესახებ. მოსაზრებები, შესაძლოა, იყოს განსხვავებული. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს საშუალება, გამოთქვან როგორც დადებითი, ასევე, კრიტიკული დამოკიდებულება ამ ნამუშევრის მიმართ, თუმცა, ყველა შემთხვევაში, უნდა მოსთხოვოს მათ, დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება.

11. რომელ სახვით ხერხებს იყენებს ლევან ჭოღოშვილი თეიმურაზის მხატვრული სახის შესაქმნელად?

- ამ პორტრეტის შემთხვევაში ლ. ჭოღოშვილი იყენებს შემდეგ ხერხებს:
  კომპოზიცია – გამოსახულება გაჭედილია კადრში და იჭრება კიდეც კიდეებში, რაც დაძაბულობის შეგრძნებას იწვევს.
  ფიგურა – ფიგურა სამ მეოთხედშია წარმოდგენილი, ის სტატიკურია, მშვიდად დგას, ცალ ხელში გრაგნილი უჭირავს, მეორეში კი – მიწაზე დაბჯენილი ხმალი. მისი პოზა მშვიდი და აუღელვებელია. აღსანიშნავია, რომ მას თავზე ჩალმა ახურავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას, მუსულმანობა აქვს მიღებული. აცვია მუქი წითელი ფართო სამოსი, რომელიც სხვადასხვაგვარი ხერხებითაა დამუშავებული. მკერდთან ეს მშვიდი ლოკალური წითელი ლაქაა, ხელზე კი ფართო, სხვადასხვა ფერის მღელვარე მონასმებით დაწერილი დანაოჭებული ქსოვილია. სხეულის ფორმები ამ სამოსის ქვეშ პრაქტიკულად არ იკითხება და ფიგურის სტრუქტურაც არ ჩანს, თუმცა მისი წაგრძელებული პროპორცია აშკარად იკვეთება, რასაც აძლიერებს ის ფაქტორიც, რომ თავი და ხელის მტევნები სხეულთან შედარებით მცირე ზომისაა.
  კოლორიტი – ფერადოვნების თვალსაზრისით, ნამუშევარი ჰარმონიული და თავშეკავებულია. ჩამქრალ წითელს აქტიურად უპირისპირდება თეთრი ფერის ცალკეული დეტალები: ჩალმა, თეთრი წვერი, თეთრი გრაგნილი და მკლავთან თეთრი ქსოვილის ლაქა. წითლისა და თეთრის ეს მკვეთრი კონტრასტი ერთგვარ დაძაბულობასა და დრამატულ ჟღერადობას ანიჭებს თეიმურაზის სახეს.
  გარდა ამისა, ამ სურათის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფორმის მსუბუქ დეფორმაციას, რაც აშკარად ჩანს, როგორც სახის სტრუქტურაში, ისე, ხელების, ყელისა და საერთოდ მთელი სხეულის აგებულებაში.

13. ფოტოგრაფია — ტექნიკური სიახლე თუ ხელოვნების ახალი დარგი?

1. სად და რა გარემოში იღებთ ფოტოებს ყველაზე ხშირად?

- თანამედროვე ადამიანი სიამოვნებით იღებს ფოტოებს, როდესაც სადმე საინტერესო გარემოში – ბუნებაში, ლამაზ ინტერიერში – იმყოფება. მაგრამ თანამედროვე ცხოვრებამ ლამის ჩვევად აქცია ჩვეულებრივ, ყოველდღიურ რეალობაში ფოტოს გადაღებაც.

2. როგორ ფიქრობთ, ფოტოს გადაღება მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაა დღეს თუ მას სხვა ფუნქციაც აკისრია?

3. თანამედროვე ცხოვრების რიტმში რა ადგილი უკავია ფოტოგრაფიას?

- ძველი დროისგან განსხვავებით, როდესაც ფოტოს გარკვეული ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული (მაგ., დოკუმენტურობა), დღეს ის კომუნიკაციის, ინფორმაციის გაცემის და მიღების ერთ-ერთი საშუალებაა. ერთგვარ რიტუალადაც კი იქცა ფოტოების მეშვეობით ერთგვარი ვიზუალური ისტორიის შექმნა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების აღსაბეჭდად.

4. თქვენი აზრით, ფოტოს გადაღება მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ უნარებს თუ ის ყველასათვის ხელმისაწვდომია?

- ტექნიკური თვალსაზრისით ფოტოს გადაღება პრაქტიკულად ყველასთვის ხელმისაწვდომია დღეს, თუმცა, ცხადია, რომ მაღალმხატვრული ნამუშევრის შესაქმნელად ავტორს ზოგადად მხატვრული ხერხების, გამოსახვის ელემენტების და პრინციპების ცოდნა მოეთხოვება. ბევრი რამ არის დამოკიდებული მის ხედვაზე, მხატვრულ ალღოზე, ისევე, როგორც ხელოვნების ნებისმიერ სხვა დარგში.

5. ყველაზე ხშირად სად ვნახულობთ მოყვარულების თუ პროფესიონალების მიერ გადაღებულ ფოტოებს დღეს?

- ყველაზე ხშირად ჩვენ ფოტოებს სოციალურ ქსელში ვნახულობთ. სოციალურმა ქსელმა, ფოტოების გაზიარების ინტენსივობის თვალსაზრისით, ბეჭდვით მედიასაც კი გაუსწრო.

6. როგორ ფიქრობთ, რა ფუნქცია ექნებოდა თავდაპირველად ფოტოგამოსახულებას, რის ფიქსაციას შეეცდებოდნენ ადამიანები ამ ხერხის მეშვეობით?

- თავდაპირველად ფოტოს ყველაზე ხშირად ადამიანებს უღებდნენ და ამან ერთგვარად შეავიწროვა პორტრეტისტთა პროფესიული მოთხოვნადობა. სულ მალე მოდურ გატაცებად იქცა საოჯახო ფოტოების გადაღება, რომლებიც საოჯახო ფოტოალბომებში ინახებოდა. ხშირი იყო ასევე ბუნების ან ქალაქის ხედების ამსახველი ფოტოებიც.

7. გინახავთ თუ არა ძველი საოჯახო ფოტოალბომები? რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი იმდროინდელი ცხოვრების შესახებ?

- ბევრ ოჯახში დღესაც შემორჩენილია ძველებური ფოტოებით სავსე ალბომები და, სავარაუდოდ, ისინი მოსწავლეებს ექნებათ ნანახი. ეს ფოტოები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ძველი ეპოქის შესახებ ადამიანების სამოსის, აქსესუარების, ინტერიერის თუ ექსტერიერების სახით. საინტერესოა ისიც, თუ რა ეპიზოდებია, როგორც წესი, დაფიქსირებული ძველ ფოტოებზე. დიდი პოპულარობით სარგებლობდა სკოლის ან უნივერსიტეტის მეგობრების ე.წ. გამოსაშვები ჯგუფური ფოტოები. საოჯახო ალბომებში, ფოტოგრაფების ატელიეებში, საგანგებოდ მოწყობილ ანტურაჟში აქსესუარებით დამშვენებული ფოტოებიც ინახება ხოლმე. ასეთ ფოტოებს აუცილებლად აწერია ფოტოგრაფის გვარი და მისი ატელიეს მისამართი. ძველი ფოტოების ერთი განსხვავებული ტიპია, ასევე, ტრაფარეტის გამოყენებით გადაღებული ფოტო, როდესაც ადამიანი სპეციალურ ტრაფარეტს არის ამოფარებული და მხოლოდ მისი სახე მოჩანს, ხოლო ტრაფარეტზე დატანილი ნახატი ან ძველებურ სამოსს, ან ეგზოტიკურ გარემოს და სხვა ამგვარ დეტალებს ასახავს.

8. რა არგუმენტებს მოიშველიებთ იმის დასამტკიცებლად, რომ ფოტოგრაფია ხელოვნების დარგია, ხოლო ფოტო – ხელოვნების ნაწარმოები?

9. თქვენი აზრით, როგორი ტიპის ფოტოგრაფიას აქვს ხელოვნების ნაწარმოების დამახასიათებელი ნიშნები?

- ხელოვნების ნებისმიერ დარგს საკუთარი სამეტყველო ენა გააჩნია, რომელიც მხატვრულ-გამომსახველობითი ელემენტებისა და პრინციპებისაგან შედგება. ფოტოგრაფიაც საუბრობს ასეთ გამორჩეულ ენაზე და მის არსენალში კომპოზიციის, კადრირების, სტატიკისა თუ დინამიკის, რეალისტური თუ პირობითი, სტილიზებული ფორმის, განათების, ფერის, კონტრასტის და სხვა მრავალი მხატვრული ხერხია თავმოყრილი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შემთხვევით გადაღებული ფოტო, რასაკვირველია, შესაძლებელია ეფექტური იყოს, მაგრამ როგორც წესი, ფოტონამუშევრის შექმნას წინ კონცეფციის შემუშავება, მოსამზადებელი ეტაპი, უშუალოდ გადაღება, გამჟღავნება და ექსპონირება უძღვის. ერთი სრულყოფილი კადრის მისაღებად ფოტოხელოვანი მრავალ დუბლს იღებს და შემდეგ საუკეთესოს

არჩევს მათ შორის. ამდენად, ფოტო ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დარგის ნაწარმოები, უნიკალურია.

10. როგორ განსხვავდება ფერადი და შავ-თეთრი ფოტოსაგან აღძრული შთაბეჭდილება?

- შავ-თეთრ ფოტოს თავისებური ხიბლი აქვს. ის თითქოს აქრობს მეორეხარისხოვან დეტალებს და მნახველის მთავარზე კონცენტრირებას უწყობს ხელს.

11. როგორ დაახასიათებდით მან რეის წარმოდგენილ ფოტოხელოვნების ნიმუშებს?

12. რა ნიშნები აქვს მათ საერთო სიურრეალისტურ მხატვრობასთან?

- მან რეის ფოტოებზე, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ობიექტებია დაფიქსირებული. თუმცა, სიურრეალისტური ნამუშევრების მსგავსად, ამ ჩვეულებრივ ობიექტებს შორის უცნაური კავშირებია გაბმული, რაც მთლიანად ცვლის მათ შინაარსს. სიურრეალიზმი ხომ სიტყვა-სიტყვით ზერეალობას ნიშნავს. მან რეი სწორედ ასე, ერთმანთთან უცნაურად დაკავშირებული ელემენტების მეშვეობით ქმნის წარმოსახვით სამყაროს.

13. აღწერეთ ნამუშევარი და იმსჯელეთ, მხატვრობისათვის დამახასიათებელ რომელ გამომსახველობით ხერხებს იყენებს ფოტოხელოვანი?

- გურამ წიბახაშვილის სერიის „განმარტებანი“ ნამუშევრები ძველი ფოტოების შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ფოტოფირის ნაპირები საგანგებოდ არის დატოვებული გაუმჟღავნებლად, დაშუქებულია, რაც სრულიად უნიკალურ იერს ანიჭებს მათ. ფოტოებს დართული აქვს ხელით შესრულებული წარწერები და წითელი საღებავით დატანილია მარტივი ნახატი.

14. აღწერეთ ნათელა გრიგალაშვილის მიერ შექმნილი ნამუშევრები და გადმოეცით მათგან აღძრული შთაბეჭდილება.

15. შეეცადეთ, გააანალიზოთ, რა იქცევს თქვენს ყურადღებას პირველ რიგში?

- ნათელა გრიგალაშვილის ნამუშევრები, ერთი შეხედვით, ადამიანების ჩვეულ გარემოს ასახავს. ფართოდ გაშლილ ხედებში ადამიანები ბუნებრივად არიან აღბეჭდილი. ყოველდღიური საქმიანობის სცენებს თან ახლავს გარკვეული რომანტიზმის ელფერი. ხელოვანი მაყურებელს დინჯად მოუთხრობს რიგითი ადამიანების ცხოვრების შესახებ, მაგრამ მხატვრის თვალით დანახული კადრები დასამახსოვრებელი და პოეტურიც კია.

16. რა ასოციაციებს აღძრავს წარმოდგენილი ნამუშევრები რეალურ სამყაროსა თუ ხელოვნების ცნობილ ნაწარმოებებთან?

- მაყურებელს უჩნდება გარკვეული ასოციაციები მხატვრობის ცნობილ ნიმუშებთან, მაგ., ვერმეერის „მერძევესთან“. ინტერიერის დეტალები, განათება, მოძრაობის რიტმი ფოტოხელოვანის ინსპირაციის წყაროზე მიუთითებს. ამავე დროს, ეს გახლავთ ე.წ. დადგმული ფოტო, რომელიც მხოლოდ ამა თუ იმ ცნობილი ნაწარმოების ფოტოასლს წარმოადგენს. ეს დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობის ნამუშევრებია, რომლებშიც მკაფიოდ იკითხება ავტორის ინდივიდუალური ხელწერა.

14. ჩვენი ფოტოგალერეა*

1. დააკვირდით და იმსჯელეთ, როგორი ინტერპრეტაციით წარმოადგინა საკუთარ ფოტოზე სინდი შერმანმა ჯოვანა ტორნაბუონი.

2. თქვენი აზრით, რამდენად ზუსტად გაიმეორა არტისტმა ჯოვანას სახე?

- სინდი შერმანის ნამუშევარი ჯოვანა ტორნაბუონის ერთგვარ შარჟად შეიძლება განვიხილოთ, რადგან გირლანდაიოს ნამუშევარზე აშკარად ჩანს, მხატვრის მონდომება, გადმოსცეს ახალგაზრდა ქალის სილამაზე, მისი კდემამოსილება. სინდი შერმანი კი სულაც არ ცდილობს, ეს დამოკიდებულება გაიმეოროს. ის იმეორებს ცალკეულ დეტალებს, იცავს ეპოქის სტილს, სურათის კომპოზიციას, მაგრამ ქალის

მხატვრული სახე ძალზე შორსაა ჯოვანა ტორნაბუონის გარეგნული თუ შინაგანი მშვენიერებისაგან. სინდი შერმანი, ფაქტობრივად, გირლანდაიოს ინტერპრეტაციას აკეთებს და თანამედროვე ჰარმონიადარღვეული ადამიანის პორტრეტს წარმოგვიდგენს.

II თავი. ახლის ძიება — ხელოვნების მამოძრავებელი ძალა

15. ექსპრესიონიზმი — მძაფრი ემოციები ხელოვნებაში

1. შეადარეთ ერთმანეთს კლოდ მონესა და ედვარდ მუნკის წარმოდგენილი ნამუშევრები. აღწერეთ, რა არის გამოსახული თითოეულ მათგანზე.

- ერთი შეხედვით, კ.მონესა და ე.მუნკის ნამუშევრებზე მსგავსი ხედია ხიდი პეიზაჟის ფონზე. კ. მონე მაყურებლისგან ოდნავ მოშორებულ კადრს ასახავს. ხიდი თითქოს სიმწვანეს ერწყმის და ზაფხულის ფერადოვანი, მშვიდი დღის კადრს აფიქსირებს სურათზე. ე. მუნკი კი ხიდზე რაღაცით შეძრწუნებული ადამიანის პირობით გამოსახულებას ათავსებს. საგანგებოდაა შერჩეული კადრი — მაყურებელთან ახლოს მოტანილი სახე და მასზე აღბეჭდილი შიშის გრიმასა ერთიანად იპყრობს მაყურებლის ყურადღებას და თითქოს პეიზაჟის ყველა პირობითი დეტალიც ამ ცენტრალური გამოსახულებისკენ გვაბრუნებს.

2. რომელ გამომსახველობით ელემენტებს და ხერხებს იყენებენ კლოდ მონე და ედვარდ მუნკი?

- კ. მონეს სურათი იდილიურ, მშვიდ განწყობილებას აღუძრავს მაყურებელს. გაწონასწორებული კომპოზიცია, ფერადოვნება, სადაც მწვანეს სხვადასხვა ტონალობა ჭარბობს, თითქოს ზაფხულის მშვენიერი დღის სილამაზით დატკბობისკენ მოუწოდებს ადამიანს. ფერადი მონასმების მშვიდი რიტმი იმპრესიონისტული მხატვრობის ესთეტიკის ტიპური ნიმუშია. სხვაგვარია ე. მუნკის მიერ წარმოდგენილი ხედი. თითოეული მხატვრული ხერხი თუ ელემენტი — კომპოზიცია, კადრი, პირობითი ფორმები, კონტრასტული ფერი — ყველაფერი დაძაბულობის შთაბეჭდილებას ქმნის. ეფექტს ისიც აძლიერებს, რომ სახეს, პრაქტიკულად თავის ქალის ფორმა აქვს მიღებული. წითელისა და ნარინჯისფრის სხვადასხვა ტონალობები ცეცხლის ალებივით აქვს პეიზაჟს მოდებული და შიშის, სასოწარკვეთის შთაბეჭდილებას აძლიერებს. როგორც თავად ავტორი აღწერს თავის მოგონებებში, ბუნების ხედიც კი — ზეცა, მდინარის ნაპირები, ერთიანად მოცული აქვს რაღაც მღელვარებას, რაც დინამიკური ხაზებით შესრულებული ნახატის ფორმით არის გადმოცემული. ღრუბლები წითლადაა შეღებილი. სურათის ცენტრში ადამიანის სტილიზებული, ჩონჩხს დამსგავსებული გამოსახულებაა წარმოდგენილი, რომელიც სასოწარკვეთილი კივის. კლაკნილი ხაზებით შესრულებული ბუნების ხედის ყველა ხაზი სწორედ ადამიანის ამ გამოსახულებასთან იყრის თითქოს თავს და უერთდება მის შემზარავ ემოციას.

3. როგორ განწყობილებას აღძრავს აქ წარმოდგენილი თითოეული ნაწარმოები?

- თითოეული მხატვრის ჩანაფიქრი თვალნათლივ არის გამომჟღავნებული ბუნების ხედის მხატვრულ ინტერპრეტაციაში. კ. მონესთან ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რომ მაყურებელს ზაფხულის მშვიდი დღის ატმოსფერო განაცდევინოს, ე. მუნკი კი გამომსახველობითი საშუალებების გამძაფრების, კონტრასტის, რაკურსის მეშვეობით მაყურებელს სასოწარკვეთის განცდას აღუძრავს.

4. ამ გამონათქვამებისა და გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებების მიხედვით, კლოდ მონესა და ედვარდ მუნკის ნამუშევრებიდან რომელია ექსპრესიონისტული?

- ედვარდ მუნკის „კივილი“ ექსპრესიონისტული მხატვრობის ტიპური ნიმუშია. ის მიჩნეულია ადამიანური განცდების, შიშების, მძაფრი ემოციის მხატვრული წარმოჩენის კლასიკურ ნიმუშად.

5. ჩამოთვალეთ, რომელ მხატვრულ ხერხებს იყენებს ერნსტ ლუდვიგ კირხნერი თავის ნამუშევარში „ბერლინის ქუჩა“. რისი გადმოცემა სურდა მხატვარს ამ გამომსახველობითი ხერხების გამოყენებით?

- ბერლინის ერთ-ერთი ქუჩა უჩვეულო, ოდნავ „აყირავებული“ რაკურსითაა ნაჩვენები, თითქოს კამერის ობიექტივმა უკან გადაიტანა, მაყურებელს დააშორა უკანა პლანი და ამან გაამრუდა რაკურსი. გამოყენებულია მჭახე ფერები. ფიგურები გამარტივებული სახით, ოდნავ დაგრძელებულია გამოსახული. მათი მოძრაობის მანერაც სტილიზებულია, არაბუნებრივი. ყველა ეს ხერხი აქრობს ყოველდღიურობის შეგრძნებას და ხაზგასმულს, ოდნავ თეატრალიზებულსაც ხდის ნამუშევარს.

6. აღწერეთ არნოლდ შონბერგის წარმოდგენილი ნამუშევარი. როგორ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე ის? თქვენი აზრით, რომელ ფერს იყენებს მხატვარი ემოციის გასამძაფრებლად?

- ა.შონბერგის ნამუშევარზე ადამიანის სახის ახლო კადრია გამოსახული. იმთავითვე ყურადღებას იქცევს ის, რომ სახე პირობითი ფორმით, თითქოს უკიდურესად დამჭკნარი, თითქმის ჩონჩხადქცეულია წარმოდგენილი. მის გარშემო ფერადი ქაოსი, თავის ზემოთ კი გაუზავებელი თეთრი მონასმებია დატანილი, რაც ერთგავარად ნათების ეფექტსაც ქმნის. სახის პირობითი, გადღაბნილი ნაკვთებიდან ყურადღებას იქცევს ინტენსიურად მანათობელი თვალების ორი ლაქა. მათ გარშემო, ღაწვებზე დადებული წითელი მონასმები და ინტენსიური თეთრი ნათება ორი მთავარი ფერადოვანი აქცენტია. პერსონაჟის მძაფრი, დაჟინებული გამოხედვა დაძაბულობის ემოციას აღუძრავს მნახველს.

7. როგორ დაასათაურებდით არნოლდ შონბერგის წარმოდგენილ ნამუშევარს?

- სურათის მთავარ აქცენტს პერსონაჟის მაყურებლისკენ მიმართული მზერა შეადგენს. გამხდარი სახის ყვრიმალებზე დადებული წითელი წრიული მონასმები სისხლიან ნაკვალევადაც შეიძლება აღიქვას ადამიანმა; და მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ თვალები ცივი, მომწვანო ნათების ეფექტითაა შესრულებული, მზერა სისხლიანი, ამღვრეული თვალების შთაბეჭდილებას ტოვებს მაინც. ნიშანდობლივია, რომ ნამუშევრის სათაურია „წითელი თვალები“.
  შესაძლებელია, მოსწავლეებმა ნამუშევრის ანალიზისას სხვა დეტალებზე გაამახვილონ ყურადღება და სხვაგვარად დაასათაურონ იგი, თუმცა მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ექსპრესიონისტები შთაბეჭდილების გასამძაფრებლად, როგორც წესი, იყენებენ ფერს. ხშირად ეს მკვეთრი ფერადოვანი აქცენტებია, როგორც ამას ა. შონბერგის ნამუშევრებზე ვხედავთ, სადაც განმსაზღვრელი დაძაბულობის, მძაფრი ემოციის აღქმის და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი უნდა იყოს.

8. აღწერეთ და დაახასიათეთ ჟორჟ რუოს წარმოდგენილი ნამუშევარი. როგორ ფიქრობთ, რა განცდას შეუპყრია გამოსახული პერსონაჟი?

- სასურათე არე მთლიანად შევსებულია მდიდრულ სამოსში და თავსაბურავში წარმოდგენილი მამაკაცის გამოსახულებით. იგი პროფილში, თვალდახუჭულია წარმოდგენილი. სახის ნაკვთები გამხდარი, თითქმის ასკეტური აქვს, ჩაცვენილი ლოყებით. მაყურებელი ვერ ხედავს მის თვალებს, მაგრამ სახეზე მძაფრი განცდის კვალი ემჩნევა, მწუხარე გამომეტყველებას მისი ნაოჭებით დაღარული სახე, დახუჭული

თვალები და მოკუმული პირი ანიჭებს. სხეულის ფორმები, მკლავი, მტევანი ერთობ პირობითია. მთავარი აქცენტი ნაღვლიან სახეზეა გაკეთებული, მდიდრული ფერადოვანი შესამოსელი და სტილიზებული გვირგვინი მხოლოდ ამძაფრებს წარჩინებულობის მიუხედავად მარტოსულობის განცდას.

9. აღწერეთ კ. კოლვიცის წარმოდგენილი ნამუშევარი. თქვენი აზრით, რომელი მხატვრული ხერხებია გამოყენებული ამ ნამუშევარში და რა აზრია ჩადებული მასში? რომელ დეტალებში შეიძლება დავინახოთ გროტესკის ნიშნები?

- კეთე კოლვიცის გრაფიკულ სურათზე წარმოდგენილია მაყურებლისკენ ზურგშექცევით მდგარი ქალის ფიგურა. მას ხელები ზეცისკენ აქვს აპყრობილი და თითქოს რაღაცისკენ მოუწოდებს მის წინ მდგომ ხალხის მასას. ადამიანების მჭიდრო მწკრივები პროფილშია გამოსახული. ისინი, პირობითად, ერთმანეთთან ისე ახლოს არიან წარმოდგენილი, რომ ვერც კი გამოაცალკევებ ერთმანეთისგან. ოდნავ მოხრილებს ხელში სამეურნეო იარაღები უკავიათ და ერთი მიმართულებით წინ მიისწრაფვიან. მხატვარი საკმაოდ ამწვავებს ხალხის ამ ერთიანად წარმოდგენილი მასის წინსწრაფ მოძრაობას, თითქმის გროტესკულს ხდის მათ გამოსახულებებს. ცხადია, რომ სოციალურ უსამართლობასა და სიღარიბეს აუმხედრებია დაჩაგრული ადამიანები, რომლებიც სასოფლო სამუშაოების შესასრულებელი იარაღით აღჭურვილან და საკუთარი უფლებების მოსაპოვებლად ხელჩართულ ბრძოლაში ჩასაბმელად არიან მზად.

10. აღწერეთ ვილჰელმ ლემბრუკის ნამუშევარი „წაქცეული კაცი“. თქვენი აზრით, რას გამოხატავს ეს ფიგურა? რა ხერხებით არის გადმოცემული ემოცია ამ ნამუშევარში?

- ვ. ლემბრუკის ქანდაკების აღწერისას მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ ქანდაკების უჩვეულო კომპოზიციაზე. მამაკაცის სხეულის გამარტივებული, საგრძნობლად გაწელილი ფორმები მაყურებლის ყურადღებას წარმართავს სწორედ ამ პოზის მხატვრულ გამომსახველობაზე. მამაკაცის ფიგურა შემთხვევით წაქცეულს არ ჰგავს. მას თავი ხელებს შორის მოქცევია და მიწაზე უდევს. მთელი მისი პოზა ცხოვრების მიერ დამარცხებული ადამიანის ტრაგიკულ ბედს გამოხატავს.

11. რომელი დეტალები გამოხატავს ერნსტ ბარლახის ქანდაკებაში მის მთავარ აზრს?

- ერნსტ ბარლახის ქანდაკება უნივერსალურ, ნებისმიერი ეთნოსის წარმომადგენელისთვის გასაგებ მხატვრულ ენაზე მეტყველებს, რადგან მოქანდაკეს გამოსახული აქვს უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის ჟესტი — გარშემო მყოფებისკენ გაწვდილი ხელები. ქალი სახეს იფარავს გამვლელთაგან და მაყურებელი მხოლოდ მის მასიურ ერთიან ფიგურას აღიქვამს. ამ ფონზე უღონოდ ძირს დავარდნილი ორი ხელი განსაკუთრებით ექსპრესიულად ჟღერს და ტრაგიკულ ელფერს ანიჭებს მცირე ზომის ქანდაკებას.

საკლასო სამუშაო

ჩამოთვალეთ ექსპრესიონიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებსაც ერნსტ კირხნერის და ფრენსის ბეკონის ნამუშევრებში ვხვდებით. რა ხერხებს იყენებენ მხატვრები გრძნობების მძაფრად გადმოსაცემად?

- ექსპრესიონიზმისთვის დამახასიათებელია პირობითი ფორმის დისპროპორცია, უტრირება, კონტრასტული ფერები, მკვეთრი რაკურსი, ასიმეტრიული კომპოზიციური წყობა, ხაზის და პოზების დინამიკა და სხვ. ყველა ამ ნიშნის ნახვა შესაძლებელია ე. კირხნერის და ფ. ბეკონის ნამუშევრებშიც.

16. ნიღაბი და ადამიანის ემოციები

1. აღწერეთ ემილ ნოლდეს წარმოდგენილი ნამუშევარი. რომელ გამომსახველობით ხერხებს და საშუალებებს იყენებს აქ მხატვარი?

- ე. ნოლდეს ნამუშევარზე ნიღბების მთელი ნაკრებია წარმოდგენილი. მათ შორისაა თეატრალური ნიღაბი, თეთრწვერა ნიღაბი, თავის ქალა თუ სხვა. კონტრასტული ფერებისა და პირობითი, თითქმის გროტესკული ფორმების შეხამება გამომსახველობითი საშუალებების მთავარ ელემენტებს წარმოადგენს.

2. როგორ შთაბეჭდილებას აღძრავს ეს სურათი?

- სურათი უსიამოვნო, უფრო მეტიც, შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს.

3. თქვენი აზრით, რომელ მხატვრულ მიმდინარეობას მიეკუთვნება ეს ნაწარმოები? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

- კონტრასტული ფერები, თითქმის გროტესკული ფორმები, მაქსიმალურად გამძაფრებული გრიმასები ნიღბებზე ტიპური ექსპრესიონისტული ნამუშევრების რიგს მიაკუთვნებს ე. ნოლდეს ამ ნამუშევარს.

4. გაიხსენეთ, რომელი ქვეყნების კულტურაში გვხვდება ნიღაბი და რა როლი ენიჭება მას?

- ძველი ცივილიზაციების — ეგვიპტე, შუამდინარეთი, ინდიელთა ტომების არაერთ კულტურაში გვხვდება ნიღაბი, რომელსაც, უმთავრესად, რიტუალური დანიშნულება ენიჭება. ძველი ბერძნული თეატრის ტრადიციაში კი ნიღაბი აუცილებელი ატრიბუტი იყო, რომლის გარეშე მსახიობები არც გამოდიოდნენ სცენაზე. ამდენად, აქ ნიღაბი პერსონაჟის მთავარი თვისებების აღმნიშვნელის ფუნქციას ითავსებდა.

5. რა ემოციას ასახავს აქ წარმოდგენილი თეატრალური ნიღბის ნიმუშები?

- ბერძნული ტრადიციის მსგავსად, წარმოდგენილ ნიღბებზე მხიარულების და მწუხარების პირობითი ნიშნებია ასახული. ე.წ. ტრაგიკული და კომიკური ნიღბების ტრადიცია ძველი ბერძნული თეატრალური ხელოვნების განუყოფელი ნაწილია.

17. აბსურდის ხელოვნება — სიურრეალიზმი

1. შეადარეთ ერთმანეთს ექსპრესიონისტული და სიურრეალისტური ნამუშევრები. რა განსხვავებას ხედავთ მათ შორის?

- ფრანც მარკეს ნამუშევარი შესრულებულია მკვეთრი, კონტრასტული ფერებით. მათი კომპოზიციური განაწილება დინამიკის შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ემოციურად დახვეული ფერადი სპირალები ეჯახება ერთმანეთს. ფერადოვნების მხრივ გაცილებით უფრო „მშვიდია“ მ. ერნსთის ნამუშევარი, თუმცა მასზე ასახული ელემენტები მაყურებლის ყურადღებას იპყრობს და აფიქრებს მას.

2. რომელ გამომსახველობით ხერხებს საშუალებებს იყენებენ ფრანც მარკე და მაქს ერნსტი საკუთარი ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად?

- ფ. მარკეს ნამუშევარზე მთავარ ყურადღებას ინტენსიური ფერის დინამიკური კომპოზიცია იპყრობს. მაშინ როდესაც მ. ერნსთის სურათი რეალისტურად დახატული, თუმცა ერთმანეთთან არალოგიკურად დაკავშირებული ელემენტებისგან შედგება.

3. არის თუ არა რომელიმე მათგანში რეალურად ასახული სამყარო?

- ამ ექსპრესიონისტული ნამუშევრისგან განსხვავებით ცალკეული რეალური საგნები მ. ერნსტის ნამუშევარშია წარმოდგენილი, თუმცა ძნელი მოსახელთებელია კავშირი მათ შორის და, შესაბამისად, სურათის შინაარსის ამოცნობაც. ნამუშევრების ერთმანეთთან შედარების და მათ მიერ აღძრული შთაბეჭდილების გააზრების მეშვეობით, მოსწავლეები თანდათან აყალიბებენ სიურრეალიზმის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს.

4. დააკვირდით მაქს ერნსტის სურათს „ბარბაროსები“. რა ასოციაციებს აღგიძრავთ ის?

- მაქს ერნსტის სურათზე დიდი ზომის ფანტასტიკური არსებებია წარმოდგენილი. მათი ფორმები ზღაპრული ურჩხულების ან საშინელებათა ფილმებში სხვა პლანეტიდან ჩამოსული ბოროტი არსებების ასოციაციებს აღძრავს.

5. აღწერეთ სალვადორ დალის ნამუშევრები. როგორია ამ სურათებზე ასახული სამყარო?

- ს. დალის წარმოდგენილ სურათებზე, ისევე, როგორც სხვა სიურრეალისტთა ნამუშევრებში, ცალკეული საგნები რეალისტურად არის გამოსახული, მაგრამ როგორც კი სურათის „შინაარსის“ — სიუჟეტის ამოკითხვას შევეცდებით, ვხვდებით, რომ დარღვეულია მათი ჩვეულებრივი პროპორციული თუ მასშტაბური თანაფარდობა, მათი სახასიათო თვისებები შეცვლილია, მაგ., უზარმაზარი ზომის საათის ციფერბლატები თითქოს მცხუნვარე მზისგან დეფორმირებული და დამდნარია. შეცვლილია მათი მასალის ხასიათიც და ჩვეულებრივ მყარი ლითონის ფაქტურის მქონე საათების ციფერბლატები გადაკიდებულია ხის ტოტსა და მაგიდაზე. მესამე საათი ასევე დეფორმირებულია და თითქოს გადაფარებულია ძირს დაგდებულ სხვა საგანზე. პატარა ზომის ხე პირდაპირ მაგიდის ზედაპირიდან არის ამოზრდილი.

6. როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ამ სურათებში გამოყენებული მხატვრული საშუალებები? რა ასოციაციები გიჩნდებათ?

- ს.დალის სურათების ცალკეული ელემენტები რეალისტურად არის გადმოცემული, თუმცა პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში ავტორი განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს მათ, ტვირთავს ფანტასტიკური დეტალებით და განსხვავებულ კონტექსტს ანიჭებს ამით. ხშირად ჩნდება სიზმრისეული ხატების ასოციაცია, რომელსაც ასევე ახასიათებს რეალისტური და ფანტასტიკური ნიშნების ერთობლიობა.

7. როგორი კავშირებია რეალურ საგნებს შორის სიურრეალისტურ ნამუშევრებში?

- სურათის დათვალიერებისას ვერ ხერხდება ასახული საგნების ლოგიკურად დაკავშირება ერთმანეთთან მათი ცნობადობის მიუხედავად.

8. დააკვირდით მ. ოპენჰაიმის ნამუშევარს და იმსჯელეთ, რა არის მასში მოულოდნელი, აბსურდული და სიზმრისეული?

- ყოფითი საგნების უჩვეულო ფაქტურა (ბეწვიანი ფინჯანი, ლამბაქი და კოვზი) ბადებს მოულოდნელობის უსიამოვნო განცდას, არარეალურობის შთაბეჭდილებას და სრულებით აქრობს საყოფაცხოვრებო საგნების ფუნქციას. სწორედ ამას ისახავენ მიზნად სიურრეალისტები, როდესაც ჩვენ გარშემო არსებულ ბუნებრივ თუ ხელოვნურად შექმნილ სამყაროს უცვლიან აზრს, სიზმრისეულ ფანტაზიებთან აახლოებენ და აბსურდის დონემდე დაჰყავთ ის.

19. ამერიკული რეალიზმი

1. დაახასიათეთ ამერიკელი მხატვრების წარმოდგენილი ნამუშევრები გამოსახული სიუჟეტებისა და გამოყენებული გამომსახველობითი ხერხების მიხედვით. შეეცადეთ, გააანალიზოთ, რომელ ევროპულ მხატვრულ მიმდინარეობებთან ავლენენ ისინი მსგავსებას.

- სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ორივე ნამუშევარზე ყოველდღიური ყოფის ამსახველი სცენებია გამოსახული. ფერადოვნების, წერის დამახასიათებელი, ოდნავ პირობითი მანერის მხრივ, აგრეთვე, ფორმათა დამუშავების, მშვიდი განათების, ფერადოვანი ლაქების ტონალური მრავალფეროვნების თვალსაზრისით ამერიკული მხატვრობის ეს ნიმუშები იმპრესიონისტული ფერწერის ნამუშევრებთან ამჟღავნებენ მსგავსებას.

2. ამ ნამუშევრების მიხედვით ჩამოაყალიბეთ ამერიკული რეალიზმის სკოლის წარმომადგენელთა სურათების ტიპური სიუჟეტები და დამახასიათებელი ნიშნები. მათ

ხშირად „ნაგვის ურნების სკოლასაც“ უწოდებდნენ; როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობდნენ ამ სახელწოდებაში ხელოვნების კრიტიკოსები?

- 1-2 წარმოდგენილ ნამუშევრებზე ასახულია ცხოვრების ყოველდღიური მომენტები. მოქმედება მიმდინარეობს ქუჩაში, კაფეში, ასახულია ქუჩის ხედი. ამერიკული რეალიზმის სკოლის წარმომადგენელთა მთავარი თემა ჩვეულებრივი ცხოვრების ასახვაა ყოველგვარი შელამაზების და იდეალიზაციის გარეშე. ამ სცენების მთავარი მოქმედი გმირები ჩვეულებრივი ადამიანები, სოციუმის დაბალი ფენის წარმომადგენლები არიან, რაც გარკვეულ პროტესტს იწვევდა ხელოვნების ტრადიციული თემატიკის და ხელოვნების ობიექტისადმი ტრადიციული დამოკიდებულების მქონე საზოგადოების წარმომადგენლებში. სწორედ ამით აიხსნება რეალიზმის სკოლის ნაგვის ურნების სკოლად მოხსენიება.

3. შეადარეთ ერთმანეთს ორი ამერიკელი მხატვრის, უილიამ ჯეიმს გლაკენსის და ედვარდ ჰოპერის, ნამუშევრები. რა მსგავსებას და განსხვავებას ხედავთ მათ შორის?

- ორივე ნამუშევარზე წარმოდეგენილია მოქმედება, რომელიც კაფეში მიმდინარეობს. უ. გლაკენსის სურათზე წარმოდგენილი წყვილი, ქალი და მამაკაცი, ხაზგასმულად კადრირებული კომპოზიციის ცენტრშია მოთავსებული. მათ უკან სარკეებიან ან მინის ვიტრინებში ვხედავთ კაფეს სხვა სტუმრებს, რაც სასურათე არის სისავსის შეგრძნებას ბადებს. წყვილის ყურადღება რაღაცამ მიიქცია და ორივე ერთი მიმართულებით იყურება, რაც მაყურებელს მათ შორის არსებულ კავშირზე მიუთითებს. ისინი ამ კონკრეტულ მომენტში არ საუბრობენ, მაგრამ ცხადია, რომ ცოტა ხნის წინ შეწყვიტეს ლაპარაკი და სულ რამდენიმე წამში კვლავ გააგრძელებენ ურთიერთობას.
  ე. ჰოპერის სურათზე ასევე კაფეში მაგიდასთან მჯდომი წყვილია გამოსახული — ორი ახალგაზრდა ქალი. ისინი ქუჩაში გამავალი მინის ვიტრინასთან სხედან. სურათის სიღრმეში კაფეს სხვა სტუმრებიც მოჩანს, მაგრამ დარბაზში სიჩუმეა, თითქოს არავინ საუბრობს, მათ შორის, სურათის მთავარი პერსონაჟებიც თავის თავში ჩაკეტილები, ჩუმად სხედან. მაყურებელი გრძნობს, როგორი გაუცხოებული არიან პერსონაჟები და ეს მთავარი შთაბეჭდილებაა, რომელიც მაყურებელს ეუფლება სურათის თვალიერებისას. ერთი შეხედვით, მსგავსი სიუჟეტი ორ ამერიკელ მხატვარს აბსოლუტურად განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი. თუ უ. გლაკენსს წყვილის საერთო ინტერესი, ერთი მიმართულებით მიპყრობილი მზერა აინტერესებს, ე. ჰოპერი ფიზიკურად პირისპირ მსხდომ, მაგრამ ერთმანეთისგან გაუცხოებულ პერსონაჟებს წარმოგვიდგენს.

4. გაეცანით ედვარდ ჰოპერის წარმოდგენილ ნამუშევრებს და სცადეთ, დაახასიათოთ, რა გამომსახველობით ხერხებს იყენებს მხატვარი?

- ე. ჰოპერის ნამუშევრებისთვის დამახასიათებელია ნათელი და მკაფიო კომპოზიციური აგება. ბევრი დეტალი დაწერილია სუფთა შეუზავებელი ფერით. მხატვარი უპირატესობას ანიჭებს მოწესრიგებულ, შენიღბულ მონასმს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათებას, შუქ-ჩრდილს. კომპოზიციის აგებისას მხატვარი შიშველი კედლის დიდ ფრაგმენტებსაც თითოს ხელუხლებლად ტოვებს, რაც აძლიერებს გამოსახული პერსონაჟის მარტოობის განცდას.

5. როგორ შთაბეჭდილებას აღძრავს ეს სურათები?

- 4-5. არა აქვს მნიშვნელობა, სად მიმდინარეობს მოქმედება ედვარდ ჰოპერის სურათებზე, ეს შეიძლება იყოს საძინებელი ოთახის ფრაგმენტი და საწოლში წამომჯდარი ახლად გაღვიძებული ახალგაზრდა ქალი, ან ხანშიშესული წყვილი სასტუმროს ნომერში, ან სულაც კინოთეატრის ფოიე ხალხით სავსე კინოდარბაზის გვერდით. ყველა შემთხვევაში მთავარი შთაბეჭდილება ადამიანის მარტოსულობის განცდაა. ამ განწყობის გადმოცემას მხატვარი ახერხებს დეტალებისგან დაწმენდილი ინტერიერების და წერის განსაკუთრებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, სუფთა მანერის

გამო. თავად პერსონაჟები არ გამოხატავენ რაიმე კონკრეტულ ემოციას, თავშეკავებული, სტატიკური პოზები, სიჩუმის შთაბეჭდილება, რომელსაც დაუსადგურია ირგვლივ. კინოთეატრის დარბაზსა და ფოიეშიც კი, სადაც ავტორი მძაფრ განათებას და შუქ-ჩრდილის შეპირისპირებას იყენებს, მთავარი პერსონაჟი გარინდულია, საკუთარ ფიქრებს მისცემია. ამ შეგრძნებას არ არღვევს საკმაოდ ჟღეარადი ფერთა გამაც. ედვარდ ჰოპერის ნაწარმოებების განმსაზღვრელი ემოცია სწორედ ადამიანების მარტოსულობის განცდაა.

6. გაეცანით ენდრიუ უაიესის წარმოდგენილ ნამუშევრებს. აღწერეთ შთაბეჭდილებები, რომელთაც ისინი აღუძრავენ მაყურებელს.

- ე. უაიესის მხატვრობისთვის დამახასიათებელია თავშეკავებული, თითქოს საგანგებოდ შერჩეული „არაეფექტური“ კოლორიტი. მათი სიუჟეტებიც არ გამოირჩევა თვალშისაცემი დრამატიზმით. ერთი შეხედვით, ეს მისი თანამედროვე ადამიანების ჩვეულებრივი სამყაროა. თუმცა ბუნების ხედის ფართოდ გაშლილ კადრში თუ ინტერიერის ამა თუ იმ მონაკვეთში უხილავადაც კი იგრძნობა ადამიანის სიახლოვე. ამ სურათების აღწერისას მაყურებელს უჩნდება განცდა, რომ ნამუშევრები სწორედ ადამიანური ემოციებით არის სავსე. მათი დინჯი რიტმი მაყურებელს აიძულებს შეჩერდეს, გულდასმით დაათვალიეროს, თითქოს ფიზიკურადაც კი იგრძნოს ფანჯარაში შემოჭრილი სიოს შეხება. კადრში მოხვედრილი უსულო საგნები — კედელზე დაკიდებული სამოსი, აფრიალებული ფარდა იმ უხილავი ადამიანების ყოფაზე მოუთხრობს მაყურებელს, რომელიც მხატვარს დახატული არც ჰყავს. ხოლო გაშლილ მინდორში ზურგით გამოსახული ქალიშვილის მხატვრული სახე ისეთივე დამაჯერებელი და ახლობელი ხდება, როგორც, მაგალითად, კინოფილმში ნანახი პერსონაჟი. ე. უაიესის მხატვრობის სისადავე და ამასთან ემოციური სიმდიდრე ამერიკული რეალიზმის სკოლის მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება.

7. როგორ ფიქრობთ, რისი ასახვა სურდა მხატვარს ნამუშევარში „ქრისტინას სამყარო“ და რომელი მხატვრული ხერხები გამოიყენა მან ამისთვის?

- ენდრიუ უაიესი ასახავს დიდ, გაშლილ სივრცეში მიწაზე მჯდომ ქრისტინას ფიგურას, რომელიც მაყურებლისკენ ზურგით არის წარმოდგენილი. იგი თითქოს მარტო შესჭიდებია მთელ სამყაროს, პირისპირ დგას მის წინაშე. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს სურათის თითქმის მონოქრომული ფერთა გამა, რომელშიც ქალის ფიგურა დიდად არც გამოიყოფა ფერის მიხედვით. მისი პოზა შეუპოვრობის, მტკიცე ნების გამომხატველია. იგი არ ეპუება ფიზიკურ სისუსტეს და წინ მიმართული ზურგიდანაც კი მიზანდასახული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს.

8. შეადარეთ ერთმანეთს ედვარდ ჰოპერისა და ენდრიუ უაიესის ნამუშევრები. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი თითოეული მათგანის შესახებ.

- ედვარდ ჰოპერის პერსონაჟების მსგავსად, ენდრიუ უაიესის გმირიც მარტოა წარმოდგენილი, მაგრამ მხატვრის მიდგომა ნათლად ამჟღავნებს, რომ ქრისტინა მთელ სამყაროსთან შეპირისპირებული, მდიდარი შინაგანი ბუნების და მტკიცე ბუნების მქონე გმირია. ნათლად იგრძნობა მისი კავშირი ბუნებასთან და შორს, გორაკის წვერზე მდგარ მშობლიურ სახლთან, რაც მისი ხასიათის სიმტკიცის მთავარი პირობაა. ჰოპერის პერსონაჟები არ ურთიერთობენ, თითქოს არც სჭირდებათ ამგვარი ურთიერთობა, მაშინ, როდესაც ენდრიუ უაიესის პერსონაჟი ჰარმონიულ კავშირშია მთელ სამყაროსთან.

საკლასო დისკუსია

როგორ ფიქრობთ, ამერიკული რეალიზმის სკოლის ნამუშევრები ხელოვნების სხვა რომელი დარგებისთვის შეიძლება იქცეს ინსპირაციის წყაროდ?

- რეალისტურად, დეტალებისადმი დიდი გულისყურით შესრულებული ეს ნამუშევრები ფასდაუდებელი ინფორმაციის წყარო შეიძლება გახდეს ისტორიული ჟანრის რომანის, დრამატურგიული ნაწარმოების, კინოსა და თეატრალური დადგმისათვის.

საკლასო სამუშაო

შეეცადეთ, საკუთარი ინტერპრეტაცია გაუკეთოთ ენდრიუ უაიეთის სურათებს „ზღვიდან მონაბერი ქარი“ და „გრიგალი“.

- მნიშვნელოვანია, რომ ნამუშევრების ინტერპრეტაციისას მოსწავლეებმა მიაქციონ ყურადღება ე. უაიეთის მხატვრობისათვის დამახასიათებელ ერთგვარ „განსულიერების“ ეფექტს, როდესაც ნამუშევარი, რომელზეც ადამიანი საერთოდ არ არის გამოსახული, მაყურებელს სწორედ ადამიანის, მისი ცხოვრების წესის შესახებ მოუთხრობს.

21. თანამედროვე ქანდაკება

1. შეადარეთ ერთმანეთს ქალის ანტიკური და თანამედროვე ქანდაკება. აღწერეთ, როგორი ფორმებია გამოყენებული თითოეულ მათგანში და ჩამოაყალიბეთ მათი დამახასიათებელი ნიშნები.

- ბერძნულ ქანდაკებაში ქალის სხეულის ფორმები ოსტატურადაა გამოკვეთილი ქიტონის ქსოვილის შიგნით. დახვეწილი პროპორციების, ანატომიურად სწორად აგებული ფიგურა კლასიკური ქანდაკების იმ პრინციპებზეა აგებული, რომლებიც მოქანდაკისგან სხეულის ანატომიური აგებულების შესანიშნავად ცოდნას და ქვაში ამ ცოდნის დიდი სიზუსტით გადმოტანას გულისხმობდა. თანამედროვე ქანდაკება სრულიად განსხვავებულ მიდგომას ამჟღავნებს. წამოწოლილი ქალის ფიგურის ზოგიერთი ნაწილი საერთოდ აბსტრაგირებულია. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაყურებელი მაინც ახერხებს ქალის სხეულისთვის დამახასიათებელი ფორმების იდენტიფიცირებას, თუმცა თვალნათელია, რომ კლასიკური ქანდაკების პრინციპებისგან განსხვავებით, თანამედროვე ქანდაკების ფორმები გაცილებით უფრო პირობითია.

2. ქანდაკების რომელი ნაწილები ამჟღავნებს მსგავსებას ადამიანის რეალურ სხეულთან? თქვენი აზრით, ქანდაკების რომელი ნაწილია ყველაზე მეტად უჩვეულო, სად არის ფორმა აბსტრაგირებული?

• ჰენრი მურის ქანდაკება — წამოწოლილი ფიგურა ქვაში — ძალიან ზოგადად ნაკვეთი ქალის სხეულს წარმოგვიდგენს. მისი ცალკეული ნაწილები მოგვაგონებს თავს, მხრებს, მკერდს, მკლავებს. კარგად იკითხება მოხრილი მუხლი და წვივები. მაგრამ სხეულის შუაგულში მოულოდნელად გაჩენილი სიცარიელე უკიდურესად პირობითს ხდის ქანდაკებას. თითქოს გაიძულებს, კიდევ ერთხელ შეავლო თვალი და დარწმუნდე აღძრული ასოციაციის სისწორეში. ამასთან, მატერიალური ფორმებისა და ღიობის შეპირისპირება მეტად დინამიკურს ხდის ფორმას და მეტ გასაქანს აძლევს მაყურებლის წარმოსახვას.

3. ჰენრი მური 1937 წელს წერდა: „ქანდაკებაში ხვრელმა ფორმის ისეთივე მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს, როგორიც მყარ მასას აქვს“. როგორ გესმით მოქანდაკის ეს მოსაზრება, როგორ ახსნიდით, რას გულისხმობს ავტორი?

- თანამედროვე ქანდაკების პირობითი, გამარტივებული ფორმები მინიმალისტურად გადაწყვეტილი მასების და მოცულობების შეპირისპირებაზეა აგებული. თითქმის აბსტრაგირებულ ფორმაში დატოვებული ღიობები ერთგვარი პაუზის როლს ასრულებს კომპოზიციაში. მყარი ფორმის და ღიობის მონაცვლეობის რიტმი დიდად განაპირობებს ნამუშევრის საერთო რიტმს, რომელშიც ღიობი თავისებური აქცენტის ფუნქციასაც ითავსებს.

4. როგორ ინტერპრეტაციას გაუკეთებთ ბარბარა ჰეფუორსის ქანდაკებას „ორი ფიგურა“?

- ნამუშევარი „ორი ფიგურა“ ბ. ჰეფუორსის ხელწერის ტიპურ ნიშნებს ატარებს — მინიმალისტური ფორმის ორი ობიექტი, პირისპირ განლაგებული კომპოზიციაში. ერთ მათგანს მრგვალი, ხოლო მეორეს წაგრძელებული ოვალის ფორმის გამჭოლი ხვრელები აქვს დატანებული და ქალისა და მამაკაცის გეომეტრიზირებული, თითქმის აბსტრაგირებული გამოსახულებების ასოციაციას წარმოშობს.

5. თქვენი აზრით, რა ჩანაფიქრი ჰქონდა მოქანდაკეს, როდესაც ის ქმნიდა ნამუშევარს „სხვა ადგილი“. შეძლო თუ არა მან ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმა?

- ენტონი გორმლის ქანდაკებები შინაგანი დრამატიზმის მუხტის მატარებელია. მოულოდნელ ადგილებში ადამიანის დიდი ზომის ფიგურების „აღმოჩენა” მნახველს, ძალაუნებურად, აფიქსირებინებს ყურადღებას მათზე. ზღვის ნაპირზე მდგარი ქანდაკებები გარკვეული ინტერვალებით იძირება წყალში და შემდეგ ისევ ამოდის წყლიდან. ფაქტობრივად, მოქანდაკე დინამიკის ეფექტს უძრავი ობიექტების გარემოსთან შეხამებით აღწევს, ხოლო მათი ჩაძირვით გამოწვეული დრამატული შთაბეჭდილება გამუდმებით იცვლება თავისებური პოზიტივით, რადგან წყლის უკუქცევის შემდეგ ქანდაკებები ყოველთვის „ბრუნდებიან“ თავის ადგილზე.

6. აღწერეთ ამ ქანდაკებებით აღძრული შთაბეჭდილება.

- ბათუმის სანაპიროზე დიდი ზომის ქალისა და მამაკაცის ფიგურები დგას. ისინი იწყებენ მოძრაობას და ცოტა ხანში ერთ არსებად იქცევიან, მაყურებელი პატარა სპექტაკლის მომსწრე ხდება, რომელიც ადამიანების გრძნობებზე მოუთხრობს მათ.

7. რომელი ლიტერატურული გმირების სახელითაა ცნობილი ეს ქანდაკება და, თქვენი აზრით, რატომ ეწოდა მას ეს სახელი?

- ქანდაკებას „ალი და ნინო“ ჰქვია, ყურბან საიდის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. სიმბოლურად, ქანდაკება განასახიერებს ფიზიკურად დაშორებულ, მაგრამ სულიერად მარად ერთად მყოფ შეყვარებულ წყვილს.

8. როგორ ფიქრობთ, თანამედროვე ქანდაკების რა ნიშნები ახასიათებს ამ ნამუშევარს?

- ამ ნამუშევარში თანამედროვე ქანდაკების რიგი ნიშნების ამოკითხვა შეიძლება: ქანდაკების მასალა და ფაქტურა, დიდი ზომა; თანამედროვეა ისიც, რომ ქანდაკებები მოძრაობს, თან ისეა დაპროექტებული, რომ დროდადრო ერთდება და მერე ისევ შორდება ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ამ ნამუშევარს აბსოლუტურად თანამედროვე მხატვრული კონცეფცია და ამ კონცეფციის შესატყვისი მხატვრული ფორმა აქვს.

9. გაიხსენეთ, რა იცით პომპიდუს ცენტრის არქიტექტურის შესახებ?

- • მოსწავლეები იხსენებენ ინფორმაციას პომპიდუს ცენტრის შესახებ, რომელიც მათ VI კლასში აქვთ ნასწავლი.

შენიშვნა

ხელოვნების და კულტურის ნაციონალური ცენტრი პარიზში 1997 წელს პრეზიდენტ ჟორჟ პომპიდუს ინიციატივით გაიხსნა. არქიტექტორებმა რენცო პიანომ და რიჩარდ როჯერსმა ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღეს: ყველა კონსტრუქციული და ტექნიკური ელემენტი — მილები, არმატურის, სანტექნიკური კვანძები, ლიფტები, ესკალატორი, შენობის გარეთაა გამოტანილი. ამის გამო ცენტრის შიდა სივრცე მაქსიმალურად არის გაფართოებული. ფასადებზე გამოტანილი კონტრასტული ელემენტების თითოეული სახეობა სხვადასხვაფრადაა შეღებილი, რაც ფასადების დეკორატიულად გაფორმების საშუალებას აძლევს არქიტექტორებს. ამ ორიგინალურმა პროექტმა გაიმარჯვა კონკურსში და დღეს პომპიდუს ცენტრი პარიზის ერთ-ერთი ცნობილი ღირსშესანიშნაობაა.

10. აღწერეთ და დაახასიათეთ „სტრავინსკის შადრევანი“. თქვენი აზრით, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ანსამბლი მაყურებელზე?

- „სტრავინსკის შადრევანი“ თანამედროვე პლასტიკური კომპოზიციის ერთ-ერთი დასამახსოვრებელი მაგალითია. მასში გამოყენებული პირობითი ფორმები და კონტრასტული, ინტენსიური ფერი ფანტასმაგორიულ ხასიათს სძენს მთელ კომპოზიციას.

11. თქვენი აზრით, როგორ ეხამება ერთმანეთს პომპიდუს ცენტრის არქიტექტურა და სკულპტურული ანსამბლი?

- „სტრავინსკის შადრევანი” ფერადი, ფანტასტიკური არსებებით სავსე სამყაროს შთაბეჭდილებას ქმნის და ზუსტად შეესაბამება სტრავინსკის მუსიკალური ნაწარმოებების სტილსა და განწყობილებას. თანამედროვე ქალაქის ქუჩაში ამგვარი სკულპტურული ანსამბლის გაჩენა ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთგვარად ხალისის, ზღაპრის ატმოსფეროს შეტანას ისახავს მიზნად.

23. პლასტიკური ობიექტი და გარემო*

1. გაიხსენეთ, პლასტიკური ხელოვნების რა ტიპის ნიმუშები (კლასიკური ქანდაკება ან ობიექტი) გინახავთ და დაახასიათეთ ისინი, აღწერეთ გარემო, რომელშიც ისინი არის განთავსებული.

- სავარაუდოდ, მოსწავლეები გაიხსენებენ და ჩამოთვლიან მათ მიერ ნანახ სხვადასხვა ტიპის ნამუშევრებს. მნიშვნელოვანია, რომ აღწერისას ისინი ტიპურ მახასიათებლებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, აღნიშნავდნენ, რა გარემოში აქვთ ნანახი ნამუშევრები, რა მასალისგან არის ისინი დამზადებული და ა.შ.

24. პოპარტი — პროტესტის ხელოვნება

1. აღწერეთ სურათზე გამოსახული ბინა. რა დეტალები იქცევს თქვენს ყურადღებას?

- მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ტიპური ამერიკული საცხოვრებლის ინტერიერი სავსე იყო მოდური ელექტროხელსაწყოებით, იმ პერიოდისთვის შესაბამისი ავეჯით, კედლებზე დაკიდებული პლაკატებით. რ. ჰამილტონის ნამუშევარი ირონიული ფორმით მიგვანიშნებს მოდური ტენდენციების ზეგავლენაზე საზოგადოების ცხოვრების წესსა და ესთეტიკაზე.

2. თქვენი აზრით, ვინ არის ამ ბინის მფლობელი, მეპატრონე, რა მისწრაფებები აქვს მას?

- ბინის მფლობელი ამ მოდური ტენდენციების მიმდევარი უნდა იყოს. სავსებით შესაძლებელია, იგი ჯანსაღი, ნავარჯიშევი სხეულის მქონე ე.წ. კულტურისტი მამაკაცი და სამოსის თუ ვარცხნილობის მოდური სტილის მიმდევარი ქალბატონი იყოს. ნამუშევრის ფარული აზრი სამომხმარებლო საზოგადოების მიმართ ირონიული დამოკიდებულების გამოვლენაა.

3. როგორ ფიქრობთ, კოლაჟზე გამოსახულ ბინაში რომელ ნივთებს უწევდა რეკლამას შესაბამისი პერიოდის სამომხმარებლო ინდუსტრია?

- 1,2,3 რიჩარდ ჰამილტონის კოლაჟი ასახავს მეოცე საუკუნის შუახანების მოდურ, თუ შეიძლება ასე ითქვას, საჩვენებელ საცხოვრებელს, რომელიც სავსეა მოდური, ახლად შეძენილი სააყოფაცხოვრებო ნივთებით — მაგნიტოფონი, ტელევიზორი, მტვერსასრუტი, თავად ავეჯი. ყველა ეს ნივთი სარეკლამო პლაკატიდან გადმოსულს ჰგავს. მათ გარემოცვაში წარმოდგენილი ქალი და მამაკაცი, ბინის მფლობელები, თავადაც რეკლამის პერსონაჟებს განასახიერებენ თითქოს. ნახევრად შიშველ მამაკაცს ათლეტის, კულტურისტის სხეული აქვს და თითქოს ჯანსაღი და ნავარჯიშევი სხეულის ცოცხალი პლაკატია, რომელიც ანტიკური ხანის ქანდაკების პოზაშია წარმოდგენილი. დივანზე მჯდომი შიშველი ქალიც იმდროინდელი სილამაზის და მოდური გარეგნობის

ილუსტრაციაა. თანამედროვენი გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ეს წყვილი მეოცე საუკუნის ადამი და ევაა საკუთარ, სარეკლამო იმიჯებით და საგნებით გატენილ მოდურ „სამოთხეში“. ცხადია, ამგვარ ნამუშევარში ნათლად იკითხება ირონია რეკლამით დანერგილი ცხოვრების წესის წინააღმდეგ, რომელიც სპობდა ადამიანის ინდივიდუალიზმს და ტიპურ სახეს აძლევდა, ერთგვარ კლიშედ აქცევდა მილიონობით ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას.

4. როგორ ფიქრობთ, რაზე მიანიშნებდა საგამოფენო დარბაზში საპნის შესაფუთი ყუთების იმიტაციის მოთავსება?

- ენდი უორჰოლის ამ ნამუშევრის შეფარული აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ხელოვნებაც კომერციალიზაციის მსხვერპლი აღმოჩნდა; ხელოვნების ნიმუშებიც სხვა ჩვეულებრივი სამეწარმეო პროდუქტის მსგავსად იყიდებოდა, ოღონდ არა მაღაზიაში, არამედ საგამოფენო დარბაზებიდან.

5. ხომ არ გაიხსენებთ XX საუკუნის ხელოვნების ისტორიაში სხვა ფაქტს, როდესაც საგამოფენო დარბაზში პირველად გამოიფინა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგანი, როგორც ხელოვნების ნაწარმოები? თუ გახსოვთ, რა ეწოდა ამ ტიპის ნივთებს?

- 1917 წელს ფრანგმა ხელოვანმა მარსელ დიუშანმა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგანი, კერძოდ, პისუარი, საგამოფენო დარბაზში, როგორც ხელოვნების ნიმუში, ისე გამოფინა. ამგვარ საგნებს მზა ნივთები ანუ რედი-მეიდ ხელოვნება ეწოდა. თუმცა აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. რედი-მეიდ ხელოვნება სარეალიზაციოდ გამზადებულ ნამდვილ საყოფაცხოვრებო საგნებს „აქცევდა“ ხელოვნების ნიმუშებად, პოპ- არტის ნიმუშები კი საგანგებოდ შექმნილი ობიექტებია, რომლებიც საყოფაცხოვრებო საგნების ან მათი რეალიზაციისთვის აუცილებელი შესაფუთი მასალის, ე.წ. ტარას იმიტაციას ახდენს. ნათელია, რომ პოპარტი ამჟღავნებს საკუთარ ირონიულ დამოკიდებულებას მსოფლიოში გაბატონებული სამომხმარებლო მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, რომელიც რეკლამირებული პროდუქციის გაყიდვასა და ამ გზით ადამიანების გარკვეულ თავსმოხვეულ ჩარჩოებში ჩაკეტვის მცდელობას წარმოადგენს.

6. თქვენი აზრით, რა განსხვავებაა მზა ნაწარმის გამოფენასა და პოპარტის ნამუშევრებს შორის?

- რედი-მეიდის ტიპის ნამუშევრებისგან განსხვავებით, პოპარტის წარმომადგენლები ნებისმიერი ხერხით ქმნიან საყოფაცხოვრებო საგნების იმიტაციას, რითაც ხაზს უსვამენ ხელოვნების ნიმუშების ერთგვარ სარეალიზაციო ნაწარმად ქცევას.

7. როგორ ფიქრობთ, მერილინ მონროს დიპტიქონი ცნობილი ვარსკვლავის სარეკლამო გამოსახულებათა რიგს მიეკუთვნება, თუ მას განსხვავებული შინაარსიც აქვს?

- ახალგაზრდა, მომხიბვლელი და უაღრესად პოპულარული კინოვარსკვლავის უეცარმა გარდაცვალებამ და მისი სიკვდილის გარემოებებმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ მსახიობი საკუთარი პოპულარობის მსხვერპლად იქცა. სარეკლამო ინდუსტრიამ იგი რიგით გასაყიდ „სახედ“ გადააქცია და, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეკლამას და მის წარმატებას უზარმაზარი ფინანსური სარგებელი მოჰქონდა, კინოვარსკვლავის შინაგანი სამყარო სრულიად დაუცველი აღმოჩნდა ამ პირობებში. მან ვერ გაუძლო უზარმაზარ გარეშე წნეხს და სიცოცხლე, სავარაუდოდ, თვითმკვლელობით დაასრულა. არსებობდა მერილინ მონროს გარდაცვალების სხვა ვარაუდებიც. ე. უორჰოლის დიპტიქონი კინოვარსკვლავის ცხოვრების ამ ორ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ — საზეიმო საგარეო იმიჯსა და მის შინაგან, დრამატულ მხარეზე მიანიშნებს. ფერადი, რეკლამირებული სახის გვერდით შავ-თეთრი გამოსახულება, რომელიც თანდათან კარგავს ფერებს, იცრიცება და ქრება.

8. დაასრულეთ ნამუშევრის პერსონაჟის ფრაზა და საკუთარი ინტერპრეტაცია მიეცით წარმოდგენილ ამბავს.

- როი ლიხთენსთაინის ცნობილი ნამუშევარი ხაზგასმით კომიქსების სტილშია შესრულებული. მისი ფრაზა სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული მოსწავლეების მიერ. შესაძლებელია მას მელოდრამატული ან სულაც მძაფრსიუჟეტიანი დასრულება მოუფიქრონ. მიშვნელოვანია, რომ ავტორი მაყურებელს თავისუფალი არჩევანის უფლებას უტოვებს და გამოსახული სცენის დასასრული თითოეულ მათგანს შეიძლება სხვადასხვანაირად ჰქონდეს წარმოდგენილი.

9. დაახასიათეთ ამ ნამუშევარში გამოყენებული სახვითი ხერხები და საშუალებები.

- რ. ლიხთენსთაინი ხაზგასმით კომპიუტერული გრაფიკის გამომსახველობით ხერხებს იყენებს. მსგავსების კიდევ უფრო გასამძაფრებლად ნამუშევარში კომიქსის პერსონაჟების მსგავსად, ქალის სახე უკიდურესად მსხვილი პლანით არის წარმოდგენილი. ამასთანავე, სასურათე არე წვრილი ბადით არის დაფარული, რაც მას კომპიუტერის ეკრანს ამსგავსებს და ნათლად მიგვითითებს ნამუშევრის ხელოვნურად, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით შექმნის გარემოებაზე. ამდენად, აქ გაძლიერებულია ეკრანზე ნანახი ვიზუალის განცდა, რასაც კარგად ეხამება სახის სქემატური ნახატი.

10. რომელი გამომსახველობითი საშუალებებია გამოყენებული როი ლიხთენსთაინის ნატურმორტში და რა ასოციაციებს აღძრავს ეს ნამუშევარი?

- რ.ლიხთენსთაინის ნატურმორტიც კომპიუტერული გრაფიკის ნიმუშის მსგავსად არის დამუშავებული. მარტივი კომპოზიცია, დაშტრიხულ ფონზე წარმოდგენილი ჭიქისა და ლიმონის ელემენტებით თითქოს კომპიუტერით დამუშავებული და არა ხელით შექმნილი ნამუშევრის ასოციაციას აღძრავს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მხატვრის ეს ნამუშევრები მაშინ შეიქმნა, როდესაც კომპიუტერული გრაფიკა ჯერ კიდევ არ იყო იმდენად განვითარებული, რამდენადაც დღესაა, მხატვრის მიერ შერჩეული სტილი ერთგვარ წინათგრძნობადაც შეიძლება ჩაითვალოს და იმ დროისთვის არტისტის ყველასგან გამორჩეულ ხელწერას ასახიერებდა.

11. რას ფიქრობთ, რას განასახიერებს ქლას ოლდენბურგის ეს ნამუშევარი?

- კოსმეტიკური ნივთის და საომარი ტექნიკის ერთ ობიექტად შერწყმა აბსურდული სინამდვილის, შინაარსსმოკლებული ყოფის მეტაფორაა. მნიშვნელოვანია, რომ ამ პერიოდში ამერიკაში ყველგან აქტიურად მიმდინარეობდა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო მოძრაობა. ტანკის ყველგანმავალ მუხლუხოზე დამაგრებული ტუჩსაცხის მონუმენტი ფარული მინიშნებაა ცხოვრების ყველა სფეროში ომის და პოლიტიკის შეღწევის შესაძლებლობაზე. ცალკეული მკვლევარები იმაზეც ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ ტუჩსაცხის წითელი ფერი უაზროდ დაღვრილი სისხლის სიმბოლოდ შეიძლება იყოს აღქმული.

საკლასო დისკუსია

რას ფიქრობთ, ადამიანებზე ზემოქმედების როგორი უნარი აქვს დღეს რეკლამას? დღესაც ასრულებს რეკლამა ცხოვრების წესის განმსაზღვრელ როლს? რა შეიცვალა ამ თვალსაზრისით სარეკლამო ინდუსტრიაში? დაასახელეთ, თქვენი აზრით, შემოქმედებითი რეკლამის მაგალითები.

- საკლასო დისკუსიის თემა ყველა მოსწავლისთვის კარგად ნაცნობ მოვლენას ეხება. ყოველ-დღიურ ცხოვრებაში თანამედროვე ადამიანი თითქმის განუწყვეტლივ ეხება რეკლამის ამა თუ იმ ფორმას. სავარაუდოდ, მოსწავლეებს ექნებათ გარკვეული პოზიცია რეკლამის მნიშვნელო-

ბასა და ფუნქციაზე საზოგადოების ცხოვრების წესის განსაზღვრის თვალსაზრისით. საინტერესო იქნება მოსწავლეების აზრი იმის თაობაზე, თუ როგორი ფორმის რეკლამას თვლიან დასამახსოვრებლად და შემოქმედებითად. სასურველია, მასწავლებელმა გაამახვილოს მოსწავლეების ყურადღება ამგვარ რელამებში გამოყენებულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებზე.

25. ჩვეულებრივი საგანი თუ ხელოვნების ობიექტი

დააკვირდით ოლდენბურგის ამ ნამუშევარს. თქვენი აზრით, რა იდეას განასახიერებს ეს ობიექტი?

- ამ ნამუშევარში წარმოდგენილია საყოფაცხოვრებო საგნების ნაკრები, რომლებიც ერთ გორგალად არის შეკრული ისე, თითქოს გადასაგდებად ან სხვა ადგილას გადასატანად არის გამზადებული.

26. იდეა, ჩანაფიქრი და კონცეფცია

1. თქვენი აზრით, კონცეფციის მნიშვნელობის ზრდამ რა გავლენა იქონია ხელოვნების განვითარების პროცესზე, მთლიანად ჩაანაცვლა თუ არა მან ხელოვნების ნაწარმოები?

- კონცეფციის გაჩენის ფაქტმა ერთგვარად გადაანაწილა აქცენტები, თუმცა, გარკვეული გამონაკლისის გარდა, მას მთლიანად არ ჩაუნაცვლებია ხელოვნების ნაწარმოები. ეს უფრო ნამუშევრის ფარული კონტექსტის გამომზეურების, მისი გამრავალფეროვნების ცდაა, ვიდრე მისი მთლიანად გაქრობის სურვილი. ცხადია ისიც, რომ მაყურებლის როლი კონცეპტუალური ხელოვნების კონტექსტში კიდევ უფრო ინტერაქტიულია, რაც ინტერპრეტაციის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ანიჭებს მას.

2. გაეცანით რ. რაუშენბერგის წარმოდგენილ ნამუშევარს. ყურადღება გაამახვილეთ იმ გამომსახველობით საშუალებებზე, რომელსაც მხატვარი იყენებს.

- რ. რაუშენბერგის წარმოდგენილ ნამუშევარში გამომსახველობის მთავარი საშუალებები ღრმა წითელი საღებავის ტონალური გრადაციები, მისი პასტოზური ფაქტურა და სასურათე არის ერთიანად დაფარვაა. ავტორი მაყურებელს ამ წითელ სამყაროში ვიზუალურ მოგზაურობას სთავაზობს და ნამუშევრით აღძრულ ასოციაციებზე ამახვილებს მის ყურადღებას.

3. როგორ ფიქრობთ, რაში მდგომარეობს რობერტ რაუშენბერგის „თეთრი ფერწერის“ კონცეფცია?

- თეთრი ზოლებისგან შემდგარი ეს ნამუშევარი ერთგვარი სარკეა, რომელიც საგანგებო მოწყობილი განათების წყალობით გამუდმებით აირეკლავს მის წინ მყოფი მაყურებლების ანარეკლს. ამდენად, ყოველწამიერად იცვლის სახეს და თითქოს თითოეული მაყურებლის უშუალო მონაწილეობით იქმნება.

4. დააკვირდით ჯოზეფ კოშუთის ინსტალაციას „ერთი და სამი სკამი“. თქვენი აზრით, რა კონცეფცია უდევს საფუძვლად ამ ნამუშევარს?

- ჯოზეფ კოშუთმა ერთი რეალური საგანი, ჩვეულებრივი დასაკეცი სკამი ექსპოზიციაში სამი სახით — მატერიალური, სკამის ფოტოსურათი და ლექსიკონიდან ამოღებული განმარტება — გამოფინა. თითქოს სურდა, ერთი ობიექტის სამი სხვადასხვა ასპექტიდან გაანალიზება; გარდა მატერიალური მხარისა, მისი ფუნქციური და შინაარსობრივი მხარის წარმოჩენა.

5. როგორ ფიქრობთ, რას გრძნობს მაყურებელი ისეთ ექსპოზიციაზე, სადაც ექსპონატი წარმოდგენილია მხოლოდ ფერადი ნეონის წარწერის სახით?

- ტრადიციულ საგამოფენო ექსპოზიციებს მიჩვეული მაყურებელი თავდაპირველად ნეონის წარწერებს განმარტებით წარწერებად აღიქვამდა, თუმცა შემდეგ იაზრებდა,

რომ თავად ფერადი, მანათობელი წარწერაა ექსპონატი, რომლის შინაარსის გაცნობიერება გახლდათ ამ ახალი ტიპის კონცეპტუალური გამოფენის ძირითადი სახელოვნებო აქტივობა. ეს აქტი გულისხმობს ტესტუალური არტეფაქტის წარმოსახვით ვიზუალურ ხატთან დაკავშირებას, რაც ასევე ართულებდა გამოფენაზე მოსული მაყურებლის ინტელექტუალურ „სამუშაოს“. ამგვარად მოახდინა ავტორმა ტრადიციული ასოციაციური ჯაჭვის ვიზუალიზაცია და ხელოვანის კონცეფციასთან მისი ზიარება.

28. მედიახელოვნება და ვიდეოარტი — თანამედროვე ხელოვნების ახალი დარგები

1. დაასახელეთ თქვენი საყვარელი ანიმაციური ან მხატვრული ფილმი, რომელშიც კომპიუტერული გრაფიკაა გამოყენებული. თქვენი აზრით, რა თვისებები ახასიათებს ამ ხერხის გამოყენებით გადაღებულ ფილმებს?

- ინტერაქტივის ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა გამოამჟღავნონ, რამდენად აქვთ გაცნობიერებული კომპიუტერული გრაფიკის გამოყენების შესაძლებლობები მხატვრულ კინოსა და ანიმაციაში. მათ შეიძლება დაასახელონ ცნობილი ბლოკბასტერები მასშტაბური კინოგადაღებებით, მათ შორის, მაგ., „ვარსკვლავური ომები“.

2. ყოველდღიურ ცხოვრებაში სად ვხვდებით ვიდეოარტის ნიმუშებს ყველაზე ხშირად?

- ვიდეოარტის ნიმუშების ნახვა შესაძლებელია ტელევიზორში, სარეკლამო რგოლების სახით, კინოფილმებში, მობილურ ტელეფონში, სოციალურ ქსელებში.

3. როგორ ფიქრობთ, რა ნიშნები განასხვავებს ვიდეოარტის ნიმუშებს ჩვეულებრივი ვიდეოჩანაწერისგან?

- ვიდეოარტი შეიძლება იყენებდეს ჩვეულებრივ ვიდეოჩანაწერებს, მაგრამ მათგან განსხვავებით ვიდეოარტი ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით ქმნის თვისობრივად ახალ ნამუშევარს; ხშირად ეს ინსტალაციაა, ობიექტია, რომელშიც აქტიურად არის გამოყენებული ხმოვანი ჩანაწერიც.

საკლასო სამუშაო

როგორ თემას შეარჩევდით ნამ ჯუნ პაიკის ინსტალაციის მსგავსი ნამუშევრის შესაქმნელად? რა ხერხს გამოიყენებდით ობიექტში მაყურებლის ინტერაქტიურობის გასამძაფრებლად?

- ნამ ჯუნ პაიკის ნამუშევრის ანალოგიით, შესაძლებელია, ჩვენი ქვეყნის რეგიონების ქრონიკის წარმოდგენა. შესაძლებელია, თემა ერთი სკოლის სხვადასხვა კლასი და იქ მიმდინარე ამბები იყოს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეების ნამუშევრის მაყურებელი და მონაწილე პერსონაჟები მათივე თანასკოლელები და მათი მასწავლებელი შეიძლება იყვნენ. მთავარია, რომ ამ ცნობილი ნამუშევრის იდეა მოსწავლეების მიერ ინტერპრეტირებული იყოს საინტერესო, ინტერაქტიული ნამუშევრის სახით.

III თავი. ხელოვნების ძალა — ხელოვნება და საზოგადოება

31. გოთიკა

1. აღწერეთ და შეადარეთ ეს ორი ინტერიერი ერთმანეთს. დაახასიათეთ თითოეული მათგანით აღძრული შთაბეჭდილება.

- რომანული ტაძრის ინტერიერი საკმაოდ მასიური და მონუმენტური ფორმებით ხასიათდება. აქ წამყვანია ქვის წყობა, ქვის ფაქტურა, რომელიც განსაზღვრავს კიდეც ამ შთაბეჭდილებას. გარდა ამისა, ამ ინტერიესათვის დამახასიათებელია ნახევარწრიული თაღოვანი ფორმები. ინტერიერის პროპორციები მწყობრი და დინჯია. თაღოვანი ფორმების მწყობრი რიტმი საკურთხევლისაკენ მიმართავს ადამიანის ყურადღებას.

სისადავე და მონუმენტურ ფორმათა სიმწყობრე ძირითად შთაბეჭდილებას განსაზღვრავს. რომანული ტაძრის ინტერიერთან შედარებით, გოთიკური ტაძრის ინტერიერი სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ტოვებს; აქ პრაქტიკულად არ ჩანს კედელი. კედლები „დაცხრილულია“ ფერადი ვიტრაჟებით შევსებული სარკმლებით, საიდანაც უხვად შემოდის სინათლე, რომელიც იდუმალების, მისტიკურობის, ღვთაებრიობისა და ამაღლებულობის განცდას იწვევს მნახველში.

2. რა განსხვავებას ხედავთ მათ შორის?

- სენ სერნინის ტაძრის ინტერიერი მძიმე და მასიურია, ხოლო სენ შაპელის კაპელისა — მსუბუქი; სენ სერნინის ტაძრის ინტერიერში ქვას ენიჭება დიდი მნიშვნელობა და ეს სიმყარესა და მონუმენტურობას ანიჭებს ტაძრის ფორმებს, ხოლო სენ შაპელის ინტერიერში არსად ჩანს სვეტები თუ ბოძები, აქ მხოლოდ ვიტრაჟებით შემკულ სარკმლებს ვხედავთ, რომლიდანაც უხვად იღვრება შუქი; ეს კი ჰაეროვნებისა და სიმსუბუქის ეფექტს ქმნის.

3. თუ იპოვით კედელს სენ შაპელის კაპელის ინტერიერში?

- სენ შაპელის კაპელის ინტერიერში კედელი საერთოდ არ არის/არ ჩანს.

4. თქვენი აზრით, რას ეყრდნობა სენ შაპელის კაპელის გადახურვა და რას ეყრდნობა სენ სერნინის ტაძრის გადახურვა?

- სავარაუდოდ, მოსწავლეები უფრო იოლად განსაზღვრავენ, თუ რას ეყრდნობა სენ სერნინის ტაძრის გადახურვა და იტყვიან, რომ აქ მასიური ქვის სვეტებია და გადახურვას სწორედ ისინი ზიდავს. სენ შაპელის კაპელის შემთხვევაში, მოსწავლეები პასუხს რთულად თუ იპოვიან. ამ შეკითხვაზე პასუხს სცემს მომდევნო პარაგრაფში მოცემული ინფორმაცია ტექნიკური და კონსტრუქციული სიახლეების შესახებ.

საკლასო დისკუსია 1

დააკვირდით აქ გამოსახული კონსტრუქციის სქემას და ფოტოს და შეეცადეთ, განსაზღვროთ, როგორ უზრუნველყოფს აქ წარმოდგენილი კონსტრუქციული ელემენტები (კონტრფორსები და არკბუტანები) შენობის მდგრადობას და სიმყარეს.

- კონტრფორსი მაღალი მასიური ბოძია, რომელზეც გადმოსროლილია რკალის ფორმის მქონე კონსტრუქცია — არკბუტანი. არკბუტანი ტაძრის ძალზე მაღალ კედელს ებჯინება და ამით ამაგრებს მას. გარდა ამისა, გადახურვის სიმძიმე, რომელიც, არკბუტანების საშუალებით, სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებულ კონტრფორსებზე გადმოდის, გადახურვის წონას კედლებიდან კონტრფორსებზე ანაწილებს.

5. დააკვირდით რეიმსის გოთიკური ტაძრის შორეულ ხედს და განსაზღვრეთ, ხედავთ თუ არა აქ სადმე კედლის სიბრტყეს და როგორ შთაბეჭდილებას განსაზღვრავს ეს?

- რეიმსის გოთიკური ხანის ტაძრის ექსტერიერის შემთხვევაში, კედლის სიბრტყე ფაქტობრივად არ იგრძნობა; ის თითქოს იძირება სხვადასხვა მოცულობის მქონე უამრავი არქიტექტურული ფორმის გარემოცვაში და უხვი სკულპტურული დეკორის მიღმა. ტაძარს აზიდული, ზემსწრაფი პროპორციები აქვს.

6. დააკვირდით ლესეის სააბატო ტაძრის ექსტერიერს. განსაზღვრეთ, როგორ შთაბეჭდილებას ქმნის ის და შეადარეთ რეიმსისას.

- რეიმსის ტაძართან შედარებით, ლესეის სააბატო ეკლესიის პროპორციები დამჯდარი და ჯმუხია. გარდა ამისა, აქ კედლის სიბრტყეც საკამოდ მკაფიოდ იკვეთება; შესაბამისად, ტაძრის ფორმები უფრო მძიმე, მასიური და მყარია. კედელი აქ დაუნაწევრებელია, სხვადასხვა ფორმა მკაფიოდაა გამოყოფილი, მაშინ, როდესაც რეიმსის ტაძარში ფორმები თითქოს ერთმანეთში გადაედინება.

საკლასო დისკუსია 2

დააკვირდით ქვემოთ მოცემულ რომანული და გოთიკური ტაძრის ფასადებს და იმსჯელეთ, აქ ჩამოთვლილი ნიშნებიდან რომელი მიესადაგება რომანულ არქიტექტურას და რომელი — გოთიკურს. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

1. სისადავე; 2. მრგვალი, თაღოვანი ფორმები; 3. ფორმის მთლიანობა; 4. ფორმის დანაწევრებულობა; 5. შემკულობის სიუხვე; 6. დინამიკურობა; 7. მსუბუქი, აჟურული ფორმა; 8. მკვეთრად შეისრული ფორმები; 9. სტატიკურობა; 10. მასიური, მძიმე ფორმა. რომანული — 1. სისადავე; 2. მრგვალი, თაღოვანი ფორმები; 3. ფორმის მთლიანობა; 9. სტატიკურობა; 10. მასიური, მძიმე ფორმა. გოთიკური — 4. ფორმის დანაწევრებულობა; 5. შემკულობის სიუხვე; 6. დინამიკურობა; 7. მსუბუქი, აჟურული ფორმა; 8. მკვეთრად შეისრული ფორმები.

32. სტილიზაცია

1. გაიხსენეთ, რა გაქვთ წინა კლასებში ნასწავლი ჩინური ტაძრის, მეჩეთის და ქართული ქრისტიანული ტაძრის შესახებ და ჩამოთვალეთ, რა ახასიათებს თითოეულ მათგანს.

- სავარაუდოდ, ამ კითხვის საპასუხოდ, მოსწავლეები წინა წლებში გავლილ მასალას გაიხსენებენ.

33. „წითელი ტერორი“ და ხელოვნება

1. დააკვირდით ამ ფოტოს და იმსჯელეთ, რამდენად ღირებულია ეს ნამუშევარი მხატვრული თვალსაზრისით.

- ეს ძეგლი, მხატვრული თვალსაზრისით, არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. წელს ზემოთ გადაჭრილი მარქსისა და ენგელსის ფიგურები უხერხულადაა წამოსკუპებული შეუსაბამოდ მაღალ კვერცხლბეკზე. ფიგურების პროპორციები დარღვეულია, ვიწრო მხრები, უსუსური სხეულები, ფიგურების დიდი თავები კომიკურ იერსაც კი ანიჭებს ამ ქანდაკებას.

2. რას ფიქრობთ, რატომ ექცეოდა თავიდან განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ქანდაკებების დადგმას და რატომ იყო ქანდაკება ლენინის „მონუმენტური პროპაგანდის გეგმის“ მთავარი იარაღი?

- საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქანდაკებაზე საგანგებო აქცენტის გაკეთება განპირობებული იყო იმით, რომ ქანდაკება, რომელიც ღია სივრცეში იდგმება, მუდმივად ადამიანების თვალსაწიერშია (ფერწერის ნიმუშებისაგან განსხვავებით, რომელთა სანახავად მნახველი საგანგებოდ უნდა წავიდეს საგამოფენო სივრცეში) და, შესაბამისად, ის მუდმივად ზემოქმედებს ადამიანზე, საზოგადოებაზე, მუდმივად ამკვიდრებს, თავს ახვევს ადამიანებს ხელისუფლებისათვის სასურველ ღირებულებებს, აზრებს, იდეებს.

3. გაეცანით დოკუმენტს „1937 წ. თემატური გეგმა მხატვრებისა და მოქანდაკეების საგაზაფხულო შემოქმედებითი მივლინებებისა“ და იმსჯელეთ იმის შესახებ, თუ რას წარმოაჩენს ის?

- ამ დოკუმენტიდან ძალზე ცხადი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავად უწესებდა და უკვეთდა მხატვრებს მისთვის იდეოლოგიურად მნიშვნელოვან თემებს და არ ტოვებდა მათთვის არანაირ შესაძლებლობას, რომ მხატვრებს სასურველ თემებზე ემუშავათ. ეს, რა თქმა უნდა, შემოქმედებს და, საერთოდ, ხელოვნებას მძიმე მდგომარეობაში აგდებდა.

4. როგორ ხასიათს ატარებს ამ ნამუშევრებზე წარმოდგენილ ბელადთა სახე-ხატები?

- ა. გერასიმოვის სურათზე გამოსახული ლენინი, რომელიც მღელვარე სიტყვას წარმოთქვამს ტრიბუნაზე, ჰეროიკულ, შთაგონებულ გმირადაა წარმოდგენილი, ხოლო სტალინი, რომელიც რუსული სტეპების ფონზეა გამოსახული, სერიოზული,

სამშობლოს ბედზე ჩაფიქრებული კოლოსის შთაბეჭდილებას ქმნის. ისინი სხვადასხვა მხატვრული სახის მქონე გმირები არიან, მაგრამ, ორივე შემთხვევაში, ისინი ერთგვარი იდეალური გმირების სახეს ქმნიან.

5. თქვენი აზრით, რომელი კომპოზიციური ხერხებია გამოყენებული აქ წარმოდგენილ ბელადთა (ლენინის და სტალინის) პორტრეტებზე და რატომ?

- კომპოზიციურად ეს ნამუშევრები სხვადასხვაგვარადაა აგებული. ა. გერასიმოვის სურათს დიაგონალური წყობა აქვს, რომელსაც ლენინის წინ გადახრილი ფიგურა და წითელი დროშის ფრაგმენტის მდებარეობა განსაზღვრავს. ფ. შურპინის ტილოს კი ცენტრული კომპოზიციური სტრუქტურა აქვს. მის ღერძს სურათის თითქმის ცენტრში გამოსახული სტალინის მასიური ფიგურა ქმნის. თუმცა, ამ ორ სურათს ერთი საერთო ნიშანი აქვს: ორივე შემთხვევაში მხოლოდ რევოლუციის ბელადები არიან გამოსახულნი; ისინი წინა პლანზე არიან წამოწეულნი, როგორც მნიშვნელოვანი პერსონები და ფონიც, რომელიც ორივეგან კონკრეტულია, ფიგურებს კიდევ უფრო წინ წამოსწევს და ხაზს უსვამს. ეს კომპოზიციური პრინციპი დამახასიათებელია საბჭოთა ბელადების პორტრეტებისათვის.

6. ამ ორი კომპოზიციიდან რომელი ქმნის დინამიზმის შთაბეჭდილებას და რატომ?

- ამ ორი კომპოზიციიდან დინამიკურობის შთაბეჭდილებას ქმნის ალექსანდრ გერასიმოვის ლენინის პორტრეტი. ამას განაპირობებს სურათის დიაგონალური კომპოზიცია. ლენინის ფიგურა და დროშა სურათის მარცხენა ქვედა კიდიდან, ზედა მარჯვენა კიდისაკენ მიმართულ დიაგონალზეა განლაგებული. გარდა ამისა, დინამიზმის შთაბეჭდილებას განსაზღვრავს თავად ფიგურის წინ გადახრილი, წინმსწრაფი, შემართული პოზაც. სტალინის პორტრეტზე კი კომპოზიცია უფრო მყარი და სტატიკურია, რასაც მშვიდად მდგომი, ვერტიკალზე აგებული სტატიკური, მონუმენტური ფიგურა უწყობს ხელს.

7. როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ვერა მუხინას ქანდაკება „მუშა და კოლმეურნე“? იმსჯელეთ, რამდენად შეესაბამება მისი მხატვრული გადაწყვეტა საბჭოთა ხელოვნების მიზნებს.

- ვერა მუხინას ქანდაკება „მუშა და კოლმეურნე“ ერთი შეხედვისთანავე ჰეროიკულობის, პათეტიკურობის განცდას იწვევს; ორივე ფიგურას მკვეთრად აქვს ნაბიჯი წინ გადადგმული და ცალი ხელი — ზეაღმართული. მამაკაცს ამ ხელში ურო უჭირავს, ქალს კი — ნამგალი (ეს სსრკ-ის სიმბოლოებია). რას ნიშნავს ამ ფიგურების ეს ჟესტი? ეს სიმბოლური ჟესტია, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს მთავარ დოქტრინას — მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას განასახიერებს, თუმცა, ერთგვარად ყალბი პათეტიკურობის ელფერი დაჰკრავს. ამ თვალსაზრისით, ეს ნამუშევარი სრულიად შეესაბამება საბჭოთა ხელოვნების მიზნებს.

8. რა თვალსაზრისით შეიძლება მივაკუთვნოთ ეს ნამუშევრები სოციალისტურ რეალიზმს?

- ეს სურათები ტიპური სოცრეალიზმის ნიმუშებია, რადგან: 1. შინაარსი სრულად შეესაბამება სახელმწიფოს დაკვეთას. მათზე ასახულია შრომით ბედნიერი საბჭოთა ადამიანი; 2. შესრულების მანერა სრულიად რეალისტურია, რაც იყო კიდეც სახელმწიფოს დაკვეთა.

9. აღწერეთ და გააანალიზეთ სურათის კომპოზიცია.

- ამ სურათის კომპოზიცია მოწესრიგებული და ჩაკეტილია. პეიზაჟის ფონზე გამოსახულია რამდენიმე ადამიანი, რომელთაგან ორი თითქმის კომპოზიციის ცენტრში წარმოდგენილი მამაკაცია. მათ მხარზე თოხები აქვთ გადებული და სამუშაოდ მიდიან. სურათის მარჯვენა კიდეში ვხედავთ კიდევ ერთ პროფილში გამოსახულ მამაკაცს, რომლის ფიგურა მარჯვენა მხრიდან კეტავს კომპოზიციას. მარცხენა მხრიდან

კი, კომპოზიცია, წინა ხედზე გამოსახული, ჩვენსკენ ზურგით მჯდომი მამაკაცის ფიგურით იკეტება. მაყურებლის მზერა, წინა ხედზე გამოსახული ამ მუქი ფიგურებიდან სიღრმეში გამოსახულ პეიზაჟზე ინაცვლებს.

10. როგორი ფერადოვნებით ხასიათდება ეს სურათი?

- სურათი ხასიათდება მკვეთრი, ხალისიანი ფერადოვნებით, რასაც განაპირობებს ფონის მოზრდილი მოვარდისფრო-მოწითალო, ყვითელი, ლურჯი და მწვანე მონაკვეთების დაპირისპირება. წინა ხედზე გამოსახულ ადამიანთა ფიგურების შედარებით მუქი ფერის ლაქები ვერ "აცხრობს" ამ ხალისიან განწყობილებას.

11. რომელ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს იყენებს მხატვარი პეიზაჟის ასახვისას და იმსჯელეთ, პირობითია პეიზაჟი თუ რეალისტური.

- პეიზაჟი ამ სურათზე პირობით ხასიათს ატარებს. ამას განაპირობებს ადამიანთა ფიგურებისა და მათი სახეების ფართო, თავისუფალი ლაქებით განზოგადებულად დამუშავება. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პეიზაჟიც პირობითია. ამის ნათელი დასტურია ყვითელი მთა სურათის უკანა პლანზე. მხატვარი ყვითელი მთის გამოსასახად ბრტყელ, ლოკალურ ყვითელ ლაქას იყენებს, რომელსაც ზემოდან რიტმულად განლაგებული მწვანე მქრქალი "წერტილებით" ფარავს; თავად ამ ყვითელ სიბრტყეს კი ზემოდან მკაფიო შავი კონტურით მოხაზავს. ცხადია, ამგვარად გამოსახულ მთას არ აქვს მოცულობა და ის პირობით, დეკორატიულ სიბრტყედ აღიქმება.

12. იმსჯელეთ, არის თუ არა ეს ტიპური სოციალისტური ნამუშევარი. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

- ცხადია, რომ, მიუხედავად თემატიკისა (მშრომელთა ცხოვრების ასახვა), ეს სურათი არ არის ტიპურად სოცრეალისტური, რადგან ავტორი ისეთ სახვით ხერხებსა და საშუალებებს იყენებს, რომ სურათი პირობითობას იძენს და ძალზე შორსაა სოციალისტური რეალიზმის მეთოდისათვის დამახასიათებელი რეალისტურობისაგან.

13. რას ფიქრობთ, რამდენად ღირებულია ეს ნამუშევარი მხატვრული თვალსაზრისით?

- ეს ნამუშევარი მხატვრული თვალსაზრისით საკმაოდ მაღალი ღირებულებისაა, რადგან ავტორი, მოდერნიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი ხერხებით, გვიხატავს მისი თვალით დანახულ სამყაროს.

14. გაიხსენეთ, რომელი სახვითი საშუალებები ახასიათებს პლაკატს და აქ წარმოდგენილი ნიმუშების მაგალითზე გააანალიზეთ, როგორ იყენებენ საბჭოთა პლაკატების ავტორები მათ საკუთარი მიზნების მისაღწევად.

- სააგიტაციო პლაკატის სახასიათო სახვითი საშუალებებია:

  მსხვილი მასშტაბის ფიგურები;
  ფერთა მკვეთრი შეხამება და დიდი ფერადოვანი ლაქები;
  განზოგადებული ფორმა, დაწვრილმანების გარეშე;
  ლაკონიური და იდეის გამომხატველი ზუსტი ტექსტი;
  მკაფიო და კარგად აღსაქმელი შრიფტი.

საკლასო დისკუსია

დისკუსია წარმართეთ შემდეგი შეკითხვების გამოყენებით:

• გაიხსენეთ გოთიკური ხელოვნება და კიდევ ერთხელ განსაზღვრეთ, რა მიზანი ჰქონდა აბატ სუგერიუსს, როდესაც იგი სენ-დენის სააბატო ტაძრის განახლებისას ახალ მხატვრულ ხერხებს ეძებდა;

• გაკვეთილზე მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ, რა მიზანს ისახავდა საბჭოთა ხელისუფლება ხელოვნების ზემოქმედების ძალის გამოყენებისას;

- **შეადარეთ ამ ორ სხვადასხვა ეპოქაში ხელოვნების მიზნები და იმსჯელეთ ამ საკითხზე.**
- სენ დენის ტაძრის მშენებლობისას, სუგერიუსი ემყარებოდა ფსევდო დიონისე არეოპაგელის მოძღვრებას, რომლის მიხედვით, ღმერთი ამქვეყნიურ სამყაროში სინათლის მეშვეობით ავლენს საკუთარ თავს. აკი იოანეს სახარებაში წერია: „მე ვარ ნათელი სოფლისაი“. სინათლის ჭვრეტა კი, სუგერიუსის რწმენით, ადამიანის სულს ასხივოსნებდა და მას ღმერთთან აერთიანებდა. სწორედ ამიტომ, მან მიზნად დაისახა მის მიერ აგებულ ტაძარში ისეთი ახალი ფორმები და კონსტრუქციები გამოეყენებია, რომლებიც სინათლეს განსაკუთრებულ როლს მიანიჭებდა ტაძრის ინტერიერში და ადამიანებს ღმერთთან მისასვლელ გზას გაუადვილებდა. აბატი სუგერიუსი საგანგებოდ მუშაობდა მშენებლებთან, რათა მათ კარგად გაეგოთ და წარმოედგინათ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ტაძრის სრულიად ახლებური ფორმები. მისი კონცეფციით აგებული სენ დენის ტაძარი გოთიკური სტილის პირველ ძეგლად ითვლება.
  საბჭოთა ხელისუფლება მიზნად ისახავდა ისეთი ადამიანის და საზოგადოების შექმნას, რომელიც მორჩილი და ხელისუფლების მიერ მართული იქნებოდა. ეს უნდა ყოფილიყო საზოგადოება, რომელშიც არ იქნებოდა სხვადასხვა აზრი, ყველა დაემორჩილებოდა მმართველი ძალის იდეებს და ნებას. ხელისუფლება, ამის მისაღწევად, ფიზიკურად ანადგურებდა სხვაგვარად მოაზროვნეებს, ხოლო დანარჩენებზე სხვადასხვა გზით ახორციელებდა ზეწოლას, მათ შორის ხელოვნების საშუალებითაც.
  ცხადია, რომ ხელოვნების ზემოქმედების უნარი ამ ორ ეპოქაში სრულიად სხვადასხვა მიზნით იყო გამოყენებული. გოთიკის ხელოვნება ადამიანის სულიერ საჭიროებებს ემსახურებოდა და მისი მიზანი იყო, ადამიანისათვის ღმერთთან მიახლოება გაეადვილებინა, ხოლო საბჭოთა პერიოდის ხელოვნება კი ადამიანზე და საზოგადოებაზე ძალადობდა და მისი მიზანი იყო ეფემერული ბედნიერი კომუნისტური მომავალი, ნაყროვანი ცხოვრება და ფიზიკური არსებობა. როგორც ისტორიამ გვიჩვენა, ამგვარი მომავალი სრული ტყუილი აღმოჩნდა და, საბოლოოდ, ტყუილზე დაფუძნებული ეს სახელმწიფო — სსრკ — დაიშალა.

35. ხელოვნება — საზოგადოების სარკე და მათრახი

საკლასო დისკუსია

დაფიქრდით და იმსჯელეთ, რა ტიპის ხელოვნებას ანიჭებთ უპირატესობას: ისეთს, რომელიც მშვენიერებას წარმოაჩენს და გამშვიდებთ, თუ რომელიც მწვავე პრობლემებს სვამს, გაფორიაქებთ, შეკითხვებს გიჩენთ.

- მოსწავლეების პასუხები, ალბათ, სხვადასხვაგვარი იქნება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მთავარია, მათ საკუთარი მოსაზრების დასაბუთება შეძლონ.

1. ხომ არ გაიხსენებთ ისეთ მხატვრებს, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში მწვავედ და კრიტიკულად წარმოაჩენენ მათ თანამედროვე საზოგადოებას?

- მოსწავლეებს მე-8 კლასში გავლილი აქვთ მთელი თავი, რომელიც ხელოვნებაში პროტესტისა და საზოგადოებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ასახვას ეხება. სავარაუდოდ, ისინი გაიხსენებენ ფრანცისკო გოიას ოფორტების სერიას “ომის საშინელებანი”, მის სურათს “1808 წლის 2 მაისი აჯანყება”, პაბლო პიკასოს “გერნიკას”, პიტერ ბრეიგელ უფროსის “ფლამანდიურ ანდაზებს”, მისსავე “ბრმებს”, ონორე დომიეს გრაფიკულ და სკულპტურულ ნამუშევრებს.

2. აღწერეთ ბოშის ნამუშევარი „თივის ზიდვა“.

- ამ მრავალფიგურიან კომპოზიციას აქვს კომპოზიციის ცენტრი და ესაა თივის უზარმაზარი ზვინი, რომლის გარშემოც ვითარდება მოქმედება. აქ მოსწავლეებს შეუძლიათ, დააკვირდნენ უამრავ ცალკეულ სცენას და სათითაოდ აღწერონ ისინი. სახელმძღვანელოში სანიმუშოდ მოცემულია რამდენიმე სცენის აღწერა.

3. დააკვირდით და აღწერეთ, რას აკეთებენ აქ გამოსახული ადამიანები.

- მოსწავლეები კარგად უნდა დააკვირდნენ ამ სურათის ცალკეულ დეტალებს და აღწერონ, თუ რას აკეთებენ აქ გამოსახული ადამიანები. ცხადია, ყველა ფიგურის თუ ჯგუფის საქმიანობის აღწერა გაკვეთილზე ვერ მოესწრება, მაგრამ, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეების იმ ფრაგმენტებზე გაამახვილებინოს ყურადღება, რომლებზეც ცხადად ჩანს ადამიანთა გარჯა და ბრძოლა თივის მოსაპოვებლად.

4. დააკვირდით ურემში შებმულ არსებებს. თქვენი აზრით, რას განასახიერებენ ისინი?

- ბოშის ამ სურათზე გამოსახული არიან ფანტასტიკური ჰიბრიდული არსებები (მაგ., არსება ადამიანის ფეხებით და თევზის თავით, ვირთხის, ფრინველის და სხვა ცხოველთა თავებით) რომლებიც ხშირად გვხვდებიან ბოშის შემოქმედებაში, განსაკუთრებით ჯოჯოხეთის ამსახველ სცენებში. ანუ ეს ჯოჯოხეთის არსებები არიან, რომლებიც ადამიანთა საცდუნებლად ეზიდებიან თივას.

5. ეს არსებები ხომ არ გახსენებთ რომელიმე თანამედროვე მიმდინარეობას და რატომ?

- მოსწავლეებმა ეს გამოსახულებები უნდა დააკავშირონ ამ სახელმძღვანელოს მეორე თავში ნასწავლ მასალასთან, რომელიც სიურრეალიზმს ეხება. ამგვარი ჰიბრიდული არსებების გამოსახვა სიურრეალისტების ნამუშევრებშიც გვხვდება. ცნობილი ფაქტია, რომ სიურრეალისტებისათვის ბოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხატვარი იყო, რომლის ჰიბრიდული ფანტასტიკური სახე-ხატები შეესაბამებოდა სიურრეალისტების ნამუშევრების სიზმრისეულ „ლოგიკას“. სწორედ ამიტომ თვლიან მეცნიერები ბოშს სიურრეალიზმის წინამორბედად.

6. ჩანს თუ არა ამ ნამუშევარში თავად ბოშის პიროვნება და მისი ღირებულებები?

- რა თქმა უნდა, ამ ნამუშევარში კარგად ჩანს, რომ მხატვარი ძალზე მახვილი თვალით აღიქვამს სინამდვილეს, იმ საზოგადოების მანკიერებებს, რომელშიც იგი ცხოვრობს, მაგრამ არ ეგუება ამას, რადგან, ერთი მხრივ, თავისი ნამუშევრის მთავარ თემად აქცევს ადამიანთა სიხარბესა და მომხვეჭელობას და, მეორე მხრივ, თავად ამ ადამიანების მხატვრულ სახეებში შესანიშნავად ასახავს მათ შინაგან მანკიერ ბუნებას. ამით მხატვარი გვიჩვენებს საკუთარ მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ამგვარი საზოგადოების მიმართ, რითიც წარმოაჩენს საკუთარ ღირებულებებს და ეს ღირებულებებია: მორალური და ზნეობრივი ადამიანი და მორალის ფარგლებში მცხოვრები საზოგადოება.

7. შემთხვევითია თუ გამიზნული ქაოსის შთაბეჭდილება ბოშის ამ სურათზე?

- ცხადია, რომ ბოშის სურათზე კომპოზიციური ქაოსის შთაბეჭდილება შემთხვევითი არაა; ავტორი საგანგებოდ ირჩევს ამ ხერხს, რათა კიდევ უფრო გაამძაფროს ამ მანკიერებით აღსავსე საზოგადოების უწესრიგობა; ამას მხატვარი აღწევს სასურათო სიბრტყეზე უამრავი დინამიკური ფიგურის განთავსებით, გაბნევით.

8. რას ფიქრობთ, არის თუ არა ამ სურათის კომპოზიცია მოწესრიგებული?

- მიუხედავად იმისა, რომ სურათზე თითქოს ქაოსი სუფევს, კომპოზიციაში არის ისეთი ელემენტები, რომლებსაც მაინც შეაქვს მასში ერთგვარი წესრიგი. მაგ., სურათს აქვს კომპოზიციური ცენტრი თივის ზვინის დიდი მოცულობითი ოქროსფერი ლაქის სახით, რომლის მიმართ მხატვარი მცირე ზომის ფიგურებს ისე განალაგებს, რომ სასურათო სიბრტყეზე წონასწორობა იქმნება. სურათის ქვედა კიდესთან ფრიზისებურად განლაგებული ფიგურათა ჯგუფები ქვემოდან კეტავენ კომპოზიციას. ამ კომპოზიციის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რომ აქ ფიგურათა ჯგუფები მოძრაობენ მარცხნიდან მარჯვნივ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ადამიანთა ეს მოძრავი მასა სადაცაა გავა სასურათო სიბრტყიდან. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ ეს არაა შემთხვევითი; რომ ეს სურათი ტრიფტიქონის ნაწილია და

მის მარჯვენა ფრთაზე (საითაც ადამიანები მიემართებიან) გამოსახულია ჯოჯოხეთი. ანუ ბოშმა მთელი ეს საზოგადოება ჯოჯოხეთისაკენ გაუშვა. ფაქტობრივად, მან ამგვარი საზოგადოების ადგილი ჯოჯოხეთში განსაზღვრა. მარცხენა ფრთაზე კი სამოთხეა გამოსახული.

9. აქვს თუ არა ამ სურათს კომპოზიციური ცენტრი და გამოყოფილია თუ არა მასზე მთავარი?

- ამ სურათის კომპოზიციური ცენტრია თივის ზვინი, რომელიც მთავარ გამოსახულებას წარმოადგენს. მხატვარი ამ ცენტრს გამოყოფს კომპოზიციაში ყველაზე დიდი ზომის ოქროსფერი ფერადოვანი ლაქით.

10. რას იტყვით სურათის ხედვის წერტილის, რაკურსის შესახებ?

- • როდესაც ამ სურათს ვუყურებთ, აშკარად ვგრძნობთ, რომ ჩვენ მაღლა ვდგავართ და ზემოდან დავყურებთ ამ მრავალფიგურიან სცენას. ანუ ჩვენ ამ კომპოზიციაში ხედვის ზედა წერტილი გვაქვს.

11. რით გამოყოფს მხატვარი ამ კომპოზიციაზე მთავარ აქცენტს?

- მხატვარი ამ ცენტრს გამოყოფს კომპოზიციაში ყველაზე დიდი ზომის ოქროსფერი ფერადოვანი ლაქით — თივის ზვინით.

12. როგორ ფერადოვნებას ანიჭებს მხატვარი სცენის მთავარ გამოსახულებას და აქვს თუ არა ამ ფერადოვნებას სიმბოლური დატვირთვა?

- თუ დააკვირდებით, თივა აქ შედარებით კაშკაშა ოქროსფერია (სინამდვილეში თივის ფერი უფრო მქრქალია), მაგრამ ეს არაა შემთხვევითი და თივის ფერი ოქროსთან იწვევს ასოციაციას. ანუ მხატვარი მიანიშნებს, რომ აქ გამოსახული საზოგადოება ოქროსმოყვარულია და მის მოსაპოვებლად იბრძვის.

საკლასო დისკუსია

1. გაეცანით დამატებით ინფორმაციას „იერონიმუს ბოშის სიმბოლოები“; იპოვეთ ეს სიმბოლოები მის სურათზე „ილუზიონისტი“ და იმსჯელეთ, რა კავშირი აქვს მათ სურათის შინაარსთან და მის პერსონაჟებთან.

2. თქვენი აზრით, მოახდენდა თუ არა ზემოქმედებას საზოგადოებაზე ბოშის ეს ნამუშევრები?

- აქ მოცემულია ორი სადისკუსიო თემა, რომელთაგან მასწავლებელს შეუძლია ერთი შეარჩიოს ან ორივე მათგანზე ჩაატაროს დისკუსია.

  მოსწავლეებმა უნდა იპოვონ ბუსა და მაიმუნის გამოსახულებები. ბუ ზის კალათში, ბაყაყი — მაგიდაზე, ხოლო, მაიმუნი — მაგიდის ქვეშ.

  ბუ — ბოროტების სიმბოლო. მხატვარი ამ გამოსახულებით მიანიშნებს, რომ რაც ჩვენ თვალწინ ხდება, ბოროტებაა; მაიმუნი — სიცრუის სიმბოლო. ეს საზოგადოება სიცრუეზეა აგებული; ბაყაყი — უწმინდურობის და მანკიერების სიმბოლო. სიბრიყვეც მანკიერებაა.

13. დააკვირდით ბოშის პერსონაჟების სახეებს და აღწერეთ მათი გამომეტყველება.

- სახელმძღვანელოში მოცემული ფრაგმენტების მიხედვით, მოსწავლეებმა უნდა აღწერონ ადამიანთა სახის გამომეტყველება და, საბოლოოდ, უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს ადამიანები პერსონები არ არიან, ესაა ტიპაჟები საკმაოდ უსიამოვნო სახასიათო სახეებითა და სხვადასხვაგვარი გამომეტყველებით, რომლებსაც შეიძლება ადამიანთა მანკიერებების სახელები ვუწოდოთ: თაღლითი, სულელი, გულგრილი, ცნობისმოყვარე, სეირის მაყურებელი და ა.შ.

37. ეძებეთ სურათის მიღმა

1. როგორ განწყობილებას აღძრავს თქვენში ეს სურათი?

- ვერმეერის სურათი „ქალი სასწორით“ სიმშვიდის განწყობილებას აღძრავს;

2. გააანალიზეთ სურათის კომპოზიცია. არის თუ არა ის გაწონასწორებული?

- აღწერის დროს, მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ, რომ კომპოზიცია სადა და, შეიძლება ითქვას, მარტივია; სცენა ოსტატურადაა აგებული კომპოზიციური თვალსაზრისით; ის გაწონასწორებული და მშვიდია, რასაც ხელს უწყობს მშვიდი, რბილი, გაფანტული განათება; განსაკუთრებით საინტერესოა ქალის პროფილში წარმოდგენილი სახე, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს მშვიდია, მაგრამ ოდნავ გახსნილი ბაგეები, კონცენტრირებული, მოკრებილი მზერა და შეფაკლული ღაწვები, გვაფიქრებინებს, რომ წერილმა იგი ააღელვა, თუმცა, მისი მღელვარება თავშეკავებულია.

3. იმსჯელეთ, როგორია ამ სურათის ფერადოვანი გადაწყვეტა.

- ეს სურათი მშვიდი ფერადოვნებით ხასიათდება. არც ერთი ფერი არ ვარდება საერთო კოლორიტიდან; ყველა ფერი, თითქოს, ერთი სიმკვეთრისაა, მხოლოდ თეთრი თავსაბური გამოიკვეთება აქცენტის სახით, რათა ხაზი გაუსვას ქალის სახეს და მაყურებლის ყურადღება მასზე გაამახვილოს.

4. რა როლს ასრულებს განათება ამ სურათზე?

- ამ სურათზე განათება შემოდის მარცხენა მხრიდან და იფანტება მთელ ოთახში. ვერმეერის სურათებზე, როგორც წესი, სწორედ ამ მხარეს გამოსახული სარკმლიდან იღვრება შუქი. თუმცა ამ სურათზე სარკმელი არ ჩანს, მაგრამ განათების მიმართულება და მისი ხასიათი ვერმეერისათვის ტრადიციულია.

5. სახვითი ხელოვნების რომელ ჟანრს მიაკუთვნებდით ამ სურათს?

- ვინაიდან ამ სურათზე ადამიანის ყოველდღიურობა, მისი ყოფაა ასახული, ეს სურათი ყოფით ჟანრს უნდა მივაკუთვნოთ.

6. შეეცადეთ, ამ სათაურიდან გამომდინარე, სხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცეთ სურათს „ქალი სასწორით“.

- თუ ვიგულისხმებთ, რომ ამ ნამუშევრის სათაურის ერთ-ერთი ვარიანტია „ქალი, რომელიც იცავს ბალანსს“, მაშინ შესაძლებელია, რომ ამ სურათის საზრისი სხვაგვარად იყოს ინტერპრეტირებული. ქალი ცდილობს, სასწორზე დაიცვას წონასწორობა, რაც ალეგორიულად შესაძლებელია, გადავიტანოთ ქალის შინაგან მდგომარეობაზე. ქალი ცდილობს, შინაგანი წონასწორობა დაიცვას. რას ნიშნავს ეს? შინაგანი წონასწორობის მოპოვება შესაძლებელია, თუ ადამიანი გარიდებულია ამქვეყნიურ ფაციფუცს, ორომტრიალს, ხორციელ სიამეთა ძიებას, ძალაუფლების თუ სიმდიდრის მოპოვებისათვის ბრძოლას; ანუ ცხოვრებისეული ვნებები და ემოციები ვერ აღწევს მის სულში. სხვათა შორის, ქალს სახეზე სწორედ ამის ამსახველი გამომეტყველება აქვს აღბეჭდილი: მშვიდი, უემოციო, უდრტვინველი, გარინდებული; თითქოს მას არანაირი ცხოვრებისეული მოვლენა არ ეხება და არ აღელვებს. ამ კონტექსტში ახალ მნიშვნელობას იძენს სასწორი. ეს ნივთი მეტაფორულად ადამიანის შინაგანი სამყაროს წონასწორობის საზომად შეიძლება წარმოგვიდგეს, ხოლო სურათი, რომელიც უკანა პლანზეა და მეორედ მოსვლას განასახიერებს, მიანიშნებს, რომ შინაგანი წონასწორობის მოპოვება ადამიანს გზას უხსნის სამოთხისაკენ.

7. 8. დააკვირდით ვერმეერის სურათებს („ქალი სასწორით“ და „მერძევე“) და აღწერეთ, როგორ და რომელ მხატვრულ ხერხებს იყენებს ვერმეერი სხვადასხვა ნივთის გამოსახვისას.

- ვერმეერი გულდასმით ხატავს თითოეულ ნივთს, უმნიშვნელოსაც კი; იგი ზუსტად და დიდი ყურადღებით გადმოსცემს მათ ფორმას, ფერს, ფაქტურას. რბილი შუქ-ჩრდილის საშუალებით იგი ამრგვალებს ნივთების ფორმებს, იყენებს ფერთა ნახევარტონებს.

9. აღწერეთ ამ სურათიდან მიღებული თქვენი შთაბეჭდილება და ემოცია.

- სურათი „ქალი ცისფერში“, ვერმეერის სხვა სურათების მსგავსად, მშვიდ განწყობილებას აღძრავს, თუმცა, თუ კარგად დავაკვირდებით, ქალის, ერთი შეხედვით,

მშვიდი პოზის მიუხედავად, იგი მაინც დაძაბულია. ეს დაძაბულობა უფრო შინაგანი ბუნებისაა და გარეგნულად ნაკლებად ვლინდება, თუმცა, ამ დაძაბულობის შთაბეჭდილების შექმნაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს მისი ხელები. ქალი თითქოს ჩაფრენილია წერილს და კონცენტრირებული კითხულობს მათ.

10. დეტალურად აღწერეთ სურათი (გარემო, ქალი, მისი სახე, ემოცია, მოძრაობა).

- სურათი, ერთი შეხედვით, ძალზე ლაკონიურია: ოთახის კუთხეში მხოლოდ ერთი ფიგურაა გამოსახული. გარემო ძალზე სადაა: ფრაგმენტულად გამოსახული ორი სკამი, მაგიდა და კედელზე სურათის ჩარჩოთი „ჩამოჭრილი“ რუკის ნაწილი. ჩვენ ვხედავთ პროფილში გამოსახულ ახალგაზრდა ქალს, რომელიც წერილს კითხულობს, მისი ჩაცმულობაც და ვარცხნილობაც ძალზე სადაა. ერთი შეხედვით, იგი მშვიდად დგას, თუმცა, თუ კარგად დავაკვირდებით, მის ამ სატატიკურ პოზაში დაძაბულობას აღმოვაჩენთ. ეს დაძაბულობა უფრო შინაგანი ბუნებისაა და გარეგნულად ნაკლებად ვლინდება, თუმცა, ამ დაძაბულობის შთაბეჭდილების შექმნაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს მისი ხელები. ქალი თითქოს ჩაფრენილია წერილს და კონცენტრირებული კითხულობს მათ.

11. იმსჯელეთ, რა როლს ასრულებს ამ სურათზე განათება?

- ამ სურათზე ჩვენ ვერ ვხედავთ განათების წყაროს, მაგრამ აშკარაა, რომ სინათლე მარცხნიდან შემოდის სცენაში (როგორც ეს ტრადიციულადაა ხოლმე ვერმეერის ნამუშევრებში) და თანაბრად ეფინება ოთახს. ის პირდაპირ ეცემა ქალს. მისი ცისფერი სამოსი, თითქოს გასხივოსნებულია ამ შუქით და თავადაც სადაფისებურ ბზინვარებას გამოსცემს. ამგვარი გაფანტული განათება, ერთი მხრივ, სრულიად რეალურია, მეორე მხრივ კი, სიმყუდროვის, სიმშვიდის შთაბეჭდილებას განსაზღვრავს.

12. რა ნიშნებით შეიძლება ჩაითვალოს ეს კომპოზიცია „ხარების“ ალეგორიად?

- თუ ადამიანს მახვილი თვალი აქვს, აუცილებლად შეამჩნევს, რომ ქალს ქვემოთკენ გაშლილი ცისფერი პერანგი აცვია და მის ქვეშ აშკარად ჩანს ოდნავ წინ წამოწეული მუცელი. გარდა ამისა, ქალის დაძაბული პოზიდან და სახიდან გამომდინარე, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ქალმა ამაღელვებელი ცნობა მიიღო. ამას ისინი ამატებენ განათებას, რომელიც პირდაპირ ეცემა ქალს, ხოლო მის წინ, კედელთან უცნაურ, არაბუნებრივ ნათებას ქმნის. ხომ არ არის ეს განათების ნაკადი სწორედ სულიწმიდის სიმბოლო, რომლის ძალითაც ღვთისმშობელს ღმერთისაგან ეუწყა უბიწო ჩასახვის შესახებ. აქ მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაიხსენოს გოთიკისადმი მიძღვნილ გაკვეთილში აბატ სუგერიუსის შესახებ, რომელიც, ფსევდო დიონისე არეოპაგელზე დაყრდნობით, სინათლეს ღმერთის გამოვლინებად მიიჩნევდა და მისი დაკვეთით აგებულ სენ დენის გოთიკური ტაძრის ინტერიერში სინათლის დრამატურგიის ეფექტი გამოიყენა. გოთიკური არქიტექტურა ჰოლანდიაშიც იყო გავრცელებული და არაა გასაკვირი, რომ სინათლის ამგვარი კონოტაცია ვერმეერსაც გამოეყენებინა.

13. არის თუ არა მეცნიერთა ეს მოსაზრება თქვენთვის მისაღები? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

- ამ კითხვაზე მოსწავლეებმა, შესაძლებელია, სხვადასხვაგვარი პასუხი გასცენ, მოსწავლეები შეიძლება დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ ამ მოსაზრებას, მაგრამ მთავარია, ისინი შეეცადონ, დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრება.

14. რა შთაბეჭდილებას ქმნის ა. ლაქტიონოვის ეს სურათი და რა ემოციებს აღძრავს ის თქვენში?

- ალექსანდრ ლაქტიონოვის სურათი ხალისიან განწყობილებას ქმნის.

15. რას ფიქრობთ, არის აქ კიდევ სხვა შრე, ერთგვარი „საიდუმლო“, რომელიც ვერმეერთან აღმოვაჩინეთ?

- პასუხი ცალსახაა — არა, მაგრამ სავარაუდოდ, მოსწავლეები ეცდებიან, მოძებნონ ამგვარი შრე ლაქტიონოვის ნამუშევარში და თუ ისინი ამ კითხვას დადებით პასუხს გასცემენ, მასწავლებელმა მათ საკუთარი მოსაზრების დასაბუთება უნდა სთხოვოს.

16. შეეცადეთ, თავად გამოიკვლიოთ, რა იყო მიზეზი ლაქტიონოვის სურათის ამგვარი გადაწყვეტისა და რამდენად იმოქმედებდა მასზე საბჭოთა მხატვრებისათვის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმები?

- ცხადია, საბჭოთა პერიოდის მხატვრების შემოქმედებაში, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით, უნდა ყოფილიყო ასახული მუშებისა და გლეხების ბედნიერი ცხოვრება და ლაქტიონოვის ეს სურათი, სწორედ ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

39. ქალები ხელოვნებაში დამკვიდრების გზაზე

1. როგორ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე ჯორჯია ო'კიფის ნამუშევარი „ღამის ქალაქი"?

2. რომელ მხატვრულ ხერხებს იყენებს მხატვარი ცათამბჯენების გამოსახვისას და რამდენად განსხვავდება მის მიერ აღბეჭდილი ხედი ამერიკული ქალაქის გავრცელებული იმიჯისაგან?

- "ღამის ქალაქი" ძალიან განსხვავდება ამერიკის დიდი ქალაქების სავიზიტო იმიჯებისაგან, რომლებზეც ევროპული ქალაქისაგან განსხვავებული მრავალსართულიანი ნაგებობების თემა პროგრესული, წარმატებული, მომავალზე ორიენტირებული ახალი ცხოვრების სიმბოლოდ წარუდგებოდა ხოლმე საზოგადოებას. მხატვარი ძლიერ რაკურსში, ხედვის ძალიან დაბალი წერტილიდან ასახავს ნაგებობებს, რომელთა ზედაპირზე ავისმომასწავებელი მუქი ჩრდილებია დაცემული. ცათამბჯენების ყრუ ფასადები თითქოს არც კი გულისხმობს, რომ ამ ნაგებობებში ადამიანები არიან. ქალაქი უკაცრიელად გამოიყურება და შეშფოთების განცდასაც კი ბადებს მაყურებელში.

3. თუ არ ვიცით ავტორის ვინაობა, შესაძლებელია თუ არა ჯორჯია ო'კიფის ეს სურათი იმთავითვე ქალის ნამუშევრად აღვიქვათ?

- ნამუშევრის მიხედვით ძნელი გამოსაცნობია ავტორის სქესი. ძლიერი ხელით შესრულებული, საკმაოდ მკაცრი, პირქუში ნამუშევარი არაფრით მოგვაგონებს ტრადიციულ "ქალურ" თემებზე შესრულებულ ნაწარმოებებს.

4. შეადარეთ ერთმანეთს ჯორჯია ო'კიფის მიერ დახატული ორი ყვავილის გამოსახულება. რას ფიქრობთ, როგორ გამომსახველობით ხერხებს პოულობს მხატვარი და მცენარეების რომელ ნიშნებს უსვამს მათი დახმარებით ხაზს?

- ორივე ნამუშევარზე ყვავილები უაღრესად ახლო ხედით არის ნაჩვენები. ბუნებრივია, გადიდებულია მათი სტრუქტურის უმცირესი ელემენტები, რომლებიც, ჩვეულებრივ შემთხვევაში, არ იქცევს ადამიანის ყურადღებას. ამ ხერხით ავტორი ხაზგასმულად სვამს აქცენტს მცენარეების ენერგიაზე, რომელიც კვებავს და სასიცოცხლო ძალით მუხტავს მათ. ეს ავტორის მიდგომის, გამოსასახი ობიექტისადმი მისი დამოკიდებულების მაჩვენებელი ხერხია, რომლითაც თითოეულ ნამუშევარზე ხაზგასმულია არა მხოლოდ ყვავილის ესთეტიკური ასპექტი, არამედ მათი შინაგანი, უხილავი ძალა და ენერგია.

5. გაეცანით ჯუდი ჩიკაგოს ინსტალაციას „სადღესასწაულო სადილი" და აღწერეთ თქვენი შთაბეჭდილება.

- ჯუდი ჩიკაგოს დიდი ზომის ინსტალაცია მაყურებელს სადღესასწაულო განცდას უქმნის და მკაფიოდ ახსენებს, რომ კაცობრიობის ისტორიაში უამრავ ქალს აქვს შეტანილი დიდი წვლილი და ისინი შთამომავალთა ღრმა პატივისცემას იმსახურებენ. საზეიმოდ მორთული და გაწყობილი მაგიდა, თეთრი პიედესტალი, წარწერები აცოცხლებენ ამ ქალების სახელებს და უკვდავყოფენ მათ.

6. თქვენი აზრით, განსხვავდება თუ არა მამაკაცი და ქალი მხატვრების შემოქმედება ერთმანეთისაგან?

- ხელოვნების ნიმუშის მხატვრული ღირებულება, შემოქმედების ხასიათი, მნიშვნელობა სრულიად არ არის დამოკიდებული შემოქმედის გენდერზე. ხელოვნების არც ერთ დარგში ხელოვნების ნაწარმოები არ ფასდება მისი ავტორის სქესის გათვალისწინებით.

40. ციტაცია*

1. რას ფიქრობთ, რატომ იყენებენ XX საუკუნის ხელოვანები ციტაციის მეთოდს?

- თანამედროვე ხელოვანები თვლიან, რომ ყველაფერი, რაც კაცობრიობას სათქმელი ჰქონდა, უკვე ნათქვამია და დავიწყებულიც კია ("ყველაფერი ახალი, კარგად დავიწყებული ძველია"). ისინი მიიჩნევენ, რომ წარსულიდან შესაძლებელია გამოვიხმოთ ცალკეული მოტივები, აზრები და ისინი ახალ კონტექსტში, ახალ რეალობაში განვიხილოთ; თანამედროვეობის რაკურსში დავინახოთ ის პრობლემები, რომლებიც კაცობრიობას მუდმივად აწუხებდა. ახალი ხედვა და ეპოქის გამოწვევებთან კავშირში ძველი ღირებულებების გააზრება, თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სწორედ ამიტომაც იყენებენ ხელოვანები ე.წ. ციტაციის მეთოდს.

IV თავი. მე და ხელოვნება — ხელოვნებასთან ზიარების გზები

41. ესტატეს ნადირობა

1. აღწერეთ წმ. ესტატეს ნადირობის სცენა.

- წმ. ესტატეს რელიეფი, რომელიც ატენის სიონის დასავლეთ ფასადზეა გამოსახული, ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება, მაგრამ არ არის მოჩარჩოებული. კომპოზიციის მარცხენა მხარეს წარმოდგენილია ცხენზე ამხედრებული მხედარი — წმ. ესტატე, რომელიც ხელში მომარჯვებულ მშვილდ-ისარს სცენის მარჯვენა მხარეს გამოსახულ ირმებს უმიზნებს. აქ სამი ირემია გამოსახული, რომელთაგან ერთ-ერთს მაღალი რქები აქვს. ირმები თავისუფლად მოძრაობენ, ერთ-ერთ მათგანს თავიც კი მოუტრიალებია მდევრისაკენ, თუმცა ისინი არ გარბიან და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ადგილზე დგანან და საფრთხეს ვერ გრძნობენ. სამაგიეროდ, მხედარია მოცემული ძალზე დინამიკურ მოძრაობაში, ის ცხენს გამალებით მიაჭენებს. ეს ორი ჯგუფი საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთს და მათ შორის კედლის დიდი სიბრტყეა დატოვებული; ვინაიდან კომპოზიციას არ აქვს შემომსაზღვრელი ჩარჩო, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მათი სამოძრაო „სივრცე" უკიდეგანოა. ფიგურები საკმაოდ მაღალი რელიეფითაა შესრულებული. ირმების მკვრივი სხეულები საკმაოდაა ამოზიდული ფონიდან, მათი პროპორციები მწყობრი და დახვეწილია.

2. შეადარეთ ერთმანეთს ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშზე წარმოდგენილი ესტატეს ნადირობის სცენები. გამოჰყავით, რით ჰგავს და რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან.

- მარტვილის ტაძრის რელიეფზე გამოსახულია ატენის სიონის მსგავსი კომპოზიცია. მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ აქაც თავად ესტატე ცხენზეა ამხედრებული, თუმცა განსხვავება ისაა, რომ მას, მშვილდ-ისრის ნაცვლად, გრძელი შუბი უპყრია ხელთ. ატენის სიონის რელიეფისაგან განსხვავებით, აქ გამოსახულია ერთი ირემი, რომელსაც მაღალი ქორბუდა რქები აქვს. ირმის რქებს შორის დისკოს ვხედავთ, რომელზეც ჯვარი — ქრისტეს სიმბოლოა გამოსახული (ამჟამად ცუდად ჩანს). ირემი, ატენის ერთ-ერთი

ირმის მსგავსად, მხედრისკენაა მობრუნებული, მაგრამ არ გარბის, თითქოს ერთ ადგილზე დგას. ცხენის ფიგურა აქაც აქტიურ მოძრაობაშია გამოსახული, თუმცა, ჭენების შეგრძნება აქ ნაკლებია, რადგან ცხენი ყალყზეა შემდგარი. ატენის რელიეფისაგან განსხვავებით, ეს სცენა ყველა მხრიდან საკმაოდ კარგად არის შემოსაზღვრული. ესტატეს სცენის მოქმედი გმირები ერთმანეთთან ახლოს არიან წარმოდგენილნი და მათ შორის ფონის ინტერვალი მინიმალურია. ფიგურები აქაც მაღალი რელიეფითაა წარმოდგენილი, ისინი პლასტიკური და მოცულობითია. XVIII საუკუნის გრაგნილზე (H 2076-06) ესტატეს სცენა სადა ფონზეა წარმოდგენილი. ატენის რელიეფის მსგავსად, ცხენზე ამხედრებული ესტატე მისდევს ირემს, რომელიც გარბის, მის რქებს შორის კი საკმაოდ მოზრდილ ჯვარს ვხედავთ, თუმცა აქ ჯვარი წრეში არაა ჩაწერილი. განსხვავება ისიცაა, რომ ესტატეს მშვილდ-ისარი არ უჭირავს, მარჯვენა ხელში ხმალი მოუმარჯვებია, მარცხენაში კი ძალზე გრძელი შუბი უჭირავს, რომელიც სცენას ვერტიკალურად თითქმის ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს. საკმაოდ განსხვავებულია 1746 წელს შექმნილ ხელნაწერში (A-1454) დაცული ესტატეს ნადირობის სცენა, რომელზეც ამ სცენის ყველა დეტალი ტრადიციულადაა გამოსახული (ამხედრებული ესტატე, ქორბუდა ირემი, ჯვრით რქებს შორის), ერთის გარდა: ესტატეს ხელში არანაირი იარაღი არ უჭირავს, ის ვედრების ჟესტით არის მიმართული ირმისაკენ, უფრო სწორად კი, ირმის რქებს შორის გამოსახული ჯვრისაკენ. ერთაწმინდის გვიანი ხანის მხატვრობის სცენაზე (რომელიც დაზიანებულია და მხოლოდ ირმის ფრაგმენტი ჩანს) აშკარად ჩანს, რომ ირმის მაღალ რქებს შორის ჯვარცმის ხატია ჩასმული.

3. თქვენი აზრით, რა იყო ის სიბრძნე, ჭეშმარიტება, რომელსაც ესტატე ნადირობის დროს ეზიარა?

- წარმართული ძეგლებისაგან განსხვავებით, ქრისტიანულ ძეგლებზე კონკრეტულადაა გამოსახული ჯვარი, ან ჯვარცმული ქრისტე, რაც პირდაპირ მიანიშნებს, რომ ჭეშმარიტება, რომელსაც ესტატე ეზიარა, თავად ქრისტეა.

4. რას ფიქრობთ, დღესაც ეძებს თუ არა ადამიანი ჭეშმარიტებას და, თქვენი აზრით, უნდა ეძებდეს თუ არა მას?

- ამ შემთხვევაში შესაძლებელია, მოსწავლეებმა უარყოფითი პასუხიც გასცენ შეკითხვას და ეს გაამართლონ იმით, რომ დღეს სხვა ეპოქაა. თუმცა, მასწავლებელი უნდა ეცადოს, დაანახოს მოსწავლეებს, რომ არ ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში ეპოქა, როდესაც ადამიანი არ ეძებდა ჭეშმარიტებას და რომ გამონაკლისი, ალბათ, არც ჩვენი ეპოქა უნდა იყოს.

42. გამოფენა და მისი კონცეფცია

1. რას ფიქრობთ, რატომ უჩნდებათ ადამიანებს მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში საგანგებოდ მისვლის სურვილი?

- ადამიანს აქვს მოთხოვნილება, გაეცნოს ახალ აზრებს, იდეებს, მიიღოს ახალი შთაბეჭდილებები; მას მუდმივად აქვს სურვილი იფიქროს, იაზროვნოს და ამ პროცესს ააქტიურებს ხელოვნება — ლიტერატურა, თეატრი, კინო, მხატვრობა და სხვ. და, შესაბამისად, ადამიანების სურვილი, იარონ საგამოფენო დარბაზებში, სულაც არაა გასაკვირი.

2. აღწერეთ ეს ინსტალაცია. რა შთაბეჭდილებას გიქმნით ის?

- აქ წარმოდგენილია ორ რიგად განლაგებული, თანაბარი ინტერვალებით დაშორებული, უხეში თეთრი ტილოს ნაჭრის დრაპირებული ქსოვილისაგან შექმნილი კაბები, რომლებსაც დარბაზის მთელი სიმაღლე უჭირავთ და ერთგვარ გიგანტურ ცოცხალ არსებებად განიცდებიან.

3. რა უცნაურობას ხედავთ ამ ინსტალაციაში?

- მათ არ აქვთ თავი, თუმცა ეს, ერთი შეხედვით, არ აღიქმება.

4. როგორ რიტმს ქმნის „ფიგურები“ სივრცეში?

- ორ რიგად განლაგებული ეს „ფიგურები“, თანაბარი ინტერვალებითაა დაშორებული, რის შედეგადაც ისინი სივრცეში თანაბარზომიერ დინჯ რიტმს ქმნიან და მოწესრიგებული გარემოს შთაბეჭდილებას განსაზღვრავენ.

5. შეაჯერეთ ავტორის ტექსტი და თავად ინსტალაცია, იმსჯელეთ, რისი თქმა უნდოდა მხატვარს საზოგადოებისათვის ამ ნამუშევრით?

- თავდაპირველად, მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ მხატვრის ტექსტის შესახებ, რომელიც მოსწავლის წიგნშია მოცემული („რამდენი იარლიყი მიასვირინგეს ქალღმერთებს, რამდენნაირ სხეულში დაატყვევეს, რამდენნაირი უნიფორმა გადააცვეს... ხმამაღლა ვიკითხავთ: საიდან მოვიდნენ? ზღვის ქაფიდან? მიწიდან? თიხიდან?“). ცხადია, რომ ამ ტექსტში ქალების შესახებაა საუბარი. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ხელოვნების ნაწარმოებს, შესაძლოა, რამდენიმე შრე ჰქონდეს და, ქალთა პრობლემების გარდა, ეს ინსტალაცია, შესაძლოა, სხვა საკითხებსაც მოიცავდეს. ამის შემდეგ მოსწავლეებმა ინსტალაციის ინტერპრეტაცია უნდა წარმოადგინონ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა მოსწავლეებს სრული თავისუფლება უნდა მისცეს, თუმცა, საკუთარი აზრის დასაბუთება უნდა მოსთხოვოს.

6. რასთან გიჩნდებათ ასოციაცია? ხელოვნების რომელი ნიმუშები გახსენდებათ?

- მოსწავლეების ცნობიერებაში ალბათ გაჩნდება გარკვეული ასოციაციები: ამ კაბიანმა არსებებმა, რომლებსაც დარბაზის გადახურვა ეყრდნობა, შესაძლოა, მოსწავლეებს ანტიკური ხანის კარიატიდები გაახსენოს, მთელმა სივრცემ, შესაძლოა, მათ მეხსიერებაში ეგვიპტური ჰიპოსტილური დარბაზებიც ამოატივტივოს თავისი მონუმენტური სვეტებით. შესაძლოა, მათ სხვა ასოციაციებიც გაუჩნდეთ, ოღონდ, მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა ახსნან, რატომ გაუჩნდათ ესა თუ ის ასოციაცია.

7. შეადარეთ ერთმანეთს ლია ბაგრატიონის ფიგურები ანტიკურ საბერძნეთში გავრცელებულ კარიატიდებს. რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავთ მათ შორის?

- პირველი სხვაობა, რომელიც ძალზე თვალსაჩინოა, თავად სახე-ხატის ინტერპრეტაციაში ვლინდება. ანტიკური ხანის ქალების — კარიატიდების შემთხვევაში ქალი სრულადაა წარმოდგენილი, ინსტალაციის „ქალებს“ კი არ აქვთ თავი, ანუ არ აქვთ ცნობიერება. განსხვავებაა ფორმის ფაქტურულობასა და კონსისტენციაშიც. მარმარილოს ანტიკურ ქალღმერთთა ფიგურები მოცულობითი, მკვრივი და ხელშესახებია, სამოსის ქვეშ ნათლად იკითხება მათი ფორმების მატერიალურობა, რაც ერთგვარი სიმყარის, სტაციონარულობის და, თუ გნებავთ, მათი ამ სამყაროში ფიზიკურად მარადიულად არსებობის განცდას იწვევს. ინსტალაციის ნაჭრის „ქალების“ ფორმა კი ფუყე და უძარღვოა; მათი ხილვისას, მათი დიდი ზომების მიუხედავად, იკარგება სიმყარის შეგრძნება და ადამიანს დროებითობის, ცვალებადობის, წარმავლობის განცდა ებადება.

8. გააანალიზეთ ამ გვერდზე მოცემული ნამუშევრები და იმსჯელეთ, რომელ პარადოქსებს ვხვდებით მათში?

- პარადოქსების დარბაზში შესულ მნახველს პირველად ეგებება კალათბურთის ფარი, რომლის კალათშიც ბურთი არ ეტევა. ეს თითქოს ერთგვარი პლაკატური განაცხადია, პირდაპირი სახე-ხატია, რომელიც მნახველს შესვლისთანავე აგებებს დარბაზის მთავარ კონცეფციას — პარადოქსს და ამზადებს მას დანარჩენი ნამუშევრების აღსაქმელად. პარადოქსები, დარბაზის სიღრმეში გადაადგილების კვალად,

გრძელდება: ერთ-ერთი ობიექტი, რომელიც ერთგვარად აგრძელებს წინა დარბაზის თემას, ესაა ადამიანის თავი, რომელსაც არა აქვს სახე და რომელი მხრიდანაც უნდა შემოუარო მას, ყველგან მხოლოდ თმის ხვეულები დაგვხვდება.
ადამიანის სახე და მისი თვალები, ტრადიციულად, საუკუნეების განმავლობაში, მისი შინაგანი სამყაროს ანარეკლს განასახიერებდა. თუ ოდესღაც ადამიანის სახისა და თვალების მეშვეობით, სხვადასხვა ეპოქაში, აისახებოდა ხან პიროვნების ხასიათი, ხან მისი სულიერი მდგომარეობა, ზოგჯერ შინაგანი სამყარო, ზოგჯერ კი მისი გუნება-განწყობილება და სხვ. და ამით სხვადასხვა ეპოქის მსოფლმხედველობრივი ასპექტების ამოკითხვის შესაძლებლობა გვეძლეოდა, ამ შემთხვევაში არტისტი სწორედ ამ ტრადიციაზე ამბობს უარს. ეს უპიროვნო თავია, ანუ ადამიანი ცნობიერების გარეშე. შესაძლებელია, ამ ნამუშევრის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც: ესაა ადამიანი, რომელიც „ემალება“ რეალურ ცხოვრებას, არ სურს დაინახოს (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) პრობლემები, გაურბის მათ. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რამდენად სწორია ამგვარი დამოკიდებულება ცხოვრებისეული პრობლემების მიმართ. აქ, შესაძლოა, დაისვას შეკითხვები: „რამდენად სწორია ამგვარი დამოკიდებულება?“ „აკრიტიკებს თუ არა მხატვარი ამგვარ დამოკიდებულებას ცხოვრების მიმართ?“. შესაძლოა, კლასში ამ საკითხზე დისკუსიაც გაიმართოს.
პარადოქსების სერია დარბაზის სიღრმეში ანტიკური ვენერების ქანდაკებებით გრძელდება. კვლავ ქალების თემა და კვლავ პარადოქსები: ქალღმერთი, რომელსაც სახეზე ძალადობის კვალი ატყვია და ამით ისეთივე მსხვერპლად ქცეულა, როგორც უამრავი სხვა ქალი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას. ეს ფაქტობრივად ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ გამოთქმული პროტესტია. კიდევ ერთი ანტიკური ქანდაკების ქალღმერთის თაბაშირის ასლი, რომლის მშვენიერ სხეულზე ვიღაცას ირონიული წარწერები გაუკეთებია: „სიბრძნე ძალზე სექსუალურია“, „გნახავ მე შენ 25 წლის შემდეგ“, „სილამაზე ძალაა“ და სხვ. ესაა იმის დემონსტრირება, როგორ მოხდა ქალის, როგორც ქალღმერთის იდეის გაუფასურება. ამ შემთხვევაში ქალღმერთთა სახე-ხატები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ საკუთარ ისტორიულ კონტექსტთან პარადოქსულ ურთიერთმიმართებაში ექცევა, სრულიად ახალ, თანამედროვე კონტექსტში ინაცვლებს, იცვლის პირვანდელ საზრისს და პრაქტიკულად უარყოფს, როგორც პირვანდელ საზრისს, ისე თავად სახელოვნებო ფორმის ტრადიციულ ესთეტიკასაც.

9. როგორი იქნებოდა თქვენეული ინტერპრეტაცია წარწერებისა ანტიკური ქალღმერთის სხეულზე?

- უპირველესად, მოსწავლეებმა უნდა ამოიკითხონ ეს ინგლისური წარწერები (“შენ 25 წლის შემდეგ“, „ვარდი ვარდია, ვარდი ვარდია“). მათ უნდა იმსჯელონ, რა მიმართებაა ამ წარწერების შინაარსსა და ანტიკურ ქალღმერთებს შორის. სავარაუდოდ, ისინი მიხვდებიან, რომ ეს ერთგვარი ირონიული ხასიათის წარწერებია, რომლებითაც მხატვარი, საზოგადოების მხრიდან, ქალთა მიმართ დამოკიდებულებას აფიქსირებს და ამით ერთგვარად აპროტესტებს კიდეც ამ დამოკიდებულებას.

10. რაზე მიგვანიშნებს მუქი ლაქა ქალღმერთის სახეზე?

- ქალღმერთის სახეზე მუქი ლაქა მასზე ძალადობის ნიშანი უნდა იყოს, თუმცა, შესაძლოა, მოსწავლეებმა სხვა მოსაზრებებიც გამოთქვან და ისინი სრულიად მისაღებიც კი იყოს. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რამდენად ეთანხმება მათი ინტერპრეტაცია მთლიანი გამოფენის საზრისს.

44. თბილისი — კულტურათა გზაჯვარედინი

1. თბილისის აგებისა და დედაქალაქად გადაქცევის რომელი ლეგენდაა თქვენთვის ცნობილი?

- აქ, ალბათ, მოსწავლეები გაიხსენებენ ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებულ ლეგენდას, მაგრამ მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ ვახტანგ გორგასალმა VI საუკუნეში დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა, თუმცა ამ ტერიტორიაზე აქ დასახლება უძველესი დროიდან არსებობდა, რასაც არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს. რაც შეეხება გორგასალთან დაკავშირებულ ლეგენდას, ეს მხოლოდ მითია, რომელშიც, ცხადია, გარკვეულწილად ასახულია რეალობა. რეალობა კი ის იყო, რომ ეს მეტად ხელსაყრელი ადგილი გახლდათ დედაქალაქისათვის, რადგან ის სავაჭრო გზების შესაყარზე მდებარეობდა. გარდა ამისა, ეს იყო ტაფობი, რომელიც გარშემორტყმული იყო მთებით ანუ სიმაღლეებით, საიდანაც შეიძლებოდა მომხდური მტრის შეკავება და მისი გადაადგილების გაკონტროლება.

2. დაასახელეთ თბილისის კულტურული მემკვიდრეობის თქვენთვის ცნობილი ძეგლები.

- მოსწავლეებმა შეიძლება დაასახელონ მრავალი ძეგლი: სიონი, მეტეხის ტაძარი, ანჩისხატი, ქაშვეთის ეკლესია, მამადავითი, პატარა სამების ეკლესია.

3. როგორ მონაწილეობს თბილისის ლანდშაფტი მისი იერსახის ჩამოყალიბებაში?

- თბილისის ბუნებრივი ლანდშაფტი მდიდარი და ცხოველხატულია. ერთი მხრივ, ეს ერთგვარი ქვაბულია, რომლის შუაგულში საკმაოდ წყალუხვი მდინარე მტკვარი მოედინება, ხოლო, მეორე მხრივ, ის გარშემორტყმულია მთებით, რომლებიც ბუნებრივი თუ ხელოვნური საფრთხისაგან საიმედოდ იცავდა ქალაქს. ამგვარი მდებარეობა — ფერდობებზე შეფენილი სახლები თუ მტკვრის სანაპიროს გასწვრივ, ვაკეზე გაშენებული უბნები — განსაზღვრავდა ძველი თბილისის ძალზე ცხოველხატულ ხედებს.

4. გაიხსენეთ, თქვენს ქალაქში ან რეგიონში ხომ არ გეგულებათ განსხვავებული კულტურის ისტორიული ძეგლები. აღწერეთ და დაახასიათეთ ისინი.

- ეს შეკითხვა, ძირითადად, განკუთვნილია რეგიონების მოსწავლეებისათვის, რომლებიც თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ალბათ, დაასახელებენ მათი რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. თუმცა, თბილისელ მოსწავლეებსაც შეუძლიათ ამაზე პასუხის გაცემა, რადგან ძალიან ბევრი მათგანი ზაფხულობით სოფელში ისვენებს და მათ შეუძლიათ, იქაურ ძეგლებზე ისაუბრონ.

5. სხვადასხვა სარწმუნოების საკულტო ნაგებობების თანაარსებობა როგორ ხასიათს ანიჭებს თბილისს?

- ისტორიულად ცნობილია, რომ თბილისში სხვადასხვა აღმსარებლობისა და ეროვნების ადამიანები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველოში არასდროს ჰქონია ადგილი ებრაელთა რბევას. ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებლის შესახებ ისტორიული ფაქტის მოყვანაც შეიძლება, რომლის მიხედვითაც, დავითი ხშირად სტუმრობდა თბილისის მეჩეთს და, პატივისცემის ნიშნად, მათი ტრადიციისამებრ, მეჩეთში ფეხშიშველი შედიოდა. სხვადასხვა სარწმუნოების საკულტო ნაგებობების თანაარსებობა თბილისს მულტიკულტურული ქალაქის ხასიათს ანიჭებს და სწორედ ეს განსაზღვრავს მის უნიკალურ სახეს და განსაკუთრებულ კოლორიტს.

6. აღწერეთ XIX ს-ის სახლი და შეეცადეთ დაასაბუთოთ, რით ჰგავს ეს არქიტექტურა ევროპულს.

- ეს ტიპური ევროპული სახლია, რომლის მსგავსიც მრავლად შენდებოდა თბილისში, ძირითადად, სოლოლაკის უბანში. მის ევროპულ სახეს განსაზღვრავს მისი ფასადი, რომელზეც ვხედავთ ევროპული საცხოვრებელი სახლებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს: ფასადის სართულებად დანაწევრება, სადარბაზო, მეორე სართულის

ფანჯრების თავზე ძალზე დამახასიათებელი თავსართები, სადარბაზოს თავზე კი ლამაზი საჩრდილობელი. განსაკუთრებით დამახასიათებელია პირველი სართულის კედლის დანაწევრება ე.წ. რუსტი, რომელიც ძალზე ლამაზ ნახატს ქმნის და ამსუბუქებს კედლის სიბრტყეს.

7. შეადარეთ სოლოლაკის ეს სახლი აივნებიანი თბილისური სახლის ფასადს. რა განსხვავებაა მათ შორის?

- სოლოლაკის სახლის შემთხვევაში განსაკუთრებული როლი აქვს კედელს, რომელიც ქუჩის გასწვრივ მკაფიო სიბრტყეს ქმნის, მაშინ, როდესაც, თბილისური სახლის ფასადი, თავისი მოჩუქურთმებული აივნებით ძალზე ცხოველხატულ, შუქ-ჩრდილით გაცოცხლებულ ფასადს ქმნის და ამით ევროპული სახლისაგან განსხვავებულ მხატვრულ შთაბეჭდილებას განაპირობებს.

8. თქვენი აზრით, რა განაპირობებდა აივნების სიუხვეს ძველი თბილისის საცხოვრებელ სახლებში?

- აივნების სიუხვე თბილისში, უპირველეს ყოვლისა, თბილი კლიმატით იყო განპირობებული.

45. თეატრის ჯადოსნური სამყარო

1. გაიხსენეთ, რა იცით ძველი ბერძნული ღვთაების, დიონისეს, შესახებ.

- დიონისე — ძველბერძნულ მითოლოგიაში მევენახეობის, მეურნეობისა და მეღვინეობის, მცენარეულობის მფარველი ღვთაებაა. რომაულ მითოლოგიაში იგი ცნობილია ბახუსის სახელით. მას მუდამ ახლდნენ მისი მხიარული სატირები და მენადები. ძველი ბერძნების რწმენით, დიონისეს კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი იქნებოდა რთველი. ღმერთების — ზევსისა და სემელეს ვაჟი იყო (ზოგიერთი წყაროს თანახმად, იგი ზევსისა და პერსეფონეს პირმშო იყო). ჰომეროსის თანახმად, დიონისე არ შედის ოლიმპოს მთავარ ღმერთთა შემადგენლობაში, რის გამოც მისი კულტი ნაკლებად იყო გავრცელებული არისტოკრატიაში, სამაგიეროდ, იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოების დაბალ ფენებში.

2. გაიხსენეთ, როგორი იყო ძველი ბერძნული თეატრი.

- ძველი ბერძნული თეატრი გაშენებული იყო ღია ცის ქვეშ, მთის დამრეც ფერდობზე, ქვემოთ მოწყობილი იყო სცენა, ფერდობზე კი ტერასულად იყო განლაგებული დამსწრეთა ადგილები.

საკლასო დისკუსია

ქვემოთ ჩამოთვლილია თეატრის სხვადასხვა სახეობა. იმსჯელეთ მათ შესახებ, რით ჰგავს და რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან?

• დრამატული თეატრი — თეატრის სახეობა, რომელშიც წამყვანია სიტყვა და მოწილენი სიტყვით ურთიერთობენ;
ოპერის თეატრი — თეატრის სახეობა, რომელშიც მონაწილენი მღერიან ორკესტრის თანხლებით;
ოპერეტის თეატრი — თეატრის სახეობა, რომელშიც სიმღერები, ცეკვები და ლაპარაკი ენაცვლება ერთმანეთს და, რომელშიც, ძირითადად, კომედიის ხასიათის მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები იდგმება;
პანტომიმის თეატრი — თეატრის სახეობა, რომლისთვისაც უსიტყვო მოქმედებაა დამახასიათებელი და მოქმედი პირები აზრებსა და გრძნობებს ჟესტებითა და მიმიკით გამოხატავენ;
თოჯინების თეატრი — თეატრის სახეობა, რომელშიც მონაწილენი არიან თოჯინები;

ჩრდილების თეატრი — თეატრის სახეობა, რომელშიც მოქმედება ვითარდება ეკრანზე დაცემული ჩრდილების მეშვეობით; ეკრანის უკან მდგომი ადამიანები ხელებით ან სხვადასხვა საგნებით ოპერირებენ.

3. თქვენი აზრით, რა პროფესიის ადამიანები მონაწილეობენ სპექტაკლის შექმნაში?

- სპექტაკლის შექმნაში მონაწილეობენ ორი მიმართულების პროფესიონალები: შემოქმედებითი პროფესიების წარმომადგენლები და ტექნიკური პერსონალი.

  შემოქმედებითი პროფილის წარმომადგენლები არიან:

  1. დრამატურგი
  2. რეჟისორი
  3. მსახიობი
  4. კომპოზიტორი
  5. მხატვარი

  ტექნიკური პერსონალი:

  6. გამნათებელი
  7. სცენის ოსტატი
  8. ხმის და აუდიო ეფექტების ოსტატი
  9. მკერავი
  10. დეკორაციების ოსტატები
  11. სცენის მუშები

4. შეიძლება თუ არა, მხატვარი ჩაითვალოს რეჟისორის ერთ-ერთ თანაავტორად?

- გარკვეული თვალსაზრისით, მხატვარი, მართლაც, შეიძლება გახდეს რეჟისორის თანაავტორი, რადგან ის ქმნის გარემოს, რომელშიც მსახიობებმა უნდა იმოძრაონ და იმოქმედონ. ამდენად, ეს გარემო უნდა იყოს კარგად გააზრებული, როგორც ესთეტიკური, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით; ის საშუალებას უნდა აძლევდეს რეჟისორს, რომ მის მიერ ჩაფიქრებული მიზანსცენები სრულად აღიქმებოდეს მაყურებელთა დარბაზიდან. გარდა ამისა, დეკორაცია და მსახიობთა ჩაცმულობა იმ ეპოქის შესაბამისი უნდა იყოს, რომელშიც მოქმედება ვითარდება. რეჟისორი აცნობს მხატვარს საკუთარ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, მხატვარი ქმნის დეკორაციებსა თუ სამოსს. ამგვარად, ისინი ერთად მუშაობენ და, გარკვეული თვალსაზრისით, თანაავტორებიც არიან.

5. როგორია პეტრე ოცხელისა და ირაკლი გამრეკელის ესკიზების მხატვრული ხერხები და მათი ესთეტიკა?

- პეტრე ოცხელისა და ირაკლი გამრეკელის ესკიზები მინიმალისტურია. ირაკლი გამრეკელის დეკორაციაზე ძალზე თამამი რაკურსია გამოყენებული, ჩვენ ზემოდან ვხედავთ სცენას, რომელზეც ძალიან მოქნილი და დენადი ხაზითაა დახატული მოაჯირი. ძალზე ძუნწია აქ გამოყენებული ელემენტები: ერთადერთი სკამი, მაღალი ქუჩის სანათი და ადამიანი, რომელიც მოაჯირს ეყრდნობა. ფერადოვანი თვალსაზრი-სითაც ეს ესკიზი ძალზე თავშეკავებულია. ოქრა, რომელიც კომპოზიციის ზედა ნაწილში ნელ-ნელა ღიავდება, ფართო სივრცის შთაბეჭდილებას ქმნის.
  პეტრე ოცხელის კოსტიუმი კი პირობითობით გამოირჩევა. კაბაზე, რომელიც პერსონაჟს აცვია, ნაოჭები გეომეტრიულ ფორმებად ლაგდება და მის პირობითობას განაპი-რობებს. პროპორციაც დარღვეულია, ფიგურა წაგრძელებულია და მისი ზედა ნაწილი არაპროპორციულად ვიწროა, თუმცა, სწორედ ეს ყოველივე ქმნის მის დახვეწილ სახეს.

6. რას გაგონებთ ეს მანათობელი წრე?

7. განსაზღვრეთ, რომელ ეპოქაში ხდება მოქმედება "მეტროპოლიტან ოპერის" სპექტაკლში? დაფიქრდით, რომელ ცივილიზაციაში შეგხვდათ მზის დისკოს კულტი?

- მანათობელი წრე მზეს განასახიერებს და ამ სპექტაკლის მოქმედება ძველ ეგვიპტეში ხდება. მზის დისკოს კულტი ძველ ეგვიპტეში ფარაონ ეხნატონის დროს იყო და "მეტროპოლიტან ოპერის" სპექტაკლიც სწორედ ეხნატონის ეპოქას ეხება.

46. თეატრალური პერსონაჟი

1. ამ ილუსტრაციების მიხედვით იმსჯელეთ, რამდენად ზუსტადაა განხორციელებული მხატვრის მიერ შესრულებული კოსტიუმის ესკიზი?

- გოგი ალექსი-მესხიშვილის მიერ შესრულებული კოსტიუმის ესკიზი, შეიძლება ითქვას, სრული სიზუსტითაა განხორციელებული რეალობაში. თუმცა, არის ერთი სხვაობა: ესკიზზე მოსაცმელის შიგნით შავი კაბაა გამოსახული, შეკერილ მოდელზე კი, მის ნაცვლად, მოსასხამის ტონებში შესრულებულ ჭრელ კაბას ვხედავთ. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ზოგჯერ შესაძლებელია, ესკიზის ზოგიერთი დეტალი შეიცვალოს. საინტერესოა ის, რომ შავი ნაჭერი, როგორც ჩანს, ძალზე დიდ კონტრასტს ქმნიდა და, ალბათ, თავად მხატვართან შეთანხმებით, გადაწყდა, რომ ეს კონტრასტი ჩაექროთ და, შედეგად, ის ჭრელი, ფერადი ქსოვილით შეცვალეს. რაც მთავარია, ეს ქსოვილი კოსტიუმის დანარჩენ ნაწილებთან, ფერის თვალსაზრისით, ჰარმონიულად არის შერწყმული.

2. თქვენი აზრით, ამ კოსტიუმის მიხედვით, რომელი სპექტაკლია და რომელი პერსონაჟია წარმოდგენილი ამ სურათზე?

- ფოტოზე წარმოდგენილია სცენა ჯანი როდარის ნაწარმოების „ჩიპოლინოს" მიხედვით დადგმული სპექტაკლიდანაა. წითელი, ძალზე სახასიათო კოსტიუმის მიხედვით, არც თუ ისე ძნელი იქნება ამ ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის, სენიორ პომიდორის, ამოცნობა.

47. ისტორიული და თანამედროვე ინტერიერი

საკლასო დისკუსია

1. იმსჯელეთ, როგორ ინტერიერში ისურვებდით ცხოვრებას: ძველებურსა თუ თანამედროვეში? ახსენით, რატომ.

2. რა გარემოებებს ითვალისწინებს ადამიანი ზოგადად საცხოვრებელი გარემოს და კონკრეტულად ინტერიერის შექმნისას?

- ამ შემთხვევაში, მოსწავლეებს, ალბათ, სხვადასხვა პასუხი ექნებათ. ვიღაცას, შესაძლოა, ძველებური ინტერიერი მოსწონდეს საცხოვრებლად, რათა, სახლში მისვლისას, შორეულ ეპოქაში ანუ განსხვავებულ სამყაროში გადაინაცვლოს, ზოგისთვის კი დეტალებით გადატვირთული ინტერიერი დამამძიმებელი და შემაწუხებელი შეიძლება იყოს და მას თანამედროვე მინიმალისტური გარემო ერჩივნოს. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ ეს გემოვნების საკითხია და, აქედან გამომდინარე, ადამიანის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.
- ადამიანი საკუთარი საცხოვრებლის მოწყობისას ითვალისწინებს, ერთი მხრივ, კომფორტს, მეორე მხრივ კი, — სილამაზეს. სასურველია, მასწავლებელმა კონკრეტულად აახსნევინოს მოსწავლეებს, რას გულისხმობენ ისინი კომფორტში, რა ელემენტებს მოიცავს მათთვის კომფორტი და როგორი ინტერიერია მათთვის მისაღები ესთეტიკური თვალსაზრისით.

1. დაათვალიერეთ წარმოდგენილი ინტერიერის ნიმუშები და შეეცადეთ, ამოიცნოთ, რომელ კულტურას ან ეპოქას განეკუთვნება თითოეული მათგანი.

- პირველ ილუსტრაციაზე მოსწავლეები ადვილად ამოიცნობენ თანამედროვე ინტერიერს, მეორე სურათზე გამოსახული ბაროკული ინტერიერიც არ უნდა იყოს მათთვის ძნელად ამოსაცნობი, რადგან მათ პირველ თავში უკვე გავლილი აქვთ ბაროკო. როდესაც ისინი სტილისტიკის მიხედვით ამოიცნობენ ბაროკოს ეპოქას, მათ უნდა გაიხსენონ ბაროკოს ძირითადი ნიშნები და დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრება.

2. არსებობს თუ არა გარკვეული ტრადიციები, რომლებსაც ადამიანი იცავს საცხოვრებლის ინტერიერის შექმნისას?

- პირველ რიგში, ადამიანი ითვალისწინებს კომფორტს ინტერიერში და მის მოხერხებულობას. გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ ინტერიერის შექმნის პროცესში მას გაუჩნდეს სურვილი, დაიცვას თავისი ქვეყნის საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი ტრადიციებიც. XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში ევროპის, განსაკუთრებით კი, ინგლისის შეძლებულ არისტოკრატიულ ოჯახებში არსებობდა ასეთი ტრადიადიცია: ისინი თავის საცხოვრებელ სახლებში სხვადასხვა ოთახებს სხვადასხვა სტილში წყვეტდნენ. მაგ., ზოგიერთ სახლში შეხვდებოდით იაპონურ ოთახს, მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტებითა და ნივთებით; ეს ნივთები იაპონიიდან იყო ჩამოტანილი. შესაძლებელია, ყოფილიყო აღმოსავლური (სპარსული) ოთახი ხალიჩებით და სხვ.

3. როგორ დაახასიათებთ აღორძინების ხანის ავეჯის წარმოდგენილ ნიმუშებს, რომელი დეტალები იქცევს თქვენს ყურადღებას პირველ რიგში?

- რენესანსული ავეჯის უპირველესი ნიშანი მისი კლასიკური მოხდენილი პროპორციებია, იტალიური პალაცოებივით მასიური, მძიმე ფორმებით. ამ ავეჯის კომპოზიცია სიმეტრიული და გაწონასწორებულია, ყოველთვის გამოყოფილია სიმეტრიის ღერძი და, რაც მთავარია, ისინი უხვადაა შემკული არქიტექტურული ელემენტებით (სვეტებით, ფრონტონებთ), ასევე, ორნამენტითაც. აქ ხშირად გვხვდება ხეში ნაკვეთი ადამიანთა ფიგურებიც.

4. დააკვირდით რენესანსის პერიოდში შექმნილ ბუფეტს. იმსჯელეთ, როგორია მისი კომპოზიცია.

- თუ დავაკვირდებით ამ ბუფეტს, აშკარად დავინახავთ, რომ მას სიმეტრიული, გაწონასწორებული კომპოზიცია აქვს. სიმეტრიის ღერძს აქ ქმნის ბუფეტის ცენტრში განლაგებული ორი მართკუთხა ფორმის არე, რომლის მიმართ მასები თანაბრადაა განაწილებული. ცენტრალურ ღერძს ხაზს უსვამს ბუფეტის თავზე მოთავსებული ფრონტონის (სამკუთხა ფორმა) წვერო.

5. რომელ არქიტექტურულ დეტალებს ამოიცნობთ ამ ბუფეტზე?

- ამ ბუფეტზე შესაძლებელია, ამოვიცნოთ ანტიკური არქიტექტურული ორდერის ისეთი ელემენტები, როგორიცაა სვეტი და პილასტრი, თაღი, ლუნეტი, ფრონტონი და სხვ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გამოყენებითი ხელოვნების ეს დარგი დაუახლოვდა ხუროთმოძღვრებას, რომლის მცირე ზომის მოდელებსაც ქმნიან ოსტატები სხვადასხვა დანიშნულების ავეჯის სახით.

6. რას ფიქრობთ, რატომ ფასობს დღეს რენესანსის ეპოქის ავეჯი?

- უპირველეს ყოვლისა, რენესანსის ეპოქის ავეჯი თავისი სილამაზით ხიბლავს ადამიანს. მას თავისებური, ერთგვარი მძლავრი, მონუმენტური ესთეტიკა აქვს. მეორე მხრივ, ის ფასობს, როგორც ანტიკვარიატი ანუ სიძველე, როგორც ერთგვარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

7. გაიხსენეთ თანამედროვე საცხოვრებლის ინტერიერის, ავეჯის თქვენთვის საინტერესო მაგალითები. დაახასიათეთ ისინი, რა ნიშნები გამოარჩევს მათ?

- აქ იმდენი პასუხი შეიძლება იყოს, რამდენი მოსწავლეცაა კლასში. თუმცა, როგორიც უნდა იყოს პასუხი, მათ არგუმენტები უნდა მოიყვანონ. მხოლოდ „მომწონს“ – „არ მომწონს“ არ იქნება საკმარისი ამა თუ იმ ნიმუშის შეფასებისას.

8. რას ფიქრობთ, რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს ინტერიერი და ავეჯი სახლის თანამედროვე ინტერიერში?

- უპირველესად, ავეჯი უნდა იყოს კომფორტული და ფუნქციური და, ასევე, ლამაზიც. თუმცა, სილამაზე, ამ შემთხვევაში, ძალზე ფართო ცნებაა. ვიღაცისთვის შეიძლება სწორედ რენესანსის კლასიკური ავეჯი იყოს ყველაზე მისაღები, ვიღაცას, შესაძლოა, ბაროკოს დინამიკური ფორმების მქონე, შემკულობით გადატვირთული ავეჯი ერჩიოს, ზოგმა კი შეიძლება თქვას, რომ მოსწონს ისინი, მაგრამ ვერ იცხოვრებს წარსული ეპოქების ინტერიერში და თანამედროვეს მიანიჭოს უპირატესობა.

9. რას ფიქრობთ, ინტერიერისა და ავეჯის მინიმალისტური სტილი შეესაბამება თუ არა ცხოვრების თანამედროვე ტემპს და ერთნაირად მისაღებია ყველა ყაიდის ადამიანისათვის?

- ცხადია, რომ ინტერიერისა და ავეჯის მინიმალისტური სტილი სრულიად შეესაბამება თანამედროვე ადამიანის ცხოვრების აჩქარებულ რიტმს, თუმცა, შესაძლებელია, ზოგიერთ ადამიანს ერჩიოს საკუთარ სახლში მოხვედრისას, შორეულ ეპოქაში ანუ სხვა სამყაროში გადაინაცვლოს. ეს უკვე გემოვნების საკითხია.

8.შეფასების რუბრიკები

ნახატის/კოლაჟის/აპლიკაციის შეფასების სქემა

შეფასება	**1-2**	**3-5**	**6-8**	**9-10**
ჩანაფიქრის შესაბამისობა შერჩეულ გამომსახველობით საშუალებებთან	მოსწავლე ვერ ფლობს შესაბამის სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, შესაბა-მისად, ვერ იყენებს მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებუ-ლების გადმოსაცემად	მოსწავლე ნაწილობრივ ფლობს გარკვეულ სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	მოსწავლე ძირითადად ფლობს სახვით გამომსახვე-ლობით საშუალე-ბებს, მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულე-ბის გადმოსაცემად.	მოსწავლე საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის, დამოკიდებულების გამოსახატავად შემოქმედებითად იყენებს სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალასა თუ ტექნიკას.
ორგანიზებულობა/ეტაპები ს დაგეგმვა	პრაქტიკული სამუშაოს ეტაპები არ არის დაგეგმილი, არ არის მომზადებული საჭირო აღჭურვილობა.	პრაქტიკული სამუშაოს ეტაპები-ნაწილობრივაა დაგეგმილი, მომზადებულია საჭირო აღჭურვილობის ნაწილი.	პრაქტიკული სამუ-შაოს ეტაპები ძირი-თადად დაგეგმილია, მომზადებულია სა-ჭირო აღჭურვილო-ბის დიდი ნაწილი.	მოსწავლე ყოველთვის ორგანიზებულია, გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპებს, ასრულებს მოსამზადებელ სამუშაოს და ამზადებს საჭირო აღჭურვილობას.
დროის ლიმიტი	მოსწავლე ვერ ანაწილებს დროს და არ იცავს დროის ლიმიტს.	მოსწავლე არათანაბრად ანაწილებს დროს სამუშაოს გარკვეული ეტაპის შესასრულებლად, ზოგჯერ იცავს დროის ლიმიტს.	მოსწავლე ნაწი-ლობრივ ანაწილებს დროს სამუშაოს სხვადასხვა ეტაპის შესასრულებლად, ძირითადად იცავს დროის ლიმიტს.	სამუშაოს ყველა ეტაპის შესასრულებლად დრო ეფექტურადაა გამოყენე-ბული, განაწილებული და დაცულია დროის ლიმიტი.

აღწერა-ანალიზის შეფასების სქემა

- ხელოვნების ნაწარმოების აღწერის სქემა

  აღწერა უნდა პასუხობდეს კითხვას: რას ხედავთ ხელოვნების ამ ნაწარმოებში?
  - ნამუშევრის სათაური და ავტორის ვინაობა;
  - ხელოვნების რომელ დარგს ან ჟანრს განეკუთვნება ეს ნამუშევარი?
  - რა მასალითაა ის შესრულებული?
  - როგორია ნამუშევრის ფორმატი (მაგალითად, რა ფორმისაა სასურათე არე, რა ზომის არის ნამუშევარი)?
  - რა შინაარსს ასახავს ნამუშევარი? ან რა არის მისი ფუნქცია?
  - აღწერეთ ყველა გამოსახულება (ან ფიგურა), რომლებსაც ხედავთ;
  - ხელოვნების რომელი ელემენტები (მაგალითად, ხაზი, ფერი, ფორმა და ა.შ.) და პრინციპებია გამოყენებული ნამუშევარში?

- **ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის სქემა**

ანალიზი უნდა პასუხობდეს კითხვას: როგორია ხელოვნების ეს ნაწარმოები?

- როგორ/რა პრინციპით არის აგებული ნამუშევრის კომპოზიცია? გაწონასწორებულია თუ არა ის, სიმეტრიულია თუ არა, მეორდება თუ არა ელემენტები? რა წარმოადგენს კომპოზიციის ცენტრს?
- შეგიძლიათ განსაზღვროთ, რომელია მთავარი და რომელი მეორეხარისხოვანი გამოსახულება? რა ხერხით არის გამოყოფილი მთავარი გამოსახულება (მაგალითად, ზომა, მდებარეობა, ფერი)?
- როგორ არის გამოყენებული ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევარში? აღწერე და დაახასიათე, რა ტიპის ხაზებია (სწორი, ირიბი, ტეხილი, მრუდე, ტალღოვანი და სხვ.), რომელი ფერებია (ცივი, თბილი, კონტრასტული, ჟღერადი, ბაცი, მუქი) გამოყენებული, როგორაა დამუშავებული ფორმა (მოცულობითია თუ სიბრტყოვანი), არის თუ არა ნამუშევარში სივრცე;
- რეალისტურია თუ პირობითი გამოსახულება/გამოსახულებები?
- რა ემოციას და განწყობილებას აღძრავს ნამუშევარი?
- რა არის ხელოვნების ამ ნაწარმოების მთავარი აზრი?

- **ნამუშევრის აღწერა-ანალიზის სქემა (დ. სტაინეკერის მიხედვით)**

1. ცოდნა: აღწერე ნამუშევარი — რას/ვის ხედავ?

2. გაგება: შენი აზრით, რას ეხება ნამუშევარი?(შინაარსი)
3. გამოყენება: რომ შეგეძლოს, რა შეკითხვას დაუსვამდი ავტორს ამ სურათთან დაკავშირებით?
4. ანალიზი: შენი აზრით, რისი თქმა სურდა ავტორს ამ სურათით?
5. სინთეზი: რა საშუალებებით, რა ხერხებით შეძლებდი შენ ამ თემაზე ნამუშევრის შექმნას?
6. შეფასება: რას ფიქრობ სურათის შესახებ, უნდა ნახონ ადამიანებმა, რატომ?

ნამუშევრის აღწერა-ანალიზის სქემა (კ. რონალდსის მიხედვით)

1. **აღწერე** — ვის ხედავ სურათზე? რა საგნებს/ გამოსახულებებს ხედავ სურათზე? კიდევ რას ხედავ? რომელ სიტყვებს გამოიყენებდი ამ სურათზე საუბრისას? როგორ აუღწერდი სურათს იმ ადამიანს,რომელსაც ის არ უნახავს? როგორ აუღწერდი აქ გამოყენებულ ხაზებს? ფორმებს? ფერებს? როგორ აღწერდი ფიგურებს და გარემოს სურათზე?
2. **დააკავშირე** — რა საგნები/გამოსახულებები შეგიძლია იცნო ამ სურათზე? რომელი საგნები/გამოსახულებებია შენთვის უცნობი? რით განსხვავდება ეს სურათი რეალური ცხოვრებისგან? რა გაინტერესებს ყველაზე მეტად ამ სურათთან დაკავშირებით
3. **გაანალიზე** — რომელი საგნები/გამოსახულებები გეჩვენება უფრო ახლოს?უფრო შორს? რა შეგიძლია თქვა ამ სურათის ფერებზე? რომელი ფერი აქვს ყველაზე მეტად გამოყენებული მხატვარს? რა შეგიძლია თქვა სურათზე გამოსახული ადამიანების/საგნების შესახებ? შენი აზრით, როგორ შექმნა მხატვარმა ეს ნამუშევარი? რა შეკითხვებს დაუსვამდი ამ ნამუშევრის ავტორს, აქ რომ იყოს? ამ სურათის რომელი ფრაგმენტი მიგაჩნია უფრო მნიშვნელოვნად?
4. **ახსენი** — რომ წარმოიდგინო, რომ სურათი ხმას უშვებს,როგორ ხმას გამოუშვებდა იგი? წარმოიდგინე, რომ სურათში მოხვდი, რას გრძნობ? შენი აზრით, როგორი იქნებოდა იმ დროს/გარემოში რომ გეცხოვრა, როგორც ამ სურათზეა ასახული?
5. **შეაფასე** — შენი აზრით რა არის მნიშვნელოვანი სურათში? როგორ გგონია, ეს ამ მხატვრის საუკეთესო ნამუშევარია? რატომ გგონია ასე? შენი აზრით, რატომ უნდა მოვიდნენ ადამიანები მის სანახავად?

აღწერა-ანალიზის შეფასების რუბრიკები

შეფასების რუბრიკები				
	1-2	**3-4**	**5-8**	**9-10**
მოსწავლე სურათის დეტალური აღწერისას, აანალიზებს სურათის მხატვრულ გამომსახველობით ხერხებს, რომელთა საშუალებითაც გადმოცემულია სურათის ძირითადი იდეა, საუბრობს კონტექსტუალურ თავისებურებებზე	მოსწავლე არასრულად აღწერს სურათს, არ ასახელებს მხატვრულ ხერხს	მოსწავლე აღწერს სურათს ზოგადად და ასახელებს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს, რომელთა საშუალებითაც გამოხატავს ავტორი სურათის იდეას.	მოსწავლე აღწერს სურათს, აანალიზებს მხატვრულ ხერხების, რომელთა საშუალებითაც გამოხატავს ავტორი სურათის იდეას.	მოსწავლე დეტალურად აღწერს სურათს, საუბრობს კონტექსტუალურ თავისებურებებზე, აანალიზებს მხატვრულ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც გამოხატავს ავტორი სურათის იდეას.
მოსწავლეს საკითხი სრულყოფილად აქვს გააზრებული, — მსჯელობს დამაჯერებლად, არგუმენტირებულად, აყალიბებს განზოგადებულ დასკვნებს	მოსწავლეს ვერ მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები მსჯელობისას და თანმიმდევრულად ვერ აყალიბებს დასკვნებს	ამოსწავლე ნაწილობრივ იაზრებს საკითხს, ვერ მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები მსჯელობისას და თანმიმდევრულად ვერ აყალიბებს დასკვნებს.	მოსწავლე ძირითადად იაზრებს საკითხს, მსჯელობისას მოყვა-ნილი არგუმენტები ძირითადად დამა-ჯერებელია და უმეტეს-წილად თანმიმდევ-რულად აყალიბებს დასკვნებს	მოსწავლე სრულყოფილად იაზრებს საკითხს, მსჯელობისას მოყვანილი არგუმენტები დამაჯერებელია, დასკვნები თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული

ესეს შეფასების რუბრიკები				
	1-2	**3-5**	**6-8**	**9-10**
მოსწავლის მიერ დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, იცნობს საკითხთან დაკავშირებულ პრობლემატიკას	დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული და ესეში გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზოგიერთი საკითხის ზერელე ცოდნა	დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული და ესეში გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის ცოდნა	დავალების პირობა ძირითადად ადეკვატურადა გაგებული, ესეში გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზოგადი ცოდნა	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და ესეში მკაფიოდ გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის სიღრმისეული ცოდნა
მოსწავლე ესეში ამჟღავნებს ანალიზის, არგუმენტირებულად მსჯელობის უნარს. აყალიბებს განზოგადებულ დასკვნებს	მსჯელობა ძირითადად არათანმიმდევრული და არადამაჯერებელია, არ არის გამყარებული არგუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით. ესეს ნაწილებს შორის ბმები/გადასვლები ძირითადად ალოგიკურია.	მოსწავლის მსჯელობა და ანალიზი ნაწილობრივ თანმიმდევრული და დამაჯერებელია, ზოგ შემთხვევაში გამყარებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით. ესეს ნაწილებს შორის შეინიშნება ლოგიკური ბმები/გადასვლები.	მოსწავლე ძირითადად ამჟღავნებს ანალიზის უნარს, მსჯელობისას მოყვანილი არგუმენტები ძირითადად დამაჯერებელია და უმეტესწილად თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს. ესეს ნაწილებს შორის ძირითადად ლოგიკური ბმებია/გადასვლებია.	მოსწავლეს მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები მსჯელობისას, აანალიზებს და თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს. მოსაზრებები გამყარებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით. ესეს ნაწილებს შორის ლოგიკური ბმებია/გადასვლებია.
მოსწავლე ესეში ავლენს დამოუკიდებელ, არაშაბლონურ აზროვნებას, ცნებები გააზრებული აქვს	ნაშრომში ვლინდება, რომ მოსწავლეს არ აქვს გააზრებული ცნებები.	ნაშრომში ვლინდება, რომ მოსწავლე იაზრებს ზოგიერთ ცნებას.	ნაშრომში ვლინდება, რომ მოსწავლეს ცნებების უმეტესობა გააზრებული აქვს.	ნაშრომში ვლინდება მოსწავლის დამოუკიდებელი, არაშაბლონური აზროვნება, ცნებების გააზრება

ესეს შეფასების ფორმა

0	ნაშრომი არ პასუხობს სტანდარტს
1-2	დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არ არის დამაჯერებელა, არგუმენტები უმეტესად არამყარია და არ არის მოყვანილი შესაბამისი მაგალითები. ტერმინები თითქმის არაა გამოყენებული.
3-4	დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა ნაკლებად დამაჯერებელია, არგუმენტები უმეტესად არამყარია და იშვიათადაა მოყვანილი შესაბამისი მაგალითები. ტერმინები იშვითადაა გამოყენებული ადეკვატურად.
5-6	დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა უმეტესწილად დამაჯერებელია, არგუმენტები ნაწილობრივ მყარია და სამაგალითოდ მხოლოდ ზოგჯერაა მოყვანილია შესაბამისი მაგალითები. ტერმინები ხშირად ადეკვატურადაა გამოყენებული.
7-8	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, მოსწავლე ავლენს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, მსჯელობა უმეტესწილად დამაჯერებელია, არგუმენტები ხშირად მყარია და სამაგალითოდ მოყვანილია შესაბამისი მაგალითები. ტერმინები ხშირად ადეკვატურადაა გამოყენებული.
9-10	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, მოსწავლე ავლენს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, მსჯელობა დამაჯერებელია, არგუმენტები მყარი და სამაგალითოდ მოყვანილია შესაბამისი მაგალითები. ტერმინები გამოყენებულია სწორად, ადევატურად.

დისკუსიის შეფასების სქემა

შეფასება	**წარმატებული**	**საშუალო**	**დაბალი**
ორგანიზებულობა /ჩართულობა/ კორექტულობა	მოსწავლე აქტიურადაა ჩართული დისკუსიაში და ზედმიწევნით იცავს დროის ლიმიტს, აცლის სხვებს საუბარს და აქვს სხვისი აზრის მოსმენის კულტურა; საუბრობს მშვიდად.	მოსწავლე აქტიურადაა ჩართული დისკუსიაში და იცავს დროის ლიმიტს, უჭირს დააცადოს სხვებს საუბარი და ბოლომდე მოუსმინოს მათ. საუბრისას დროდადრო ხმას უწევს	მოსწავლე დისკუსიაში მხოლოდ რამდენჯერმე ჩაერთო, არ იცავს დროის ლიმიტს, უჭირს დააცადოს სხვებს საუბარი და ბოლომდე მოუსმინოს მათ. საუბრისას ცდილობს საკუთარი მოსაზრება ხმამაღალი ტონით გაამყაროს.
მსჯელობა/ არგუმენტაცია	მსჯელობა თანმიმდევრულია და ლოგიკურია, არგუმენტები დამაჯერებელია და გამყარებულია მაგალითებით	მსჯელობა ნაკლებად თანმიმდევრულია და ლოგიკურია, არგუმენტები ნაწილობრივ დამაჯერებელია და იშვიათადაა გამყარებნული მაგალითებით	მსჯელობა სუსტად თანმიმდევრულია და ხშირად არალოგიკურია, არგუმენტები იშვიათადაა დამაჯერებელი და არაა გამყარებნული მაგალითებით
მეტყველება/ კომუნიკაცია	მოსწავლე მკაფიოდ აყალიბებს აზრს, აქვს მდიდარი ლექსიკა, მჭიდრო კონტაქტს ამყარებს მსმენელთან	მოსწავლე ხშირად აყალიბებს აზრს მკაფიოდ, მისი ლექსიკა დამაკმაყოფილებელია, კარგად ამყარებს კონტაქტს მსმენელთან.	მოსწავლე იშვიათად აყალიბებს აზრს მკაფიოდ, მისი ლექსიკა მწირია, კონტაქტი მსმენელთან სუსტია

მოხსენება/რეფერატის შეფასების სქემა

შეფასება	**1-2**	**3-5**	**6-8**	**9-10**
ინფორმაციების წყაროების შერჩევა/ ინფორმაციების ორგანიზება	მოსწავლე ვერ ახერხებს ინფორმაციების მოძიებას სანდო წყაროს გამოყენებით და ამ ინფორმაციის ორგანიზებას.	მოსწავლე ნაწილობრივ იყენებს და წარმოადგენს ზოგიერთ სანდო წყაროს. ინფორმაცია არათანმიმდევრულად არის ორგანიზებული.	მოსწავლე მოიძიებს შესაბამის ინფორმაციას და არჩევს სანდო წყაროებს. ნაწილობრივ ახერხებს ინფორმაციის ორგანიზებას.	მოსწავლე მოიძიებს შესაბამის ინფორმაციას და არჩევს მრავალფეროვან სანდო წყაროებს. კარგად ახერხებს ინფორმაციის ორგანიზებას.
ინფორმაციის მოხსენება/რეფერატის მიზანთან შესაბამისობა. საკვანძო საკითხებზე ფოკუსირება	მოძიებული ინფორმაციები არ შეესაბამება მოხსენება/რეფერატის მიზანს.	მოძიებული ინფორ-მაციები ნაწილობრივ შეესაბამება მოხსენება/ რეფერატის მიზანს და არ არის ფოკუსირებული საკვანძო საკითხებზე	მოძიებული ინფორმაციები ძირითადად შეესაბამება მოხსენება/რეფერატის მიზანს და ფოკუსირებულია საკვანძო საკითხებზე.	მოძიებული ინფორმაციები მოხსენება/რეფერატის მიზნის რელევანტურია და ფოკუსირებულია საკვანძო საკითხებზე.
დასმული საკითხის/პრობლემის ანალიზი	მოსწავლე არ/ვერ წარმოადგენს დასმული საკითხის/ პრობლემის ანალიზს.	მოსწავლე წარმოადგენს დასმული საკითხის/პრობ-ლემის არასრულყოფილ ანალიზს.	მოსწავლე ნაწილობრივ წარმოადგენს დასმული საკითხის/პრობლემის ანალიზს.	მოსწავლე ამომწურავად წარმოადგენს დასმული საკითხის/პრობლემის დამაჯერებელ ანალიზს
დროის ლიმიტი	მოსწავლე არ იცავს მოხსენება-რეფერატის მოსამზადებლად დადგენილ ვადას. მოსწავლე ვერ ეტევა მოხსენება-რეფერატის წარსადგენად გამოყოფილ დროში.	მოსწავლე ნაწილობრივ იცავს მოხსენება-რეფერატის მოსამ-ზადებლად დადგენილ ვადას. იყენებს დროს მოხსენება-რეფერატის მხოლოდ გარკვეული ნაწილის წარსადგენად.	მოსწავლე ძირითადად იცავს მოხსენება-რეფერატის მოსამზადებლად დადგენილ ვადას. იყენებს დროს მოხსენება-რეფერატის ძირითადი ნაწილის წარსადგენად.	მოსწავლე იცავს მოხსენება-რეფერატის მოსამზადებლად დადგენილ ვადას. რაციონალურად იყენებს დროს მოხსენება-რეფერატის წარსადგენად.

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები

	1-2	3-5	6-8	9-10
პრაქტიკული ნამუშევ-რის, ესე და სხვა ნამუშევ-რის წარდგენა ლოგიკუ-რი, თანმიმდევრული ფორმით მიმდინარეობს	მოსწავლე ვერ წარადგენს ნამუშევარს ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით	მოსწავლე წარადგენს ნამუშევარს ნაწილობრივ ლოგიკური,თანმიმდევ რული ფორმით	მოსწავლე წარადგენს ნამუშევარს ძირითადად ლოგიკური,თანმიმდევრუ ლი ფორმით	მოსწავლე წარადგენს ნამუშევარს ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით
აუდიტორიასთან ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას, არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას მიმიკის, ჟესტიკულაციისა და ინტონაციის გამოყენებით.	მოსწავლე ვერ ამყარებს აუდიტორიასთან ეფექტურ კომუნიკაციას	მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს აუდიტორიასთან კომუნიკაციას, იშვიათად იყენებს ვერბალური და არარვერბალური კომუნიკაციის ფორმებს.	მოსწავლე ძირითადად ამყარებს აუდიტორი-ასთან ეფექტურ კომუნიკაციას, ზოგჯერ იყენებს ვერბალური და არარვერბალური კომუნიკაციის ფორმებს. ზოგიერთ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას	მოსწავლე ამყარებს აუდიტორიასთან ეფექტურ კომუნიკაციას, იყენებს ვერბალური და არარვერბალური კომუნიკაციის ფორმებს. არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას
პრაქტიკული ნამუშევრის წარდგენისას, საუბრობს გამართულად, დამაჯერებლად, იყენებს რელევანტურ ტერმინოლოგიას	მოსწავლე არ საუბრობს გამართულად, დამაჯერებლად, არ იყენებს რელევანტურ ტერმინოლოგიას	მოსწავლის საუბარი ზოგჯერ გამართული და დამაჯერებელია. ზოგ შემთხვევაში, იყენებს რელევანტურ ტერმინოლოგიას	მოსწავლე ძირითადად საუბრობს გამართულად,დამაჯერებ ლად, ხშირ შემთხვევაში, იყენებს რელევანტურ ტერმინოლოგიას	საუბრობს გამართულად, დამაჯერებლად, იყენებს შესაბამის რელევანტურ ტერმინოლოგიას პრაქტიკული ნამუშევრის, ესეს თუ სხვა ნამუშევრის წარდგენისას
პრეზენტაციაში წარდგენილი/გამოყენებ ული ნიმუში/მასალა თემის/შინაარსის	პრეზენტაციაში წარდგენილი/გამოყენ ებული ნიმუში/მასალა არ არის	პრეზენტაციაში წარდგენილი/გამოყენე ბული ზოგიერთი ნიმუში/მასალა	მოსწავლის პრეზენტაციაში წარდგენილი/გამოყენებუ ლი ნიმუში/მასალა ხშირ	მოსწავლის პრეზენტა-ციაში წარდგენილი/გა-მოყენებული ნიმუში/მასალა

რელევანტურია,ფოკუსი რება საკვანძო, ძირითად საკითხებზე ხდება	თემის/შინაარსის რელევანტური.	თემის/შინაარსის რელევანტურია. მოსწავლე ვერ ახდენს ფოკუსირებას ძირითადად საკითხებზე	შემთხვევაში, თემის/შინაარსის რელევანტურია, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას ძირითადად საკვანძო საკითხებზე	თემის/შინაარსის რელევანტურია. მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე.

პოსტერის შეფასების რუბრიკები

	1-2	**3-5**	**6-8**	**9-10**
პოსტერში სახვითი საშუალებები და ხერხები ჩანაფიქრის, იდეის შესაბამისადაა შერჩეული და შემოქმედებითად გამოყენებული	პოსტერში გამოყენებული სახვითი საშუალებები და ხერხები ძირითადად ჩანაფიქრის ის,იდეის შესაბამისად არ არის შერჩეული და შემოქმედებითად გამოყენებული	პოსტერში, სახვითი საშუალებები და ხერხები,ნაწილობრივ ჩანაფიქრის ის,იდეის შესაბამისადაა შერჩეული და პოსტერის გარკვეულ ნაწილში, შემოქმედებითადაა გამოყენებული	გამოყენებული სახვითი საშუალებები და ხერხები ძირითადად ჩანაფიქრის ის,იდეის შესაბამისადაა შერჩეული და ძირითადად შემოქმედებითად გამოყენებული	სახვითი საშუალებები და ხერხები ჩანაფიქრის შესაბამისადაა შერჩეული და შემოქმედებითად გამოყენებული, რაც პოსტერის იდეას კარგად წარმოაჩენს
პოსტერში იდეა გადმოცემულია ლაკონიურად. შესაბამისი და სასურველი ეფექტის მისაღებად განსაზღვრულია გამოსახულების, ტექსტისა და სივრცის თანაფარდობა	პოსტერში იდეა ნაწილობრივ გადმოცემულია; ძირითადად, არ არის განსაზღვრული გამოსახულებისნაფიქრის, ტექსტისა და სივრცის თანაფარდობა	პოსტერში იდეა ძირითადად გადმოცემულია; განსაზღვრულია გამოსახულების, ტექსტისა და სივრცის ნაწილობრივ თანაფარდობა	პოსტერში იდეა გადმოცემულია. განსაზღვრულია გამოსახულების, ტექსტისა და სივრცის თანაფარდობა	პოსტერში განსაზღვრულია გამოსახულების, ტექსტისა და სივრცის თანაფარდობა,რაც ხელს უწყობს სასურველი და შესაბამისი ეფექტის მიღებას, იდეის ნათლად და ლაკონურად გადმოცემას
პოსტერში იდეის წარმოსაჩენად, გამოყენებულია	პოსტერში, იდეის წარმოსაჩენად, გამოყენებული არ არის	პოსტერში, იდეის წარმოსაჩენად, ნაწილობრივ გამოყენებულია	პოსტერში იდეის წარმოსაჩენად, ძირითადად, გამოყენებულია	პოსტერში, იდეის წარმოსაჩენად, გამოყენებულია

შესაბამისი მასალა და ტექნიკა	შესაბამისი მასალა და ტექნიკა	შესაბამისი მასალა და ტექნიკა	შესაბამისი მასალა და ტექნიკა	შესაბამისი მასალა და ტექნიკა
მასწავლებლის კომენტარი ---------- ---------- ---------- ----------				

ციფრული ნამუშევრის შეფასების რუბრიკები

	1-2	**3-5**	**6-8**	**9-10**
შერჩეული ადეკვატური ციფრული მოდელის გამოყენებით შექმნილი ციფრული ნამუშევარი ორიგინალურია. ჩანაფიქრის შესაბამისად, მიღწეულია სასურველი ეფექტი	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ძირითადად არ არის ამოცანის ადეკვატური. ჩანაფიქრის შესაბამისად--ძირითადად არ არის მიღწეული სასურველი ეფექტი	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ნაწილობრივ ამოცანის ადეკვატურია, ჩანაფიქრის შესაბამისად--ნაწილობრივ მიღწეულია სასურველი ეფექტი,გამოყენებულია ადეკვატური ციფრული მოდელი	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ამოცანის ადეკვატურია, ჩანაფიქრის შესაბამისად--ძირითადად მიღწეულია სასურველი ეფექტი,გამოყენებულია ადეკვატური ციფრული მოდელი	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ორიგინალურია. ჩანაფიქრის შესაბამისად, მიღწეულია სასურველი ეფექტი,შექმნილია ადეკვატური ციფრული მოდელის გამოყენებით

მოსწავლე იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს იდეების, მოსაზრებების გაზიარებისა და შესრულებული ნამუშევრის წარდგენის მიზნით.	მოსწავლემ იდეები, მოსაზრებები ძირითადად ვერ გააზიარა და შექმნილი ციფ-რული ნამუშევარი ძირითადად ვერ წარადგინა შესაბამისი ციფ-რული ტექნოლო-გიების გამოყე-ნებით	მოსწავლემ მოსაზრებები და შექმნილი ციფრული ნამუშევარი გააზიარა, წარადგინა ნაწილობრივ შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით	მოსწავლემ იდეები, მოსაზრებები ძირითადად გააზიარა და შექმნილი ციფრული ნამუშევარი წარადგინა ძირითადად შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით	მოსწავლემ იდეები, მოსაზრებები გააზიარა და შექმნილი ციფრული ნამუშევარი წარადგინა შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით

მაკეტის შეფასების რუბრიკები

	1-2	**3-5**	**6-8**	**9-10**
კონსტრუქციის/მაკეტის 3D გამოსახულების ესკიზი ითვალისწინებს ყველა დეტალურ მონაცემს (ზომა, ფორმა, მასალა, ტექნიკა)	მაკეტის ესკიზი იძლევა ნაწილობრივ/ბუნდოვან მონაცემებს და დეტალებს	მაკეტის ესკიზი იძლევა ზოგიერთ მონაცემებსა და დეტალებს	მაკეტის ესკიზი იძლევა ზოგად მონაცემებსა და დეტალებს	შესრულებული კონსტრუქ-ციის, მაკეტის 3D ესკიზიში გათვალისწინებულია ყველა დეტალური მონაცემი (ზომა, ფორმა, მასალა, ტექნიკა)
ჩანაფიქრის შესაბამისად, კონსტრუქცია/მაკეტი 3D გამოსახულება შემოქმედებითადაა შესრულებული.	კონსტრუქცია/მაკეტი 3D გამოსახულებაში ძირითადად, არ ჩანს შემოქმედებითი მიდგომა	კონსტრუქციის/მაკეტი ს 3D გამოსახულების ზოგიერთი ნაწილი/დეტალი შემოქმედებითადაა შესრულებული	კონსტრუქციის/მაკეტი ს 3Dგამოსახულების დიდი ნაწილი/დეტალი შემოქმედებითადაა შესრულებული	ჩანაფიქრის შესაბამისად,შესრულებუ ლი კონსტრუქციის/მაკეტის 3D გამოსახულების ყველა დეტალი შექმნილია შემოქმედებითად
ჩანაფიქრისა და ამოცანის შესაბამისად, შერჩეული და გამოყენებულია შესაბამისი მასალა და ტექნიკა. მაკეტი მყარია და აკურატულადაა შესრულებული	მასალის ნაწილი შერჩეულია ჩანაფიქრისა და ამოცანის შესაბამისად. კონსტრუქციას/მაკეტს აკლია აკურატულობა და სიმყარე.	მასალის დიდი ნაწილი შერჩეულია შესაბა-მისად. კონსტრუქ-ციას/მაკეტს აკლია აკურატულობა და სიმყარე	მასალაშერჩეულიაშესა ბამისად. კონსტრუქ-ცია/ მაკეტი უმეტესად აკურატულიდა ამყარია	კონსტრუქცია/მაკეტი 3D გამოსახულებისთვის, ყველა მასალა შერჩეულია ამოცანის შესაბამისად. ნამუშევარი აკურატულია. მაკეტი მყარია.

კონსტრუქციის/მაკეტის 3D გამოსახულების შექმნაში მიიღო აქტიური მონაწილეობა; სამუშაოს შესრულების ყველა ეტაპზე, დაიცვა ვადები და დროის ლიმიტი	კონსტრუქციის/მაკეტის 3D გამოსახულების შექმნის ეტაპებზე,არ იყო ჩართული. ნაწილობრივ იცავდა ვადებს და დროის ლიმიტს	კონსტრუქციის/მაკეტის 3D გამოსახულების შექმნის ზოგიერთ ეტაპზე იყო ჩართული. ნაწილობრივ იცავდა ვადებს და დროის ლიმიტს	კონსტრუქციის/მაკეტის 3D გამოსახულების შექმნის ძირითად ეტაპებზე აქტიურად იყო ჩართული და ძირითადად დაიცვა ვადები და დროის ლიმიტი	კონსტრუქციის/მაკეტის 3D გამოსახულების შექმნის ყველა ეტაპზე აქტიურად იყო ჩართული და დაიცვა ვადები და დროის ლიმიტი
მოსწავლე კონსტრუქციულად თანამშრომლობდა საკუთარი ჯგუფის წევრებთან კონსტრუქციის/მაკეტის შექმნასა თუ დასრულებული ნამუშევრის წარდგენაში	მოსწავლე ძირითადად არ თანამშრომლობდა საკუთარი ჯგუფის წევრებთან ნამუშევრის შექმნასა და წარდგენაში	ხშირშემთხვევაში, მოსწავლე არ თანამ-შრომლობდა საკუთარი ჯგუფის წევრებთან მაკეტის/კონსტრუქციის შექმნასა და წარდგენაში	მოსწავლეძირითადად თანამშრომლობდასაკუთარიჯგუფისწევრებთან მაკეტის შექმნასა და წარდგენაში	მოსწავლე კონსტრუქციულად თანამშრომლობდა კონსტრუქციის/მაკეტის შექმნის ყველა ეტაპზე და წარდგენაში

პროექტის შეფასების სარეკომენდაციო ცხრილი:

კრიტერიუმი	**კარგი**	**საშუალო**	**სუსტი**
თემატიკა. საძიებო პროექტი, მასში დასმული პრობლემა/საკითხები რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია მოსწავლის განვითარებისთვის – შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განსავითარებლად			
მიზანი. რამდენად კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია			
ამოცანები. რამდენად შეესაბამება თითოეული ამოცანა პროექტის მიზანს			
განხორციელების გზები. რამდენად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას, რამდენად რაციონალურია და პრაქტიკული, რამდენად რეალურია ვადები და არის თუ არა ფუნქციები სწორად გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის			
შედეგი. რამდენად რეალურია აღნიშნული შედეგის მიღწევა და რამდენად შეესაბამება მიზანსა და ამოცანებს			
რესურსები. რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რა არის საჭირო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობებისათვის			
სტრუქტურა. რამდენად ლოგიკურად არის აგებული პროექტი (თანმიმდევრობა)			

ჯგუფური დისკუსიის შეფასების სქემა

	არასდროს	**იშვიათად**	**ზოგჯერ**	**ყოველთვის**
დისკუსიის პროცესში ყველა მონაწილეობს,ჯგუფი მეგობრულადაა განწყობილი, მონაწილეები ერთმანეთს მხარს უჭერდნენ				
ჯგუფის წევრები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს აზრების დასაზუსტებლად და დისკუსიის პროცესის სრულყოფისათვის				
დისკუსია ჯგუფში თემას არ გასცილებია ჯგუფი კონსტრუქციული იყო, აკრიტიკებდა მოსაზრებას და არა პიროვნებას/ჯგუფის წევრებს				

მასწავლებლის რეფლექსია

როგორ/რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ახდენთ თვითშეფასებას?
თემატური ერთეულის დასრულების შემდეგ, მასწავლებელმა ინდივიდუალური წერილობითი რეფლექსიის დროს პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს: • რა იყო ჩემი, როგორც მასწავლებლის წარმატება? • რის საფუძველზე მივაღწიე ამას? • რა სირთულეს წავაწყდი? • რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა თემატური ერთეულის ფარგლებში თითოეული გაკვეთილის გეგმით განსაზღვრულ მიზნებს? • რა გავლენა იქონია გაკვეთილზე გამოყენებულმა სტრატეგიებმა მიღებულ შედეგებზე? • მოსწავლეთა მიერ შესრულებული პრაქტიკული ნამუშევრები რისი თქმის საშუალებას მაძლევს? (ხატვა, ძერწვა, კონსტრუირება ან მათ მიერ შესრულებული ტესტები, ესე) • რომელი სტრატეგიების გამოყენებით გახდა შესაძლებელი (თემატური ერთეულის ფარგლებში –თითოეული გაკვეთილის განმავლობაში) ცოდნის კონსტრუირება? • მისაღწევი მიზნების შესაბამისად, როგორ შეიცვალა თემატური ერთეულის ფარგლებში შემავალი გაკვეთილის/გაკვეთილების გეგმები გაკვეთილის მსვლელობის პროცესში? რატომ? • მომავალში ამ თემატურ ერთეულში შემავალი გაკვეთილის ხელმეორედ ჩატარების შემთხვევაში რას შევცვლი? რატომ?

შეფასების რუბრიკების ნიმუშები:

- მოსწავლის ნამუშევრის (პრაქტიკული უნარების განვითარების) შეფასების რუბრიკები (მ. ბარტელის მიხედვით)

მასწავლებელი: ——————————————————————————

მოსწავლე: ——————————————————————————— (IX კლასის მოსწავლე)

ზრდა, სიახლე და გაუმჯობესება	▯ შეესაბამება თუ არა ნამუშევარი იმავე მოსწავლის წინა ნამუშევარს? ▯ ჩანს თუ არა მასში მეტი ემოციურობა და გამომსახველობა? ▯ ჩანს თუ არა ახალი იდეა, მეტი ნააზრევი? ▯ ჩანს თუ არა მეტი ოსტატობა?	**კარგი**	**საშუალო**	**საჭიროებს გაუმჯობესებას**
შემოქმედებითობა და მოულოდნელი აღმოჩენები/ მიგნებები	▯ რამდენად ინოვაციური, ორიგინალურია ნამუშევარი? ▯ წინა ნამუშევართან შედარებით ჩანს თუ არა რაიმე ცვლილება?			
დავალების შესრულება	▯ დავალებაში რამდენად კარგადაა გადაჭრილი დასახული ამოცანა/პრობლემა? ▯ თუ მოსწავლეს შესრულებული დავალება განსხვავებულად აქვს გადაწყვეტილი, ჰქონდა თუ არა სერიოზული მიზეზი?			
გულმოდგინება	▯ ნამუშევარი გულმოდგინედაა შესრულებული. ნამუშევრის სტილი გააზრებულია და ოსტატურადაა შესრულებული.			

ჯგუფის მუშაობაზე დაკვირვების სქემა

გუნდის ძლიერი მხარეები

გუნდის სუსტი მხარეები

დამატებითი კომენტარები

ჩართულობა, თანამშრომლობა

- ანალიტიკური შეფასების რუბრიკები

კრიტერიუმი	**არადამაკმაყოფილებელი** **1-2**	**დამაკმაყოფილებელი** **3-5**	**კარგი** **6-8**	**ძალიან კარგი** **9-10**
ჩართულობა	არ მონაწილეობს აქტივობებში ან მონაწილეობს იშვიათად	იშვიათად მონაწილეობს და შეაქვს წვლილი მხოლოდ ზოგიერთ აქტივობაში	აქტიურად მონაწილეობს და შეაქვს წვლილი აქტივობების უმრავლესობაში	აქტიურად მონაწილეობს და შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ყველა აქტივობაში
თანამშრომლობა	არ თანამშრომლობს ან ძალიან იშვიათად თანამშრომლობს წყვილში/ჯგუფში მუშაობის დროს	იშვიათად თანამშრომლობს წყვილში/ჯგუფში მუშაობის დროს	ხშირად თანამშრომლობს წყვილში/ჯგუფში მუშაობის დროს	ყოველთვის თანამშრომლობს წყვილში/ჯგუფში მუშაობის დროს

ინფორმაციის მოძიების/კვლევის შეფასების რუბრიკა

ინფორმაციების წყაროების შერჩევა	**მოძიებული ინფორმაციების კვლევის მიზანთან შესაბამისობა**	**ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება**	**მოძიებული ინფორმაციების ორგანიზება**	**რეგლამენტის დაცვა**

მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი N 1

- ივსება მოსწავლის მიერ პრაქტიკული ნამუშევრის დასრულების შემდეგ

შეაფასე შენი ნამუშევარი	
1.შენი ნამუშევარი შენი იდეის შესაბამისია?	
2.რას ფიქრობ, რამდენად ორგინალურია შენი ნამუშევარი?	
3.შენ მიერ გამოყენებული ხერხები, მასალა და ტექნიკა რამდენად დაგეხმარა ჩანაფიქრის გადმოცემაში?	
4. დარწმუნებული ხარ, რომ ნამუშევარი დასრულებულია?	
5. თავიდან რომ იწყებდე მუშაობას, რას შეცვლიდი რაიმეს? რას გააკეთებდი განსხვავებულად?	

მოსწავლის თვითშეფასების კითხვარიN 2

- ივსება მოსწავლის მიერ პრაქტიკული ნამუშევრის დასრულებისას

შეაფასე შენი ნამუშევარი წინა ნამუშევრებთან შედარებით	
შენს წინა ნამუშევრებთან შედარებით, რამდენად ოსტატურად გაქვს გამოყენებული ტექნიკა და მასალა? (ჩანს თუ არა მეტი ოსტატობა ამ ნამუშევარში წინა ნამუშევრებთან შედარებით?)	
შენს წინა ნამუშევრებთან შედარებით, უფრო კარგად გაქვს წარმოჩენილი შენი ჩანაფიქრი, იდეა?	
რამდენად ინოვაციური, ორიგინალურია შენი ნამუშევარი?	
რამდენად გულმოდგინედ შეასრულე ნამუშევარი?	
შენი აზრით, რამდენად კარგად შეძელი შენს წინაშე დასმული ამოცანა/ პრობლემის გადაჭრა/შესრულება? (წინა ნამუშევრებთან შედარებით)	

დავალების ინსტრუქციის მოსმენის შემდეგ, სანამ პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას დავიწყებ, ჯერ სამოქმედო გეგმას ვადგენ (თანმიმდევრულად რას რის შემდეგ გავაკეთებ)	**ყოველთვის** **ზოგჯერ** **არასდროს**
მუშაობის დაწყებამდე ვქმნი მოსამზადებელ ჩანახატს	**ყოველთვის** **ზოგჯერ** **არასდროს**
ვიცავ დროის ლიმიტს	**ყოველთვის** **ზოგჯერ** **არასდროს**
ვაწესრიგებ სამუშაო ადგილს	**ყოველთვის** **ზოგჯერ** **არასდროს**
ვინიშნავ რესურსების ნუსხას, რომელიც დამჭირდება შემდეგ გაკვეთილზე	**ყოველთვის** **ზოგჯერ** **არასდროს**

თვითშეფასების კითხვარი N3

- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი ივსება პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ

(აღნიშნე რომელს შეესაბამება)

სახელი, გვარი _____

შემუშავებული შეფასების რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეს, თავად აღნიშნოს, თუ რამდენად კარგად აქვს შესრულებული კონკრეტული დავალება

დავალება 1.	**დავალება ძალიან კარგად შევასრულე**	**დავალება კარგად შევასრულე**	**ნაწილობრივ შევასრულე დავალება**	**მჭირდება დამატებითი მუშაობა**
დაასახელეთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები და დაასახელეთ მათი მახასიათებლები	დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ნასწავლი) ჟანრები და მათი (ყველა) მახასიათებლები	დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ნასწავლი) ჟანრები და დავასახელე მათი თითოეული მახასიათებელი	დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები	ვერ დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

9. დანართი

კითხვარები

33-ე გაკვეთილისათვის („ის, რაც მაღელვებს“)

კითხვარი 1.

<u>კითხვარი ივსება ინდივიდუალურად ნამუშევრის დაწყებამდე</u>

1. რომელი თემა შეარჩიე და რატომ?
2. რა ფორმა შეარჩიე (მოწოდება, გაფრთხილება და სხვ.)
3. ვის მიმართავ შენი ნამუშევრით?
4. რას ფიქრობ, მოახდენს თუ არა შენ მიერ შექმნილი მოწოდება თუ გაფრთხილება გავლენას ადამიანებზე?
5. რომელ მასალასა და ტექნიკას შეარჩევ შენი იდეის გამოსახატად?
6. რა ხერხების გამოყენებით წარმოაჩენ/ხაზს გაუსვამ შენს ჩანაფიქრს?

კითხვარი II.

კითხვარი ივსება ნამუშევრის დასრულების შემდეგ

1.რამდენად შეიცვალა პირვანდელი იდეა გუნდური მუშაობის პროცესში?
2. რამდენად შეესაბამება შენი დასრულებული ნამუშევარი სამიზნე აუდიტორიას?
3. რას ფიქრობ, მოახდენს თუ არა შესრულებული ნამუშევარი გარკვეულ ზეგავლენას საზოგადოებაზე და შენ გარშემო მყოფ ადამიანებზე?

10.მოსწავლის წიგნში გამოყენებული უცხო სიტყვების განმარტებები

აბსურდი (ლათ. absurdus უაზრო, უთავბოლო) – შეუსაბამობა, უაზრობა.

აგიტაცია – სიტყვიერი, ბეჭდვითი ან სახვითი ხერხით საზოგადოების პოლიტიკურ ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენა.

დეკორაცია – სცენის, გადასაღები მოედნის გაფორმება, რომელიც ქმნის გარემოს და განსა-ზღვრავს სპექტაკლის ან ფილმის მხატვრულ სახეს.

დემატერიალიზაცია – მატერიალური ფორმის გაქრობა.

დიაფრაგმა – *(ანატომიიდან)* კუნთმყესოვანი ძგიდე, რომელიც ერთმანეთისაგან გამოჰყოფს გულ-მკერდისა და მუცლის არეებს.

დრამატურგი – თეატრისათვის განკუთვნილი ნა-წარმოების, პიესის ავტორი.

დუხობორები *(რუს. „სულისათვის მებრძოლნი“)* – რელიგიურ-ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც მიაჩნია, რომ კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარეობს ბრძოლა სულიერსა (აბელის მიმდევრები) და ხორციელს (კაენის მიმდევრები) შორის. დუხობორებს საკუთარი თავი მიაჩნიათ ჭეშმარიტ და რჩეულ ხალხად, რომელმაც უნდა შექმნას ღვთის სამართლით გამსჭვალული ძმობა. დუხობორები საქართველოში 1841 წელს ჩამოასახლეს. მათი უკანასკნელი კომპაქტური დასახლება ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკაშია.

ესკიზი – წინასწარი ჩანახატი, რომლის მიხედვით შემდეგ იქმნება მხატვრული ნაწარმოები.

გროტესკი – მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომელიც დამყარებულია მეტისმეტ გაზვიადებაზე, მკვეთრი კონტრასტების – რეალობისა და ფანტასტიკის, ტრაგიკულისა და კომიკურის შეხამებაზე.

კამერა-ობსკურა – „ბნელი ოთახი“. ოპტიკური ხელსაწყო – შუქშეუვალი ყუთი, რომლის წინა კედელზე არის პატარა ნახვრეტი. აქედან შემავალი სინათლის სხივი მოპირდაპირე კედელზე აჩენს საგნის შებრუნებულ გამოსახულებას.

კონცეფცია – 1. შეხედულებათა სისტემა (ამა თუ იმ საგნის თუ მოვლენის შესახებ); 2. ნაწარმოების, თხზულების ძირითადი აზრი.

კულაკი – მდიდარი მესაკუთრე გლეხი; ბობოლა.

ლუციფერი – ქრისტიანულ მითოლოგიაში ეშმაკი, ჯოჯოხეთის მბრძანებელი, ბოროტების ღვთაება.

მეტაფიზიკა (ბერძ. metaphisika ფიზიკის შემდეგ, არისტოტელეს თხზულებებში „ფიზიკის“ მომდევნო შრომის სახელწოდება) – ფილოსოფიის ნაწილი, რომელიც განიხილავს არაფიზიკურ მოვლენებს: ღმერთს, სულს და სხვ.

ნარკომი *(რუს.* Народный комис-сар *სახალხო კომისარი)* – ხელისუფლების წარმომადგენელი ადგილზე.

პოსტამენტი – ამაღლებული საფუძველი, რომელზეც აღმართულია ძეგლი; კვარცხლბეკი, პიედესტალი.

პოსტულატი – *(ლათ.)* მტკიცება, რომელიც აღიარებულია ამოსავალ დებულებად დასაბუთების გარეშე.

პროპაგანდა – ფართო მასებზე იდეური ზემოქმედება, რასაც პოლიტიკური ხასიათი აქვს.

რეპრესია – სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული დასასჯელი ზომა; დასჯა.

საკრალური – წმინდა; დაკავშირებულია რელიგიურ კულტსა და რიტუალთან.

სინთეზი – განსხვავებული ელემენტების შეერთება, ერთ მთლიანობად ქცევა.

სინთეზური ხელოვნება – ხელოვნების სხვადასხვა დარგის გაერთიანება საერთო მხატვრული შთაბეჭდილების მისაღწევად.

სიურრეალიზმი – ტერმინი „სიურრეალიზმი“ სიტყვასიტყვით „ზერეალობას“ ნიშნავს. მიმდინარეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში XX საუკუნის დასაწყისსა და შუა ხანებში იყო გავრცელებული. სიურრეალიზმისთვის დამახასიათებელია ხელოვნების ნაწარმოებში რეალისტური და ფანტასტიკური ელემენტების თანაარსებობა.

სტრატილატი (ბერძნ. მხედართმთავარი) – ასე ეწოდებოდა მხედართმთავარს ანტიკურ რომში, მოგვიანებით კი ბიზანტიის იმპერიაშიც. თავ-დაპირველად, ის წმინდან მხედართმთავართა მიმართ გამოიყენებოდა.

სუბიექტი (ლათ. subjectum) – ადამიანი, პიროვნება.

სუბიექტური – სუბიექტთან დაკავშირებული, პირადული.

ცენზორი – ძველ რომში: თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობდა მოქალაქეთა ქონების შეფასებას, თვალყურს ადევნებდა მათ მიერ გადასახადების გადახდას და სხვ.